

114
1937



ქართული
წიგლმცოდნეობა

მნათობი

4

ს ე ს ე რ ბ ე მ ი

ტფილისი—1937

მნათობი



ქართული
საბჭოთაო



სრულიად საქართველოს საბჭ. შერლუბის
კავშირის ყთვულთვიური სალიტერატურთ,
სახელთვნთ და საბთვადრუბრძვ-საპოლიტვიკთ
ქერნალი

წალიწადი მეთოთხმეტი

4

ს ე ხ ე რ გ ე ა ი

ბ ვ ი ჳ ი ს ი

1938

პ/მზ. რედაქტორი — დავით დემეტრაძე

პ/მზ. მდივანი — ლევან ასათიანი



ქართული
ენციკლოპედია

რედაქცია:

ტფილისი, მაჩაბლის, 13
შწირალთა სასახლე
ტ. 3-55-25

ქანტორა:

ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგაში
პერიოდსექტორი

პოლიგრაფიული რედაქცია № 7022. შტაბი 522. ტირაჟი 7000.

სახელგაშის პოლიგრაფიკომბინატი, ფორცხის ქ. № 2.



საქართველო
გრაფიკა

ი. სტალინი

ი. ს ვ ა ლ ი ნ ი

კარტიული მუშაობის
ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ
და სხვათა თვალთმაქცთა
ლიკვიდაციის ღონისძიებებზე

გონივრება და საბოლოო სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური

კომიტეტის კლენუმზე

1937 წლის 3—5 მაისს



ქართული
კომუნისტური

ამხანაგ სტალინის მოხსენება

საპ. კ. კ. (ბ) ცენტრალური

კომიტეტის პლენუმზე

1937 წლის 3 მარტს

ამხანაგებო!

პლენუმზე მოსმენილი მოხსენებებიდან და მათ ირგვლივ გამართული კამათიდან სჩანს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს შემდეგ სამ ძირითად ფაქტთან.

ვერ-ერთი, მავნებლური და დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობა უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტებისა, რომელთა შორის საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობდნენ ტროცკისტები, მეტად თუ ნაკლებად შეეხო ყველას ან თითქმის ყველა ჩვენს ორგანიზაციას, როგორც სამეურნეოს, ისე ადმინისტრაციულსა და პარტიულს.

მეორე, უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები, მათ შორის ტროცკისტები, ვაძვრნენ არა მარტო ძირეულ ორგანიზაციებში, არამედ ზოგიერთ პასუხსაგებ პოსტზედაც.

მესამე, ზოგიერთმა ჩვენმა ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზედაც, არა თუ ვერ მოახერხეს დაენახათ ამ მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა ნამდვილი სახე, არამედ ისინი იმდენად უღარდელნი, უზრუნველნი და გულუბრყვილონი აღმოჩნდნენ, რომ არაიშვიათად თვითონ უწყობდნენ ხელს უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტების დაწინაურებას ამათუიმ პასუხსაგებ პოსტებზე.

ასეთია სამი უდავო ფაქტი, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს მოხსენებებიდან და მათ ირგვლივ გამართული კამათიდან.

1

პოლიტიკური უღადლოება

რით აიხსნება, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები, რომელთაც აქეთ სხვადასხვაგვარ ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა მიმდინარეობებთან ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, ამ შემთხვევაში ისე გულუბრყვილონი და ბრმანი აღმოჩნდნენ, რომ ვერ მოახერხეს დაენახათ ხალხის მტრების ნამდვილი სახე, ვერ მოახერხეს გამოეცნოთ ცხერის ტყავში გახვეული მკვლელები, ვერ მოახერხეს ჩამოეგლიჯათ მათთვის ნილაბი?

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ მანებლური და დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობა უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტებისა, რომელნიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებენ, შესაძლებელია იყოს? ჩვენთვის რალაც მოულოდნელი და უმაგალითო? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. ამას გვეუბნებიან ოფიციალურ დოკუმენტებში ფიქსირებული მანებლური აქტები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, დაწყებული შახტის პერიოდით.

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ბოლო დროს ჩვენ არ გვჭირია რაიმე მანიშნებელი სიგნალები და გაძაფრებული მითითებანი ფაშის ტროცკისტულ-ზინოვიევიური აგენტების მანებლური, ჯაშუშური თუ ტერორისტული საქმიანობის შესახებ? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. ასეთი სიგნალები იყო, და ბოლშევიკებს უფლება არა აქვთ დაივიწყონ ისინი.

ამხანაგ კიროვის ავაზაკური მოკვლა იყო პირველი სერიოზული გაფრთხილება, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ხალხის მტრები ითვალთმაქცებენ და, გასწევნ რა თვალთმაქცობას, გაიკეთებენ ნიღაბს ბოლშევიკისას, პარტიელისას, რათა ნღობა დაიმსახურონ და გზა გაიკაფონ ჩვენი ორგანიზაციებისაკენ.

„ლენინგრადის ცენტრის“ სასამართლო პროცესმა, ისე როგორც „ზინოვიევი-კამენევის“ სასამართლო პროცესმა, ახალი დასაბუთება მისცა იმ გაკვეთილებს, რომლებიც გამომდინარეობენ ამხანაგ კიროვის ავაზაკურად მოკვლის ფაქტიდან.

„ზინოვიევი-ტროცკისტული ბლოკის“ სასამართლო პროცესმა გააფართოვა წინა პროცესების გაკვეთილები და თვალნათლივ დაგვანახა, რომ ზინოვიევიელები და ტროცკისტები თავიანთ გარშემო აერთიანებენ ყველა მტრულ ბურჟუაზიულ ელემენტს, რომ ისინი გადაიქცნენ გერმანიის პოლიციური ობრანკის ჯაშუშურ და დივერსიულ-ტერორისტულ აგენტურად, რომ თვალთმაქცობა და შენიღბვა წარმოადგენენ ზინოვიევიელებისა და ტროცკისტების ერთადერთ საშუალებას ჩვენს ორგანიზაციებში შემოსაძრომად, რომ სიფხიზლე და პოლიტიკური გამჭრიახობა წარმოადგენენ ყველაზე უტყუარ საშუალებას ასეთი შემოძრომის თავიდან ასაცილებლად, ზინოვიევი-ტროცკისტული ხროვის სალიკვიდაციოდ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის 1935 წლის 18 იანვრის დაბურულ წერილში ამხანაგ კიროვის ავაზაკური მოკვლის გამო ვადაჭრით აფრთხილებდა პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკური უზრუნველობისა და ობიექტულური დოკლამაციებისაგან. დაბურულ წერილში მითქვამია:

„ბოლო უნდა მოველოთ ოპორტუნისტულ უზრუნველობას, რომელიც გამომდინარეობს შემცდარი მოსაზრებიდან, რომ ჩვენი ძალების ზრდასთან ერთად მტერი თითქოს უფროსაფრთხილ მოშინაურებულ და უწყინარი ხდებოდეს. ასეთი მოსაზრება ძირითადად არასწორია. იგი არის ამონაცხიანი მემარჯვენე გადაზრისა, რომელიც ყველას და ყოველივეს არწმუნებს, რომ მტრები ნელნელა შეცოცდებიან სოციალიზმში, რომ ისინი ბოლოსდაბოლოს ნამდვილი სოციალისტები გახდებიან. ბოლშევიკების საქმე როდია განცხრომას მიეცნენ და დოკლაპიობა გამოიჩინონ. ჩვენ უზრუნველობა კი არ გვესაქიროება, არამედ სიფხიზლე, ნამდვილი ბოლშევიკური რევოლუციური სიფხიზლე. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო უნუგეშოა მტრების მდგომარეობა, მით უფრო მეტი ხალისით ჩასქიდებენ ისინი ხელს უკიდურეს საშუალებებს, როგორც განწირულთა ერთადერთ საშუალებებს მათს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებასთან. ეს უნდა გვახსოვდეს და ფხიზელნი ვიყოთ“.

თავის 1936 წლის 29 ივლისის დახურულ წერილში ტროცკისტულ-ზინოვიევეური ბლოკის ჯამუშურ-ტერორისტული საქმიანობის გამო ს.კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი კვლავ მოუწოდებდა პარტიულ ორგანიზაციებს გამოეჩინათ მაქსიმალური სიფხიზლე, ხალხის მტრების გამოცნობის უნარი, რარიგ კარგად შენიღბულნიც უნდა იყვნენ ისინი. დახურულ წერილში ნათქვამია:

„ახლა, როდესაც დამტკიცებულია, რომ ტროცკისტ-ზინოვიეველი გარეწრები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში აერთიანებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველაზე გაბოროტებულ და მოსისხლე მტრებს — ჯამუშებს, პროვოკატორებს, დივერსანტებს, თეთრგვარდიელებს, კულაკებს და ა. შ., როდესაც, ერთი მხრით, ამ ელემენტებსა და, მეორე მხრით, ტროცკისტებსა და ზინოვიეველებს შორის წაიშალა ყოველგვარი ზღვარი, — ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიის ყველა წევრმა უნდა შეიგნოს, რომ კომუნისტთა სიფხიზლე აუცილებელია ყოველ უბანზე და ყოველგვარ ვითარებაში. თვითეული ბოლშევიკის განუყრელი თვისება ახლანდელ პირობებში უნდა იყოს უნარი იმისა, რომ გამოიცილოს პარტიის მტერი, რარიგ კარგადაც უნდა იყოს იგი შენიღბული“.

მაშასადამე, სიგნალები და გაფრთხილებანი იყო.

რისკენ მოგვიწოდებდნენ ეს სიგნალები და გაფრთხილებანი?

ისინი მოგვიწოდებდნენ იმისაკენ, რათა აღმოგვეფხვრა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სისუსტე და გადაგვექცია პარტია მიუვალ ციხე-სიმაგრედ, სადაც ვერ შეძვრებოდა ვერც ერთი თვალთმაქცი.

ისინი მოგვიწოდებდნენ იმისაკენ, რათა ბოლო მოგველო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობისათვის და გადაჭრით მოვბრუნებულყავით ასეთი მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებისაკენ. პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებისაკენ.

და მერე რა? ფაქტებმა დაგვანახვეს, რომ სიგნალებსა და გაფრთხილებებს ჩვენი ამხანაგები ძალიან ზანტად ითვისებდნენ.

ამას მკერმეტყველად მოწმობენ ყველასათვის ცნობილი ფაქტები პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის კამპანიის დარგიდან.

რით აიხსნება, რომ ამ გაფრთხილებებში და სიგნალებში ვერ იჭონიეს სათანადო მოქმედება?

რით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები, ანტისაბჭოთა ელემენტებთან მათი ბრძოლის გამოცდილების მიუხედავად, მთელი რიგი მანიშნებელი სიგნალებისა და გამაფრთხილებელი მითითებების მიუხედავად, პოლიტიკურად ბეცები აღმოჩნდნენ ხალხის მტერთა მავნებლურა და ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობის წინაშე?

შეიძლება ჩვენი პარტიული ამხანაგები უფრო უარესნი გახდნენ, ვიდრე წინათ იყვნენ, გახდნენ ნაკლებად შევნებულნი და დისციპლინირებულინი? არა, რა თქმა უნდა, არა!

იქნებ მათ იწყეს გადაგვარება? კვლავ არა! ასეთი ვარაუდი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მაშ, რაშია საქმე? საიდან არის ასეთი დოყლაპიობა, უდარდელობა, უზრუნველობა, სიბრმავე?

საქმე ის არის, რომ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, სამეურნეო კამპანიებით და სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე კოლოსალური წარმატებებით გატაცებულებს, პირდაპირ დაავიწყდათ ზოგიერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელთა დავიწყების უფლება ბოლშევიკებს არა აქვთ. მათ დაავიწყდათ ერთი ძირითადი ფაქტი სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის სფეროდან და ვერ შეამჩნიეს ორი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ახლანდელ მავნებლებთან, ჯაშუშებთან, დივერსანტებთან და მკვლელებთან, რომლებიც პარტიულ ბილეთს ეფარებიან და ბოლშევიკის ნიღაბს იკეთებენ.

II

კაკიბალისტური გარემოცვა

რა ფაქტებია ეს ფაქტები, რომლებიც დაივიწყეს ან რომლებიც პირდაპირ ვერ შეამჩნიეს ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა?

მათ დაივიწყეს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა დედამიწის მხოლოდ მეექვსედ ნაწილზე, რომ დედამიწის ხუთ მეექვსედს შე-

ადგენენ კაპიტალისტური სახელმწიფოების სამფლობელოები. მათ დაიწვეს, რომ საბჭოთა კავშირი იმყოფება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. ჩვენთან მიღებულია ილაყბონ კაპიტალისტური გარემოცვაზე, მაგრამ არ სურთ ჩაუფიქრდნენ, რა არის ეს კაპიტალისტური გარემოცვა. კაპიტალისტური გარემოცვა — ეს ცალკეური ფრაზა როდია, ეს მეტად რეალური და არასასიამოვნო მოვლენაა. კაპიტალისტური გარემოცვა — ეს ნიშნავს, რომ არის ერთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი, რომელმაც დაიშყარა სოციალისტური წესწყობილება, და, გარდა ამისა, არის ბევრი ქვეყანა — ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც განაგრძობენ კაპიტალისტური წესით ცხოვრებას და რომლებიც გარსერტყმიან საბჭოთა კავშირს, ელოდებიან რა შემთხვევას იმისათვის, რომ თავს დაესხან მას, დაამარცხონ იგი ან, ყოველ შემთხვევაში — ძირი გამოუთხარონ მის ძლიერებას და დაასუსტონ იგი.

ეს ძირითადი ფაქტი დაივიწყეს ჩვენმა ამხანაგებმა. და სწორედ ხომ ის განსაზღვრავს კაპიტალისტურ გარემოცვასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა საფუძველს.

ავიღოთ, მაგალითად, ბურჟუაზიული სახელმწიფოები. გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიანთ იფიქრონ, რომ მათ შორის არსებობს განსაკუთრებით კეთილი ურთიერთობა, როგორც ერთი ტიპის სახელმწიფოებს შორის. მაგრამ ასე მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიანთ იფიქრონ. ნამდვილად კი ურთიერთობა მათ შორის ძალზე დაშორებულია კეთილშეშობილურ ურთიერთობას. დამტკიცებულია, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები ერთმანეთს ზურგში უგზავნიან თავის ჯაშუშებს, შავნებლებს, დივერსანტებს, ზოგჯერ კი შველებსაც, აძლევენ მათ დავალებას ფეხი მოიკიდონ ამ სახელმწიფოების დაწესებულებებსა და საწარმოებში, შექმნან იქ თავისი ქსელი და „აუცილებლობის შემთხვევაში“ — ააფეთქონ მათი ზურგი, რათა დაასუსტონ ისინი და ძირი გამოუთხარონ მათს ძლიერებას. ასეთია საქმის ვითარება ამჟამად. ასეთი იყო საქმის ვითარება წარსულშიც. ავიღოთ, მაგალითად, სახელმწიფოები ნაპოლეონ I დროის ევროპაში. საფრანგეთი მაშინ სავსე იყო ჯაშუშებითა და დივერსანტებით რუსების, გერმანელების, ავსტრიელების, ინგლისელების ბანაკიდან. და, პირიქით ინგლისს, გერმანულ სახელმწიფოებს, ავსტრიას, რუსეთს მაშინ თავის ზურგში ჰყავდათ ჯაშუშებისა და დივერსანტების არა ნაკლები რაოდენობა საფრანგეთის ბანაკიდან. ინგლისის აგენტებმა ორჯერ სცადეს მოეკლათ ნაპოლეონი და რამდენჯერმე ააჯანყეს ვანდის გლეხები საფრანგეთში ნაპოლეონის მთავრობის წინააღმდეგ. ხოლო რას წარმოადგენდა ნაპოლეონის მთავრობა? ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელმაც ჩაახშო საფრანგეთის რევოლუცია და შეინარჩუნა რევოლუციის მხოლოდ ის შედეგები, რაც ხელსაყრელი იყო მსხვილი ბურჟუაზიისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი,

რომ ნაპოლეონის მთავრობა ეალში არ რჩებოდა თავის მებრძოლებს და ისიც მიმართავდა თავის დივერსიულ ღონისძიებებს. ასე იყო წარსულში, 130 წლის წინათ. ასეა საქმის ვითარება ამჟამად, ნაპოლეონის დროიდან 130 წლის შემდეგ. ამჟამად საფრანგეთი და ინგლისი სავსეა გერმანიის ჯაშუშებითა და დივერსანტებით და, პირიქით, გერმანიაში თავის ზრივ მოქმედებენ ინგლის-საფრანგეთის ჯაშუშები და დივერსანტები. ამერიკა სავსეა იაპონიის ჯაშუშებით და დივერსანტებით, ხოლო იაპონია—ამერიკის ჯაშუშებითა და დივერსანტებით.

ასეთი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა კანონი.

იბადება კითხვა, რატომ უნდა მოეპყრან ბურჟუაზიული სახელმწიფოები საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს უფრო რბილად და უფრო კეთილმეზობლურად, ვიდრე თავისივე ტიპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს? რატომ უნდა გზავნონ მათ საბჭოთა კავშირის ზურგში ნაკლები ჯაშუშები, მავნებლები, დივერსანტები და მკვლელები, ვიდრე მათ გზავნიან თავიანთი შონათესავე ბურჟუაზიული სახელმწიფოების ზურგში? საიდან აიღეთ თქვენ ეს? უფრო სწორი არ იქნება, მარქსიზმის თვალსაზრისით, ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა კავშირის ზურგში ბურჟუაზიული სახელმწიფოები უნდა გზავნიდნენ ორჯერ და სამჯერ მეტ მავნებლებს, ჯაშუშებს, დივერსანტებსა და მკვლელებს, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ზურგში?

განა ცხადი არ არის, რომ ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომელთაც უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები გზავნიან ჩვენს ზურგში?

ყოველივე ეს დაივიწყეს ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა, და, დაივიწყეს რა ეს, მოუშზადებელი აღმოჩნდნენ.

აი რატომ აღმოჩნდა სრულიად შოულოდნელი ზოგიერთი ჩვენი ამხანაგისათვის იაპონია-გერმანიის პოლიციური ოხრანკის ტროცკისტ-აგენტების ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობა.

III

თანამედროვე ტროცკიზმი

შემდეგ, აწარმოებდნენ რა ბრძოლას ტროცკისტ აგენტებთან, ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიეს, მხედველობიდან გამოეპარათ, რომ ახლანდელი ტროცკიზმი უკვე ის აღარ არის, რაც ის იყო, ვთქვათ, 7—8 წლის წინათ, რომ ტროცკიზმმა და ტროცკისტებმა ამ ხნის განმავლობაში განიცადეს სერიოზული ევოლუცია, რამაც ძირფესვიანად შესცვალა ტროცკიზმის საზე, რომ ამის გამო ტროცკიზმთან ბრძოლაც

მასთან ბრძოლის მეთოდები ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიეს, რომ ტროცკიზმი აღიარებს პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, რომ მუშათა კლასში პოლიტიკური მიმდინარეობიდან, რაც იგი 7—8 წლის წინათ იყო, ტროცკიზმი გადაიქცა მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა პირწავადნილ და უპრინციპო ბანდად, რომლებიც მოქმედებენ უცხოეთის სახელმწიფოების მზვერავ ორგანოთა დავალებებით.

რა არის პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში? პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში — ეს ისეთი ჯგუფი ან პარტიაა, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომია, პლატფორმა, პროგრამა, რომელიც არ უმაღავეს და არც შეუძლიან დაუმალოს თავისი შეხედულებანი მუშათა კლასს, არამედ, პირიქით, აშკარად და პატიოსნად ეწევა თავის შეხედულებათა პროპაგანდას, მუშათა კლასის თვალწინ, რომელსაც არ ეშინიან დაანახოს მუშათა კლასს თავისი პოლიტიკური სახე, არ ეშინიან მოახდინოს მუშათა კლასის წინაშე თავისი ნამდვილი მიზნებისა და ამოცანების დემონსტრირება, არამედ, პირიქით, სახეახდელი მიდის მუშათა კლასში იმისათვის, რომ დააჯეროს იგი თავის შეხედულებათა სიმართლეში. ტროცკიზმი წარსულში, 7—8 წლის წინათ, იყო ერთერთი ასეთი პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, მართალია, ანტილენინური და ამიტომ ღრმად შემცდარი, მაგრამ მაინც პოლიტიკური მიმდინარეობა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ახლანდელი ტროცკიზმი, ეთქვათ, 1936 წლის ტროცკიზმი, წარმოადგენს პოლიტიკურ მიმდინარეობას მუშათა კლასში? არა, ამის თქმა არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ თანამედროვე ტროცკისტებს ეშინიანთ დაანახვონ მუშათა კლასს თავიანთი ნამდვილი სახე, ეშინიანთ გაუშხილონ მას თავიანთი ნამდვილი მიზნები და ამოცანები, გულმოდგინედ უმაღავენ მუშათა კლასს თავიანთ პოლიტიკურ ფიზიონომიას და ეშინიანთ, რომ, თუ მუშათა კლასი გაიგებს მათს ნამდვილ ზრახვებს, იგი შეაჩვენებს მათ, როგორც უცხო ადამიანებს, და გააძევეს მათ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ტროცკისტული მუშაობის ძირითად მეთოდს ახლა წარმოადგენს თავიანთ შეხედულებათა არა აშკარა და პატიოსანი პროპაგანდა მუშათა კლასში, არამედ თავიანთ შეხედულებათა შენიღბვა, თავიანთ მოწინააღმდეგეთა შეხედულებების პირფერობით და მლიქვნელურად შექება, თავიანთ საკუთარ შეხედულებათა ფარისევლურად და ყალბად ამოსვრა ტალახში.

1936 წლის სასამართლო პროცესზე, თუ გაიხსენებთ, კამენევი და ზინოვიევი გადაქრით უარპყოფდნენ, რომ მათ ჰქონდათ რაიმე პოლიტიკური პლატფორმა. მათ სრული შესაძლებლობა ჰქონდათ გადაეშალათ სასამართლო პროცესზე თავიანთი პოლიტიკური პლატფორმა.

ნამდვილი ხასიათის შესახებ ერთ მუჟა ტროცკისტებსაც ვერაიდან ასეთ „ოპერაციას“ შეუძლიან განხეთქილება გამოიწვიოს.

„პოლიტიკური მოღვაწენი“, რომლებიც თავის შეფუძნებაში თავის პლატფორმას უმაღლეს ანა მარტო მუშათა კლასს, არამედ ტროცკისტულ მასასაც, და არა მარტო ტროცკისტულ მასას, არამედ ტროცკისტობელმძღვანელ ზედა ფენასაც, — ასეთია თანამედროვე ტროცკიზმის ფიზიონომია.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თანამედროვე ტროცკიზმს უკვე არ შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში.

თანამედროვე ტროცკიზმი არის არა პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, არამედ მცენებელთა, დივერსანტთა, მზვერავთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდა, მუშათა კლასის დაუძინებელი მტრების ბანდა, რომლებიც მოქმედებენ უცხოეთის სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოების დაქირავებით.

ასეთია ტროცკიზმის ევოლუციის უდავო შედეგი უკანასკნელი 7 — 8 წლის განმავლობაში.

ასეთია განსხვავება წინანდელ ტროცკიზმსა და ახლანდელ ტროცკიზმს შორის.

ჩვენი პარტიული ამხანაგების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ შენიშნეს ეს ღრმა განსხვავება წინანდელ ტროცკიზმსა და ახლანდელ ტროცკიზმს შორის. მათ ვერ შენიშნეს, რომ ტროცკისტები უკვე დიდხანია აღარ არიან იდეური ადამიანები, რომ ტროცკისტები უკვე დიდხანია გადაიქცნენ შარა გზის ყაჩაღებად, რომლებსაც შესწევთ უნარი ჩაიღინონ ყოველგვარი სისაძაგლე, შესწევთ უნარი ჩაიღინონ ყოველგვარი საზიზღრობა, თვით შპიონაჟი და თავისი სამშობლოს პირდაპირი დალატიკ კი, ოღონდ კი აენონ საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა ხელისუფლებას. მათ ეს ვერ შენიშნეს და ამიტომ ვერ შესძლეს დროზე გარდაქმნილიყვნენ იმისათვის, რათა ტროცკისტებთან ბრძოლა ეწარმოებინათ ახლებურად, უფრო გადაჭრით.

აი რატომ აღმოჩნდა ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგისათვის სრულ მოულოდნელობად ტროცკისტების საძაგლობანი უკანასკნელი წლების განმავლობაში.

შემდეგ, დასასრულ, ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიეს ის, რომ ერთი მხრივ, ახლანდელ მცენებლებსა და დივერსანტებსა, რომელთაგან ფაშიზმის ტროცკისტი აგენტები საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობენ, და, მეორე მხრივ, შახტის პერიოდის დროის მცენებლებსა და დივერსანტებს შორის არსებითი განსხვავებაა.

ჯერ-ერთი. შახტელები და სამრეწველო პარტიის წევრები ჩვენდამი აშკარად უცხო ადამიანები იყვნენ. ესენი იყვნენ მტრწილად საწარმოთა ყოფილი მფლობელები, ყოფილი მმართველები ძველ მემპატრონებთან,

ძველ სააქციო საზოგადოებათა ყოფილი კომპანიონები, ანდა პარდაპირ ძველი ბურჟუაზიული სპეციალისტები, ჩვენდამი პოლიტიკურად აშკარად მტრულად განწყობილნი. არცერთ ჩვენს ადამიანთაგანს ვერცხვარებოდა იმაში, თუ როგორი იყო ამ ვაებატონების ნამდვილად მთავარი სახე. თვითონ შახტელებიც არ მალავდნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა წყობილებისადმი. არ შეიძლება იგივე ითქვას ახლანდელ მავნებლებსა და დივერსანტებზე, ტროცკისტებზე. ახლანდელი მავნებლები და დივერსანტები, ტროცკისტები, — ეს მეტწილად პარტიული, ჯიბეში პარტიული ბილეთის მქონე ადამიანები არიან, — მაშასადამე, ფორმალურად უცხო ადამიანები არ არიან. თუ ძველი მავნებლები ჩვენი ადამიანების წინააღმდეგ მიდიოდნენ, ახალი მავნებლები, პირიქით, ელაჭუცებიან ჩვენს ადამიანებს, ხოტბას ასხამენ ჩვენს ადამიანებს, მლიქვნელობენ მათს წინაშე, რათა ნდობა მოიხვეჭონ. განსხვავება, როგორც ვხედავთ, არსებითია.

მეორე. შახტელთა და სამრეწველო პარტიის წევრთა ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ მეტად თუ ნაკლებად გააჩნდათ საჭირო ტექნიკური ცოდნა, მაშინ, როდესაც ჩვენი ადამიანები, რომელთაც ასეთი ცოდნა არ ჰქონდათ, იძულებული იყვნენ მათგან ესწავლათ. ეს გარემოება შახტის პერიოდის მავნებლებს დიდ უპირატესობას აძლევდა, აძლევდა მათ შესაძლებლობას თავისუფლად და შეუფერხებლად გაეწიათ მავნებლობა, აძლევდა მათ შესაძლებლობას მოეტყუებინათ ჩვენი ადამიანები ტექნიკურად. ეს არ ითქმის ახლანდელ მავნებლებზე, ტროცკისტებზე. ახლანდელ მავნებლებს არავითარი ტექნიკური უპირატესობანი არა აქვთ ჩვენი ადამიანების მიმართ. პირიქით, ტექნიკურად ჩვენი ადამიანები უფრო მომზადებულნი არიან, ვიდრე ახლანდელი მავნებლები, ვიდრე ტროცკისტები. შახტის პერიოდიდან დღევანდლამდე ჩვენში ათი ათასობით გაიზარდნენ ნამდვილი, ტექნიკურად გამოწრთობილი ბოლშევიკური კადრები. შეიძლებოდა ათასობით და ათეული ათასობით დაგვესახელებინა ტექნიკურად გაზრდილი ბოლშევიკური ხელმძღვანელები, რომლებთან შედარებით ყველა ეს პიატაკოვები და ლივშიცები, შესტოვები და ბოგუსლავსკები, მურალოვები და დროზნისები ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით ფუჭ მოლაყბებებსა და მოსამზადებელი კლასის მოწაფეებს წარმოადგენენ. მაშ ასეთ შემთხვევაში რაში მდგომარეობს ახლანდელი მავნებლების, ტროცკისტების ძალა? მათი ძალა მდგომარეობს პარტიულ ბილეთში, იმაში, რომ მათ პარტიული ბილეთი აქვთ. მათი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული ბილეთი მათ ანიჭებს პოლიტიკურ ნდობას და გზას უკაფავს მათ ყველა ჩვენი დაწესებულებისა და ორგანიზაციისაკენ. მათი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი, ჰქონდათ რა პარტიული ბილეთები და მოჰქონდათ რა თავი საბჭოთა ხელისუფლების მეგობრებად, ატყუებდნენ ჩვენს ადამიანებს პოლიტიკურად, ბოროტად იყ-

ნებდნენ ნლობას, მანებლობას ეწეოდნენ ჩუმჩუმად და ჩვენს სახელმწიფო საიდუმლოებებს უმზელდნენ საბჭოთა კავშირის მტრებს, თავისი პოლიტიკური და მორალური ღირებულებით საემკვეთე უმჯობესობაა, მაგრამ მაინც „უპირატესობა“. კაცმა რომ სთქვას, „საქართველოში უპირატესობით“ აიხსნება ის ვარემოება, რომ ტროცკისტი მანებლები, როგორც პარტიულიანი ადამიანები, რომელთაც ხელი მიუწევდათ ჩვენი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ყველა ადგილთან, პირდაპირ განდი აღმოჩნდნენ უცხოეთის სახელმწიფოთა მზვერავი ორგანიზებისათვის.

ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ შეამჩნიეს, ვერ გაიგეს მთელი ეს განსხვავება ძველ და ახალ მანებლებს შორის, შახტელებსა და ტროცკისტებს შორის და, ვერ შეამჩნიეს რა ეს, ვერ შესძლეს დროზე გარდაქმნილიყვნენ, რომ ახლებურად გაეჩაღებინათ ბრძოლა ახალ მანებლებთან.

IV

სამეურნეო წარმატებათა ჩადილობანი მხარეები

ასეთია ძირითადი ფაქტები ჩვენი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის სფეროდან, რომლებიც დაივიწყა ან რომლებიც ვერ შეამჩნია ბევრმა ჩვენმა პარტიულმა ამხანაგმა.

აი რატომ აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი ჩვენი ადამიანებისათვის უკანასკნელი წლების ამბები მანებლობისა და დივერსიების საქმეში.

შეიძლება გვკითხონ: მაგრამ რატომ ვერ შეამჩნიეს ჩვენმა ადამიანებმა ყოველივე ეს, რატომ დაავიწყდათ მათ ყოველივე ეს? საიდან გაჩნდა მთელი ეს გულმავიწყობა, სიბრმავე, უღარდებლობა, უზრუნველობა?

ეს ორგანული მანკი ხომ არ არის ჩვენი ადამიანების მუშაობაში?

არა, ეს არ არის ორგანული მანკი. ეს — დროებითი მოვლენაა, რომელიც შეიძლება სწრაფად იქნას ლიკვიდირებული, თუ ჩვენი ადამიანები ძალღონეს რამდენადმე დასჭიმავენ.

მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები უკანასკნელ წლებში მთლად ჩაფლული იყვნენ სამეურნეო მუშაობაში, ისინი უაღრესად გატაცებული იყვნენ სამეურნეო წარმატებებით და, გატაცებული იყვნენ რა მთელი ამ საქმით, — დაივიწყეს სხვა ყველაფერი, თავი მიანებეს ყოველივე დანარჩენს.

საქმე იმაშია, რომ, გატაცებული იყვნენ რა სამეურნეო წარმატებით, მათ ამ საქმეში იწყეს ყველაფრის დასაწყისისა და დასასრულის დანახვა, ხოლო ისეთ საქმეებს, როგორცაა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, კაპიტალისტური ვარემოცვა, პარტიის პოლიტიკუ-

რი მუშაობის გაძლიერება, ბრძოლა მინეზლობასთან და სხვა პირდაპირ აღარ აქცევდნენ ყურადღებას, ფიქრობდნენ რა, რომ ყველა ეს საკითხი წარმოადგენს მეორეხარისხოვან ან მესამეხარისხოვან საკითხს.

წარმატებანი და მიღწევანი, რასაკვირველია, დიადს წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის დარგში მართლაც უდიდესია. მაგრამ წარმატებებს, როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად, თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. იმ ადამიანებში, რომლებიც ნაკლებად ნაცადნი არიან პოლიტიკაში, დიდი წარმატებანი და დიდი მიღწევანი არაიშვიათად ბადებენ უღარდებლობას, უზრუნველობას, თვითკმაყოფილებას, უსაზღვრო თვითრწმენას, თავგასულობას, მკვებარობას. თქვენ არ შეგიძლიანთ უარპყოთ, რომ უკანასკნელ დროს მკვებარები ჩვენში ისე მომრავლდნენ, რომ ვერც კი დასთვლით. გასაკვირველი არ არის, რომ სოციალისტური მშენებლობის დარგში დიდ და სერიოზულ წარმატებათა ამ ვითარებაში იქმნებიან ბაქიობის განწყობილებანი, ჩვენს წარმატებათა პარადული მანიფესტაციების განწყობილებანი, იქმნებიან ჩვენი მტრების ძალთა შეუფასებლობის განწყობილებანი, თავის ძალთა გადაფასების განწყობილებანი და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ჩნდება პოლიტიკური სიბრმავე.

მე აქ უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა წარმატებებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, მიღწევებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე.

სიძნელეებთან დაკავშირებულ საფრთხეებს ჩვენ გამოცდილებით ვიცნობთ. აი უკვე რამდენიმე წელიწადია ვაწარმოებთ ბრძოლას ასეთი სახის საფრთხეებთან და, უნდა ითქვას, არც თუ უნაყოფოდ. სიძნელეებთან დაკავშირებული საფრთხენი არამტკიცე ადამიანებში ხშირად ჰბადებენ სასოწარკვეთილების, საკუთარი ძალებისადმი რწმენის უქონლობის განწყობილებებს, პესიმიზმის განწყობილებებს. და, პირიქით, იქ, სადაც საქმე ეხება იმას, რომ დაძლეულ იქნას სიძნელეებიდან გამომდინარე საფრთხენი, ადამიანები კაცდებიან ამ ბრძოლაში და ბრძოლიდან გამოდიან ნამდვილად გასალკლდევებულ ბოლშევიკებად. ასეთია სიძნელეებთან დაკავშირებულ საფრთხეთა ბუნება ასეთია სიძნელეთა დაძლევის შედეგები.

მაგრამ არიან სხვა გვარი საფრთხენი, წარმატებებთან დაკავშირებული საფრთხენი, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი. დიად, დიად, ამხანაგებო, წარმატებებთან, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი. ეს საფრთხენი იმაში მდგომარეობენ, რომ იმ ადამიანებში, რომლებიც ნაკლებად ნაცადნი არიან პოლიტიკაში და რომელთაც ბევრი არაფერი უნახავთ, წარმატებათა ვითარება — წარმატება წარმატებაზე, მიღწევა მიღწევაზე, გვემების ზედიზედ გადაქარბებით შესრულება, — ჰბადებს უღარდებლობისა და თვითკმაყოფილების განწყობილებებს, ჰქმნის ზომიერების გრძნობის ჩამკვლევი და პოლიტიკური ილოოს დამჩლუნგებელი პარადული ზეიმებისა და ურთიერთი მისალმებების ატმოსფეროს,

აღუნებს ადამიანებს და მიაქანებს მათ იქითკენ, რომ განცხრომას მიეცნენ.

გასაკვირველი არაა, რომ თავგასულობისა და თვითყვეულების ამ გამბრუნებელ ატმოსფეროში, პარადული მანიფესტაციების შემდეგ თავშექების ატმოსფეროში ადამიანები ივიწყებენ ზოგიერთ არსებობის ფაქტს, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ბელ-იბლლისათვის, ადამიანები ველარ ამჩნევენ ისეთ არასასიამოვნო ფაქტებს, როგორცაა კაპიტალისტური გარემოცვა, მავნებლობის ახალი ფორმები, ჩვენს წარმატებებთან დაკავშირებული საფრთხენი და ა. შ. კაპიტალისტური გარემოცვა? ეს ხომ არაფერია! რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რაღაც კაპიტალისტურ გარემოცვას, თუ ჩვენ მთლიანად და გადაჭარბებით ვასრულებთ ჩვენს სამეურნეო გეგმებს? მავნებლობის ახალი ფორმები, ტროცკიზმთან ბრძოლა? ყოველივე ეს უბრალო რამაა! რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ყველა ამ წვრილმანს, როცა ჩვენ მთლიანად და გადაჭარბებით ვასრულებთ ჩვენს სამეურნეო გეგმებს? პარტიული წესდება, პარტორგანოების არჩენობა, პარტიულ ხელმძღვანელთა ანგარიშგება პარტიული მასის წინაშე? და განა ყოველივე ეს საჭიროა? განა ღირს საერთოდ ამ წვრილმანებზე თავის ტეხა, თუ ჩვენთან მეურნეობა იზრდება, ხოლო მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება? ყოველივე ეს უბრალო რამაა! გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ, ჩვენი პარტია ცუდი არ არის, არც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ცუდი, — კიდევ რაღა ჯანდაბა გვინდა? უცნაური ხალხი ზის იქ მოსკოვში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში: იღონებენ რაღაც საკითხებს, ლაპარაკობენ რაღაც მავნებლობაზე, თვითონ არ სძინათ, სხვებსაც არ აძინებენ...

აი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ ადვილად და „უბრალოდ“ ავადდება პოლიტიკური სიბეცით ზოგიერთი ჩვენი გამოუცდელი ამხანაგი სამეურნეო წარმატებებით თავბრუდამხვევი ვატაცების შედეგად.

ასეთია წარმატებებთან, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი.

ასეთია მიზეზები იმისა, რომ ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა, სამეურნეო წარმატებებით ვატაცებულებმა, დაივიწყეს საერთაშორისო და საშინაო ბასიათის ფაქტები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირისათვის, და ვერ შეამჩნიეს მთელი რიგი საფრთხენი, რომლებითაც გარემოცულია ჩვენი ქვეყანა.

ასეთია ჩვენი უდარდულობის, გულმავიწყობის, უზრუნველობის, პოლიტიკური სიბრმავის ფესვები.

ასეთია ჩვენი სამეურნეო და პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა ფესვები.

V

ჩვენი ამოცანები



როგორ მოვსპოთ ჩვენი მუშაობის ეს ნაკლოვანებანი?
რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის?

აუცილებელია განვახორციელოთ შემდეგი ღონისძიებანი:

1) უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია შემოვებრუნოთ ყურადღება ჩვენი პარტიული ამხანაგებისა, რომლებიც ამათუიმ უწყების ხაზით ეფლობიან „მიმდინარე საკითხებში“, — საერთაშორისო და საშინაო ხასიათის დიდი პოლიტიკური საკითხებისაკენ.

2) აუცილებელია სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური მუშაობა, ამასთან ქვეყნთხედად გავხადოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების პოლიტიკური განათლებისა და ბოლშევიკური გამოზრდის ამოცანა.

3) აუცილებელია ვუხსნიდეთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომ სამეურნეო წარმატებანი, რომელთა მნიშვნელობა უდაოდ ძალიან დიდია და რომელთა მიღწევასაც ჩვენ ვეცდებით მომავალშიაც, დღითი-დღე, წლითი-წლითი, — მიინც ვერ ამოსწურავენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთელ საქმეს.

ვუხსნიდეთ, რომ ჩრდილოვანი მხარეები, რომლებიც დაკავშირებული არიან სამეურნეო წარმატებებთან და რომლებიც გამოიხატებიან თვით-კმაყოფილებაში, უდარდებლობაში, პოლიტიკური აღლოს დაჩლუნგებაში, შეიძლება ლიკვიდირებულ იქნან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო წარმატებანი შეთავსებული არიან პარტიული მშენებლობისა და ჩვენი პარტიის გაშლილი პოლიტიკური მუშაობის წარმატებებთან.

ვუხსნიდეთ, რომ თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს.

4) აუცილებელია გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ კაპიტალისტური გარემოცვა წარმოადგენს ძირითად ფაქტს, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას.

გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, — იარსებებენ მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ზურგში გზავნიან უცხოეთის სახელმწიფოთა მშვერავი ორგანოები, გვახსოვდეს ეს და ვაწარმოოთ ბრძოლა იმ ამხანაგებთან, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტის მნიშვნელობას, რომლებიც ვერ აფასებენ მავნებლობის ძალასა და მნიშვნელობას.

უფსნიდეთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომ არაერთარ სამეურნეო წარმატებებს, რა რიგ დიდი უნდა იყვნენ ისინი, არ შეუძლიათ გააბათილონ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და ამ ფაქტით გამოკლნარე შედეგები.

მივიღოთ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ ჩვენს პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს, შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ უცხოეთის მზვერავ ორგანოთა მავნებლურ-დივერსიული და ჯაშუშური მუშაობის მიზნებსა და ამოცანებს, პრაქტიკასა და ტექნიკას.

5) აუცილებელია განუუმარტოთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომ ტროცკისტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხოეთის მზვერავ ორგანოთა დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური მუშაობის აქტიურ ელემენტებს, უკვე დიდი ხანია აღარ არიან პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, რომ ისინი უკვე დიდი ხანია აღარ ემსახურებიან რაიმე იდეას, რომელიც შეიძლება შეთავსებულ იქნას მუშათა კლასის ინტერესებთან, რომ ისინი გადაიქცნენ მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდად, რომლებიც მუშაობენ უცხოეთის მზვერავ ორგანოთა დაქირავეებით.

განუუმარტოთ, რომ თანამედროვე ტროცკიზმთან ბრძოლაში ახლა საჭიროა არა ძველი მეთოდები, არა დისკუსიის მეთოდები, არამედ ახალი მეთოდები, ძირფესვიანად ამოვადებისა და განადგურების მეთოდები.

6) აუცილებელია განუუმარტოთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს განსხვავება ახლანდელ მავნებლებსა და შახტის პერიოდის მავნებლებს შორის, განუუმარტოთ, რომ თუ შახტის პერიოდის მავნებლები ატყუებდნენ ჩვენს ადამიანებს ტექნიკაში, სარგებლობდნენ რა მათი ტექნიკური ჩამორჩენილობით, ახლანდელი მავნებლები, რომლებსაც პარტიული ბილეთი გააჩნიათ, ატყუებენ ჩვენს ადამიანებს მათდამი, როგორც პარტიის წევრებისადმი, პოლიტიკური ნდობის წყალობით, სარგებლობენ რა ჩვენი ადამიანების პოლიტიკური უღარდებლობით.

ძველ ლოზუნგს ტექნიკის დაუფლების შესახებ, რომელიც შახტის დროის პერიოდს შეესაბამებოდა, აუცილებელია დაემატოს ახალი ლოზუნგი კადრების პოლიტიკური აღზრდის შესახებ, ბოლშევიზმის დაუფლებას შესახებ და ჩვენი პოლიტიკური გულდანდობის ლიკვიდაციის შესახებ, ლოზუნგი, რომელიც სავსებით შეესაბამება ახლანდელ მიმდინარე პერიოდს.

შეუძლიანთ გვკითხონ: განა არ შეიძლებოდა ათი წლის წინათ, შახტის დროის პერიოდში, ერთბაშად მიგვეცა ორივე ლოზუნგი, პირველი ლოზუნგიც ტექნიკის დაუფლების შესახებ, და მეორე ლოზუნგიც კადრების პოლიტიკურად აღზრდის შესახებ? არა, არ შეიძლებოდა. ჩვენს ბოლშევიკურ პარტიაში საქმეები ასე არ კეთდება. რევოლუციური მოძრაობის მობრუნების მომენტებში ყოველთვის ვაყენებთ ერთ რომელიმე ძირი-

თად ლოზუნგს, როგორც საკვანძოს, რათა ხელი ჩავვიდოთ მას და მისი საშუალებით მთელი ჯაჭვი ამოვწიოთ. ლენინი ჩვენ ასე გვარჩევდა: გამონახეთ ძირითადი რგოლი ჩვენი მუშაობის ჯაჭვში, ხელი ჩასჭიდეთ მას და ამოსწიეთ იგი, რათა მისი საშუალებით ამოსწიოთ მთელი ჯაჭვი და წინ გაემართოთ. რევოლუციური მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს ტაქტიკა ერთდერთი სწორი ტაქტიკაა. შახტის პერიოდში ჩვენი ადამიანების სისუსტე მათს ტექნიკურ ჩამორჩენილობაში მდგომარეობდა. არა პოლიტიკური, არამედ ტექნიკური საკითხები შეადგენდნენ მაშინ ჩვენთვის სუსტ ადგილს. რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ დამოკიდებულებას მაშინდელ მკვებლებთან, იგი სავსებით ნათელი იყო, როგორც ბოლშევიკების დამოკიდებულება პოლიტიკურად უცხო ადამიანებთან. ჩვენ მოვახდინეთ ამ ჩვენი ტექნიკური სისუსტის ლიკვიდაცია იმით, რომ წამოვაყენეთ ლოზუნგი ტექნიკის დაუფლების შესახებ და განვლილ პერიოდში ათეული და ასეული ათასობით აღზარდეთ ტექნიკურად გამოწოთობილი ბოლშევიკური კადრები. სხვა საქმეა ახლა, როდესაც ჩვენ უკვე გვაქვს ტექნიკურად გამოწოთობილი ბოლშევიკური კადრები და როდესაც მკვებელთა როლში გამოდიან არა აშკარად უცხო ადამიანები, რომელთაც ამასთანავე ჩვენს ადამიანებთან შედარებით არაერთი ტექნიკური უშირატესობანი არა აქვთ, არამედ ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ პარტიული ბილეთი და რომელნიც პარტიის წევრთა ყველა უჩულებათ სარგებლობენ. ახლა ჩვენი ადამიანების სისუსტეს შეადგენს არა ტექნიკური ჩამორჩენილობა, არამედ პოლიტიკური უღარდელობა, ბრმა ნდობა ადამიანებისადმი, რომელთაც პარტიული ბილეთი შემთხვევით მიუღიათ, ის გარემოება, რომ ადამიანთა შემოწმება ხდება მათი პოლიტიკური დეკლარაციების მიხედვით და არა მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. ახლა საკვანძო საკითხს ჩვენთვის წარმოადგენს არა ლიკვიდაცია ჩვენი კადრების ტექნიკური ჩამორჩენილობისა, ვინაიდან იგი ძირითადად უკვე ლიკვიდირებულია, არამედ ლიკვიდაცია პოლიტიკური უღარდელობისა და პოლიტიკური გულდანდობისა მკვებლებისადმი, რომელთაც შემთხვევით ჩაუვდიათ ხელში პარტიული ბილეთი.

ასეთია ძირეული განსხვავება შახტის დროის პერიოდში კადრებისათვის ბრძოლის საქმეში საკვანძო საკითხსა და ახლანდელი პერიოდის საკვანძო საკითხს შორის.

აი რატომ არ შეგვეძლო და არც უნდა წამოგვეყენებინა ათი წლის წინათ ერთბაშად ორივე ლოზუნგი, ლოზუნგიც ტექნიკის დაუფლების შესახებ და ლოზუნგიც კადრების პოლიტიკური აღზრდის შესახებ.

აი რატომ არის აუცილებელი, რომ ძველ ლოზუნგს ტექნიკის დაუფლების შესახებ ახლა დავუმატოთ ახალი ლოზუნგი ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ, კადრების პოლიტიკური აღზრდისა და ჩვენი პოლიტიკური უღარდელობის ლიკვიდაციის შესახებ.

7) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ დამშალი თეორია იმის შესახებ, რომ ყოველ ჩვენს წინწაწევასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა ჩვენში თითქოს უფროდაუფრო უნდა ქრებოდეს, რომ ჩვენს წარმატებებთან ერთად კლასობრივი მტერი თითქოს უფროდაუფრო მძიმდება ქრებულ-ხდებოდეს.

ეს არა მარტო დამშალი თეორიაა, არამედ საშიში თეორიაც არის, ვინაიდან იგი აძინებს ჩვენს აღამიანებს, ხატანგში აბამს მათ, კლასობრივ მტერს კი შესაძლებლობას აძლევს წელში გაიმართოს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად.

პირიქით, რაც უფრო წინ წავიწევთ, რაც უფრო მეტი წარმატებანი გვექნება, მით უფრო გაბოროტდებიან განადგურებული ექსპლოატატორული კლასების ნაშთები, მით უფრო მალე წავლენ ისინი ბრძოლის უფრო მწვავე ფორმებზე, მით უფრო ავენებენ ისინი საბჭოთა სახელმწიფოს, მით უფრო ჩასჭიდებენ ხელს ბრძოლის ყველაზე უფრო გააფთრებულ საშუალებებს, როგორც განწირულთა უკანასკნელ საშუალებებს.

შედეგობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განადგურებული კლასების ნაშთები სსრ კავშირში მარტონი არ არიან. მათ პირდაპირ დახმარებას უწევენ ჩვენი მტრები სსრ კავშირის ფარგლებს იქით. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კლასობრივი ბრძოლის სფერო განსაზღვრულია სსრ კავშირის ფარგლებით. თუ კლასობრივი ბრძოლის ერთი ბოლო მოქმედებს სსრ კავშირის ფარგლებში, მეორე მისი ბოლო ვაჭიმულია ჩვენს გარეშომცველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფარგლებში. ეს არ შეუძლიანთ არ იცოდნენ განადგურებული კლასების ნაშთებმა. და სწორედ იმიტომ, რომ მათ ეს იციან, ისინი მომავალშიაც განაგრძობენ თავიანთ გააფთრებულ გამოლაშქრებებს.

ასე გვასწავლის ჩვენ ისტორია. ასე გვასწავლის ჩვენ ლენინიზმი.

აუცილებელია ყველაფერი ეს გვახსოვდეს და ფხიზლად ვიყოთ.

8) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ მეორე დამშალი თეორია, რომელიც ამბობს, თითქოს მავენებელი არ შეიძლება იყოს ის, ვინც ყოველთვის არ მავენებლობს და ვინც თუნდაც ხანდახან გვიჩვენებს წარმატებებს თავის მუშაობაში.

ეს უცნაური თეორია ამხელს მის ავტორთა გულუბრყვილობას. არცერთი მავენებელი ყოველთვის არ გასწევს მავენებლობას, თუ მას არ სურს გამოაშკარავებულ იქნას ფრიად მოკლე ვადაში. პირიქით, ნამდვილმა მავენებელმა დროდადრო უნდა გვიჩვენოს წარმატებანი თავის მუშაობაში, ვინაიდან ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ თავი შეინახოს, როგორც მავენებელმა, ნდობა მოიხვეჭოს და განაგრძოს თავისი მავენებლური მუშაობა.

ფიქრობ, რომ ეს საკითხი ნათელია და შემდგომს განმარტებებს არ საჭიროებს.

9) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ მესამე დამპყრობი თეორია, რომელიც ამბობს, რომ სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულება თითქოს არაა დაქვემდებარებული მანერის შედეგებს. მსგავს თეორიას შეუძლიან ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი: ულოტინოს ჩვენს მუშაკთა საუწყებო თავმოყვარეობას, დაამშვიდოს ისინი და შეასუსტოს მათი ბრძოლა მავნებლობასთან.

რას ნიშნავს—ჩვენი სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულება? ჯერ ერთი, დამტკიცებულია, რომ ყველა ჩვენი სამეურნეო გეგმა დაპატარავებულია, ვინაიდან ისინი არ ითვალისწინებენ იმ უდიდეს რეზერვებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში იმალება.

მეორე, სახალხო კომისარიატების ხაზით მთლიანად სამეურნეო გეგმების ჯამობრივი შესრულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ზოგიერთ ფრიად მნიშვნელოვან დარგშიც ასევე სრულდებოდეს გეგმები. პირიქით, ფაქტები გვეუბნებიან, რომ მთელი რიგი სახალხო კომისარიატები, რომელთაც მთლიანად და გადაჭარბებითაც კი შეასრულეს წლიური სამეურნეო გეგმები, სისტემატურად არ ასრულებენ გეგმებს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ ფრიად მნიშვნელოვან დარგში.

მესამე, არ შეიძლება ექვი შეგვეპაროს იმაში, რომ მავნებლები მზილებულნი და გაძევებულნი რომ არ ყოფილიყვნენ, სამეურნეო გეგმების შესრულების მხრივ საქმე ბევრად უფრო უარესად იქნებოდა, რაც უნდა დაიხსომონ განხილული თეორიის ბეცმა ავტორებმა.

მეოთხე, მავნებლები ჩვეულებრივ თავის მთავარ მავნებლურ მუშაობას უფარდებენ არა მშვიდობიანი დროის პერიოდს, არამედ ომის წინახანის ან თვით ომის პერიოდს. ვთქვათ, ჩვენ დაგვეწყო თავის დამშვიდებადამპალი თეორიით „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ და ხელი არ გვეზლო მავნებლებისათვის. წარმოდგენილი აქვთ თუ არა ამ დამპალი თეორიის ავტორებს, თუ რა კოლოსალურ ზიანს მიყენებდნენ მავნებლები ჩვენს სახელმწიფოს ომის შემთხვევაში, მათთვის რომ საშუალება მიგვეცა დარჩენილიყვნენ ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ დამპალი თეორიის საფარველ ქვეშ?

განა ცხადი არ არის, რომ თეორია „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ არის მავნებლებისათვის ხელსაყრელი თეორია?

10) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ მეოთხე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს, რომ სტახანოვეური მოძრაობა თითქოს წარმოადგენს მავნებლობის ლიკვიდაციის ძირითად საშუალებას.

ეს თეორია გამოგონილია იმისათვის, რომ სტახანოველებზე და სტახანოვერ მოძრაობაზე ლაყბობის ხმაურში დარტყმა ააშორონ მავნებლებს.

ამხ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში დაასახელა მთელი რაიონები, რომლებიც გვეუბნებიან, რომ ტროცკისტი და არატროცკი მავნებლები კუზბასსა და დონბასში, ბოროტად იყენებდნენ ქვეყნულ-პოლიტიკურად უღარდელი ამხანაგების ნდობას, სისტემატურად ცდილობდნენ სტახანოველებს, ბორბლებში ჯოხებს უყრიდნენ მათ, ხელოვნურად უქმნიდნენ მთელ რიგ დაბრკოლებებს მათს წარმატებით მუშაობას და, ბოლოს, მიიღწიეს იმას, რომ შეშალეს მათი მუშაობა. რა შეუძლიანთ მარტო სტახანოველებს, თუ კაპიტალური მშენებლობის მავნებლურ გაძლოლას, ვთქვათ, დონბასში, მოჰყვა გათიშვა ქვანახშირის ამოღების მოსამზადებელ სამუშაოებსა, რომელნიც ტემპებს ჩამორჩებიან, და ყველა სხვა სამუშაოს შორის? განა ცხადი არ არის, რომ თვითონ სტახანოვეური მოძრაობა საჭიროებს ჩვენი მხრივ რეალურ დახმარებას მავნებლების ყველა და ყოველგვარი მაქინაციის წინააღმდეგ, რათა წინ წასწიოს საქმე და შეასრულოს თავისი დიადი მისია? განა ცხადი არ არის, რომ ბრძოლა მავნებლობასთან, ბრძოლა მავნებლობის ლიკვიდაციისათვის, მავნებლობის აღაგმვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რათა სტახანოვეურმა მოძრაობამ შესძლოს მთელი სიგრძე-სიგანით გაშლა?

მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხიც ნათელია და შემდგომს განმარტებებს არ საჭიროებს.

11) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ მეხუთე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს იმას, რომ ტროცკისტულ მავნებლებს თითქოს უკვე აღარა ჰყავთ რეზერვები, რომ ისინი თითქოს აგროვებენ თავიანთ უკანასკნელ კადრებს.

ეს არ არის მართალი, ამხანაგებო. ასეთი თეორიის გამოგონება მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეეძლოთ. ტროცკისტ მავნებლებს ჰყავთ თავიანთი რეზერვები. ისინი უწინარეს ყოვლისა შესდგებიან სსრ კავშირში განადგურებული ექსპლოატატორთა კლასების ნაშთებისაგან. ისინი შესდგებიან საბჭოთა კავშირისადმი მტრული მთელი რიგი ჯგუფებისა და ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის ფარგლებს იქით.

ავიღოთ, მაგალითად, ტროცკისტული კონტრრევოლუციური IV ინტერნაციონალი, რომლის ორ მესამედს ჯაშუშები და დივერსანტები შეადგენენ. რითი არ არის ეს რეზერვი? განა ცხადი არ არის, რომ ეს ჯაშუშური ინტერნაციონალი გამოჰყოფს კადრებს ტროცკისტთა ჯაშუშურ-მავნებლური მუშაობისათვის?

ანდა კიდევ, ავიღოთ, მაგალითად, ნორვეგიაში გაიძვრა შეფლოს ჯგუფი, რომელმაც თავშესაფარი მისცა ობერ-ჯაშუშ ტროცკის და რომელიც ეხმარებოდა მას საბჭოთა კავშირისათვის ზიანის მიყენებაში. რითი არ არის ეს ჯგუფი რეზერვი? ვის შეუძლიან უარჰყოს, რომ ეს კონტრრევოლუციური ჯგუფი მომავალშიაც არ გაუწევს საშინაურს ტროცკისტ ჯაშუშებსა და მავნებლებს?

ანდა კიდევ, ავილოთ, მაგალითად, ისეთივე გაიდვერის, როგორც შეფლოა, მეორე ჯგუფი, სუვარინის ჯგუფი საფრანგეთში, რითი არ არის იგი რეზერვი? განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ გაიდვერის ჯგუფიც დახმარებას გაუწევს ტროცკისტებს მათს ჯამშეშორებულ მუშაობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ?

ხოლო ყველა ეს ვაებატონები გერმანიიდან, ყოველგვარი რუტ ფიშერები, მასლოვები, ურბანსები, რომლებმაც სული და სხეული ფაშისტებს მიჰყიდეს, — რითი არ არიან ისინი რეზერვი ტროცკისტული ჯამშეშორებულ მუშაობისათვის?

ანდა, მაგალითად, ამერიკელ მწერალთა ცნობილი ურდო ცნობილი ფულიკის ისტმენის მეთაურობით, კალმის ყველა ეს ავაზაკნი, რომლებიც სწორედ იმით ცხოვრობენ, რომ ცილს სწამებენ სსრ კავშირის მუშათა კლასს, — რითი არ არიან ისინი რეზერვი ტროცკისტებისათვის?

არა, უნდა უკუვაგდოთ დამპალი თეორია იმის შესახებ, რომ ტროცკისტები თითქოს აგროვებენ უკანასკნელ კადრებს.

12) ბოლოს, ატცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ კიდევ ერთი დამპალი თეორია, რომელიც ამბობს იმას, რომ ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკები, ბევრნი ვართ, ხოლო მავნებლები ცოტანი არიან, ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკებს, მხარს გვიჭერენ ათეული მილიონობით ადამიანები, ტროცკისტ მავნებლებს კი მხოლოდ ერთეულები და ათეულები, ჩვენ, ბოლშევიკებს, შეგვეძლო არც კი მიგვექცია ყურადღება რაღაც ერთი მუქა მავნებლებისათვის.

ეს არ არის სწორი, ამხანაგებო. ეს უცნაურზე უცნაური თეორია გამოგონილია იმისათვის, რომ ანუგეშოს ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგი, რომლებმაც მარცხი განიცადეს მუშაობაში მავნებლობასთან ბრძოლის უნარის უჭონლობის გამო, და მიაძინოს მათი სიფხიზლე, მისცეს მათ საშუალება დამშვიდებით იძინონ.

ტროცკისტ მავნებლებს რომ მხარს უჭერენ ერთეულები, ხოლო ბოლშევიკებს ათეული მილიონობით ადამიანები — ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ მავნებლებს არ შეუძლიანთ უღარესად სერიოზული ზიანი მიაყენონ ჩვენს საქმეს. საქმე რომ გავვიფუტონ და ზიანი მოგვაყენონ, ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ადამიანთა დიდი რაოდენობა. დნებრომშენის ასაშენებლად საჭიროა ათეული ათასობით მუშების გამოყენება. ხოლო იგი რომ ააფეთქო, ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს რამდენიმე ათეული კაცი, მეტი არა. ომის დროს რომ ბრძოლა მოიგო, ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს წითელარმიელთა რამდენიმე კორპუსი. ხოლო ეს მოგება რომ ჩაშლო დრონტზე, ამისათვის საკმარისია რამდენიმე ჯამშეში სადმე არმიის შტაბში ან თუნდაც დივიზიის შტაბში, რომელთაც შეუძლიანთ მოიპარონ ოპერატიული გეგმა და გადასცენ იგი მოწინააღმდეგეს. რკინისგზის დიდი

ზიდი რომ აავგო, ამისათვის საჭიროა ათასობით ადამიანები, მაგრამ იგი რომ ააფეთქო, ამისათვის საჭიროა სულ რამდენიმე კაცი, ასეთი მაგალითები შეიძლება მოგვეყვანა ათობით და ასობით.

მაშასადამე, არ შეიძლება თავი ვინუგეშოთ იმისა, რომ ჩვენი ხეცვრნი ვართ, ზოლო ისინი, ტროცკისტი მავნებლები, ცოტანი.

უნდა მივალწიოთ იმას, რომ ისინი, ტროცკისტი მავნებლები, სრულიად არ იყვნენ ჩვენს რიგებში.

ასეთია საქმის ვითარება იმ საკითხის თაობაზე, თუ როგორ მოვსპოთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, რომლებიც საერთოა ყველა ჩვენი, როგორც სამეურნეო და საბჭოთა, ისე ადმინისტრაციული და პარტიული, ორგანიზაციებისათვის.

ასეთია ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოვსპოთ ეს ნაკლოვანებანი.

რაც შეეხება სპეციალურად პარტიულ ორგანიზაციებს და ნაკლოვანებებს მათს მუშაობაში, ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე საკმაოდ დაწვრილებითაა ლაპარაკი რეზოლუციის იმ პროექტში, რომელიც თქვენს განსაზილველად იქნება წარმოდგენილი. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო ბევრი ვილაპარაკოთ აქ საქმის ამ მხარეზე.

მინდოდა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა შეთქვა ჩვენი პარტიული კადრების პოლიტიკური მომზადებისა და გაუკეთების საკითხზე.

მე ვფიქრობ, ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვაშადლოთ და იმგვარად გამოვაწროთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადასტრანსერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეთედს.

როგორ არის ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის საქმე?

ჩვენი პარტიის შემადგენლობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ხელმძღვანელ ფენებს, არის 3 — 4 ათასამდე უმაღლესი ხელმძღვანელი. ეს არის, მე ვიტყვოდი, ჩვენი პარტიის გენერალიტეტი.

შემდეგ მიდის 30 — 40 ათასი საშუალო ხელმძღვანელი. ეს არის ჩვენი პარტიული ოფიცრობა.

შემდეგ მიდის დაბალ პარტიულ მეთაურთა შემადგენლობის 100 — 150 ათასი კაცი. ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენი პარტიული უნტეროფიცრობა.

ავამალლოთ მეთაურთა ამ კადრების იდეოლოგიური ღონე და პოლიტიკური გამოწრობა, შევმატოთ ამ კადრებს ახალი ძალები, რომელნიც ელიან თავის დაწინაურებას, და ამგვარად გავაფართოოთ ხელმძღვანელთა კადრების შემადგენლობა, — აი ამოცანა.

რა არის საჭირო ამისათვის?

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია წინადადება მიეცეთ **კერძო** პარტიულ ხელმძღვანელებს, დაწყებული უჯრედების მდივნებამდე **კლასიკური** საოლქო და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების მდივნებით, შეირჩიონ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ორ-ორი კაცი, ორ-ორი პარტიული მუშაკი, რომლებიც შესძლებენ იყონ მათი ნამდვილი მოადგილეები. შეიძლება სთქვან: სად მოენახოთ ისინი, ორი მოადგილე თვითულისათვის, ჩვენ არ გვყვანან ასეთი ადამიანები, არ გვყვანან სათანადო მუშაკებიო. ეს არ არის სწორი, ამხანაგებო. უნარიანი ადამიანები, ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ათეული ათასობით გვყვანან. ოღონდ საჭიროა იცნობდე მათ და დროულად აწინაურებდე, რათა მათ ძველ ადგილზე ხავსი არ მოეკიდოთ და ლპობა არ იწყონ. ეძიებდეთ და პოუვებდეთ.

შემდეგ, უჯრედთა მდივნების პარტიული სწავლებისა და გადამზადებისათვის აუცილებელია შეექმნათ თვითუფ საოლქო ცენტრში ოთხთვიანი „**პარტიული კურსები**“. ამ კურსებზე უნდა გაიგზავნონ ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის (უჯრედების) მდივნები, მერე კი, მათ მიერ კურსების გავლისა და ადგილზე დაბრუნების შემდეგ, — მათი მოადგილენი და პირველადი პარტორგანიზაციების ყველაზე ნიჭიერი წევრები.

შემდეგ, რაიონულ ორგანიზაციათა პირველი მდივნების პოლიტიკური გადამზადებისათვის აუცილებელია შეექმნათ სსრ კავშირში, ვთქვათ, 10 ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრში, რვათვიანი „**ლენინური კურსები**“. ამ კურსებზე უნდა გაიგზავნონ რაიონულ და საოკრუგო პარტიულ ორგანიზაციათა პირველი მდივნები, მერე კი, მათ მიერ კურსების გავლისა და ადგილზე დაბრუნების შემდეგ, — მათი მოადგილენი და რაიონულ და საოკრუგო ორგანიზაციათა ყველაზე ნიჭიერი წევრები.

შემდეგ, საქალაქო ორგანიზაციათა მდივნების იდეოლოგიური გადამზადებისა და პოლიტიკური სრულყოფისათვის აუცილებელია შეექმნათ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან ექვსთვიანი „**პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის კურსები**“. ამ კურსებზე უნდა გაიგზავნონ საქალაქო ორგანიზაციათა პირველი ან მეორე მდივნები, მერე კი, მათ მიერ კურსების გავლისა და ადგილზე დაბრუნების შემდეგ, — საქალაქო ორგანიზაციათა ყველაზე ნიჭიერი წევრები.

ბოლოს, აუცილებელია შეექმნათ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ექვსთვიანი „**ათობირი საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე**“. აქ უნდა გაიგზავნონ საოლქო და სამხარეო ორგანიზაციებისა და ნაციონალური კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები. ამ ამხანაგებმა უნდა მოგვეცნა არა ერთი, არამედ რამდენიმე ცვლა, რომლებიც შესძლებენ შესცვალონ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელები. ეს აუცილებელია და ეს უნდა გაკეთდეს.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო.

ამრიგად ჩვენ აღენიშნეთ ჩვენი მუშაობის ძირითადი ნიშნები: როგორც ისინი, რომლებიც საერთოა ყველა ჩვენი ორგანიზაციებისათვის, სამეურნეო, ადმინისტრაციული, პარტიული ორგანიზაციებისათვის, ისე ისინიც, რომლებიც ახასიათებენ მხოლოდ სამეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს, ნაკლოვანებანი, რომელთაც იყენებენ მუშათა კლასის მტრები თავისი დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშურ-ტერორისტული მუშაობისათვის.

შემდეგ, ჩვენ დავსახეთ ძირითადი ღონისძიებანი, რომელნიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოვსპოთ ეს ნაკლოვანებანი და უვნებელყოფოთ უცხოეთის მშვერავი ორგანოების ტროცკისტ-ფაშისტ აგენტთა დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშურ-ტერორისტული გამოლაშქრებანი.

იბადება კითხვა, შეგვიძლიან თუ არა განვახორციელოთ ყველა ეს ღონისძიება, გვაქვს თუ არა ამისათვის ყველა აუცილებელი შესაძლებლობა?

უთუოდ, შეგვიძლიან. შეგვიძლიან, რადგან ჩვენს განკარგულებაში გვაქვს ყველა საშუალება, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს ღონისძიებანი.

რალა გვაკლია ჩვენ?

გვაკლია მხოლოდ ერთი რამ: მზადყოფნა მოვსპოთ ჩვენი საკუთარი უდარდებლობა, ჩვენი საკუთარი უზრუნველობა, ჩვენი საკუთარი პოლიტიკური სიბეცე.

ამაშია დაბრკოლება.

მაგრამ ნუ თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ბოლო მოვუღოთ ამ სასაცალო და ილიოტურ ავადმყოფობას, ჩვენ, რომლებმაც დავამხეთ კაპიტალიზმი, ავამშენეთ ძირითადად სოციალიზმი და აღემართეთ მსოფლიო კომუნისმის დიადი დროში?

ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ უსათუოდ ბოლოს მოვუღებთ მას, თუ, რა თქმა უნდა, ამას მოვიწადინებთ. ბოლოს მოვუღებთ არა უბრალოდ, არამედ ბოლშევიკურად, როგორც წესი და რიგია.

და როდესაც ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ამ ილიოტურ ავადმყოფობას, ჩვენ შევძლებთ სრული რწმენით ვთქვათ, რომ ჩვენთვის საშიში არ არიან არავითარი მტრები, არც შინაურნი, არც გარეშენი, ჩვენთვის საშიში არ არის მათი გამოლაშქრებანი, ვინაიდან ჩვენ მათ მომავალში ისევე დავამარცხებთ, როგორც ვამარცხებთ მათ აწმყოში, როგორც ვამარცხებდით მათ წარსულში. (ტაში).

**ამხანაგ სტალინის
საბოლოო სიტყვა საკ. კ. ვ. (გ)
ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე
1937 წლის 5 მარტს**

ამხანაგებო!

მე ჩემს მოხსენებაში ვლაპარაკობდი განსახილველი საქმის ძირითად საკითხებზე. კამათმა გვიჩვენა, რომ ჩვენ ახლა გვაქვს სრული სიცხადე, გვაქვს ამოცანების გაგება და არის მზადყოფნა მოვსპოთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი. მაგრამ კამათმა გვიჩვენა აგრეთვე, რომ არის ჩვენი ორგანიზაციულ-პოლიტიკური პრაქტიკის ზოგიერთი კონკრეტული საკითხი, რომელთა საესებით ნათელი გაგება ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს. ასეთი საკითხები მე დავეთვალე შვიდი.

ნება მიბოძეთ ეთქვა რამდენიმე სიტყვა ამ საკითხებზე.

1) უნდა ვიფიქროთ, ახლა ყველამ გაიგო, შეიგნო, რომ სამეურნეო კამპანიებითა და სამეურნეო წარმატებებით უზომოდ გატაცებას პარტიულ-პოლიტიკური საკითხების შეუფასებლობისა და დაეიწყებისას — ჩიზისკენ მივყევართ. მაშასადამე, აუცილებელია მუშაკების ყურადღება მოვაბრუნოთ პარტიულ-პოლიტიკური საკითხებისაკენ, რათა სამეურნეო წარმატებანი შევხამებოდნენ და მიდიოდნენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატების გვერდით.

როგორ განვაორციელოთ პრაქტიკულად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ამოცანა, სამეურნეო წვრილმანებისაგან პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლების ამოცანა? როგორც კამათიდან სჩანს, ზოგიერთი ამხანაგი მზად არის გამოიყვანოს აქედან უმართებულო დასკვნა ამის შესახებ, რომ ახლა ვითომ მოგვიხდება სრულიად ჩამოვშორდეთ სამეურნეო მუშაობას. ყოველ შემთხვევაში იყო ხმები: ახლა კი, მაღლობა ღმერთს, განეთავისუფლდებით სამეურნეო საქმეებისაგან, ახლა წესაძლებელია პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობასაც მოვკიდოთ ხელი. სწორია თუ არა ეს დასკვნა? არა, არ არის სწორი. როდესაც ჩვენი პარტიული ამხანაგები, სამეურნეო წარმატებებით გატაცებულნი, შორდებოდნენ პოლიტიკას, ეს იყო უკიდურესობა, რომელიც ჩვენ დიდ მსხვერპლად დაგვიჯდა. თუ ახლა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, ხელს მოჰკიდებს რა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, განიძრახავს ჩამოშორდეს მეურნეობას, მაშინ ეს იქნება მეორე უკიდურესობა, რომელიც

ჩვენ არანაკლებ მსხვერპლად დაგვიჯდება. არ შეიძლება არ უკიდურესობიდან მეორეს აწყდებოდე. არ შეიძლება პოლიტიკის გამოყოფა მეურნეობისაგან. ჩვენ არ შეგვიძლიან ჩამოვშორდეთ მეურნეობას ისევე როგორც არ შეგვიძლიან ჩამოვშორდეთ პოლიტიკას. შეგვიძლიან გასაადვილებლად ადამიანები ჩვეულებრივ მეურნეობის საკითხებს მეთოდოლოგიურად გამოყოფენ ხოლმე პოლიტიკის საკითხებისაგან. მაგრამ ეს ზდება მხოლოდ მეთოდოლოგიურად, ხელოვნურად, მხოლოდ შესწავლის გასაადვილებლად. ცხოვრებაში, პირიქით, პრაქტიკულად პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელი არიან. ისინი არსებობენ ერთად და მოქმედებენ ერთად. და ის, ვინც ფიქრობს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა პოლიტიკური მუშაობის დამცირების ფასად ან, პირიქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის დამცირების ფასად, — იგი აუცილებლად ჩიხში ექცევა.

სამეურნეო წვრილმანებისაგან პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ რეზოლუციის პროექტის ცნობილი პუნქტის აზრი მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩამოვშორდეთ სამეურნეო მუშაობას და სამეურნეო ხელმძღვანელობას, არამედ მხოლოდ იმაში, რომ მეტად აღარ დავუშვათ სამეურნეო ორგანოების, მათ შორის და განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოების, შეცვლისა და გაუპიროვნების პრაქტიკა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მიერ. მაშასადამე, აუცილებელია შევითვისოთ სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად დავეხმაროთ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი საშუალებით. საჭიროა მივცეთ სამეურნეო ორგანოებს და უწინარეს ყოვლისა სამიწათმოქმედო ორგანოებს საუკეთესო ადამიანები, საჭიროა შევავსოთ ეს ორგანოები ახალი საუკეთესო მუშაკებით, რომლებსაც უნარი შესწევთ შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს მუშაობა შესრულდება, შეიძლება იმის იმედი ვიქონიოთ, რომ პარტიული ორგანიზაციები საესეებით განთავისუფლებული იქნებიან სამეურნეო წვრილმანებისაგან. ვასაგებია, რომ ეს საქმე სერიოზულია და ერთგვარ დროს მოითხოვს. მაგრამ სანამ ეს არ ვაკეთებულა, პარტიულ ორგანიზაციებს კვლავაც დასჭირდებათ, განსაზღვრული მოკლე ვადის მანძილზე, პირისპირ მუშაობდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმეებზე მთელი მათი წვრილმანებით, ხვნით, თესვით, მოსავლის აღებით და სხვა.

2) ორი სიტყვა მაგნებლებზე, დივერსანტებზე, ჯაშუშებზე და სხვ. მე ვფიქრობ, ახლა ყველასათვის ნათელია, რომ ახლანდელი მაგნებლები და დივერსანტები, რა ბაირალითაც უნდა ინიღბებოდნენ ისინი, ტროცკისტუ-

ლითა თუ ბუბარინულით, უკვე დიდი ხანია აღარ არიან პოლიტიკური მიზდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომ ისინი გადაიტყენენ პარტიულ მანებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდად. ვისაგებია, რომ მოგვიხდება ამ ვაებატონების უღმრთოდესად განადგურება და აღმოფხვრა, როგორც მუშათა კლასის მტრული უფროსი ჯგუფი ჩვენი სამშობლოს მოღალატეებისა. ეს ნათელია და შემდგომს განმარტებებს არ საჭიროებს.

მაგრამ აი საკითხი: როგორ განვახორციელოთ პრაქტიკულად ტროცკიზმის იაბონელ-გერმანელი აგენტების განადგურებისა და აღმოფხვრის ამოცანა? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უნდა დავცხოთ და აღმოფხვრათ არა მარტო ნამდვილი ტროცკისტები, არამედ ისინიც, რომლებიც ოდესღაც მერყეობდნენ ტროცკიზმისაკენ, შემდეგ კი, უკვე დიდიხანია, მოშორდნენ ტროცკიზმს, არა მარტო ისინი, რომლებიც ნამდვილად არიან მანებლობის ტროცკისტი აგენტები. არამედ ისინიც, რომლებსაც ოდესღაც ჰქონიათ შემთხვევა გაველოთ იმ ჭურჭელზე, რომელზედაც ოდესმე ამათუიმ ტროცკისტს გაუფლია? ყოველ შემთხვევაში ასეთი ხმები გაისმოდა აქ პლენუმზე. შეიძლება თუ არა სწორად ჩაითვალოს რეზოლუციის ასეთი გაგება? არა, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ამ საკითხში, ისე როგორც ყველა სხვა საკითხში, აუცილებელია ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომა. არ შეიძლება ყველას ერთნაირად გაკრეკა. ასეთ ხელაღებითს მიდგომას შეუძლიან მხოლოდ აენოს ნამდვილ ტროცკისტ მანებლებთან და ჯაშუშებთან ბრძოლის საქმეს.

ჩვენს პასუხისმგებელ ამხანაგებს შორის არის ყოფილი ტროცკისტების განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც უკვე დიდი ხანია ჩამოშორდნენ ტროცკიზმს და ტროცკიზმთან ბრძოლას აწარმოებენ არა უფრო ცუდად, არამედ უკეთესად, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგი, რომელთაც არ ჰქონიათ შემთხვევა გამოეჩინათ მერყეობა ტროცკიზმისაკენ. სისულელე იქნებოდა ახლა ჩირქი მოგვეცხო ასეთი ამხანაგებისათვის.

ჩვენს ამხანაგებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც იდეოლოგიურად მუდამ ტროცკიზმის წინააღმდეგ იდგნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეულ ტროცკისტებთან ქონდათ პირადი კავშირი, რომელიც მათ დაუყოვნებლივ მოსპეს, როგორც კი ნათელი გახდა მათთვის ტროცკიზმის პრაქტიკული ფიზიონომია. რა თქმა უნდა, ვერ არის კარგი, რომ მათ თავისი პირადი მეგობრული კავშირი ცალკეულ ტროცკისტებთან შესწყვიტეს არა ერთბაშად, არამედ დაგვიანებით. მაგრამ სისულელე იქნებოდა ასეთი ამხანაგები ტროცკისტებთან ერთ ტაფაში მოგვექცია.

3) რას ნიშნავს — სწორად შევარჩიოთ. მუშაკები და სწორად გავანაწილოთ ისინი სამუშაოზე?

ეს იმას ნიშნავს, რომ შეეარჩიოთ მუშაკები, ჯერ-ერთი, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. ღირსი არიან თუ არა ისინი პოლიტიკური ნდობისა და, მეორე, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ე. ი. გამოსადეგი არიან თუ არა ისინი ამჟამად კონკრეტული მუშაობისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ გადავაქციოთ საქმიანი, კონკრეტული მუშაობის მიდგომად, როდესაც ადამიანებს აინტერესებთ მუშაკთა საქმიანი თვისებანი, მაგრამ არ აინტერესებთ მათი პოლიტიკური ფიზიონომია.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ გადავაქციოთ პოლიტიკური მიდგომა ერთადერთ და ამომწურავ მიდგომად, როდესაც ადამიანებს აინტერესებთ მუშაკთა პოლიტიკური ფიზიონომია, მაგრამ არ აინტერესებთ მათი საქმიანი თვისებანი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ ბოლშევიკურ წესს ასრულებენ ჩვენი პარტიული ამხანაგები? სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება. აქ პლენუმზე უკვე ილაპარაკეს ამის შესახებ. მაგრამ ყველაფერი არ უთქვამთ. საქმე ისაა, რომ ეს ნაცადი წესი ჩვენს პრაქტიკაში ირღვევა ძალიან ხშირად და მასთან მეტად უხეშად. უფრო ხშირად მუშაკთა შერჩევა ხდება არა ობიექტური ნიშნების მიხედვით, არამედ შემთხვევითი, სუბიექტური, ობივატელურ-მეშინური ნიშნების მიხედვით. უფრო ხშირად შერჩევენ ხოლმე ეგრეთწოდებულ ნაცნობებს, მეგობრებს, თავისმხრისანებს, პირადად ერთგულ ადამიანებს, თავისი შეფების შექების ოსტატებს—დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური და საქმიანი გამოსადეგობისა.

გასაგებია, რომ პასუხისმგებელ მუშაკთა ხელმძღვანელი ჯგუფის ნაცვლად ვლებულობთ აბლობელ ადამიანთა ოჯახს, არტელს, რომლის წევრებიც ცდილობენ იცხოვრონ თანხმობით, არ აწყენინონ ერთმანეთს, არ გაიტანონ ნაგავი ქოხიდან, შეაქონ ერთმანეთი და ხანგამოშვებით გზავნონ ცენტრში გამოფიტულ-ცალიერი და გულისამრევი პატაკები წარმატებათა შესახებ.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი შინაურულობის ვითარებაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არც მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას, არც მუშაობის ხელმძღვანელთა თვითკრიტიკას.

გასაგებია, რომ ასეთი შინაურული ვითარება ჰქმნის ხელსაყრელ წრეს მლიქვნელთა, ისეთ ადამიანთა გამოსაზრდელად, რომლებიც მოკლებული არიან თავისი ღირსების გრძნობას და რომლებსაც ამიტომ საერთო არაფერი აქვთ ბოლშევიზმთან.

აეილოთ, მაგალითად, ამხანაგები მირზოიანი და ვაინოვი. პირველი მათგანი არის კაზახსტანის საშხარეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მეორე — იართოსლავლის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მდივანი. ეს ადამიანები ჩვენს წრეში — უკანასკნელი მუშაკები როდი არიან. ხოლო როგორ აწარმოებენ ისინი მუშაკების შერჩევას? პირველმა თან გადაიყენა კაზახსტანში აზერბეიჯანიდან და ურალიდან, სადაც იგი წინათ მუ-

შაობდა, 30—40 „თავისი“ კაცი და გაანაწილა ისინი პასუხსაგებ პოსტებზე კახაბსტანში. მეორემ თან გადაიყვანა იაროსლაველში ლონბასიდან, სადაც იგი წინათ მუშაობდა, ათეულზე მეტი აგრეთვე „თავისი“ კაცი და გაანაწილა ისინი აგრეთვე პასუხსაგებ პოსტებზე. მესამეა, ამხანაგ მირზოიანს თავისი არტელი აქვს. აქვს იგი ამხანაგ ვაჩიშვილსაც. განა არ შეიძლებოდა მუშაკთა შერჩევა ადგილობრივი ადამიანებისაგან, ეხელმძღვანელებნათ-რა ცნობილი ბოლშევიკური წესით ადამიანთა შერჩევისა და განაწილების შესახებ? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მაშ, რატომ არ მოიქცნენ ისინი ასე? იმიტომ, რომ ისინი არღვევენ მუშაკთა შერჩევის ბოლშევიკურ წესს, რომელიც გამორიცხავს ობიექტულურ-მეშინაური მიდგომის შესაძლებლობას, გამორიცხავს შინაურულობისა და არტელობის ნიშნებით მუშაკთა შერჩევის შესაძლებლობას. ამას გარდა, არჩევდნენ რა მუშაკებად პირადად ერთგულ ადამიანებს, ამ ამხანაგებს, ალბათ, უნდოდათ შეექმნათ თავისთვის ერთგვარი დამოუკიდებლობის ვითარება როგორც ადგილობრივ ადამიანთა მიმართ, ისე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართაც. დაეუშვათ, რომ ამხანაგები მირზოიანი და ვაჩიშვილი ამათუიმ გარემოებათა გამო მათი ახლანდელი მუშაობის ადგილიდან გადაიყვანეს რომელიმე სხვა ადგილას. როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ასეთ შემთხვევაში თავიანთი „კულების“ მიმართ? ნუთუ მათ კვლავ მოუხდებათ მათი გადაჩანჩალება თავიანთი მუშაობის ახალ ადგილას?

აი რა აბსურდამდე მიყვევართ მუშაკთა სწორად შერჩევისა და განაწილების ბოლშევიკური წესის დარღვევას.

4) რას ნიშნავს — მუშაკთა შემოწმება, დავალებათა შესრულების შემოწმება?

მუშაკთა შემოწმება, ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით.

დავალებათა შესრულების შემოწმება, ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მარტო კანცელარიაში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ უწინარეს ყოვლისა მათს შემოწმებას მუშაობის ადგილას შესრულების ფაქტიური შედეგების მიხედვით.

საჭიროა თუ არა საერთოდ ასეთი შემოწმება? უსათუოდ, საჭიროა. საჭიროა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება გვაძლევს საშუალებას გამოვიცნოთ მუშაკი, გამოვარკვიოთ მისი ნამდვილი თვისებანი. მეორე — საჭიროა იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ შემსრულებელი აპარატის ღირსებანი და ნაკლოვანებანი. მესამე — საჭიროა იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ თვითონ დავალებათა ღირსებანი და ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ადამიანთა შემოწმება შეიძლება მხოლოდ ზემოდან, როდესაც ხელმძღვანელები ამოწმებენ ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფთ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. არის სწორი. ზემოდან შემოწმება, რასაკვირველია, საჭიროა, როგორც ადამიანთა შემოწმებისა და დავალებათა შესრულების შემოწმების ერთერთ ნამდვილი ზომა. მაგრამ ზემოდან შემოწმება სრულიადაც ვერ ამოსწორავს შემოწმების მთელ საქმეს. არსებობს კიდევ სხვა სახის შემოწმება, შემოწმება ქვემოდან, როდესაც მასები, როდესაც ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფნი ამოწმებენ ხელმძღვანელებს, აღნიშნავენ მათს შეცდომებს და მიუთითებენ მათი გამოსწორების გზებს. ასეთი სახის შემოწმება წარმოადგენს ადამიანთა შემოწმების ერთერთ უნამდვილეს საშუალებას.

პარტიული მასები თავიანთ ხელმძღვანელებს ამოწმებენ აქტივებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე მათი ანგარიშების მოსმენის გზით, ნაკლოვანებათა კრიტიკის გზით, ბოლოს, ხელმძღვანელ ორგანოებში ამა თუ იმ ხელმძღვანელი ამხანაგების არჩევისა თუ არარჩევის გზით. დემოკრატიული ცენტრალიზმის ზუსტად გატარება პარტიაში, როგორც ამის მოითხოვს ჩვენი პარტიის წესდება, პარტიული ორგანოების უქვეელი არჩევნობა, კანდიდატთა წამოყენებისა და აცილების უფლება, დახურული კენჭისყრა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის თავისუფლება, — ყველა ეს და ამის მსგავსი ღონისძიებანი ცხოვრებაში, სხვათა შორის, ინიციატივის უნდა გაეატაროთ, რომ გავაადვილოთ პარტიის ხელმძღვანელთა შემოწმება და კონტროლი პარტიული მასების მხრივ.

უპარტიო მასები თავიანთ სამეურნეო, პროფესიულ და სხვა ხელმძღვანელებს ამოწმებენ უპარტიო აქტივებზე, ყოველგვარ მასობრივ თათბირებზე, სადაც ისინი ისმენენ თავიანთ ხელმძღვანელთა ანგარიშებს, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს და სახავენ მათი გამოსწორების გზებს.

ბოლოს, ხალხი ამოწმებს ქვეყნის ხელმძღვანელებს საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ორგანოების არჩევნების დროს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შევეერთოთ ზემოდან შემოწმება და ქვემოდან შემოწმება.

5) რას ნიშნავს — ვასწავლოთ კადრებს მათი საკუთარი შეცდომების მიხედვით?

ლენინი გვასწავლიდა, რომ პარტიის შეცდომათა კეთილსინდისიერო გამომკლავლება, ამ შეცდომათა წარმოშობი მიზეზების შესწავლა და ამ შეცდომათა გამოსასწორებლად საჭირო გზების დასახვა, წარმოადგენს პარტიული კადრების სწორად სწავლებისა და აღზრდის, მუშათა კლასისა და მშრომელთა მასების სწორად სწავლებისა და აღზრდის ერთერთ უსწორეს საშუალებას. ლენინი ამბობს:



„პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება მისი შეცდომებისადმი არის პარტიის სერიოზულობისა და თავისუფლებისა და შრომელი მასებისადმი მისი მოვალეობის ნამდვილად შესრულების ერთერთი უმნიშვნელოვანესი და უაღრესად სწორი კრიტერიუმი. შეცდომის აშკარად აღიარება, მისი მიზეზების გამოვლინება, მისი წარმომშობი ვითარების ანალიზირება, შეცდომის გამოსწორების საშუალებათა ყურადღებით განხილვა — აი ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, აი ეს არის მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულება, აი ეს არის კლასის, ხოლო შემდეგ მასის აღზრდა და სწავლება“.

ეს ნიშნავს, რომ ბოლშევიკების მოვალეობას წარმოადგენს არა თავისი შეცდომების მიჩქმალვა, არა მათი შეცდომების საკითხისათვის გვერდის ავლა, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენში, არამედ თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად აღიარება, პატიოსნად და აშკარად დასახვა გზებისა ამ შეცდომების გამოსასწორებლად, თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად გამოსწორება.

მე ვერ ვიტყვოდი, რომ ჩვენი ამხანაგებიდან ბევრი სიამოვნებით თანხმდება ამ საკმეს. მაგრამ ბოლშევიკებმა, თუ მათ ნამდვილად სურთ იყვნენ ბოლშევიკები, უნდა გამოიჩინონ ვაჟკაცობა და აშკარად აღიარონ თავისი შეცდომები, გამოავლინონ მათი მიზეზები, დასახონ მათი გამოსწორების გზები და მით დაეხმარონ პარტიას მისცეს კადრებს სწორი სწავლა და სწორი პოლიტიკური აღზრდა. ვინაიდან მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ აშკარა და პატიოსანი თვითკრიტიკის პირობებში შეიძლება აღვზარდოთ ნამდვილად ბოლშევიკური კადრები, შეიძლება აღვზარდოთ ნამდვილი ბოლშევიკური ლიდერები.

ორი მაგალითი, რომლებიც ცხადმყოფენ ლენინის დებულების სისწორეს.

აეილოთ, მაგალითად, ჩვენი შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში. თქვენ, ალბათ, გახსოვთ 1930 წელი, როდესაც ჩვენი პარტიული ამხანაგები ფიჭრობდნენ გადაეჭრათ რაღაც 3—4 თვეში საკოლმეურნეო მშენებლობაზე გლეხობის გადაყვანის ურთულესი საკითხი და როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა შეეკავებინა გატაცებული ამხანაგები. ეს იყო ერთერთი ყველაზე უფრო სახიფათო პერიოდთაგანი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა დაივიწყეს საკოლმეურნეო მშენებლობის ნებაყოფლობა, დაივიწყეს, რომ არ შეიძლება გლეხების გადაყვანა საკოლმეურნეო გზაზე ადმინისტრაციული დაძალებით, დაივიწყეს, რომ საკოლმეურნეო მშენებლობა მოითხოვს არა რამდენიმე თვის, არამედ რამდენიმე წლის გულმოდგინე და მოფიჭრებულ მუშაობას. მათ დაივიწყეს ეს და არ უნდოდათ აღეარებინათ თავისი შეცდომები. თქვენ, ალბათ გახსოვთ, რომ ცენტრალური კომიტეტის მითითებას წარმატებებისა-

ვან თავბრუდახვევისა და იმის შესახებ, რომ ადგილებზე მოქმედებე ჩვენი ამხანაგები წინ არ უნდა გარბოდნენ, რეალურ ვიჭარებეს არ უნდა უჯულებელპყოფდნენ, — ხიშტებით შეხედნენ. მაგრამ ჩვენს ცენტრალური კომიტეტი იმისაგან, რომ წასულიყო მდგომარეობის აღმდგენი და მოებრუნებინა ჩვენი პარტიული ამხანაგები სწორ გზაზე, და მერე რა? ახლა ყველასათვის ნათელია, რომ პარტიამ მიიღწია თავისას, მოაბრუნა რა ჩვენი პარტიული ამხანაგები სწორ გზაზე. ამჟამად ჩვენ გვეყავს ათიათასობით საუცხოო კადრები გლეხებიდან საკოლმეურნეო მშენებლობისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის საქმეში. ეს კადრები აღიზარდნენ და გაიწოთენენ 1930 წლის შეცდომებზე. მაგრამ ეს კადრები არ გვეყოლებოდა ახლა, რომ პარტიას მაშინ არ შეევნო თავისი შეცდომები და დროულად არ გამოესწორებინა ისინი.

მეორე მაგალითი უკვე სამრეწველო მშენებლობის დარგიდან. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი შეცდომები შახტის მანებლობის პერიოდში. ჩვენი შეცდომები იმაში მდგომარეობდნენ, რომ ჩვენ ვერ ვითვალისწინებდით ჩვენი კადრების ტექნიკური ჩამორჩენილობის მთელს საფრთხეს მრეწველობაში. ჩვენ ვურიგდებოდით ამ ჩამორჩენილობას და ვფიქრობდით ფართო სოციალისტური სამრეწველო მშენებლობა გაგვეჩაღებინა მტრულად განწყობილი სპეციალისტების დახმარებით. ვაკისრებდით რა ჩვენს სამეურნეო კადრებს ცუდი კომისრების როლს ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, თუ რა უხალისოდ აღიარებდნენ მაშინ ჩვენი სამეურნეო კადრები თავიანთ შეცდომებს, თუ რა უხალისოდ აღიარებდნენ ისინი თავიანთ ტექნიკურ ჩამორჩენილობას და რაოდენად მძიმედ ითვისებდნენ ისინი ლოზუნგს — „დავეუფლოთ ტექნიკას“. და მერე რა? ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ლოზუნგმა „დავეუფლოთ ტექნიკას“ თავისა ვაველენა მოახდინა და თავისი კეთილი შედეგები მოგვცა. ახლა ჩვენ გვეყავნან ათეულ და ასეულ ათასობით საუცხოვო ბოლშევიკური სამეურნეო კადრები, რომლებიც უკვე დაეუფლნენ ტექნიკას და წინ ეწევიან ჩვენს მრეწველობას. მაგრამ ეს კადრები ჩვენ ახლა არ გვეყოლებოდა, პარტიას რომ იაბაღი დაეყარა იმ სამეურნეო მუშაკთა ჯიუტობის წინაშე, რომლებსაც არ სურდათ ეცნოთ თავიანთი ტექნიკური ჩამორჩენილობა. პარტიას რომ არ შეევნო მაშინ თავისი შეცდომები და ისინი დროულად არ გამოესწორებინა.

ზოგი ამხანაგი ამბობს, რომ მიზანშეუწონელია ამკარად ვილაპარაკოთ ჩვენს შეცდომებზე, ვინაიდან ჩვენი შეცდომების შეკარად აღიარება შეიძლება ჩვენმა მტრებმა შეაფასონ ჩვენს სისუსტედ და შეიძლება გამოიყენონ კიდევ. ეს არაფერია, ამხანაგებო, სრულიად არაფერი. ჩვენი შეცდომების ამკარად აღიარებასა და მათს პატიოსნად ვამოსწორებას, პარტიით, შეუძლიან მხოლოდ გააძლიეროს ჩვენი პარტია, აამაღლოს ჩვენი

პარტიის ავტორიტეტი მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის თვალში, აამაღლოს ჩვენი სახელმწიფოს ძალა და ძლიერება. ეს კითხვიდა-თავია. ოღონდ მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია იყვნენ ჩვენთან და ყველაფერი დანარჩენი მოგვარდება.

სხვა ამხანაგები ამბობენ, რომ ჩვენი შეცდომების ამჟამად აღიარებას შეუძლიან მიგვიყვანოს არა ჩვენი კადრების სწავლებასა და განმტკიცებაზე, არამედ მათს შესუსტებასა და არევაზე, რომ ჩვენ უნდა დაეინდოთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს კადრებს, რომ ჩვენ უნდა დაეინდოთ მათი თავმოყვარეობა და სიმშვიდე. ამისათვის ისინი წინადადებას იძლევიან მიჩქმალვით ჩვენი ამხანაგების შეცდომები, შეეასუსტოთ კრიტიკის ძალა, და, რაც უფრო უკეთესია, — გვერდი აუღაროთ ამ შეცდომებს. ასეთი გეზი არა თუ ძირეულად უსწორია, არამედ უღარესად საშიშიცაა, საშიშია უწინარეს ყოვლისა კადრებისათვის, რომლებს „დანდობა“ და „გაფრთხილება“ სურთ. კადრების დანდობა და შენარჩუნება მათი შეცდომების მიჩქმალვის შემწეობით, — ეს ნიშნავს თვით ამ კადრების აუცილებლად დაღუპვას. ჩვენ აუცილებლად დავლუბავდით ჩვენს საკოლმეურნეობოლშევიკურ კადრებს, რომ არ გამოგვემტკიცებინა 1930 წლის შეცდომები და არ გვესწავლებინა მათთვის ამ შეცდომებზე. ჩვენ აუცილებლად დავლუბავდით ჩვენს სამრეწველო ბოლშევიკურ კადრებს, ჩვენ რომ არ გამოგვემტკიცებინა ჩვენი ამხანაგების შეცდომები შახტის მანებლობის პერიოდში და არ გვესწავლებინა ჩვენი სამრეწველო კადრებისათვის ამ შეცდომებზე. ვინც ფიქრობს ჩვენი კადრების თავმოყვარეობის დანდობას მათი შეცდომების მიჩქმალვის გზით, იგი ღუპავს კადრებსაც, კადრების თავმოყვარეობასაც, ვინაიდან იგი მათი შეცდომების მიჩქმალვით აადვილებს ახალ, შეიძლება უფრო სერიოზულ შეცდომათა განმეორებას, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, მიგვიყვანს კადრების სრულ მარცხამდე მათი „თავმოყვარეობისა“ და „სიმშვიდის“ საზიანოდ.

ბ) ლენინი გვასწავლიდა ჩვენ არა მარტო ვასწავლოთ მასებს, არამედ ვისწავლოთ კიდეც მასებისაგან.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ხელმძღვანელები, არ უნდა ვავმედიდოდეთ და უნდა გვესმოდეს, რომ თუ ჩვენ ცენტრალური კომიტეტის წევრები ან სახალხო კომისრები ვართ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოგვეპოვება ყველა ცოდნა, აუცილებელი იმისათვის, რათა სწორად ვუხელმძღვანელოთ. ჩინი თავისთავად არ იძლევა ცოდნასა და გამოცდილებას. სახელწოდება — მით უმეტეს.

ეს ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მარტო ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება არ კმარა იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ, რომ, მაშასადამე, აუცილებელია შევავსოთ ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება, მასების გამოცდილებით, პარ-

ტიული მასის გამოცდილებით, მუშათა კლასის გამოცდილებით, ხალხის გამოცდილებით.

ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი წუთითაც არ შევასუსტოვებ უმეტეს არ გავწყვიტოვებ ჩვენი კავშირი მასებთან.

ბოლოს, ეს ნიშნავს იმას, რომ გულისხმიერად დავუგდოთ ყური მასების ხმას, პარტიის რიგითი წევრების ხმას, ეგრეთწოდებული „პატარა ადამიანების“ ხმას, ხალხის ხმას.

რას ნიშნავს სწორი ხელმძღვანელობა?

ეს სრულიადაც არ ნიშნავს კანცელარიაში ჯდომას და დირექტივების წერას.

სწორად ხელმძღვანელობა — ეს ნიშნავს:

ჯერ-ერთი, გამოვნახოთ საკითხის სწორი გადაწყვეტა, ხოლო სწორი გადაწყვეტის გამონახვა შეუძლებელია მასების გამოცდილების გაუთვალისწინებლად, რომლებიც თავიანთ საკუთარ ზურგზე განიცდიან ჩვენი ხელმძღვანელობის შედეგებს;

მეორე, მოვაწყოთ სწორი გადაწყვეტილების შესრულება, რისი ვაკეთებაც, ამავე დროს, შეუძლებელია მასების მხრივ პირდაპირი დახმარების გარეშე;

მესამე, მოვაწყოთ ამ გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება, რისი ვაკეთებაც ისევ შეუძლებელია მასების პირდაპირი დახმარების გარეშე.

ჩვენ, ხელმძღვანელები, საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს ვხედავთ მხოლოდ ერთი მხრით, მე ვიტყვოდი — შემოდან, ჩვენი მხედველობის არე, მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად შეზღუდულია. მასები, პირიქით, საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს ხედავენ მეორე მხრით, მე ვიტყვოდი — ჰეემოდან, მათი მხედველობის არეც, მაშასადამე ერთგვარად შეზღუდულია. საკითხის სწორი გადაჭრა რომ მივიღოთ, საჭიროა გავაერთიანოთ ეს ორი გამოცდილება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ხელმძღვანელობა სწორი.

აი რას ნიშნავს არა მარტო ასწავლო მასებს, არამედ ისწავლო კიდევ მასებისაგან.

ორი მაგალითი, რომელნიც ცხადყოფენ ლენინის ამ დებულების სისწორეს.

ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრები, ვიხილავდით დონბასის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი ლონისძიებებისა აშკარად, არადაამაკმაყოფილებელი იყო. სამჯერ დავაბრუნეთ პროექტი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში. სამჯერ ვღებულობდით მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან სულ სხვადასხვა პროექტს. და მაინც შეუძლებელი იყო მათი მიჩნევა დამაკმაყოფილებლად. ბოლოს, ჩვენ გადაწყვიტეთ გამოგვეწვია დონბასი-

დან რამდენიმე მუშა და რევიტი სამეურნეო და პროფესიულ მუშაკები. სა? დღეს ვსაუბრობდით ამ ამხანაგებთან, და ყველას ჩვენს ცენტრალური კომიტეტის წევრებს, უნდა გველიარებინა, რომ მხოლოდ ერთი პარტიული მუშაკებმა, ამ „პატარა ადამიანებმა“, შესძლეს ეკარგათ სწორი გადაწყვეტილება, თქვენ ალბათ გახსოვთ ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ცნობილი გადაწყვეტილება დონბასში ქვანახშირის ამოღების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. და აი ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც ყველა ჩვენმა ამხანაგმა აღიარა სწორ და განთქმულ გადაწყვეტილებადაც კი, ჩვენ გვიკარნახეს უბრალო ადამიანებმა ქვემოდან.

მეორე მაგალითი. მე მხედველობაში მაქვს ამხ. ნიკოლაენკოს ქალის მაგალითი. ვინ არის ნიკოლაენკო? ნიკოლაენკო — ეს პარტიის რევიტი წევრია. იგი — ჩვეულებრივი „პატარა ადამიანი“. იგი მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა სიგნალებს, რომ კიევის პარტიულ ორგანიზაციაში საქმე რიგზე ვერ არის, ამქვანებდა შინაურულობას, მუშაკებისადმი მუშაჩანურ-ობივატელურ მიდგომას, თვითკრიტიკის ჩახშობას, ტროცკისტ მანებელთა მომძლავრებას. მას იგერიებდნენ, როგორც აბეზარ ბუზს. ბოლოს, თავიდან რომ მოეშორებინათ იგი, აიღეს და გარიცხეს პარტიიდან. არც კიევის ორგანიზაცია, არც უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი არ დაეხმარა მას სიმართლის აღდგენაში. მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევამ გახადა შესაძლებელი ამ დახლართული კვანძის გახსნა. ხოლო რა გამოიარკვა საქმის გარჩევის შემდეგ? გამოიარკვა, რომ ნიკოლაენკო მართალი იყო, ხოლო კიევის ორგანიზაცია მართალი არ იყო. არც მეტი, არც ნაკლები. ხოლო ვინ არის ნიკოლაენკო? იგი, რა თქმა უნდა, არ არის ცენტრალური კომიტეტის წევრი. იგი არ არის სახალხო კომისარი, იგი არ არის კიევის საოლქო ორგანიზაციის მდივანი. იგი რომელიმე უჯრედის მდივანიც კი არ არის. იგი მხოლოდ პარტიის უბრალო რევიტი წევრია.

როგორც ხედავთ, უბრალო ადამიანები ზოგჯერ გაცლებით უფრო ახლოს არიან ქვეშარიტებასთან, ვიდრე ზოგიერთი მაღალი დაწესებულება.

შეიძლება კიდევ ათობით და ასობით მოგვეყვანა ასეთი მაგალითები.

ამგვარად გამოდის, რომ ჩვენი საქმის ხელმძღვანელობის გასაწევად სრულიადაც არ კმარა მხოლოდ მარტო ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება. იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ აუცილებელია ხელმძღვანელთა გამოცდილება შევეავსოთ პარტიული მასის გამოცდილებით, მუშათა კლასის გამოცდილებით, მშრომელთა გამოცდილებით, ეგრეთწოდებულ „პატარა ადამიანთა“ გამოცდილებით.

ხოლო როდის არის ეს შესაძლებელი?

ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მასებთან, თუ ისინი დაკავშირებული არიან პარტიულ მასებთან, მუშათა კლასთან, გლეხთა მასებთან, ინტელიგენციასთან.

მასებთან კავშირი, ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა იმისთვის, რომ ყური დაუგდოს მასების ხმას, — აი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა.

შეიძლება წესად აღვიაროთ, რომ სანამ ბოლშევიკები ინარჩუნებენ კავშირს ხალხის ფართო მასებთან, ისინი უძლეველი იქნებიან. და, პირიქით, საკმარისია ბოლშევიკები მოსწყდნენ მასებს და დაჰკარგონ მათთან კავშირი, საკმარისია მოედოს მათ ბიუროკრატიული ენგი, რომ დაჰკარგონ ყოველგვარი ძალა და არარაობად გადაიქცნენ.

ძველ ბერძნებს თავიანთი მითოლოგიის სისტემაში ჰყავდათ ერთი სახელგანთქმული გმირი — ანთოსი, რომელიც, როგორც მითოლოგია გადმოგვცემს, იყო პოსეიდონის — ზღვათა ღმერთისა და გეას — მიწის ქალღმერთის შვილი. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ, რომელმაც იგი შობა, გამოჰკვება და გამოზარდა. არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დაემარცხებინოს მას — ამ ანთოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მდგომარეობდა მისი ძალა? იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როდესაც მას მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც შობა და გამოჰკვება იგი, და ახალ ძალას ღებულობდა. მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი სუსტი ადგილი — ეს იყო მიწისაგან რამენაირად მოწყვეტის საშიშროება. მტრები ითვალისწინებდნენ მის ამ სისუსტეს და უღარაჯებდნენ მას. და აი გამოჩნდა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. ეს იყო ჰერკულესი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი? მან მოსწყვიტა იგი მიწას, აიყვანა ჰაერში, დაუკარგა მას მიწის შეხების საშუალება და ამრიგად დაახრჩო იგი ჰაერში.

ვფიქრობ, რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთოსს. ისინიც, ისევე, როგორც ანთოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი შობეს, გამოჰკვებეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველი დარჩნენ.

ამაშია გასაღები ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უძლეველობისა.

7) ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი. მე შედეგელობაში მაქვს საკითხი ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგის ფორმალური და უსულგულობიუროკრატიული დამოკიდებულებისა პარტიის ცალკეული წევრების ბედისადმი, პარტიიდან პარტიის წევრების გარიცხვის საკითხისადმი, ან

პარტიის წევრთა უფლებებში გარიცხულთა აღდგენის საკითხისადმი. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელები უფლებიერად უყურადღებობით ადამიანებისადმი, პარტიის წევრებზე და მათზე უფლებებისადმი. მეტიც, ისინი არ სწავლობენ პარტიის წევრებს, არ იციან რითი ცხოვრობენ და როგორ იზრდებიან ისინი, არ იცნობენ საზოგადოდ მუშაებს. ამიტომ მათ არა აქვთ ინდივიდუალური მიდგომა პარტიის წევრებისადმი, პარტიის მუშაებისადმი. და სწორედ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ინდივიდუალური მიდგომა პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაების შეფასების დროს, — ისინი ჩვეულებრივ მოქმედებენ ანგარიშ-მიუხედავად: ან აქებენ მათ ხელაღებით, უზომოდ, ან ურტყამენ მათ აგრეთვე ხელაღებით და უზომოდ, რიცხავენ მათ პარტიიდან ათასობით და ათიათასობით. ასეთი ხელმძღვანელები საზოგადოდ ცდილობენ იაზროვნონ ათეული ათასებით, არ ზრუნავენ რა „ერთეულებზე“, პარტიის ცალკეულ წევრებზე, მათს ბედობაზე. პარტიიდან ათასობით და ათეული ათასობით ადამიანთა გარიცხვა მათ მიანიათ იოლ საქმედ, ინუგეშებენ რა თავს იმით, რომ ჩვენი პარტია ორმილიონიანია და ათეული ათასობით გარიცხულთა არ შეუძლიანთ შესცვალონ რამე პარტიის მდგომარეობაში. მაგრამ პარტიის წევრებისადმი ასეთი მიდგომა შეუძლიანთ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც, არსებითად, ღრმად ანტიპარტიულნი არიან.

ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ხელოვნურად იქმნება უქმყოფილება და გაბოროტება პარტიის ერთ ნაწილში, ხოლო ტროცკისტი თვალთმაქცები მარჯვედ აიყოლიებენ ხოლმე ასეთ გაბოროტებულ ამხანაგებს და ოსტატურად ითრევენ მათ ტროცკისტული მანებლობის ქაობში.

თავისთავად ტროცკისტები არასოდეს არ წარმოადგენდნენ დიდ ძალას ჩვენს პარტიაში. გაიხსენეთ უკანასკნელი დისკუსია ჩვენს პარტიაში 1927 წელს. ეს იყო ნამდვილი პარტიული რეფერენდუმი. პარტიის 854 ათასი წევრიდან მათ შინ ხმისმიცემაში მონაწილეობა მიიღო პარტიის 730 ათასმა წევრმა. ამათგან ბოლშევიკებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ტროცკისტების წინააღმდეგ ხმა მისცა პარტიის 724 ათასმა წევრმა, ტროცკისტებს — პარტიის 4 ათასმა წევრმა. ესე-იგი დაახლოებით ნახევარმა პროცენტმა, და თავი შეიკავა პარტიის 2.600 წევრმა. ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიუღია პარტიის 123 ათას წევრს. მათ მონაწილეობა არ მიუღიათ ან იმიტომ, რომ სხვაგან იყვნენ გამგზავრებული, ან იმიტომ, რომ ცვლებში იყვნენ. თუ 4 ათასს, რომელთაც ხმა მისცეს ტროცკისტებს, მივუმატებთ ყველა იმით, ვინც თავი შეიკავა, — ვვარაუდობთ რა, რომ ისინიც თანაუგრძნობდნენ ტროცკისტებს, — და თუ ამ ჯამს მივუმატებთ არა ნახევარ პროცენტს, რომელსაც მონაწილეობა არ

მიუღია ხმის მიცემაში, როგორც უნდა მოექცეულიყავით წესი თანახმად, არამედ ხუთ პროცენტს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია, ესე-იგი პარტიის 6 ათასამდე წევრს, მივიღებთ პარტიის დაახლოებით 1000 ათას წევრს, რომლებიც ასე თუ ისე თანაუგრძნობდნენ ტროცკისტულ პარტიას ტროცკისტების მთელი ძალა. დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ ბევრს ამ რიცხვიდან იმედი გაუცრუა ტროცკიზმმა და ჩამოშორდნენ მას, და თქვენ მიიღებთ წარმოდგენას ტროცკისტული ძალების არაარობაზე. და თუ, მიუხედავად ამისა, ტროცკისტ მავნებლებს მაინც ჰყავთ ერთგვარი რეზერვები ჩვენი პარტიის ახლოს, ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის არასწორი პოლიტიკა პარტიიდან გარიცხვისა და გარიცხულთა აღდგენის საკითხში, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის უსულგულო დამოკიდებულება პარტიის ცალკეული წევრებისა და ცალკეული მუშაკების ბედობისადმი ხელოვნურად ამრავლებს უკმაყოფილოთა და გაბოროტებულთა რაოდენობას და, ამრიგად, უკმნის ტროცკისტებს ამ რეზერვებს.

მეტწილად რიცხავენ ეგრეთწოდებულ პასიუობისათვის. რა არის პასიუობა? თურმე ფიქრობენ, რომ თუ პარტიის წევრმა ვერ შეითვისა პარტიის პროგრამა, იგი პასიურია და უნდა გაირიცხოს. მაგრამ ეს ხომ სწორი არ არის, ამხანაგებო. ხომ არ შეიძლება ასე ასოხაიკოკიტებით ვავეგოთ ჩვენი პარტიის წესდება. პარტიის პროგრამა რომ შეითვისო, უნდა იყო ნამდვილი მარქსისტი, შემოწმებული და თეორიულად მომზადებული მარქსისტი. მე არ ვიცი, ბევრი მოინახება თუ არა ჩვენში პარტიის წევრი, რომელსაც უკვე შეეთვისებინოს ჩვენი პროგრამა, გამხდარიყოს ნამდვილი მარქსისტი, თეორიულად მომზადებული და შემოწმებული. თუ ამ გზას გავყვებით, ჩვენ მოგვიხდებოდა დევეტოვებინა პარტიაში მხოლოდ ინტელიგენტები და საერთოდ სწავლული ადამიანები. ვის რად უნდა ასეთი პარტია? ჩვენ გვაქვს პარტიის წევრობის შესახებ შემოწმებული ლენინურ ფორმულა, რომელმაც ყველა გამოცდა დაიჭირა. ამ ფორმულის მიხედვით პარტიის წევრად ითვლება ის, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამას, შემოაქვს საწევრო გადასახადი და მუშაობს ერთერთ მის ორგანიზაციაში. ყურადღება მიაქციეთ: ლენინურ ფორმულაში ლაპარაკია არა პროგრამის შეთვისებაზე, არამედ პროგრამის აღიარებაზე. ეს ორი სრულიად სხვადასხვა საგანია. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ აქ მართალია ლენინი და არა ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ტყუილუბრალოდ ლაყბობენ პროგრამის შეთვისებაზე. ეს გასაგებიცაა. პარტია რომ იქიდან გამოდიოდეს, რომ პარტიის წევრებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი ამხანაგები, რომლებმაც უკვე შეითვისეს პროგრამა და გახდნენ თეორიულად მომზადებული მარქსისტები, იგი აღარ შექმნიდა პარტიაში ათასობით პარტიულ წრეებს, ასობით პარტიულ სკოლებს, სადაც პარტიის წევრებს ასწავლიან მარქსიზმს და ეხმარებიან მათ შეითვისონ ჩვენი პროგრამა. საესებით ცხადია, რომ თუ პარტია აწყობს ასეთ

სკოლებსა და წრეებს პარტიის წევრებს შორის, ეს იმიტომ, რომ მან იცის, რომ პარტიის წევრებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს შეფუთვებიანთ პარტიული პროგრამა, ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს გეგმადრეფქციუნ თეორიულად მომზადებულ მარქსისტებად.

მაშასადამე, რომ გამოვასწოროთ ჩვენი პოლიტიკა პარტიის წევრობისა და პარტიიდან გარიცხვის საკითხში, აუცილებელია ბოლო მოვეულოთ პასივობის საკითხის ახლანდელ უთაურ გაგებას.

მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს სხვა შეცოდება ამ დარგში. საქმე ისაა, რომ ჩვენი ამხანაგები არ სცნობენ შუათანობას ორ უკიდურესობას შორის, საკმარისია მუშამ, პარტიის წევრმა ჩაიღინოს სულ მცირე დანაშაული, ერთხელ-ორჯერ დაიგვიანოს პარტიულ კრებაზე, არ შეიტანოს რაიმე მიზეზის გამო საწევრო გადასახადი, რომ იგი მყისვე გააძევეს პარტიიდან. არ აინტერესებთ მისი დანაშაულის ხარისხი, კრებაზე დაუსწრებლობის მიზეზი, საწევრო გადასახადის შეუტანლობის მიზეზი. ბიუროკრატიზმი ამ საკითხებში პირდაპირ უმაგალითოა. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ სწორედ ასეთი უსულგულო პოლიტიკის შედეგად პარტიიდან იქნენ გაყრილნი კადრის შესანიშნავი მუშები, საუცხოვო სტახანოველები. და მერე განა არ შეიძლებოდა, ვიდრე პარტიიდან გარიცხავდნენ, ჯერ მიეცათ გაფრთხილება, და თუ ეს არ იმოქმედებდა — მიეცათ შენიშვნა, ან გამოეცხადებინათ საყვედური, ხოლო თუ არც ეს იმოქმედებდა — დაენიშნათ ვადა გამოსწორებისათვის ან, უკიდურეს შემთხვევაში, გადაეყვანათ კანდიდატად, მაგრამ არ გაერიცხათ პარტიიდან ერთი ხელის დაკვრით? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ყურადღება ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი, პარტიის წევრთა ბედობლისადმი. მაგრამ სწორედ ეს აკლია ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს.

დროა, ამხანაგებო, დიდიხანია დროა, ბოლო მოვეულოთ ამ უმსგავსობას (ტაში).





ქართველი
წიგლიერთა კავშირი

ისტორიული დადგენილების

ხუთი წლის თავი

და

ქართული საბჭოთა მწერლობა

ხუთი წლის წინათ 1932 წლის 23 აპრილს, საკ. კ-ბ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ.

ამ გადაწყვეტილებამ ახალი გეზი მისცა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. მთავარი ის იყო, რომ ამ დადგენილებით გაუქმდა პროლეტარული მწერლობისა და ხელოვნების ცალკე ორგანიზაციები („ვოაპი“, „რაპი“, „რამპი“ და სხვ.) და შეიქმნა საბჭოთა მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორებისა და ხელოვნების სხვა მოღვაწეთა ერთიანი კავშირები პარტიული ჯგუფებით მათში.

ახლა უფრო ნათელი და თვალსაჩინო ხდება ამ დოკუმენტის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. საბჭოთა მწერლობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა პარტიის ამ ბრძნულ ნაბიჯს.

„რაპის“ ხელმძღვანელობას იმდენად ხელოვნების განვითარება და მხატვრული შემოქმედება არ აინტერესებდა, რამდენადაც ცარიელი ლაყბობა და ანგარიშის გასწორება იმათთან, ვინც არა სცნობდა მათ განუყოფელ ბატონობას ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტზე. „რაპის“ ხელმძღვანელობა ჰქმნიდა მასაზრდოებელ ნიადაგს უპრინციპო ჯგუფობრივობისათვის, „თავისიანების“, ე. ი. თავისი ჯგუფის წევრების ნაწარმოებები ცამდე აკყავდა, ხოლო სხვა, „უცხო“ ჯგუფების წევრთა ნაწარმოებებს მიწასთან ასწორებდა. ამხანაგური კრიტიკის ნაცვლად მობარჯვებული ჰქონდათ კეტი-კეტით, მუქარით და ადმინისტრაციული შეყვირებით ფიქრობდნენ მწერლების „მორჯულებას“, უკეთ რომ ეთქვათ, მწერლების „შებრუნებას“ იმ შემცდარ გზაზე, რომელზედაც თითონ იდგნენ. ყოყოჩური ბრძანებლობით ცდილობდნენ „რაპის“ ხელმძღვანელები დაენერგათ თავიანთი კონტრევოლუციური-ტროცკისტული „თეორიები“ და ლოზუნგები („ცოცხალი ადამიანის“ თეორია, ალტერნატივი — „მტერი თუ მოკავშირე“ და სხვა).

ახლა, ხუთი წლის შემდეგ, ყოველი საბჭოთა მწერალი უფრო ნათლად ხედავს, თუ რამდენად წინდახედული და მოვლენების შორსგამჭე-

რეტი იყო ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ. ვადაჭირი შეიძლება ითქვას, რომ პარტიის ამ ბრძნულმა ნაბიჯმა მთელი საზოგადოებრივი საზოგადოებრივობა ააცდინა დიდ პოლიტიკურ საშინაო ომში, რადგან უკვე გამოჩნდებოდა, რომ „რაპის“ ხელმძღვანელობა აეერბათის მეთაურობით მიზნად ისახავდა პროლეტარული მწერლობის ლიტერატურული ორგანიზაცია გადაექცია პარტიის წინააღმდეგ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ ბრძოლის იარაღად. მწერლობაში „რაპის გენერალური ხაზის“ ლოზუნგის წამოყენება სხვა არაფერი იყო, თუ არა პარტიისადმი მწერლობის დაპირისპირების აშკარა ცდა.

ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც უდიდესი შორსმჭვრეტელობით გაითვალისწინა „რაპული“ პოლიტიკის ეს მავნებლობა და საკადრისი შეფასება მისცა „რაპულთა“ მოღვაწეობას, ლიტერატურულ ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის საფუძვლიანი გარდაქმნა დააკისრა საბჭოთა მწერლების ერთიან კავშირს. ახლად შექმნილმა ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა (მათ შორის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა) ძირითადში გაანადგურეს ის დავალება, რომელიც მათ პარტიის უმაღლესმა ორგანომ დააკისრა. მათ დარაზმეს და აქტიურ შემოქმედებითს მუშაობაში ჩააბეს ყველა მწერალი, რომელიც თანაგრძნობით და სიხარულით ხედებოდა მშრომელი მასების ყოველ წარმატებას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. მანამდე შებოქილმა ლიტერატურულმა ძალებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და თავი იგრძვნეს დიდი ხაერთო საქმის აქტიურ მონაწილედ. სოციალისტური რეალიზმი გადაიქცა საყოველთაოდ აღიარებულ შემოქმედებითს მეთოდად, რომელიც, როგორც უკანასკნელი წლების ლიტერატურულმა პრაქტიკამ დაგვანახვა, სრულიად არა ზღუდავს შემოქმედებითი ხერხების მრავალგვარობას და რომელიც სხვადასხვა ფორმის, სტილისა და ენარის განვითარების უდიდეს შესაძლებლობას იძლევა. მწერლებმა გააფართოვეს დაკვირვების არე და შესასწავლ-ასახავი ობიექტების რიცხვი. ისინი დაუბალოდნენ ცხოვრებას, ახალი თვალთ გადახედეს მახლობელ და შორეულ წარსულს და ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები. „მაგრამ არა იმ მიღწევებზე, — სწერს „პრავდა“ 1937 წლ. 23 აპრილის ნომერში, — აშკარა და უდაო მიღწევებზე უნდა გააძლიერონ დღეს თავიანთი ყურადღება ჩვენმა ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციებმა, — ვაკილებით უფრო მნიშვნელოვანია გავისხენოთ ის ნაკლოვანებანი, ის დეფექტები მუშაობაში, რომლებიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან და რომლებიც აცილებულ უნდა იქნან“. უნდა აღვიაროთ, რომ ზოგჯერ საქ. ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნაც რამდენადმე ფორმალური აღმოჩნ-

და და არა არსებითი. ამ გარდაქმნამ სავსებით ვერ მოხლოდნენ არა-
ჯანსაღ მოვლენებს, ვერ შექმნა სავსებით ხელსაყრელი პირობები ღრმა
წემოქმედებითი მუშაობისათვის.

ეპიკრიზისი

„იდიოტური ავადმყოფობა — უდარდელობა შეიქმნა „ლიტერატურა-
თა ორგანიზაციაში“, — „პრადეს“ ეს სიტყვები თამამად შეგვიძლია გა-
ვიმეოროთ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიმართაც.
კრიტიკისა და თვითკრიტიკის სისუსტემ, პოლიტიკურმა უდარდელობამ
გამოიწვია ის, რომ ჩვენს ორგანიზაციაშიაც შემოძვრნენ ტროცკისტე-
ბი, რომლებმაც სცადეს მწერალთა ორგანიზაციის გამოყენება თავიანთი
კონტრრევოლუციური მიზნებისათვის. გავიხსენოთ გარეწარ პლატონ ქი-
ქოძის ჯირითი „ლიტერატურულ გაზეთში“, რომელმაც მწერალთა კავ-
შირის ორგანო კინაღამ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ ფურცლად
ურ გადააქცია. გავიხსენოთ მავნებლური „მოღვაწეობა“ ხალხის ნიღაბ-
აფარებული მტრის, მალაქია ტაროშელიძისა, რომელიც ერთად-ერთ მი-
ზანს ისახავდა — განხეთქილების ჩამოგდებას და ჯგუფობრიობის აღდგე-
ნას მწერალთა შორის. სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას ხალხის ამ მო-
სისხლე მტრის მიერ უნიჭო და შემთხვევითი ელემენტების მფარველო-
ბა, ფხაკაძეებისა და მათ მსგავსთა გამოცხადება საბჭოთა მწერლობის
წამყვან ძალებად. ამით ტროცკისტ ტაროშელიძეს სურდა ეთქვა, რომ
თანამედროვე ქართული მწერლობა იმდენად უსუსური და უფერულია,
რომ ამ უმწეობის საერთო ფონზე ფხაკაძეც კი მნიშვნელოვან ფიგურად
მოსჩანსო. ვანა ეს არ არის საბჭოთა მწერლობის წარმატებათა ტროც-
კისტული შეუფასებლობა და ურწმუნობა დიდი სოციალისტური ლი-
ტერატურის შექმნის შესაძლებლობაში? ბუნებრივია, რომ ტაროშელიძის
ასეთი „ლიტერატურული პოლიტიკა“ იწვევდა მწერალთა დიდი ნაწი-
ლის უკმაყოფილებას და ნერგავდა მათში უნდობლობას მწერალთა ორ-
განიზაციის ხელმძღვანელობისადმი. ჩვენი პოლიტიკური უდარდელობისა
და ჩამორჩენილობის ბრალია, რომ დროზე ვერ მიუხვდით მავნებელ
ტაროშელიძეს ნამდვილ ზრახვებს და საშუალება მიეცეთ მას ზიანი
მიეყენებინა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის.

ჩვენი ორგანიზაციის პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნების ასეთივე
მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ავერბახელი ბ. ბუაჩიძე განაგრძობდა რაპ-
პულ ხაზს თავის ლიტერატურულ მუშაობაში, ბ. ბუაჩიძემ არა ერთხელ
გამომჟღავნა, რომ იგი ხელს არ იღებს რაპპულ ლიტერატურულ პო-
ლიტიკაზე, რომ კვლავ განაგრძობს კეტის ქნევას- გავიხსენოთ ბუაჩიძის
მსჯელობა ი. გრიშაშვილზე, შ. დადიანზე და სხვებზე, რომელთა გულ-
წრფელი ცდები თანამედროვე თემებზე წერისა ბუაჩიძემ ეკვ ქვეშ დაა-
ყენა და რომელნიც ბუაჩიძემ საბჭოთა ლიტერატურისათვის „დაკარგულ“
მწერლებად გამოაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ბ. ბუაჩიძის თითქმის ყოველი გამოცემა მისი რაპული ჯიუტობის მაჩვენებელი იყო, მის წინააღმდეგ არცერთი სათანადო სიმწვავეთ არ სწარმოებდა, რაც საშუალებას აძლევდა მას განეგრძო თავისი გამთიშავ-დამარღვეველი მუშაობა.

მაგრამ მარტო ბუაჩიძე როდი გვევლინებოდა გამთიშავისა და ჯგუფობრიობის რესტორატორის როლში. ჯგუფობრიობის ნიშნებს ამჟღავნებს და ნაწილობრივ ახლაც ააშკარავენს გაუქმებული კორპორაციების ზოგიერთი ყოფილი წევრი. მაგალითად. ყოფილი კისფერ-ყანწელები. შართალია, დღეს აღარ გამოდიან ერთმანეთის ხობა-დიდებით, მაგრამ ჯერ არა ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მათგანს საჯაროდ ემხილოს და გაეკრიტიკებინოს თავისი ყოფილი კორპორანტის ლიტერატურული შეცდომები და მარცხი. რაც მათ არა ერთხელ მოსვლიათ თავიანთ ლიტერატურულ პრაქტიკაში. ასევე დაუნდობლად გასაკრიტიკებელია და დასაგმობი ზოგიერთი მწერლის (პაულე იაშვილის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, ნ. მიწიშვილის და სხვ.) კავშირი იმ პირებთან, რომლებიც ხალხის მტრები აღმოჩნდნენ, მაგრამ დღემდე ვერ ვხედავთ მათის მართლ ცდას, რომ ეს კავშირი ამხილონ, გამოამჟღავნონ და დაგმონ.

უდაოა, რომ მწერალთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ შეუგნია, თუ რა ზიანი მოაქვს ლიტერატურის განვითარებისათვის ჯგუფობრიობის ნაშთებს.

ასევე კარჩაეტილობა. ცხოვრებისაგან მოწყვეტა ჯერ კიდევ დამახასიათებელია ბევრი ჩვენი მწერლისათვის. ცხოვრების უკოდინარობია. მწერალთა დაბალი პოლიტიკური დონის ნაყოფია იდეური მარცხი უკანასკნელი წლების ზოგიერთ ნაწარმოებებში (კონსტ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, მიხ. ჯავახიშვილის „რკინის საცერი“, „ცხრა ქალწული“, „ქალის ტვირთი“, კ. ბობოხიძის „კავკასიონი ქარიშხალში“ და სხვ.).

ვერ ვიტყვით, ჩვენს მწერლებს გათვალისწინებული არ ჰქონდით, რომ ცხოვრებისაგან განაპირებას მოსდევს მწიგნობრულობა-„ლიტერატურაში“ და უფრო უარესიც — შემოქმედებითი გამოფიტვა. ცხოვრებისაგან მოწყვეტის საშიშროებას ხაზგასმით აღნიშნავდნენ ჩვენი მწერლები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მარტის პლენუმისადმი მიძღვნილ კრებაზე. ზოგიერთი მწერალი ცხოვრებას თავისი ოთახის ფანჯრიდან უყურებს, მისი დაკვირვების არც ძალზე შეზღუდულიაო. ამით აიხსნება, რომ მათ ლუკრის წერა თანამედროვეობაზე და უფრო ეტანება ისტორიულ თემებსო.

ცხოვრებასთან ორგანიული, საქმიანი დაკავშირება გაამდიდრებს მწერალს სინამდვილის ცოდნით, ბოლშევიზმის დაუფლება შეაიარაღებს მას მახელი პოლიტიკური ხედვით და რევოლუციური სიფხიზლით:

გულწრფელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა უზრუნველყოფს მწერლისათვის ნამდვილ შემოქმედებით დახმარებას, ხელეწიფებელი ეს განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანს ქართულ მწერლობას, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, რათა გადაუხადოს ვალი პარტიას, მთავრობას, სოციალიზმის მშენებელ მასებს, სტალინური კონსტიტუციის ქვეყანას, რომლებმაც შექმნეს შემოქმედებითი მუშაობის ისეთი შესაძლებლობა, როგორც არა ჰქონია არც ერთი ქვეყნის და არც ერთი ეპოქის მწერლობას.

3. წულუკიძე



სიხოს ჩიქოვანი

ლოქსები

რეზიდა: „ფიქრობი მსჯელობის პირად“

წიგლის ტა

გამეფებულა დუმილი მხოლოდ
და ჩვენ ბუმბულიც რომ ავაქროლოთ
ისიც შეაკრთობს შესხეთის მალლობს
და არ მიგვიღებს ვარძიაც ახლო —
ასე ვფიქრობდი, როცა წალკოტად
ტბა შეგვეფეთა ლერწმებრ მორგული
ტბამ მაღალ ლერწმის ისრით დამკოდა
და აღულუნდა, როგორც ჩონგური.
თითქოს ნესტანის ლექსის ნაწყვეტი
ტბა ჩარჩენილა მადლობში ობლად,
განშორებიან დიდი ცაცხვები
და ბულბულებიც გასულან სოფლად.
მხოლოდ ლერწმები გარს წამწამებად
წრიალებენ და თან ენანებათ
ობლად წვალება და დაღამება,
შიშველ კლდეებთან ხმის შეხამება, —
მაგრამ იხვები ყელამართული
ვით ჩუქურთმები ძველი ქართული
ტბაზე სხედან და წყალი კრიალა
ლერწამთ ბაასმა აგვიშრიალა.

ეგებ ტბის პირას შენც ლერწამს თლიდი
 და კალამს ტბიდან ეკვროდა წვეთად:
 ხან მარიხი და ხან ოტაიდი
 და ვეფხის ფერიც აქ შეგვეფეთა.
 ეგებ ლერწამით სჭრიდი საფირონს,
 ან და ცრემლებით შექმენი ტბაცა.
 ეგებ ლერწამით სჭრიდი საფირონს
 გულით ათბობდი ხერთვისის ნაცარს.
 ეგებ ეს ტბაა შენი გულისთქმაც,
 სახე შეცვლილი ეხლა ამგვარად,
 და ჩარჩენილი მთებში ურითმოდ
 ბუნების თვალი თმოგვეთან ჩამდგარა-
 იქნებ შიგ სძინავს გულისხმას მრავალს,
 ხალხისთვის უცნობ ფიქრებს და წყლულებს,
 მრავალ საგანძურს და შთამომავალთ
 ჩვენგან განუცდელთ და გარდასულებს.
 მაგრამ ლერწმები ტბასთან არიან,
 მასლაათობენ და უხარიათ
 ჩენი მოსელა და ქარში დგებიან
 ტბის ლერწმები და გვესალმებიან.
 ძათი შრიალი ქარში აბოდებს
 შენს შაირებს და მოდიხარ თითქოს
 მოყვები ფიქრთა მორთოლავ ნაფოტებს,
 შეილდევით მოხრი წყრილა სტრიქონს,
 თითქოს ხელახლა ლერწამსაც გათლი,
 გაგვაფარჯიშებ. გახედნი ლექსსაც.
 ტბას დაადგება მესხეთის მაღლი
 თმოგვეში ჩადგება ქარიშხლის კენესაც.
 ჩვენ ვიხარებთ და ტბის წამწამებმა
 ლერწმებმა ძველად განაწამებმა
 ტბას გათენება უნდა ახარონ
 და ჩვენ შრიალი გადმოგვაყარონ.

გორის ციხე



თმოგვის ციხიდან მტკვარი ეყენებით
 მოჰქრის და წვება ქართლის რიყეზე.
 ჩვენ მტკვარს ფეხდაფეხ დავედევნებით
 და ავმალღებთ გორის ციხეზე.
 გადაჭიმული როგორც მტკაველი,
 მტკვარი ეღვარებს ქართლის უბეში,
 თითქო გადააქვს ხმა რუსთაველის
 საუკუნიდან საუკუნეში.
 აეთანდლივით მტკვარი მოიხმო
 შემოდგომამ და სიმღერა სცადეს.
 მოიხმო, მუშთარ, ზუალ, მარინი
 და მსოფლიოში ისროლეს ბადე.
 უმღერეს მხარეს როგორ უეცრად
 ააგეს გორის კედელი სწორი,
 ქართლში ტონთო როგორ დაეცა
 და ქარში როგორ მოთქვამდა გორი.
 როგორ აფრინდა მიმინო გრეხით,
 დაჯდა ციხეზე ვარსკვლავის ფერად.
 როგორ დაახჩხო მდევარი გლეხი
 დედოფალის და ტალღების მზერამ.
 როგორ გაუჩნდა ღარიბ კერიას
 ბაეში ბრძენი და არწივის გვარი,
 ან როგორ წრთენიდენ ქაბუკ გენიას
 ხელოსნები და მუხრანის ქარი.
 როგორ შეირგო დედის ძუძუთი
 ქართლის სიტკბო და წაიღო თითქო
 გორის ციხე და მტკვარის დუღუნე
 და რუსთაველის სტრიქონის სითბო.
 როგორ იხილა ამჭრების კრივი
 და ნაპერწყლები ხალხში ფარული,
 შემდეგ ბაქო და ციმბირი ცივი
 და ჩრდილოეთის ყინვის ფლარუნი.
 როგორ იბრძოდა გორი და ბოლოს
 ერუანტელს გავდა მიწის ძვრა მისი,
 როგორ ეკვეთა ბუნება ბოროტს

რომ გამზდარიყო ბელადის ღირსი.
როგორ იბილა გორიდან კრემლი,
ემო მარადის რუსულ გენიის
და განუმარტა ველების კრემლი
გორში დანთებულ ღარიბ კერიას.



ქართული
ენების ინსტიტუტი

საშემოდგომოდ მოურთავს გორი
ლიახვისა და მტკვარის არშიას.
სდგას გორის ციხე შუბლივით სწორი
და კალთებივით ველი გაშლია.
ამ ტრამალებში დარბოდა ბავშვი
და გორიც ახლა თითქო ბავშვია;
მოუსმენია ქაბჭაბი შაშვის
და ქარს ტრამალზე უთამაშნია.
ტანაწურული სახლი დიადი,
ეით მოგონება მოსჩანს ბუდეში
როგორც ნატები ხალხის წყედიადის
და მომავალის ბრძნული ნუგეში.
ყოველ კუთხიდან მოსულ ქაბუკებს
მოუტანიათ სალამი წრფელი,
უნდა დახედონ ბავშვის საფუძველს
და მარადიულს შეაზონ ხელი.
თითქო ბუხარში ცეცხლიც ანთია
როგორც ბელადის სითბო პირველი,
რომლიდან იშვა ბრძნული ხარტია
უდიდესი და გასაკვირველი.
სად შემოძლია უძღურმა ლექსში
შევეხო სახლის დახურულ კარებს,
სად შემოძლია ბუნების ეშბი
მე განუმარტო სამშობლო მხარეს.
ყველას გეჭონია სოფლის ჯაგანი
და სააღერსო ცეცხლი კერიის,
მაგრამ სხვა არის დიდი აკვანი
შთამგონებელი ხალხის გენიის.

შემოდგომა და ფოთოლთ სიორი
გადაფენოდა ქართლის მთაგორებს,
შორს იშმუშნოდა კავკასიონი
და თეთრდებოდა როგორც თაგორე.



ქართული
ენების ინსტიტუტი

ეხამებოდა ბერუთის კალთას
ჩრდილ გადაკრული მდინარის რიყე
როგორც დესპანი გარდასულ ეამთა
ამართულოყო ქალაქში ციხე.
ხოლო კვერნაქზე ჯარი ვაშლილი
სჩანდა ბელადის ფიქრების გვარად;
ფერებს გზავნიდა ზეცის ნაპირი
და შემოდგომას ანთებდა ბარად.
იყო ვაშლების ფერების ფეთქვა,
მწიფე ხილის და სუროს სურნელი
და ბალებიდან ატმებთან ერთად
მზეს შეხაროდენ კოლმეურნენი.
ბუხრებზე იდგა კვამლი სულებათ
როგორც ჩიბუხში სიცოცხლის სუნთქვა
ზეიმს მართავდა ქართლის ბუნება
შეთანხმებულ ბელადის სულთან;
გორის წარსული ეკვროდა გზნებით
ახალ ცხოვრების ფიქრსა და ლაშათს,
როგორც მტკვარის და ლიახვის შებმით
ბუნების მიერ შეთხზული ფრაზა.

ამგვარი იყო გორის საღამო
და ჩვენ ვისხედით ციხეზე მაღლა:
ქართლს გადაკვროდა მტკვარის მაღამო
დაელვარებდა დაბლობში ახლა.
როგორც ნაძერწნი უხსოვარ ეამით
მოხუცი გვახლდენ პირმოშაქრული
მარადისობა სუნთქავდნენ წამით
და კლდეებს გავდნენ თავებწაქრული.
ბაასობდნენ და ჯულაანთ გვარი
ზედნიერ შუქით ავსებდა თვალებს;
ნათ სიამაყეს კრეფავდა ქარი
და უგზავნიდა ბელადის კარებს.
„ტანოვანნი და მთქმელნი ესოდენ“
როგორც ზომალდებს გასცქერდენ სოფლებს.
ჟურს იჩრდილებდენ, რადგან ესმოდათ
როგორ ისროდენ ნიშანში თოფებს.
ლოცავდენ ქართლის ავსებულ კალთას,
ბელადის გულს და მეზობელ ერებს;
გორიდან კრემლში ხედავდენ სარდალს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სიამაყე ამკობდა წვერებს.
 კჭროდა ქარი და ფოთოლ ლაშქარი
 ბუნების ტაშით წყდებოდა მხარეს;
 დიდი ხარტიის სიბრძნე აშკარა
 ეფინებოდა ბანაკში ჯარებს.
 ბელადის სახლიც სჩანდა ბარტყივით,
 ბელადის მიერ აღზრდილ მხარეში.
 და გორის ციხეს მგზავრობით დაღლილს
 მშვიდათ ეძინა სინეტარეში.
 ემატებოდა ბუნებას ეშხი,
 ემატებოდა მხარეს ტრფიალი
 და შენახული გორის ჰაერში
 გვესმოდა ბავშვის ხმების წკრიალი.
 გვესმოდა ხმაში მარადი ფიქრი,
 ანკარა სიბრძნე ბგერის წყობაში
 და გაზაფხული სუფევდა ირგვლივ
 თვალივით მჯდარი შემოდგომაში.
 ბელადის სახლიც სჩანდა ბარტყივით
 ბელადის მიერ აღზრდილ მხარეში;
 იყო ფოთლები ტაში დაყრილი
 და სახლს ეძინა სინეტარეში.

ყველას გვეჭონია სოფლის ჯაგანი
 და საალერსო ცეცხლი კერიის
 მაგრამ სხვა არის დიდი აკვანი
 შთამგონებელი ხალხის გენიის.
 სად შემიძლია მთრთოლვარე სახლი,
 დავხატო, დავდგა ქართლის უბეში,
 ან ვადვიტანო სიმღერა ხალხის
 საუკუნეიდან საუკუნეში.
 სად შემიძლია უძლურმა ლექსში
 შევეხო კალმით ბედნიერ კარებს;
 სად შემიძლია სამშობლოს ეშხი
 მე დაუბრუნო სამშობლო მხარეს.
 მხოლოდ მტკვარშია ჩემი ძალღონე,
 ავთანდილივით მმატებს სიამეს;
 აახმაურებს გორზე სტრიქონებს
 და დაამსგავსებს ადამიანებს.

მ ე თ ე ვ ე ბ



ქართველი
წიგნწერეთა
კავშირთა

როცა გადივლის შუალამის დარდი
სტოვეებს მტკვარსა და ნადავლი მიიქვს,
ცოცხალ თევზებით ქალაქში დადის,
ამოყოლილი მდინარის ნიაქს.

დადის, დაეძებს ანთებულ ფანჯრებს,
თითქო არიგებს კალმახის გვარად
აღიონის და რიყრაყის ნაჭრებს,
რომ გაიღვიძოს ტფილისმა ჩქარა.

რიყრაყისფერი თევზები დააქვს
და თარღში მყოფი მტკვარის ხალისი,
წყალის სუნს აცნობს საყვარელ ქალაქს,
გაბედული და შესაბრალოსი.

დაეძებს ჭეიფს და როგორც ქორი
შევარდება და წამოშლის სუფრას,
უცებ გახდება სტუმრების სწორი
და მასპინძელთან ქიანურს უკრავს.

ფრიამული და ხალისი ახლავს,
როგორც ჩაბმახი აიწვევს ჯამით,
ქუდს ოსტატურად აისვრის მალლა
და გარიყრაყის დარეკავს ეამი.

მეთევზის ფიქრებს აქვე ამზობენ,
მბტომი თევზები, ტალღების გვარი,
და ქართულ სუფრის იერს ამკობენ
მეთევზე, თევზი და შუქი მტკვარის.


როს კინტოს შარვლის მსგავსი ღრუბელი
წაეა, გაყვება გადმოსულ ქარებს,
ტფილისს ეცემა მტკვარის სურნელი
და გარიყრაყი — დაბურულ კარებს,
შინ დაბრუნდება დაღლილ ქარივით
უცნობ ოჯახში ჭეიფით მთვრალი
გაალებს კარებს, მაგრამ კარივით
ისევ ეძახის ფხიზელი მტკვარი.

მეთევზის სტუმრობა



ამგვარ ლამეში გული მიქეზებს,
ჩაშრიალებენ ფიქრებს შაირნი,
გრძნობა დაეხარჯე, ფრთები დავკეცე
და ვიფურცლები ნაირნაირი.
გარეთ იფეთქებს წვიმა მაისის,
უჩინარ ფერით შედის ლამეში,
წვიმის ქუჩუნი ნელა გაისმის
ფეხაკრეფილი მტკვარის შხარეში.
ამ დროს მეთევზე მოდის საწყალი,
ფანჯრის სინათლე მგოსანს შეპყარა,
ირველივ დაყარა თევზი ცოცხალი
და ჩემს სტრიქონებს გადაეფარა.
ამოცვენილი წყლიდან თევზები
კანკალებენ და ნაწვიმარს გვანან,
წყალმა წაიღო მათი ფესვები,
წაიღო ფუძე და გადიტანა.

ხელს შეახებ და მოკვდება თევზი,
სტრიქონი ხელის შეხებით სცოცხლობს,
თევზს ეკარგება ოთახში ფესვი
და ეკუმება თვალეში მომცრო.
სტრიქონი ეძებს სხვის გულში ბინას
და ხავერდით თხოულობს ალერსს,
მგოსნის სულშიდაც მებადურს სძინავს
და მხოლოდ წყალთან გაახელს თვალებს.
თევზი წყალში და სტრიქონი გულში,
გაფანტულ ქარში ხეების ფეთქვა,
დამფართქალებდენ დღესა და გუშინ,
რომ შესაფერი გალობა მეთქვა.
ჩემო მეთევზე, ფიქრები წიაღს
მოწყვეტილან და ხალხთან წასულან,
გულიც ვარდით უღიმის ნიავს,
თუ კი სიხარულს ვიღებ პასუხად.
ჩვენ ვცხოვრობთ მთაში, გადაშლილ ბარში,
ქარიშხალში და მდინარის გულში
ჩვენ ვცხოვრობთ ხალხში და ხალხის ქარში.

სიხარულში და ბუნების სულში.
 ფერებს და სურნელს გრძობაში ეპოვებდ
 საგნების სითბოს — ბუნების ეშში,  **ერკინული**
 ჩვენ ვეტრფით წყალთან შენ სიახლოვეს **მზალიერისა**
 და როგორც ბადე ეირხეით ლექსში.
 მშობელისა და მშრომელის ფერი,
 ან მომხიბლავი წვიმა მაისის
 წარბზე დაყრილი წიგნების მტკერი
 და სილამაზე მეგრულ დაისის,
 ეს ყოველივე ჭაბუკის გულში
 მოგროვდება და მდინარეს ბადებს.
 და თუ ავხსენით ტალღები გუშინ
 დღეს ამოვიღეთ ჩვენ სავსე ბადე.
 შემდეგ, როდესაც ალიონივით
 შეგვეპარება ქალარა თმაში,
 დავმწიფთდებით და წელთა რონინი
 სიბრძნეს ჩაუშვებს დადგენილ ხმაში,
 თევზი წყალში და ხეები ბარში,
 ბუნების შექმნე აზრი და გული
 შეთანხმდებიან შაირის ქარში,
 როგორც ცხოვრება და სიყვარული.



ლიბიტრი გულია

აფხაზი პოეტი

ხოჯანდუ

თაემომწონეა ხოჯანდუ
რით არ არის დიდი კაცი?
სახლ-კარი აქვს ჩინებული,
ეზო, ბალი — თვალწარმტაცი.

ჰყავს ურიცხვი საქონელი:
ძროხის ჯოგი, ცხვრების ფარა,
ყოველდღე ჰკლავს, არ ილგვა
მდიდარია ის უქნარა.

მუდამ ყვლეფდა ქერივს და ობლებს,
გლებებს ამოართვა სული,
ბევრი შორს გადაასახლა,
სხვებსაც სჩაგრავს თავასული.

მეზობლები გადაჰკიდა,
ბევრი სისხლი დაიღვარა,
მტრობამ სულ გაანადგურა
სოფლად დიდი და პატარა.

და ხოჯანდუ კი იცინის,
თანაც ქელეხებში თვრება,
მეზობლების ჭირი აღხენს
სიხარულით ცასა სწვდება.

ხოჯანდუს ჰყავს შვიდი ვაჟი,
ერთმანეთზე უკეთესი,
ყაჩაღობის და ჭურღობის
მათ იციან შნო და წესი.



თავის კანონს თვითვე სწერენ
და ნაჭურღალს აგროვებენ,
ვინც გაბედავს შეედავოს
ცოცხალს აღარ დასტოვებენ.

ასეთი ჰყავს ყველა ვაჟი
თვით მამაზეც ავი, ყბედი...
დღეს ხოჯანდუ ზარალშია
მათაც ელით იგივე ბედი.

ჰა გამოჩნდნენ მისი მტრებიც,
ვის სახლ-კართან მიდგენ აბლოს,
აწვალებდა ის მშრომელ ხალხს,
ხალხი უხდის დღეს სანაცვლოს.

ხოჯანდუს რა მოუვიდა?
ის დიდ სიფათს შეეყარა
ჩამოართვეს მთლად ჭონება,
ჯოჯები და ცხვრების ფარა.

ეხლა ვინღა შეიბრალებს,
თვით ხომ უღმობელი იყო?
ხალხს არაფრად არ ავღებდა,
დღეს კი ხალხმა ის გარიყა.



ალექსანდრე ქუთათელი

პიროსპირო

რომანი
მეოხე წიგნი

სარკონია

„მშვიდობით ქუთაისო,
აპრილო და მაისო“...
(მსოფლიო ომში მიმავალ ქართველ
ჯარისკაცთა სიმღერა)

ჯარისკაცი გადმოხტა მატარებლიდან თავისი ბარგი-ბარხანით და აჯამეთის ტყისაკენ გაეშურა. შაპუნა წვიმა მოდიოდა. ჯარისკაცმა ტყით იარა, მერე ბნელემთის აღმართს მიადგა და წინ გადაშლილ მდინარის პირად შეჩერდა. მსოფლიო ომიდან ბრუნდებოდა. ოთხი წელია არ ენახა სამშობლო მხარე: ეს მთები და ტყე. არემარე ესხვა-ფერა. მხოლოდ პატარა, გაქვარტლული წისქვილი იდგა უცვლელად ისევ თავის ძველ ალაგას. მთის ჩქარსა და აჭაფებულ მდინარეზე ძელქვის მორი იყო გადებული, გაიარა და წისქვილში შევიდა. ცეცხლის გარშემო მეწისქვილე და ჩალვადრები ისხდნენ. სვირიდან წამოსულ ჩალვადრებს სველი პაჭიკები და წულეები მიეფიცხნათ ცეცხლზე, ორთქლი სდიოდათ. მოხუც მეწისქვილეს ტომარა წამოეხურა ჩაბალახის მაგივრად და ტომარის სველბ ყური შუბივით ედგა თავზე. დაკონკილი ხალათი ეცვა და კვირისთავამდე დაკარწახებული შალვარი. ტყის ზღარბივით გაბუძვული სჩანდა. ფქვილშეფრქვეული წვერულვაშისა და წარბების ფერის გამოცნობა ძნელი იყო. მეწისქვილემ იცნო ჯარისკაცი. ტურნეზე დააკვდა. სიხარულისაგან ათუხთუხდა:

— საწყალობელმა გოჯაპირმა სამჯერ გამოვიტირა, ვალაქტიონ, შენ კი ცოცხალი ყოფილხარ!

ჩალვადრებიც მიესალმნენ წვიმით გაწუმბულ ჯარისკაცს, რომელსაც აყალო მიწით ამოეგვარგნა ჩექმები, ხოლო ბუხრის ქუდიდან წეროწორით ჩამოსდიოდა წყალი. ჯარისკაცმა გამოჰკითხა მეწისქვილს სოფლის, ცოლშვილის, მშობლების, ნათესავ-მეზობლების ამბავი და ჩაუთქვა ყველანი კარგად ყოფილან, მაზარა და ბუხრის ქუდი გაიბურტყა, ცეცხლზე გაიშრო სველი ხელი. თუთუნნი გააწყო და მერე წასვლა დააპირა. მეწისქვილე სახელოზე ჩამოეკიდა:

— რამდენი ხანია არ მინახებარ, ვალაქტიონ, იმ დასაწვავი ომიდან ჯანმრთელი დაპიბრუნდი ჩემი გოჯასპირის შვილი და რაღა კაცი ვარ ქვეყანაზე და რაღა მეზობელი ცოტა რაღაცა პატივი თუ არ გეცი? — სიტქვა და განჯინისაყენ გაიწია, მაგრამ ვალაქტიონმა ხელი წაავლო:

— შენ კარგად იყავი, ჩემო ხარიტონ, და ერთმანეთის პატივისცემას კი მევესწრებით!

— რა დროა, ხომ ხედავ? კარგათ ვინ მამყოფებს!? — უპასუხა მეწისქვილემ და ვალაქტიონს აპხედა.

ჯარისკაცი მაღალი და ახოვანი ვაჟკაცი იყო, მხარბეკიანი, სანაშენო ბულსავით სქელი და მაგარი კისერი ჰქონდა, შავი ბრიალა თვალები. სარკელა არაკუნებდა. წისქვილის ბორბლები და ქვები-დოლაბები გრი-ალით ტრიალებდნენ, სიმიდს ფქვავდნენ და ფქვილის მტვერს აყენებდნენ. ერთი თვალი სუფთა ფქვილს ჰყრიდა და ერთიც — ღერლილსა და ჭატოს. ჯარისკაცმა ხელისგულზე დაიყარა შეხურებული ფქვილი, ენის წვერი დააწო, გემო გაუსინჯა და მეწისქვილეს შეეკითხა.

— რამდენი ხანია, ხარიტონ, რაც მეწისქვილედ ხარ?

— ქე იქნება ბარე ორმოცი წელიწადი!

— სამყოფი ფქვილი თუ გრჩება?

— სადღაა, ვალაქტიონ, სამყოფი? ამ ომმა დიდი შიმშილიანობა ჩამოაგდო. საფქვავე სიმიდნი ოტია მდივნის მეტს მთელ ზემოთში ერთ კაკალ კაცს არ შეეძებოდეს იქნება! ხომ ხედავ ამ ოთხ ტომარს მიეჩერებივარ?

— სიმიდნი ზემოთში სულმთლად მოისპო! — ჩაიქნიეს ხელი ჩალვადრებმა, რომელთაც ღვინო გადაეცვალნათ სამეგრელოში სიმიდზე.

ვალაქტიონმა მოიწყინა. მოაგონდა სახლკარი, ცოლშვილი, მოხუცი მამის გოჯასპირის ანაბარად მიტოვებული ამდენხანს. „იქნებ შიმშილით სული სძვრებათო!?“ — გაიფიქრა, გამოემშვიდობა მეწისქვილეს და ჩანჩურა, ჩულიან ჩალვადრებს:

— მშვიდობით, ხარიტონ, აღარა მაქვს შეცდის დრო!

ხარიტონმა და ჩალვადრებმა ვააცილეს. წისქვილის ბოლოს გავიდნენ. ჯარისკაცმა მაზარის საყელო აიწია, შაშხანა კონდახით თაემალა გადაიკიდა. ვაჟკაცურად მიალაჯებდა მდინარის პირად. თმაგაშლილი, ზომ-

ტირალი ქალებივით დაეშვათ მდინარისაკენ ტოტები ძეწნის ხესა და ტირიფებს.

— ჰო, რა დევი ვაქვაცია! — ჩაილაპარაკა ჩალვადარმა.

— გოჯასპირის ჯილაგია! — უპასუხა მეწინავეს.

საღამო ეამი იყო. ღრუბელი მალალი მთების მიღმა, ჩრდილოეთისაკენ გადავიდა, ჩაეშვა და ჩაიკუპრა. ცა მოიწმინდა დასავლეთით. გამოიდარა. ჯარისკაცი ბნელმთის აღმართი, შეუდგა, ვეიანსა და აყალო მიწიანს. წყალი ვერ ატანდა თიხიან ნიადაგში. თხრილში და დაცემულ ადგილას გუბე დგებოდა. აღმართიან გზაზე წყალნარევე რძესავით მოწინავედებოდა მღვრიე ნაკადი. წითელი ტალახი იზილებოდა, იგლესებოდა, ზედ ფეხი ცურებოდა, და მთაში სიარული ვაჭირდა. ჯარისკაცს ქშენა აუფარდა. ჯარში სამსახურს, ომში ტანჯვასა და ჯაფას. ჭრილობას მოუტეხნია ვაქცია. განა ასეთი ტვირთი და აღმართი დაძლიდა მას ომამდე, როდესაც იგი ოტია მდიენის მამულში ან მამა გოჯასპირთან ერთად მუშაობდა და სთოხნიდა მალალი მთის კალთაზე დაკიდულ ყანას? მთებს გაჰხედა. მოაგონდა ბავშვობა. იმ ლამაზ გორაზე ესწყესავდი ოტია მდიენის ნახირსო — გაიფიქრა.

ჯარისკაცი თავის სამშობლო სოფელს სარკოიას უახლოვდებოდა. მთის კალთებზე ვენახი გაუშენებიათ. სხვა ჭირნახულის მოწვევას დიდი შრომა და ჯაფა სჭირია სარკოიაზე. მთაში როდია მდინარის არხებით მორწყული, გაშლილი ფართობები: სახნავი და სათიბი. მალალი მთის კალთაზე მცირე და მწირი მიწაა, ისიც მემამულისა და სახაზინოა. რაც უნდა ბევრი იშრომოს, მაინც ერთი მუკა. ცუდი მოსავალი მოდის. მაგარი მუხლი და მკლავი უნდა პჭონდეს მთაში გლეხს. რომ დედამიწას წლის სარჩო წაართვას, ახსოვს ვალაქტიონს: წელზე დაიხვევდა თოკს, თოკის ბოლოს ხეს ან მაგრა ჩარჭობილ პალოს მოაბამდა. ასე უტევდა ხეესა და ნაპრალებზე დაკიდულ მთის ქვიან კალთას. დიდი შრომით და ჯაფით იწვევს სარკოიაზე ჭირნახულს გლეხი.

აჯამეთის გადაღმა ნელინელ ცხრებოდა მზისგან დანთებული ხანძარი. შემწვხრდა. აღმართზე დაკარწახებულ მოხუც გლეხს წააწყდა ვალაქტიონი. მთელი ტანის სიმძიმით ებჯინებოდა წელში მოხრილი, დაღეული ბერიკაცი ყავარჯენს დაჯღანული წიფლითა და კვინცხით დაბურულ ხევში. მისი მოწითანო ხალათი, შარვალი და დაგლეჯილი ჩაბალახი ამ აყალო მიწისფერი იყო, მისი გამხმარი და წვრილი წვივები ვაზის ხესავით დაგრებილ-დაღვარქნილი, ხოლო კალარა წვერულევაშით გაბუძვული მისი სახე — ამ ხავსმოკიდებულ, ხიოჭ და ბებერ კვინცხასავით დამქნარი, დაღმეკილი, თითქო ბნელმთა და ეს მოხუცი საუკუნეთა მანძილზე შეჰხამებთან ერთურთსო. ბებერ წიფელასთან შეჩერდა. ყავარჯენს დაეყრდნო და ჯარისკაცისკენ მიიქცია მჯილისოდენა თავი: ჩურჩხელასავით დაკვარჩხული თითებით გადაიწია სახეზე ჩამოფხატული, სველი

დაკონკილი, კორძივით განასკეული ჩაბალახი და, რა დაინახა უცნობი ჯარისკაცი, გაირინდა. ქუთუთოშემოგლეჯილი, წყლით სახე და წყლისფერივე განცვიფრებული თვალები დაახამხამა, თითქო ბნელმთის წიფელასთან შეშინებული, უცნაური, ტყის რომელიღაც მტკიცე მწიღება იხედებო. დიდხანს იდგა ასე გამოყრუებული ბერიკაცი გოგასპირს მღუმარე სახით და არ ამორებდა ჯარისკაცს უაზროდ გაშტერებულ, განცვიფრებულ თვალებს. დიდხანს უცქირეს ერთმანეთს და მერე ჯარისკაცმა ჩასძახა ყურჩალას:

— გამარჯობა, ბაბუა თეოდე!

თეოდემ ბორძიკით წასდგა ნაბიჯი ჯარისკაცისკენ. წაიფორხილა, კინალამ არ წაიჭკა, ყავარჯენი მოიშველა, თვალზე ხელი აიფარა და შეეკითხა:

— რომელი ხარ, ბაბუა?

— გალაქტიონი. გოჯასპირის შვილი. ვერ მიცანი?

— გოჯასპირის შვილი? გალაქტიონი? უიმე! — შესძახა უკბილო მოხუცმა უცნაური, გამყივანი, ქალივით წვრილი ხმით. ხელები გაშალა: „მოდ, ყვერებო“, — დაამლერა და გულში ჩაიხუტა ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი. ქიამცვდარა, წირპლიანი თვალები დახუჭა. ცერით და საჩვენებელი თითით მოისრისა და ცრემლი ამოიწმინდა. გაყვითლებული სახე დაეღმიჭა. გალაქტიონის ამხანაგის რაედენ ტურიაშვილის პაპა იყო იგი, ბატონყმობის, ქამიანობის და „პახოდობის“ მომსწრე კაცი. უფროსი შვილიშვილი, რაედენის ძმა სახადმა წაართვა, ხოლო ამის მომყოლი ოცდათექვსმეტი წლის ვაჟკაცი — პროკოფი მსოფლიო ომში წეიყვანესყე, არც იმას დაადგა საშველი. წახდა დროება, ბაბუა, მოხუცი:

— ვაი, ჩემს შავ დღეს, გალაქტიონ, რა მომწიფებული და საიმედო შვილიშვილი დამეკარგა მე უბედურს!? პროკოფის ცოლშვილი ჩვენ კისერზეა. ჩემისთანა ბებერის მუშაობა აწი რალას ვარგა?! ნესტორი (თავის შვილზე — რაედენის მამაზე ამბობდა) ქე მეხმარება, მარა რაედენი რომ ომში წეიყვანესყე, არც იმას დაადგა საშველი. წახდა დროება, ბაბუა, არც მამაშენს გოჯასპირს დადგომია კაი დღე... — მოხუცმა ერთბაშად შესწყვიტა სიტყვა. გალაქტიონმა ექვის თვალით გადახედა:

— რამე უბედურობა ხომ არ მომხდარა ჩვენსას, ბაბუა თეოდე?

— არა, შე კაცო! შარშან გოჯასპირს და ნესტორს უთხრა ოტია მდივანმა: გალაქტიონი და რაედენი ომშია, თქვენ ბებრები ხართ, მუშაობა აწი აღარც ქე შეგიძლიათყე და ვერ მოგცემთ ყვირილაზე ყანას საზიაროთო. სიმინდი ახლა აღარც ნესტორს და აღარც იმ საწყალობელ მამაშენს გოჯასპირს შეეძვეათყე!

ნეკისოდენა, დაღუული და დავრდომილი მოხუცი ოფლში გაიწურა. გაფითრდა, დიილალა, შეჩერდა და შეისვენა. სული ეხუთებოდა.

ძლივს სუნთქავდა. გალაქტიონმა ზედაზენს გააჩხედა: შორს მთაზე მალა-
ლი ალვის ხეებით გარსშემორტყმული მდივნების ორსართულიანი ქვეთ-
კირის სახლი მოსჩანდა:

— ოტია მდივანო, შენი ღმერთი კი...! — შეუტყურობს გალაქტიონმა.
ასეთი საუბრით შევიდნენ გალაქტიონი და თეოდე სოფლის ორლო-
ბეში. ეზოებში არავინ სჩანდა. ფაცხები და პატარა ოდები მდუმარედ
იდგნენ და წვიმით დასველებულთ თითქო სახე ჩამოსტირითო. აქა-იქ
სარზე ჩამორჭობილ, წვიმით ჩამორეცხილ ცხენის თავის ქალას კბილები
დაეკრიჭა, და თეთრად ანათებდა მისი შუბლის ძვალი სიკვდილის ასა-
ცდენად და მის დასაფრთხობლად. კაკლის ხეებს წმ. ელიას წნელი ერ-
ტყაო ტანზე, ჭია ან სენი რამ არ გაუნდესო. ერთ კაკლის ქვეშ დასკუ-
პებული მუცელგამონწლევული ნაგაზი უმოწყალოდ ყმუოდა.

— სხვა კიდო რა უბედურება უნდა დეემართოს იმ ბედდამწვარ ტა-
რასიას? შეილი ომში მოუტლესყე! — სთქვა თეოდემ და როდესაც ნაგაზ-
მა ისევ გააბა ყმული: „პატ, იქით! პატ, იქითო“. — დაუცაცხანა, დაფა-
ცურდა, ქვა აიღო, ესროლა და კოჭში მოარტყა ხელმარცხიანმა. ძალდი
წკაეწკავით გაიქცა.

მეზობლის ძაღლებმა ყფა ასტეხეს, ლობეს გადმოველენ თავზე,
თეოდეს და გალაქტიონს დაედენენ. გლებებმა თავი გამოჰყვეს კარებში.
იცნეს გალაქტიონი. ეზოში გაძორბოდნენ. შეიქნა ხვეწნა-კოცნა. ხმა გა-
ვარდა, გოჯასპირის გალაქტიონი ჩამოსულაო. ხალხი ჯარად მიჰყვებოდა
ორლობეში ჯარისკაცს. თეოდე არ შორდებოდა: პირველად შე შეგვეყ-
რე და სახლამდი მე უნდა მიგაცილო გოჯასპირის მახარობლადო. სო-
ფელს უყვარდა გალაქტიონი: იგი სარკოიას ფალავანი იყო, ვაჟაკობით
განქმებული, ღონიერი, ხელმარჯვე.

როდესაც ჯარისკაცი ჭიშკარს მიუახლოვდა, დღე და ღამე იყრე-
ბოდა. ჭიშკრისკენ ქალარა მოხუცი გოჯასპირი მობაჯბაჯებდა უკან შეი-
ლები სევერიანე, ბიქია — გალაქტიონის უფროსი ძმები, ამათი ცოლები
მოჰყვებოდნენ, მერე ბავშვები. გალაქტიონი ლობეს ნიაწყდა. სარს წაავლო
ხელი და გულმა რეჩხი უყო: თავისიანებში ისე ვერ ხედავდა დედას, ან
ლოვინად ჩავარდნილა დედა, ან გარდაცვლილა, თორემ მას ვინ მოას-
წრებდა ჭიშკრისკენ წამოსვლას და ჩემი სახელის დაძახებასო, — ფიჭ-
რობდა ოთხი წლით სოფელს განშორებული ჯარისკაცი. კულულებიანი,
პატარა გოგონა ჩაჰფრენოდა გალაქტიონის ცოლს კაბაში და წკრილა
ხმით ჰყვიროდა ბაბა, ბაბაო. მწუხარე ფიჭრს ეხლა სიხარული მიემატა:
ცოლი ორსულად დაეტოვე, ალბათ, ეს ჩემიაო.

თეოდემ ჭიშკარი გააღო, დაბარბაცდა, ნიკაპი აუთამაშდა. ძაგდავით
ზორთო ყვირილი ტყის კაცივით უცნაური, მყივანი და კატის კნავილივით
წვილი ხმით:

— გოჯასპირ, რას მომცემ სამახარობლოს, გალაქტიონი მოგიყვანე! ამ უცნაურ და დიაცებთ მყივეან კივილში და ქაჭკაჭში მხოლოდ ხმოვანი ო, ა, ი, ე, ისმოდა. ბავშვებმა ხარხარი მორთეს: მამა და შვილი მოეხვივნენ ერთმანეთს. მერე ძმები, რძლები, ძმის მძინარე და გოლოს თავისი ცოლი ასინა გადაჰკოცნა. გალაქტიონმა ხელში აიყვანა ოთხი წლის ტიტლიკანა გოგონა. მიუღერსა. ვაკვირვებით ათვალიერებდა თავისებურ შავტუხას, რომელიც მამასავით დიდრონ და ლამაზ შავ თვალებს აბრიალებდა. გოგონამ დედის სახეც მოაგონა გალაქტიონს. ტანთ გააერუოლა. ერთბაშად დასვა შვილი მიწაზე. ჯერ პატარა ფიცრულ სახლს გაჰხედა, მერე მამას გოჯასპირს მიატანა თვალი. მოხუცი გოჯასპირი დანათოვ მუხასავით იღგა ეზოში. მასთან შედარებით დაბლები სჩანდნენ გლეხები, მეზობლები და ქონდრის კაცი თეოდე.

— დედა სად არის! — შესძახა მამას ვაფთორებულმა ჯარისკაცმა.

— დედა მოგიკვდა, შვილო, გალაქტიონ! — რისხვასავით გაისმა გოლიათი მოხუცის ბუხუნი ეზოში.

გალაქტიონმა ბუხრის ქუდი მოიხადა, შუბლზე ხელი იტყიკა და საშინლად შესძახა:

— დედა! — ამის შემხედვარე ქალებმა გულშემზარავი კივილი მორთეს:

— დედავ, მართა, შე უბედურო!

ომიანობის ფაშს ქირს შეჩვეული სოფელი კვლავ შესწარა ქირისუფალთა შეცხადებამ. ქალები თმაში ივლებდნენ ხელს. პირის კანს იხოკავდნენ, ხორცს ივლეჯდნენ ფრჩხილებით. ამ საერთო ზრიალში გულსაკლავად გაირჩეოდა, გალაქტიონის ცოლის ასინას ტირილი: „დედეა, მართაა!“ მოსთქვამდა ტკბილი, დაბალი ხმითა და ლალანით დარბაისელი ქალი. გოჯასპირი ქვითინით გაიგუდა. თავში ალი უფარდა. მალმალ არხედა ჭლალ, ხშირსა და ფონიან წარბებს. აედარში აზრიალებული წიწილებივით ჭიოდნენ ბავშვები. სამი თვე იყო გასული, რაც გალაქტიონი ჯარში წაიყვანეს, და სწორედ მაშინ მომკვდარა ანთებით მისი დედა სამოცდა ათი წლის მოხუცი მართა. ხალხით სავსე ეზოში ისმოდა მწარე ქვითინი, გლოვა და ზარი... ქირისუფლებმა ტირილით მოიოხეს გული, და მეზობლები წაყვილ-წამოვიდნენ.

სარკოიაზე ორმოციოდე მოსახლე იქნებოდა. გოჯასპირი და მისი შვილები, გოჯასპირის ძმები და მათი შვილები — ყველანი ერთი გვარისა: გელაშვილები. გელაშვილების გარდა სარკოიაზე ცხოვრობდნენ რაყდენის მამის ნესტორის საზლიკაცები — ტურიაშვილები. თეოდე ტურიაშვილის გარდა ყველაზე ხნიერი და გავლენიანი იყო გოჯასპირ გელაშვილი: ოთხმოცი წლის მოხუცი. სარკოია მთის ოღნაე დაქანებულ კალთაზეა. აქა-იქ მუხის ფიცრის პატარა სახლიცაა. სახლი უცხო მეტად ფაცხები. გოჯასპირის და გალაქტიონის საყრდენი ხანდაჟამად ეზო ოტია მდივწის მამულს ეკვროდა. გოჯასპირის მიწა დასავლეთ სარკოიაზე აღებულ

ამ მამულს — შეიდ დესეტიანა ვენახს — ბუნებრივი ღობე ერტყა გარშემო: ორმწკრივად ჩარგული ეკლის ხე. მამულს გოჯასპირი და გოლაქტიონი უღლიდნენ, ხოლო როდესაც ვალაქტიონი ჯარში გაიწვიეს, გოჯასპირს სევერიანე და ბიქია შეელოდნენ. წინად სარკოიძეც დაეხმარებოდა ტყე ყოფილა, მაგრამ ეხლა ძალზე შეთხელეებულა მუხანსაძეც და ახლო-მახლო სოფლების გლეხები სულ მთლად აპირებდნენ მის მოჭრას და საყანე ადგილად გადაქცევას: მოჭრილი მუხა მეშად და საშენ მასალად გამოვიყენოთო, ამბობდნენ.

ამ ხნობით ერთმა საინტერესო მოვლენამ იჩინა თავი: ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცთა ქადაგების მეოხებით, ადგილობრივი გლეხობა თავის კარმიდამოს გვერდით მდებარე სახაზინო ან მემამულეთა ტყეს, საყანე ადგილებს, ვენახსაც კი გლეხთა შორის გასაყოფ მიწებად და მამულად სთვლიდა. ამით იყო გამოწვეული გლეხთა თვითნებობა და ალაგ-ალაგ მემამულეთა მიწების დატაცებაც კი. „ამ დასაწყევამ მიწაში ოფლი ვაქციო, ქირანახული მოვიყვანო და შერე ნახევარზე მეტი ვიდაც უღმერთოს, უშრომელს ვაძლიოთო?“ — ამბობდნენ. რაჯდენ ტურიაშვილი ვალაქტიონზე ადრე ჩამოსულიყო ფრონტიდან. ვალაქტიონის სახლი კერად იქცა რევოლუციურ გლეხობასათვის. იმის იქით მოსახლე აღარ იყო. სარკოიძე საზღვარია სოფელ ზედაზენსა და ქიპიკონას შორის. აქ გოჯასპირის შვილთან — ვალაქტიონთან იყრიდნენ თავს ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. აქ ანთხევდნენ მდიდარი მემამულეებისა და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ზიზლსა და სიტყლვილს ახლო-მახლო მდებარე სოფლების ღარიბი და ღატაკი გლეხები.

გოჯასპირი

ცეცხლით გაჩაღებულ ბუხრის წინ გოჯასპირი, ვალაქტიონი, თეოდე ტურიაშვილი, თეოდეს შვილიშვილი — ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი რაჯდენი და რაჯდენის ამხანაგი გიორგი აბესაძე იხდნენ. ქოხს მიწის იატაკი ჰქონდა. შუაზე ორი სვეტი იდგა და ზედ გადებულ დირეს საბჯენებით აწევებოდა სახურავის სიმძიმე. ორ სვეტს შორის სასაფილო სუფრა იდგა და გარშემო — სკამები. სუფრაზე კოკა ჯამი და ჭიქები ეწყო. სვეტს იქით ფარდა იყო გაქიმული და ამ სვეტთა მიღმა გადარჩენილი პატარა ფართობი გაეხადათ ვალაქტიონსა და მის ცოლს ასინას საძინებელ ოთახად. აქეთ გოჯასპირ და მართა იძინებდნენ წითლად შეღებილ ტახტზე. ერთზე ლეიბი, საბანი, ბალიშები ეწყო და სუფთა ზეწარი ეფინა. მეორე ყუთივით იხსნებოდა. შიგ შრავალგვარი ნივთები ელაგა. კუთხეში დაბალი განჯინა იდგა, რომელშიც სადილისთვის საჭირო ჭურჭლეულობა და თვით საქმელი ინახებოდა. სახლს წინა და უკანა კარი ჰქონდა და გაზეთის ქალაღლით აწებელი ერთი პატარა ფანჯარა. ბუხრიდან მარცხენა კუთხეში ქვაბები, კოკები,

სხედასხვა ზომის ორშიმო, ხრიკა, ქვევრის სარეცხი — თავგასპირ, ბარნიჩაფი, ფიწალი, თახები, ცელი, ცული, ბირდაბირი და სხვა იარაღი ეწყობა, ელაგა და ეყუდა. ბუხრის მარჯვენა მხარეს ლოგინი ჩაქმნილი ქალაქტიონის რვა წლის გოგოს აწვენდნენ. საქონლისათვის მსხვილსავევრის აოსელი ჰქონდა ამწენებელი გოჯასპირს. იქ იყო მისი ერთი უღელი ხარი, ძროხა, მოზვერი და უშობელი. ლაფაროში ურემი იყო აყუდებული. ეზოს ყურეში სასიმინდე და ბეღელი ედგა გოჯასპირს. პატარა ეზო მდებარეობდა მთის დაქანებულ კალთაზე. ალიზიან და ქვიან ნიადაგზე ბალახი ფესეს ვერ იკიდებდა. სახლის უკან, ცაცხვის ქვეშ საერთო მარანი ჰქონდათ გოჯასპირსა და მის შვილებს. მამისა და შვილების სამოსახლოც საერთო ეზოს წარმოადგენდა და ღობე არ ჰყოფდა ერთერთისაგან.

სახლის უკან ვაშლი, მსხალი, ლელი და ბროწეული იყო დარგული, წინ — კაკლის ხეები. ეზო უშუალოდ ეკვროდა ოტიას მამულს.

ბუხართან იჯდა ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხი გოჯასპირი. თეთრი წვერი წელამდე სწვდებოდა. ირგვლივ შვილები, შვილიშვილები ეხვივნენ. მორგვივით სქელი კისერი დასტკნობოდა. სახე მაინც ჯანშრთელი, წითური ჰქონდა. მაღალი ცხვირი. გაფანჩულ წარბებიდან ორბისმაგვარ ქოლა თვალებით მისჩერებოდა ფრონტიდან დაბრუნებულ შვილს. ომის ამბავს ეკითხებოდა. თითონ კი აქაურს უამბობდა. დახეული წულები ეცვა და შალის წინდების ყელში ჩატანებული შარვალი. დაგლეჯილი ჩოხა ემოსა. გალაქტიონის უფროსი ძმები სევერიანე და ბიჭია ტანსაცმელდაგლეჯილნი, დაჩაჩანაკებულნი სჩანდნენ. ეტყობოდათ ოჯახისა და საკუთარი თავის რჩენა ძალზე გასკირებოდათ. უფროს ძმებს და გალაქტიონს შორის სამი და იყო, ისინი მახლობელ სოფლებში იყვნენ გათხოვილი. ძმები სევერიანე და ბიჭია ერთი ათი წლით და მეორე რვა წლით მაინც იწნებოდნენ გალაქტიონზე უფროსი. სევერიანეს წაბლისფერ წვერშიაც უხვად შეპარვოდა თეთრი, ბიჭიას კი — ტუჩების გარშემო. გალაქტიონის ბავშვობის მეგობარს, კარგ ამხანაგს — ჯარისკაცს რაფდენ ტურიაშვილსაც დასტყობოდა წლები: თმა დასცვენოდა. კვინიხი მოსტყლეუზოდა. ვამზდარიყო კისრის ძარღვები დასტკინთოდა. სახე პილპილის ფრად აღანძოდა. მკრელი თვალები კატასავით ანთებოდნენ. ეტყობოდა ღვინო გადაეკრათ მას და მის სტუმარს — ჯარისკაცს გიორგი აბესაძეს, დაბალ, ჯმუხსა და შევევრემან ვაჟკაცს. ნაგანები დაეკიდათ. წელსზევით ჯარისკაცის ხალათები ჩაეცვათ, ხოლო წელს ქვევით — სოფლური შარვალი, პაქიქები და წულები.

ცოტა ხნის შემდეგ გოჯასპირის ძმა ნიკიფორე შემოვიდა. იგი სამოცი წლის კაცი იწნებოდა. გოჯასპირზე უფრო დაბალი იყო. მასზე ნაკლები ქალარა და გაცილებით უფრო მოკლე წვერი ჰქონდა. სხაფრივ სულშთლად გოჯასპირს ჰგავდა ადრე ევახშმა. დაწვრილებით უნდოდა გაეგო ფრონტის ახალი ამბავი ქალაქიდან ჩამოსულ ძმისწულისაგან. ბუხართან,

მიწაზე ძველ ტომარევიტ და ძონძივიტ დაგდებული, გულბოცე გამთფარი და ჩაძინებული ბაბუა თეოდე დაინახა და გოჯასპირს უთხრა:

— გააღვიძე, შე კაცო, ცოდეაა, სახლში გაუშვი. *ქარქინულა*

— არას გზით არ წაევა, — უპასუხა თეოდეს შეილი შეილმა რაქდენმა. *გაგაქინულა*

თეოდე ტურიაშვილს დაკონკილი, ათასნაირად დაკერებული და ხამი შალის ხვანჯრიანი შარვალი კვირისთავებამდე დაეკარწახნა. გამხმარი, ბანჯგვლიანი კანკები ჰქონდა. დახეთქილი, კოჭრიანი და ტალახში ამოსერილი ფეხები, აყალო მიწა შეშრობია ხახადაღებულ, მიხრწნილ მოხუც ცეცხლის პირად და თითქო თეთრი, დაბზარული თიხის კანკები გამოუბამთო. ეხლა რვა მამაკაცი იყო ამოღებულ კრაქითა და ბუზრის ცეცხლით განათებულ ამ პატარა ქოხში. მამაკაცთა გარდა კიდევ იყვნენ: სევერიანეს ცოლი — ეკვირინე, ბიჭიას ცოლი ივლიტე, მათი შეილები და გალაქტიონის ცოლშვილი. გალაქტიონს ფეხი დაბანინეს ქალებმა ცხელი წყლით, შალის წინდები ჩააცვეს და ჯღანებში შეადგმევინეს. მუხლზე თავისი პატარა გოგონა — თინიკო დაესვა. ეფერებოდა — „ბაშტავებდა“, როგორც გოჯასპირი იტყოდა ხოლმე. გვერდზე მთელის ტანით მისწოლოდა რვა წლის თამარი, „შავტუხა, აკანქალებული“ — ესეც გოჯასპირის სიტყვებია.

— ასინა, გალაქტიონზე უკეთესი სხვა ვინ ჩამოგვია! დაფაცურდი: ვახშმის დრო გადავიდა! — უთხრა გალაქტიონის ცოლს გოჯასპირმა.

ქრელკაბიანი, თავსაფარიანი, გამხდარი და სათნო სახის ქალი ასინაც ამას ელოდა: თინიკო ხელში აიყვანა, ივლიტეს გადასცა, შეეხვეწა: მიშიხედო, თითონ კი ეკვირინე გაიყოლა და გარეთ გავიდა ცოტა ხნის შემდეგ ქათმების კრიახი ვაისმა და სანამ გახურებულ პატარა კეცზე წაბლის ფოთოლში გახვეულ ქადებს აიღებდნენ, ერთიმეორეზე დაალაგებდნენ და დაახვავებდნენ. სანამ ქათმებს ქვაბში მრგვლად მოხარშავდნენ, ნიორწყალს გაუყეობდნენ და სუფრას გაშლიდნენ, გოჯასპირმა ბუზრისპირად, დაბალ სუფრაზე — ტაბლაზე ქაქის არაყი, კომში და ჩურჩხელები შოატანინა ივლიტეს. უზარმაზარი თათით აიღო ტიკტორასავით წელში გამოქირებული ღვინის პატარა ჭიქა, შიგ არაყი ჩაასხა, სინათლეზე გაჰხედა, რამდენზე ჩაეხსნო, ხშირი და გაფანჩული წარბები შეათამაშა, გალაქტიონის სადღეგრძელო დალია და სოფელში ჩამოსვლა მიულოცა.

— მადლობა ღმერთს შინ მშვიდობით დაგვიბრუნდი! გალაქტიონს ვაუმარჯოს! — იცოცხლე, გალაქტიონ! — გადადიოდა ხელიდან ხელში არყით სავსე ჭიქა, მერე გოჯასპირმა წელზე დაკიდულ ქარქაშიდან დანა ამოიღო, კომში გათალა, დასჭრა და სუფრაზე დააწყო. ფეხშიშველი თამარი ბუხართან დაცუცქულიყო. ცეცხლი ბეჭტავდა, ამოღებდა. მერე ერთბაშად ამრიალდა. კობიტის ტოტებზე ატყეჩილი კანი ატყაცუნდა. თამარი ატრიალებდა ნაკვერცხალზე ქყინტი სიმინდის შებრაწულ ტაროებს, მეჩხერკაკლიანებს და დოზოკონს: ჭირნახული მოწეული იყო

და ძნელად თუ გამოარჩევდა ჭყინტ სიმინდს კაცი. თამარმა ჩემგვარი სიმინდი აიღო კერიდან, მიწაზე დაარტყა, დაბერტყა და მამრეთს მიაწოდა. იამა ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს მშობლიურ ქოხში ჭყინტი სიმინდის, კომშის და არყის სუნი. ნიადაგით დასველებულით მოიწმინდა არყით დასველებული შავი უღვაშები.

თეოდემ გაიღვიძა: ჯირკზე წამოჯდა გაიჩაჩხა და აჯაჯლანდა:

— მომეცი გოჯასპირ არაყი, გალაქტიონი უნდა დავლოცო! — გადაჰკრა და დაიღრიჯა დასაწყლებული და სახედამკენარი მოხუცი.

— სიბერე შემოგპარვია, ბაბუა თეოდე! — უთხრა ღიმილით გალაქტიონმა.

თეოდემ უიმედოთ ჩაიქნია ჩონჩხისებური, შემკენარი ხელი.

— გათავდა, ჩემო გალაქტიონ! მალე ჩამაბარებთ ქაბას, შეხედე! — აჩიფჩიფდა მოხუცი თეოდე ტურიაშვილი. ტურისა და ღრანჭში წაივლო ხელი, ბებერი ცხენივით გაალო ხახა და ღრძილებჩაცლილი, ჩაყვითლებული, ჩამპალი და აქანქალებული, გვერდზე შერჩენილი სამი კბილია უჩვენა.

— ნუ გეშინია, თეოდე, მეც მალე წამოვიღებ საიჭიოში წერილს, — ანუგეშა გოჯასპირმა და სტუმრის გიორგი აბესაძის სადღეგრძელო დალია.

გალაქტიონმა თვალი შეაპარა მამას: დაბერებული და მოტეხილი ეჩვენა ამ დროს ასინამ კარი გაალო. ცივი ქარი შემოიჭრა და კედლის პირდაღებულ ფიცრებს შორის აზუზუნდა. გალაქტიონმა ქოხის კედლებს მიმოავლო თვალი, მერე ყავარგადახდილ სახურავს აპხედა: ცაზე დიდრონი, შუქიანი ვარსკვლავები მოსჩანდნენ.

— სახლი თუ არ შევაკეთეთ, ზამთარში გაქირდება აქ ცხოვრება! — ჩაილაპარაკა გალაქტიონმა.

— ზამთარში ავი საცხოვრებელია... ჭინკობისთვიდან ნამეტანი ავი საცხოვრებელია, — ჩაერია ასინა. ფქვილს სცრიდა ცერზე შემდგარი მერდინით, ხელისგულებს სთავაზობდა, და მერდინს ტკაცანი გაჰკონდა. გოჯასპირი სდუმდა. ჭალარა წვერზე ისვამდა ხელს. ფიქრობდა: მეც ვიცი, რომ ავია, მერეო. გალაქტიონი შეწუხდა: ვაი, თუ მამამ იფიქროს — მკლავენო. და საუბრის საგანი შესცვალა, თეოდეს გაეხუმრა:

— ჭინკები თუ გინახავს, ბაბუა თეოდე?

— რავე არ მინახავს! — სრულის დასტურით უპასუხა თეოდემ.

— რანაირია ნეტავი?

— უშნო შესახედავია, ბაბუა!

თამარმა ყურები სცქვიტა. თეოდე განაგრძობდა:

— ამხელა ფრჩხილები აქვს, დაბწნილი, წითელი თმა. ცხვირპირი ღორს მიუგავს. ტყის ზღარბივით უშნოა. ქარში უყვარს კივილი იმ წყეულს!

გალაქტიონს ვაეცინა:

— გეჩვენება, ბაბუა თეოდე: ის ქარი კივის კედლის ქუჩის ტანებში, სახურავზე და შენ ტინკა გგონია.

— რავე მეჩვენება, შე კაცო! აგერ გაჩნდებიენ ^{ქუჩის ქუჩის} თუ აედროით მევიდა — დართო წაევა და თუ დართო, მაშინ აედართ იცის წასვლა.

— კაი, შე კაცო! — ვადიხარხარა ჯარისკაცმა გიორგი აბესაძემ.

— რა ვიცი, ასე ამბობენ... მე კი არ მინახავს და... — განაცხადა ლომილით გოჯასპირმა თეოდე ისევე აქაქანდა:

— ნამდვილია, დაცდილია: თუ თოვლჭყაპს და ბუქს მოჰყვა, დართო წაევა და თუ კაი ამინდში მევიდა, მაშინ აედარში იცის გაპარვა. არ მინახავსო!? — შეუჯავრდა გოჯასპირს:

— იმდენი შენ იცოცხლე, რამდენჯერ მენახოს ის შეჩვენებული ორლობეში სარზე წამომჯდარი! ჯოჯოგათ დასკუბტებიენ აჯამეთში როკზე, კივილით შეიცხადებენ და ჯაგრიან ხელებით უკრავენ ტაშს! — სთქვა ჯირკზე წამომჯდარმა თეოდე ტურიაშვილმა, და თითონ ჰგავდა ეხლა აჯამეთის ტყეში როკზე დასკუბებულ ბებერ ტინკას.

— შარშან ხოკორა კვახები დამიხოკეს ფრჩხილებით! — განაცხადა ნიკიფორემ.

— ხილი და აკილო არ შემარჩინეს სხვენზე! — ამბობდა სივერიანე.

— ბნელმთაში ლამით ცხენი დამიფეთეს და კლდიდან კინალამ გადამაგდეს! — დაიწყო ბიქიამ.

— ისემც ღმერთი თქვენ გიშველის! — დაიძახა რაქდენმა.

— ისე ღმერთმა მე მიშველოს, შენ რას დეეძებ! — აფაფხურდა ჯირკზე თეოდე და ნიშნისმიგებით დაიწყო თავის კანტური.

— იღბალი, ბაბუა თეოდე, ღმერთი არაა... — ეერც კი დაასრულა სიტყვა ვალაქტიონმა და თეოდემ ვაოცებულ, წირპლიან თვალეზე ხელი აიფარა, ქვა და კოხივით დააყარა:

— ღმერთი არააო?! გოუმარჯოს რაქდენია გადარეულს! ღმერთს ხატს და ჯვარს რომ გმობთყე, იმიტომაცაა ამ დღეში ჩავეცივინდით! შენც ახალთაობის კაცი იქნები, გეტყობა!

— რა მოგვცა მერე ახალთაობამ? შიმშილი, წყურვილი. ჩენი ვაჟკოთხავი, კაცი პატრონი არაა! — ამბობდა ბიძა ნიკიფორე.

— გაიგონია?! სადაა კაცი პატრონი!? — დაამლერა და დაუდასტურა თეოდე ტურიაშვილმა. ჩონჩხიანი და დამელნარი ხელები გაშალა. ვიწრო, გამხდარი და საოცარი მხრები აიჩეჩა, ჩაბალახით წაკრული თავი, წარბაძგბული და საკვირველი სახე შიგ ჩაჰყო.

ქათმები კარგა ხანია მოხარშეს, აქნეს, ნიორწყალში ჩააწყვეს და დიდსუფრაზე შიიტანეს. ასინამ გოჯასპირს წასჩურჩულა: „ღვინოს ვინ ამოიტბსო“. გოჯასპირმა ხელი ჰკრა სივერიანეს, ორშიმომ, ნიჩაფი, სხვადასხვა ზომის კოკები აიღო, შვილს ჰრავი დააქერინა და მარნისკენ გაეშუ-

რა. ქარი ამბიალეზდა კრაქის აჩინხლულ ალს, აჩირალდნებდა, სწელავდა, აქრობდა, არ აყენებდა. ცაცხვის ქვეშ დაფლული იყო აქალი მიწით თავმოწეპილი ქვევრები. თავზე ფიცარი ესურა დიდი ქვეებით დაჯორგოლი: წვიმა არ ჩასულიყო. გამხმარი ლერწები ეყარა: ფრონტიდან დაჯორგოლი წვიმა იმ ქვევრებს კი, რომლებშიაც ახალი ღვინო, ამზინა-ქვევრებშია. ამზინა-ქვევრებშია დაჯორგოლი, რათა ამზინა არ გაეხეთქა. გოჯასპირმა კრაქის შუქზე მოჰხადა ძველი, ალისფერი ღვინით სავსე პატარა ქვევრი. მიწიდან ჭაჭისა და ღვინის საამო სურნელი ამოვარდა. ფრონტიდან ჩაპყო ორ-სიმო და ღვინო დიდსა და პატარა კოკებში გადაიღო. მერე ქვევრს კუპრისფერი ორგო დაახურა, ორგოს ზომაზე, რგოლივით მოჭრილი სველი აყალო მიწა დაავოზა, ზედ დევკაცის დიდი ქუსლებით შესდგა, დაზილა, დაავლესა, თავი მოუწება, უბრალო მიწა წააყარა და კვლავ ფიცრით, ქვეებით დაჯორგა და გამხმარი ლერწები გადაჰხურა. მიწაში ჩაფლულ, ჩაჭორულ და მაჭრით სავსე ქვევრებიდან ისმოდა ამზინის დუღილი და შიშინი. მოხუცმა სასოებით აიღო და წამოიღო ალისფერი ღვინით სავსე კოკები, რათა გამაჰპინძლებოდა ფრონტიდან დაბრუნებულ და მრავალგზის გამოტირებულ შვილს. შორს ბნელემთაში ტურები ჰკიოდნენ, ხოლო მდინარესთან პატარა ჭობის სანთელი ბუტუტავდა.

გოჯასპირმა იმედიანი თვალებით აშხედა დიდრონი და შუქიანი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. გული ლაღადით აღევსო, და ამ ნეტარ წამსა და ტკბილ გრძობას ჰხადებდა მოხუცი მისი საყვარელი, საფიცარი შვილის დაბრუნება. მგელივით მუხლმაგარი, გამრჯე და მიწის მუშა შვილი გვერდში ამომიდგება და აწი რაღა მიშავსო, — ჰფიქრობდა.

როდესაც გოჯასპირმა ღვინო შეიტანა, ეახმამი საესებით გამხადებულ იყო. მოხარშული ქათმების გარდა სუფრაზე სხვა საქმელიც ელაგა: ჭინტი ყველი, კვერცხები, დერგიდან ამოღებული მკავე და ჩამართლო წნილი, პრასა, პილბილი, პამიდორი და „კაკალ ვულს მონახავსო“, რომ იტყვიან, ისე შეკმაზული ბადრიჯანი; სუფრას შემოუსხდნენ. გოჯასპირი და ნიკიფორე სუფრის თავში დასხდნენ. მერე თეოდე და ვალაქტიონი. მათ გვერდით: სევერიანი და ბიჭია. რაქდენის და გიორგი აბესაძის შემდეგ ქალები: ეკვირინე, ივლიტე და ასინა. ბავშვებს ეძინათ. სკამები არ ეყოთ და ტახტი მიიტანეს.

გოჯასპირი კარგ გუნებაზე იყო და თამადობაც მან დაიჩემა. მერიქი-ფე სევერიანი ალისფერ ღვინოს — სალხინოს ასხამდა ჭიქებში, ჭინჭილა-კულაში. მალე ყანწით სმა დაიწყეს. გელაშვილები და ტურიაშვილები კარგი მომღერლები იყვნენ, მაგრამ მართას გარდაცვალების გამო მგლო-ციარედ იყვნენ და სიმღერას ვერ იტყოდნენ. გოჯასპირმა ცოლის შესა-ნდობელი დალია. ჭადი ღვინოთი დაასველა, და კადვე ერთხელ დააფრ-ჭვიეს ვალაქტიონის ჩამოსვლის გამო ცრემლები. თეოდე ტურიაშვილმა წირპლიანი თვალები ალაპყრო ზეცისკენ და წარმოსთქვა: „აცხონე, უფა-

ლო მონა შენი, მართოა“, რძლებმა ღვარ-ღვარად ჩამოადინეს თვალთაგან ცრემლები. „ამინ, ამინო“, — იძახდნენ. მერე გოჯასპირმა გლაქტიონის სადღეგრძელო დალია ყანწით, მზიარულემა ჩამოეარდა და დიდი სმაქამა გაიმართა.

ერქენული

ეს იყო მხოლოდ — უკბილო და მიხრწნილი ბუჩქნარი ნაირ-ნაირ საკმელს ხედავდა, მაგრამ ვერ ლეკავდა და საცოდავად ყლაპავდა ნერწყვს ნერწყვზე. ასინამ ქათმის გადანახსენი თეთრი ხორცი მიართვა, დაუჩილა. თეოდე გრძელი ფრჩხილებით სწიწკნიდა, ღრძილებით საცოდავად სძიძენდა. მანაც დალია გლაქტიონის სადღეგრძელო. დაითრო და ყბედობას მოჰყვა.

ჯარისკაცები: გლაქტიონი, რაქდენი და გიორგი შეზარხოშდნენ. ერთერთის კოცნა დაიწყეს. ომისა და ფრონტის ამბებს იგონებდნენ. სუფრაზე მსხდომნი სულგანაბული უსმენდნენ.

ლაზარეს სახლი, წაალი და ყუმბარა

„როცა მისწყდება თოდის ხმა და ზარბაზნების გრიალი“...

რაქდენ ტურიაშვილმა დაიწყო:

— მე ფრონტის ახლოს გამართულ ლაზარეთში ვმსახურობდი. კორნელის ძმამ ევგენი მხეიძემ მომიწყო იქ სამსახური. ლაზარეთის უფროს ექიმად იყო დოსტაქარი, ებრაელი, ვილაც შაპირო. ერთხელ ლაზარეთი დაათვალიერა კორპუსის უფროს ექიმმა ნიკიტინმა. მაღალი, ახმახი, მსუქანი და წითური კაცი იყო პოლკოვნიკი ნიკიტინი. დოსტაქარი შაპირო შეეგება და პატაკი მიართვა. ექიმი ნიკიტინი შეეკითხა: ურია ხართ? შაპირომ მიუგო: მე ურია არ ვახლავარ. მე ებრაელი ვარო. ნიკიტინი ვანრისხდა, შაპიროს უყვირა, გაათათხა, დაეშუქრა. სამსახურიდან მოგხსნიო. ამის შემდეგ დაქრილთა კარავი დაათვალიერა. ბარძაყში დაქრილ ერთ ჯარისკაცთან მივიდა. ჯარისკაცს ფეხი მოლუნული ჰქონდა ლოგინზე. იგონებსო — უთხრა ნიკიტინმა შაპიროს: ძალიან კარგად შეეძლია გამართოს ფეხიო. შაპირომ უპასუხა: ეს ისეთნაირად არის დაქრილი, რომ ფეხს ვერ გამართავსო. ნიკიტინმა თავისი. დაიჩემა: ვიცნობ მე ჯარისკაცებს. ნუთუ თქვენ ამათი გჯერათ, აბა, უტკირეთ თუ არ გამართოს ფეხიო, და მოლუნულ დაქრილ ფეხზე მთელის სიმძიმით ერთბაშად დააჯდა. — დასაკლავი ხარივით მორთო ღრიალი საწყალმა ჯარისკაცმა — მისი ღრძალი ახლაც ტანში მცრის. — დასძინა რაქდენ ტურიაშვილმა.

— ურჯულყოფილა ის პატრონმკვედარი! — ჩააგულუნა მრისხანედ გოჯასპირმა.

— იმ დაქრილი ჯარისკაცის ამბავმა ჩემი თავგადასავალი მომაგონა, — სთქვა ვალაქტიონმა და დაიწყო: — მაშინ გერაბინელების წინააღმდეგ ვიბრძოდით პოლონეთში. ჩვენი ათასეულის უფროსი ქართველი იყო, იშხნელი. საარტილერიო მზადების შემდეგ შეტევას დაიწყო თავისი ათასეულით. იშხნელის ათასეული შემადგენელ ერთეულს წარმოადგენდა: იმ უბანზე ორი დივიზია აწარმოებდა შეტევას. იშხნელი წინ მიიწვედა უთენია ლამით, და როდესაც მტრის მოწინავე ხაზს მიუახლოვდა, მარცხენა ხელში ნაგანი დაიჭირა, მარჯვენით — კავკასიური მოღუნული ხმალი შეათამაშა და ათასეულს დასტყვილა: წინ, მომყევითო, სირბინით გავეშურეთ. მოწინავე ხაზს მიუახლოვდით და იმავ წუთს გერბანელთა სანგრებიდან შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი გაჩაღდა, რასაც ხარბაზანთა გულ-შემზარავი გრგვინვა დაერთო, ამ დროს მუცელში ტყვია დამეჯახა წელკაცივით და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გადალობილ მავთულს წავაწყდი. პროექტორები ანათებდნენ და ათასეულს ხელისგულივით აჩენდნენ. შრაპნელებისა და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი სეტყვა ანადგურებდა არა მარტო იშხნელის ათასეულს, არამედ მთელ ორ დივიზიასაც. დივიზიები მცირედი რაზმებით უწყსრიგოდ უკუიქცნენ თავიანთ სანგრებისკენ. და მხოლოდ მეორე დღეს — განაგრძობდა ვალაქტიონი, — იშხნელის დენშიკმა ათანასე ტამილინმა, ქართველმა ჯარისკაცებმა ჯიქაძემ და ზურდულმა მიპოვეს მავთულზე გადაკიდებული და ცნობადაკარგულო სახელდახელოდ შეფიცრულ სახლში გამომეღვიძა. მიწის იატაკიან ოთახში ნავთის ლამფა ბეჭტავდა. ოთახში ორმოცი საწოლი იდგა და ზედ მხოლოდ მუცლის მიდამოში დაქრილი ჯარისკაცები იწვნენ, რომლებიც განუწყვეტლივ ოხრავდნენ და კენესოდნენ: წყალი, წყალიო. ჩემ სასთუმალთან ერთგული ძაღლივით იჯდა სანიტარი. როდესაც თვალი გავახილე თავგადასახორილი სანიტარი წამსვე წამოდგა, ლოგინისკენ გადმოიხარა და შემეკითხა: რა გინდაო. ჩემი თხოვნაც სხვა დაქრილთა თხოვნა იყო: „წყალი!“ — ძლივს ვაბრუნებდი სიციხისგან დახეთქილ და გამშრალ ენას უნერწყვო ხახაში. არ შეიძლება, ძამია, — მიპასუხა სანიტარმა. „წყალი“ — შევეუერთე მეც ჩემი ხმა საერთო გოდებას. — არ შეიძლება, მოითმინე, — მემუდარებოდა სანიტარი. „წყალი, მალე!“ — უკანასკნელი ძაღლივით შევსძახე.

გოჯასპირმა ისევ ჩააგუგუნა:

— მასეთი ჭრილობის დროს წყალი ტყვიაზე უარესია.

— რა უნდა, რას თხოულობს, — შეეკითხა სანიტარს თეთრ ხალათში გამოწყობილი ფერშალი, — განაგრძობდა კვლავ ვალაქტიონი. — წყალს, — უპასუხა სანიტარმა. არ შეიძლება, რადგან მუცელში ხარ დაქრილი, მოცკედები, წყალი რომ დალიო, მითხრა ფერშალმა.

ირგვლივ კენესა, ერთი და იგივე სიტყვა „წყალი“ გაისმოდა. ზოგი მუქარით იძახდა ამ სიტყვას, ზოგი მუდარით, ზოგიც კიდევ განწირული ხმით. ყოველკუთხიდან მოისმოდა გულისმომკვლელი ვედრება — „წყალი“.

წამოვიწიე და ღრიალი დავიწყე. ბალიშის ქვეშ ჩვენი ხელი-ნაგანი იქ არ აღმოჩნდა, თორემ სანიტარს უთუოდ მძევლებს სანიტარი აცახცახდა და მიპასუხა: მომკალი. უმჯობესია მე მოვკვდე, ვინემ ამდენი ხალხი მოვკლაო. ფერწალი გავიდა ოთახიდან. ახლა ოთახში მეორე სანიტარმა დაიწყო სეირნობა, ქოსასავით უწვევრულევაშო, ჩია კაცი იყო. აცრემლებული. ცისფერი თვალები ჰქონდა. საშინლად განიცდიდა დაჭრილთა ოხვრას, კენესას, მომაკვდავთა ვედრებას. იგი ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან და ყველგან ესმოდა: წყალი, — ამბობდა ვალაქტიონი. ვალაქტიონის შემდგომი თბრობიდან სჩანდა: იმ სანიტარის არსებაში მხოლოდ ეგ სიტყვა შეჭრილა — „წყალი, წყალი, წყალი!“ სანიტარი გაფითრებულა, ჩაბნელებულ კუთხისაკენ წასულა, ლამფის შუქზე მისი გუგავგავართოვებული თვალები გიყის თვალებივით უცნაურად ანათებდნენ თურმე. სჩანს მისი ნერვები უკანასკნელ ზომამდე დაჭიმულა მომაკვდავთა ამ დაუსრულებელი ოხვრისა და მუდარის გამო. იგი მთელის ტანით აკანკალებულა, ნადირივით დაუწყია ღრიალი: არ შემძლიაო. ვალაქტიონი განაგრძობდა:

— ჩემ სანიტარს გაუკვირდა: რა არ შეუძლიაო. ხელში არყის ბოთლი დაუნახა. ტუჩზე მიუკრავს. ჩემი სანიტარი ხედავს: არყის ბოთლს აპირკვავებს. ეძახის: შენ, ეიო. სანიტარი უაზრო თვალებით კედელს მიეყრდნო და დაბარბაცდა. ოთახში ისევ დაჭრილთა ოხვრა ისმოდა: წყალი. მთვრალი სანიტარი დამშვიდებით უპასუხებდა ეხლა მათ: მოგკვამთ, მოგკვამთ ძმებო, სავსე სურას და ჭიქას წაავლო ხელი. ხან ერთს და ხან მეორეს დააღვეინა. ჩემი სანიტარი წამოიჭრა და მივიარდა: რას შერები, მკვლელიო. მთვრალმა სურა მოუქნია: არ მომეკაროო. მესამე და მეოთხე დაჭრილსაც აღვეინებდა წყალს. ჩემმა სანიტარმა ყვირილი მორთო. ფერწლები შემოცვივდნენ, მთვრალს სურა წაართვეს და შეჰბოკეს. რამდენიმე წუთის შემდეგ წყალდალეულ დაჭრილ ჯარისკაცებს პირისღებინება აუვირდათ. ათი ჯარისკაცი სიშინელი ტანჯვით იკლავებოდა ნაწლავების ანთების გამო. დაჭრილებს ენა კრაზანას ნაკბენივით გაუსივდათ გაუსივდათ და ხახაში აღარ ჩაეტიათ. მესმოდა ხროტინი. ათი ჯარისკაცი გამოესალმა ჩემს თვალწინ წუთისოფელს, — დაასრულა თავისი ნაამბობი ვალაქტიონმა და დასძინა: — ასე ვადამარჩინა იმ სანიტარმა სიკვდილს. სად არიან ახლა ის სანიტარი, ჩემი მხსნელი ამხანაგები: იშხნელის დენში ჩიკი ათანასე, ბურღული და ჯიქაიძე ვინ იცის? მოდიოთ იმ ამხანაგების ხადლეგრძელო დავლიოთ!

გოჯასპირმა და ყველა სხვამაც დიდის სიამოვნებით დააღიეს გალაქტიონის მხსნელი ამხანაგების სადღეგრძელო. ასინა თავს ტოტით ცრემლებს იწმენდა და შეწუხებული სახით მისჩერებოდა თავის ქმარს გალაქტიონს.

ერქენული

— ეპ, ფრონტზე რომ უბედურობა იყო, იმას ვინ მოსთქვამს დაიწყო გიორგი აბესაძემ და მოჰყვა: — იმ დენშიკზე მომაგონდა. მეც ვიყავი დენშიკად ერთი ნახევარი წელიწადი პოლკოვნიკ თენგიზ იოსელიანთან, წინათაც ვიცნობდი და რადგან ქართველი ვიყავი, მე წამიყვანა. ჩვენი პოლკი აჯამეთივით დაბურულ ტყის პირად იდგა. დიდი ომები გვქონდა და შერე ისევ ტყისკენ დავიხიეთ სანგრებში. დასვენება ჩამოვარდა და იოსელიანის მიწურში ოფიცრები კარტს თამაშობდნენ.

აბესაძის გადმოცემით, ისე დაშვიდებით ისხდნენ თურმე ოფიცრებო მაგიდის ირგვლივ, თითქოს ამ რამდენიმე დღის წინად ჯოჯოხეთურ ცეცხლში არც კი ყოფილანო. ისე დაშვიდებით თამაშობდნენ თურმე ფრაპს მიწურში. თითქო ფრონტზე კი არა, ზადმე შორს შურგს უკან კიევის კაზინოში სხედანო.

— ცხადათ მახსოვს: საღამო იყო, — განაგრძო გიორგი აბესაძემ. — პოლკოვნიკმა ტრედენსკიმ მოღიშარი თვალებით შეხედა ჩვენი პოლკის უფროსს თენგიზ იოსელიანს და დაიძახა: ფრაპო.

გიორგი აბესაძემ აღუსნა გოჯასპირს ჯარისკაცებს და დამსწრეთ ეს თამაში. მაგიდაზე კარტის დარიგების შემდეგ ჯვრის ტუზი დაეცა თურმე. იოსელიანს ხელში ჯვრის ქალი და ცხრიანი ჰქონოდა. მის თანაშემწეს ილინსკის კი სალდათი და ათიანი. ესენი ჩაებნენ თურმე თამაშში, ხოლო კაპიტან მედვედევს და ნაუშოვს ცუდი კარტები ჰქონოდათ და გადაეყარათ. ტრედენსკი, იოსელიანი და ილინსკი შებმთან ერთურთს. აბესაძე განაგრძობდა:

— მე პოლკოვნიკ იოსელიანისათვის გამზადებულ ვახშამს, პურს და შაქარს ტილო გადავაფარე, მეშინოდა ვირთხებს არ შეეჭამათ. ვირთხები სანგრების უცილობელი სტუმრებია. ვირთხები უმთავრესად ღამით იწყებდნენ თავის ნადირობას და არა მარტო პურსა და შაქარზე, არამედ ჯარისკაცთა გვამებზედაც დაკუცქდებოდნენ, ლეშს დასუნავდნენ, ტუჩს, ნესტოებს, ლოყას მისწევდებოდნენ და დაუწყებდნენ, ღრღნას.

ქალებს: ასინას, ივლიტეს, ეკვირინეს და მამაკაცებსაც თავზარი დაეცათ და შეძრწუნდნენ. გიორგი აბესაძემ განაგრძო:

— ვირთხები ადამიანის თვალის კაკალს დიდათ ეტანებიან. ფხაქლ ფეხების ბრჭყალებით, გრძელი გაქსუებული, წარისინებული ცხვირით მუშაობენ. თვალის კაკალს ებლაუტებიან და ბუდიდან ეზიდებიან.

ქალებმა ზიზლით აიფარეს ხელი თვალებზე. გოჯასპირმა დასწყევლა ამ ცხოველების სახელი, მაგრამ აბესაძე ისევ დაშვიდებით განაგრძობდა:

— თვალები ყველაზე უფრო საყვარელი მათი ულლუფაა. როცა მისწყდებოდა ზარბაზნების გრილი, თოფის ხმა, შესწყდებოდა რძი და ბრძოლის ველიდან აპკრეფდნენ ჯარისკაცთა გვამებს, მაშინ ვირობებენ სანგრებში, საწყობებში შემოიპარებოდნენ, დაძრწოდნენ, მტერს ეძებდნენ, მტერს მიწის სახურავში სოროებს იჩენდნენ და იქ ჰპულობდნენ, რომ ღამით გასულიყვნენ იქიდან საქურდლად.

ნიკიფორემ დაიძახა:

— ეს ვირობები რა ყოფილა, ღმერთმა დასწყევლოს იმათი სახსენებელი! აბესაძემ ისევ დაიწყო:

— პოლკოვნიკმა ტრედენსკიმ მაგიდაზე გაუშალა მოწინააღმდეგებს ჯვრის ტუზი და მეფე. ოჰო! — დაიღრიალა კაპიტანმა მედვედევმა. ის იყო გოლიათი მალალი კაცი, ვეება დრუნჩი ოჩოკოჩსავით ჰქონდა წინ გამოზიდული. ჩაყვითლებულ და ფართო სახეზე დიდი ცხვირი მაშხანის კონდახივით აჯდა. უზარმაზარი ნიკაპი ეხამებოდა მისი სახის ისედაც გამოთავყვანებულ გამომეტყველებას. რა გაგეხარდაო, — შეეკითხა იოსელიანი, და იმავ წამს გერმანელების მხრიდან დიდი ყალიბის ზარბაზნებმა დაიგრიალეს. დედამიწის გული შეირყა და მოთამაშენი შეკრთნენ. ორმოცდა ორ სანტიმეტრიანი ზარბაზნიდან ისერიანო, — განაცხადა იოსელიანმა და ტრედენსკის ტუზსა და მეფეს დამშვიდებით დააფარა უკანასკნელი კოზირები: ჯვრის ქალი და ცხრიანი. ტრედენსკიმ ყუავის ტუზი ჩამოავდო მაგიდაზე, ჩამოავდო და მეორეჯერ იგრილა გერმანელთა ზარბაზანმა. მერე მესამეჯერ, მეოთხეჯერ გავარდა და ეხლა უფრო სასტიკად შეირყა მყარი, შეირყა კი არა, იოსელიანის მიწური ბინა ოჩაფეხებზე შემდგარ კაცივით დაბარბაცდა. რა ამბავია, გაიგეთ, — უბძანა იოსელიანმა მედვედევს და ოფიცრები კარში გასცვიდნენ ღურბინდებით. — მარჯვნივ, ტყის პირად სალაშქრო სამხარეულოსთან ხელში პატარა ქვაბურებით ჩამწყრივებულყვენენ თურმე ვახშმის მისაღებად ჯარისკაცები. მტერს დაუნახავს რამდენიმე ადგილას სალაშქრო სამხარეულოდან ასული ბოლი და ეს აულია მიზნად. ორთვალა სალაშქრო სამხარეულოები სასწრაფოდ ჩაავორეს თურმე ხევში და ჩააქრეს გერმანელებმა სულ ხუთმეტჯერ ესროლეს სამხარეულოს, ხან გადააცდინეს, ხან კიდევ ვერ მიუწვდინეს ყუმბარები და მსხვერპლი არ ყოფილა. სროლის დროს უზარმაზარ ყუმბარებისაგან მალალი ზვინები ავარდნილა თურმე დედამიწიდან. როდესაც მედვედევმა ეს უამბო იოსელიანს, იგი განრისხდა: მოდი და ენდე ამ ჩერჩეტ ჯარისკაცებსო. მაშ ასეო, — სთქვა მერე ილინსკიმ, წაგებულთა თანხა ჩასწერა ქალაქში და მის უკან გაჩერებულ პორუჩიკს, ახალგაზრდა და შვევერემან უკრაინელს — ბომდაჩენკოს ამრეზილმა გადახედა: შენ დამნავსეო. მერე კარტები ჩასკრა, მაჭრამ მაშინვე თავზე მიწურის სახურავიდან მიწა დასცვიდა. რა აზრის ესაო, — იკითხა, განზე გასწია თავი და ჰერისკენ ახედა. — ეს

დასწყველილი ვირთხებია მეთქი, ბატონო, ეუბასუხე მე, — სიტყვა აბესაძემ და განაგრძო: — ილინსკიმ თმა გაიბერტყა და იოსელიანის მიერ დარიგებული კარტები აიღო, მაგრამ ორჯერ უფრო მეტს მამოინგრა ეხლა ჭერიდან და მაგიდაზე დაცვინდა. რისი ფრთხილი, სისამაძეარავო, მიყვია მედვედევმა და ყველანი ჭერს მიაშტერდნენ. ვირთხებია, ბატონო მეთქი, ვჯიუტობდი მე. „შეხედეთ!“ — დაიძახა ფე. — „ოღმა მედვედევმა და ყველამ შეენიშნეთ მიწურის ჭერში გამოყოფილი, რიალებული, ლითონის წვერი. რა არის ეს — ამბობდა ჩურჩულით მოხუცი ტრედენსკი და მასთან ერთად ყველანი წამოიჭრენ სკამებიდან. გაფითრებული სახით და დაფეთებული თვალებით მისჩერებოდნენ ჭერში გაჩრილ ლითონის წვერს, რომელიც დაბლა ეშვებოდა. ყუმბარო, — დაიძახა იოსელიანმა და ახლა აშკარად დაეინახეთ უზარმაზარი ყუმბარის დისტანციური მილი. ოფიცრებს თავზარი დაეცათ. საშინელი წუთი განვიცადეთ. გერმანელების ხარბაზნიდან გამოსროლილი დიდი ყალიბის საბრეზენტო ყუმბარა ეხლა მთელი თავისი სიმძიმით აწვებოდა მიწურის მიწაყრილ სახურავს და ნახევრამდე დაშვებულყო ჭერიდან ოფიცრების თავზე. კიდევ წამი და იგი დავარდებოდა იატაკზე, დისტანციური მილის ნემსა ჩახმახი დაეცემოდა კაპსულ-ფისტონზე და ეს უზარმაზარი ყუმბარა აფეთქდებოდა, დაანგრევდა სანგრებს, მიწურს და იქ მყოფ ოფიცრებისაგან და ჩემგან მხოლოდ დაგლეჯილი ხორცის ნაკეწებიღა დარჩებოდა, — უყვებოდა მეზობელ გლეხებს აბესაძე და ეტყობოდა ეხლაც ღელავდა: — მიუხედავად ამ საშინელი წუთისა, თავზარდაკმული და გაშტერებული ოფიცრები ადგილიდან ვეღარ იძროდნენ, თითქო წაერთვათ გონება და ნებისყოფაო „კარში!“ — მოასწრო იოსელიანმა დაძახება და შიშისგან გამოფხიზლებული ოფიცრები კარებს მიაწყდნენ, მაგრამ იმის მაგიერ, რომ გამოეღოთ იგი, მთელის ტანით ეჯახებოდნენ, აწვებოდნენ და ვერ ისაზრებდნენ, რომ საჭირო იყო კარების შემოღება მიწურისაკენ. თვითეული მათგანი ცდილობდა მოესწრო და პირველად იგი გავარდნილიყო კარში. საშველი არ იყო: თავი დაეღუნე ოფიცერთა გუნდში შევიჭერი და მეც ვეცი კარებს. ოფიცრებმა მუშტები დამიშინეს თავში, გამომავდეს, კარები მოჰკლიჯეს და ყველანი კარში გავეცივდით. კარში ვასვლა და ჭერიდან ჩამოშვებული ყუმბარის იატაკზე დაცემა თითქმის ერთდროულად მოხდა, მაგრამ რალაც მანქანებით არ აფეთქებულა იგი. იოსელიანმა გვიბრძანა ჯარისკაცებს, გამოგვეტანა ყუმბარა და შორს ტყის პირად აგვეფეთქებინა. მოგვექონდა ყუმბარა და შიშისაგან ფეხები გვეკეცებოდა ასე გადავჩრით შემთხვევით სიკვდილს, თუმცა ყუმბარამ მაინც ზიანი მიაყენა ოფიცრებს: სიკვდილის მოლოდინის წამი ისეთი საშინელი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა პორუჩიკს ბონდარენკოს თავის მარჯვენა მხარეზე თმა ერთბაშად თოვლივით გაუთეთრდა, ხოლო კაპიტანი მედვედევი ორი თვის განმავლობაში ძლივს აბრუნებდა ხახაში

დამბლადაცემულ ენას და ლაპარაკის ნაცვლად პირუტყვივით დბოდა, — დაასრულა გიორგი აბესაძემ თავისი ნაამბობი ყუმბარაზე.

— შიშისგან გაქალარავებული და ენა-წართმეულე კვტკე მინახავს, — დაუდასტურა გოჯასპირმა, ხოლო ჯარისკაცებმა შეეგებნენ.

— ბევრჯერ დაცემულა ჩვენს ახლოს მტრის ყუმბარა, მაგრამ არ აფეთქებულა და არც გამსკდარა.

კიდევ ბევრი შემთხვევა უამბეს ურთერთს და თავისიანებს ჯარისკაცებმა. მსოფლიო ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა მოგონებებს მართლაც რა დაშრეტლა!?

შაშხანა და წყვდიადი

„ე, როგორ არის ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია?
მიწა სხვისია, ეჭროაობ,
შრომა კი მართო ჩემია...“
რაფ. ერისთავი: „ბერუსა ჩივილი.“

მერე რუსეთის გლეხთა ამბავს მოჰყვა გალაქტიონი. გოჯასპირმა კი აქაური უამბო:

— გუშინწინ მენშევიკების კომისარი გვეწვია. ჩვენი სოფლის გაპირვებაზე, მიწის სივიწროვეზე და მწირობაზე მოეახსენეთ. ვთხოვე: გვიშუამდგომლე მთავრობასთან: შეგვიმსუბუქოს გადასახადი მეთქი. ჩვენ სოფელში მთავარი შემოსავალი წყარო ღვინოა, მაგრამ ერთი ჭკევეა ეენახი რომ ჰქონდეს, იმისთანა გლეხი არც კია ჩვენს სოფელში მეთქი. მერე შეეკითხენ: მიწის საკითხის გადაჭრას რანაირად აპირებს მთავრობაო! კომისარმა გვიპასუხა: მიწის ახალი კანონი ჯერ არ გამოსულა და მანამდის ისე იყავით, როგორც ძველადო. ასე მეფე ნიკოლოზის დროსაც ხომ ვიყავით: ასე ვიხდიდით დრამის ფულს, მიწის იჯარას და ასე ვაძლევედით მემამულეს ღალას! — შენიშნა გოჯასპირმა.

გალაქტიონს მოეწონა მამის სიტყვები. სახლისკაცებს და ტურიაშვილებს ურჩია:

— დღეიდან არავის მისცეთ დრამის ფული, მიწის გადასახადი, არც ღალა! რუსეთში გლეხებმა უკვე შეადგინეს საბჭოები და მემამულეების მიწებიც დაიკავეს.

— დღე და ღამე ვმუშაობ ოტია მდიენის მამულში, ოფლს ვაქცევთ ველზე ფეხს ვიდგამ და მოსავალის მესამედიც არ მიწევს! — სთქვა გოჯასპირმა წყენით.

— რამდენი ჭკევეა იქნება, გოჯასპირ, ოტიას მამული? — შეეკითხა გიორგი აბესაძე.

— შეიძვე მეტია. დაბლა სახლში რეა ქცევა ეჭნება, ~~რომ~~ უბანზე ექვსი და კილო ბევრ ადგილას! — უპასუხა გოჯასპირმა.

— ამდენი მამული და შემოსავალი აქვს იმ პირადღოვანს და მაინც არ ჯერდება. გადიდებულ პროცენტებში აქვს გამგებანობა კვლევებზე ფული! — ცხარობდა ვალაქტიონი.

— დედიშენის შვილი ხარ ნუ მიცემ! გუბერნატორი, ბოჭაული, მამასახლისი, ყველა მის მხარეზეა! ტყავს გაგაძრობს, სახლკარს ავიწერს და ეზოგარემოს ტორგში გაგიყიდის! — ცეცხლს უნთებდა რაქდენი.

გოჯასპირმა განაცხადა:

— ეს ჩემი პატარა სამოსახლო ცხონებულ მამაჩემს ფასად დაჯდომია: სამასი დღე მდივნებს ემსახურა.

— გათავდა, მამაჩემო! ამიერიდან ჩვენს ნაშრომს, ნაჯაფს და ნაოფლარს მდივნები ვეღარ წაგვართმევენ. ოცი წელია შენ ამ მამულში მუშაობ და ეს მამული ჩვენი! — დაადგინა ვალაქტიონმა.

რაქდენ ტურიაშვილმა ყური სცქვიტა: „მე და მამაჩემმა რომელ მამულს დავადოთ ხელიო“ — ფიქრობდა. თეოდემ ისევ ყბედობა დაიწყო და აშინებდა ჯარისკაცებს:

— როგორ თუ ჩემიაო, როგორ თუ წაართმევეთ იმ კაცს? წართმევა რომელ კანონში სწერია? ის ქორივით აფხორალი ოტიას მოურავი და მთავრობის ბიჭები ზურგზე ბოლს გადენენ, კუდით ქვას გასროლინებენ!

— დარდი ნუ გაქვს, ჩვენი დაშინება აწი აღარავის შეუძლია. გულოვანობით ნურავინ შეგვეცილება. ჩვენ ჯოჯოხეთურ ცეცხლში ვიყავით, დავიჭერიით, გამოვრჩით, ისევ ომში გავგიწვიეს და ხომ ხედავთ, მაინც ცოცხლები დავრჩით! — უპასუხა ვალაქტიონმა.

თეოდე ტურიაშვილი არ ცხრებოდა: ეხლა რაქდენს აუხიარდა:

— არა, ბაბა, ჩემი სიტყვა დაიბეჯითეთ: თავს წააგებთყე! ახალთაობის კაცი ვარო, დადის ეს ჩემი ჩერჩეტი რაქდენია ხალხში და შენსავით ქადაგობს: ჯარისკაცებმა და გლეხებმა თავადაზნაურობას მიწები უნდა წაგართოთო, — ჩიფჩიფებდა, იფურთხებოდა მბრანმორეული ბერიკაცი, ჯარისკაცებს თათხავდა და ტუჭაედა.

— უნდა წავართვათ, ბაბუა თეოდე! — მოუჭრა ვალაქტიონმა.

ისევ მიიღო თეოდემ ქუთუთო შემოგლეჯილ და ცრემლიან თვალზე ზელი, ჩურჩხელასავით გამხმარი, ჩანჩხურა-თითებიანი, — გაკვირვებით შეხედა ჯარისკაცებს და შეეკითხა:

— ვინ მოგცემთყე მერე, ბაბა, წართმევის უფლებას?

— ეს ჩვენი უფლებაა! — უპასუხა ვალაქტიონმა და ჯარისკაცებმა გაქვარტლულ სვეტზე დაკიდულ ვალაქტიონის შაშხანას ერთსადამივე დროს ჰკიდეს თვალი.

ნაშუალამევს გალაქტიონმა კიშკრამდე მიაცილა და გამოემშვიდობა მეზობლებს. შუა ეზოში შეჩერდა. ცა ისევ მოღრუბლულია. ბეც ღამეში ღრმად ჩასძინებოდა სოფელს. როგორი სხვაობაა ციხეში და ამ მკვდარ სოფელს შორისო, გაიფიქრა გალაქტიონმა მთავრის ტყრონტი, უამრავი ჯარისკაცები, სანგრები, თოფ-ზარბაზნების გრიალი, როცა მიწაზე ეყარნენ და თავზე ტყვია ათოვდათ. მერე რევოლუცია. დარღვეული ფრონტი. ჯარისკაცთა დაუსრულებელი სელა სამშობლოსაკენ. რუსეთის თოვლი და ბუჩქი, რკინის გზა, ჯარისკაცებით დახუნული ეშელონები. ბუხრის ქუდები და ჩექმები. მერე ისევ რკინის გზა. სადგურები და ახალ-ახალი ქალაქები. კინოლენტივით გაიარებინა მის თვალწინ მოგონებებმა. ამოდ ეჩვენა ბრძოლა, ამდენი წამება და სისხლი. მეფე გადმოაგდეს, თავისუფლება მოიპოვეს. ბრძოლის ველიდან სამშობლოში, სოფლებში დაბრუნდნენ ნაომარი, განაწამები ჯარისკაცები — გლეხები, და გლეხებს ისევ ეუბნებიან: როგორც ამდენხანს ცხოვრობდით, კვლავ ისე იცხოვრეთო... უხილავი ნაღველი, კაეშანი შემოაწვა ჯარისკაცს. ყავარაყრილ ვაჭვარტლულ ქობს შეავლო თვალი. ბრაზით გახედა ზედაზენსა და ოტია მდივნის სამფლობელოს. მერე შინ შევიდა ნაღვინები ჯარისკაცი და რადინახა შაშხანა, სვეტიდან ჩამოხსნა. ეზოში გავიდა, თვალი შემოავლო მურისფრად ჩანისლულსა და ჩაკუპრულ მთებს, აჯამეთის ტყეს, დაამუნჯებულსა და შვენაბადას. შაშხანა გამართა, პირი ზედაზენისკენ აქნევიანა, გულდაგულ დაუმიზნა უხილავ მტერს. მოულოდნელმა გრიალმა დაარღვია ბეცი ღამის წყვილია და სიჩუმე. ამ დროს რაედენი და გიორგაზელიხელ-გადაკიდულნი იდგნენ ორლობეში, ერთთურთ სიყვარულს. ძმობას ეფიცებოდნენ, ჰკოცნიდნენ, და რა გაიგონეს შაშხანის გასროლა, ნაგანები იძვრეს და ააჭახჭახეს. ამას ფრონტიდან ჩამოსული სხვა მეზობლებიც მიჰყვნენ. ზედაზენშიც გავარდა ზედიზედ შაშხანა, ტიპიკონაშიც, კარისმერეთშიც. ყველგან. კაცი იფიქრებდა: ბრძოლა დაიწყო. გალაქტიონმა გაიღიმა. ესამოვნა თოფის გრიალი. ხუთივე ვაზნა დასცალა, სახლში შევიდა, ღინჯად დაჰკიდა სვეტზე შაშხანა.

— ამ შუალამით რა დროს თოფის სროლა გაქვს? — დაუძახა ლოვინიდან გოჯასპირმა. — ქალი და ბავშვები შეაშინე!

— გაიგოს, შამაჩემო, ჭევეანამ, რომ ჩვენც ცოცხლები ვართ, ცოცხლებში ვწერივართ, და ცხოვრება გვინდა! — უპასუხა გალაქტიონმა. ფარდა გადასწია. აკანკალებულ ასინას მოეფერა: „რამ შეგაშინაო“, მერე თინიკოს აკოცა. ღვინით გახურებული ტუჩი და ლოყა დაადო გაბუტულ სახეზე, უმანკო ბავშვის სუნთქვას ისმენდა და ნეტარებისაგან ნაბავდა თვალებს. ოთხი წლის ნატვრა და ფიქრი შეუსრულდა ჯარისკაცს: იგი მშობლიურ კერაში და ცოლშვილში იყო. ეხლა ოჯახზე ფიქრის გარდა საჭირო იყო აგრეთვე, ოჯახისათვის გარჯაც.

ასეთი განწყობილებით ჩამოვიდა ვალაქტიონ გელაშვილი სოფელში. მაგრამ გავიდა თრიოდე თვე და ამ კუთხის მოამაგისა და საქართველო მოღვაწის იონას და დოსტაქრის ევგენი შხეიძის მოწოდების სწავლენით ფრონტიდან ჩამოსული ჯარისკაცები ისევ დაუბრუნდნენ. ვაჟსა, საქართველოს გადასარჩენად თურქთა შემოსევისაგან, თქვენს ქვეყანაში დაბრუნდნენ ჯარისკაცებს?!

დასრულდა ომი- ბათუმის, ახალციხე-ახალქალაქის ფრონტი მოიხსნა. გამოცხადდა საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკა“, და „რესპუბლიკა“ არც კი ფიქრობდა მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევას გლეხთა სასარგებლოდ. ვალაქტიონი, რაედენი და მათებრ ჯარში წასული გლეხები დაბრუნდნენ სოფლად და დაბრუნდნენ ეხლა ურყევი გადაწყვეტილებით. ვალაქტიონმა და რაედენმა გაცილებით უფრო ადრე მიატოვეს კაპიტან ალექსიძის ბატარეია, ვიდრე ჯარისკაცი კორნელი შხეიძე წამოვიდოდა შვებულებაში.

დილიქანი

„აბა, ერთი კაცი ქუთაისში! აბა, ერთი კაცი!“ — იძახის მედილიანე და მუდამ ერთი კაცი აკლია სათვალავში.

დილიქანი პირველ საათზე უნდა გასულიყო ქუთაისიდან კარისმერეთისკენ და კორნელიც აღნიშნულ დროზე გამოცხადდა შალამბერიძის კანტორაში, მაგრამ ქუთაისიდან ან ჩვენი ქვეყნის რომელიმე დაბა-ქალაქიდან განა გასულა დილიქანი ოდესმე დანიშნულ დროზე? აქაც, ისე მოხდა: იგი გავიდა არა პირველ საათზე, არამედ ნაშუადღევის ოთხ საათზე და ისიც დიდი ვაივაგლაზისა და ლანძღვაგინების შემდეგ. მანამდე კორნელი ბალახვანის ქუჩის პირად, პატარა ეზოს ჩრდილში მიგდებულ ძველ ეტლში ჩაჯდა და ჩაიძინა. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, ჯარისკაცი დაფეთებული წამოიჭრა, ლაჯებში გაჩრილ და მკერდზე მიხუტებულ შაშხანას წაავლო ხელი. უხეიროდ მოკირწყალულ ბალახვანის ქუჩაზე უმოწყალოდ მირაზრახებდნენ ცალიერი დროგები და რკინის საღებობით შემოჭრილი ბორბლების ხმაური თოფ-ზარბაზნების ვრიალად მოეჩვენა ბრძოლიდან ჩამოსულ კორნელის. სწყინდა: უფროსი მამა სტეფანე წასულიყო კარისმერეთში და ქუთაისში ამოად შემოიარა. შეეძლო ზესტაფონიდან წასვლა სოფელში. ჩრდილში გადასულიყო. ივლისის მზე საშინლად აქერდა დანგრეული დუქნის უკან ობიანი. მწევანედ ჩამპალი გუბე ჰყარდა. თავლიდან ნეხვისა და შარდის სუნნი მოდიოდა: ცხვირის მილს და თვალებს უწევდა კორნელის. დღეს ბაზრობა იყო და ჯარისკაცი მისჩერებოდა მოფუსფუსე ხალხს — ქუთაისელთ და მახლობელ სოფლებიდან ჩამოსულთ.

„რას ჰგვანან ულაზათო, დაჩივებული ქუთაისლები? პროვინციის დალი აზით აქაურ დაწესებულებათა მოსამსახურეებს და ინტელიგენტებსა. ეს ჩვენი გაძვალტყავებული და ჩამოკონკილი გლეხობა ხომ გულსაკლავად გამოიციირება. რა ეშველება ასეთ დასაწყევლებულ და ღარიბ ხალხს? ეჰ, ჩვენი საბრალო, გადატაკებულ იმერეთში ქობდა კორნელი. რამდენიმე წელია, რაც არ ენახა ქუთაისი და ტფილისის შემდეგ შეეპროვინციად ეჩვენა იგი. წამოდგა. შალამბერიძის კანტორაში შევიდა. მედილიჩენე დათიკო, ახოვანი და წითური ახალგაზრდა, დახლოთან იდგა: ნაცნობი მგზავრები ღვინოს ასმევდნენ. ლოთობისგან ღიპი დასდებია ჯერ კიდევ ჰაბუკს. იგი დამთვრალიყო, მგზავრების საყვედურს ყურადღებას არ აქცევდა: ბაზარში საყიდელზე წასული ერთი „პასაჯირი“ მაკლია, მოვა და მაშინვე წავალო. ბატარეაში წესრიგს შეჩვეულმა კორნელიმ დიდი ხნის ცდის შემდეგ უყვირა ბირცაზე გალაზლანდარებულ მედილიჩენეს. საათი დაუნიშნა. ოცი წუთის ვადა მისცა, ხოლო ამის შემდეგ დილიჩენის კოფოზე დაჯდა. მგზავრები მორიდებით უცქეროდნენ კორნელის. მადლობას უხდიდნენ. შეზარხოშებულმა მედილიჩენემ დასკვივლა, დაოთხილი ცხენები ჰენებით გაატარა ბალახვანის ქუჩაზე. რიონის სადგურისკენ მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი გადასჭრა და სალორიას ტყეს შეუდგა.

მცირე აღმართის შემდეგ გზა ღარივით გაიმართა ტყეში. ამ ტყეს ქუთაისის გუბერნატორი ოლდენბურგი რატომღაც „ბულონის ტყეს“ უწოდებდა, რასაც ოლდენბურგის ცოლი — ქართველი ქალი აგრაფინა და ოდესღაც გუბერნატორის სახლის სტუმარი — კორნელის დედა ტერეზაც ხშირად იმეორებდნენ. თუმცა სალორიას მუხა დაავადებულა, ფიჭვი მოჰკიდნია, ფოთოლი მატლს შეუქამია და გვალვით დახრუჯულსა ჰგავს. ტყეში ჯაგები და ყვითელი ყვავილით აღმოდებულ ბუჩქებია იელისა. იელს ფუტკარი დასევია. ტყეში გაქიმულ ამ ღარივით სწორი და გაუხრელი გზით არა ერთხელ უმოგზაურნია კორნელის ბავშვობისას, სიყრმისა და ახალგაზრდობის ჟამს. უკან მოიხედა: უკვე შორს იყო მწვანე ბაღში ჩაფლული და მთაგორზე მიფენილი ქუთაისი, სადაც დაიბადა, ფეხი აიდგა, ანბანა ისწავლა და ვიდოდა სკოლაში საყვარელი ჩანთით. როდესაც ბაგრატიან ტაძრის ნანგრევებიც დაიშალა, კორნელი შემოტრიალდა, ისევ გაუხრელ გზას დააკვირდა. ტყის გრილმა და სუფთა ჰაერმა კარგ გუნებაზე დააყენა. ღიღინი დაიწყო, მაგრამ დილიჩენის ბორბლების გრიალში არ ისმოდა ღიღინით თქმული სიტყვა, მოტივი. ასეთი ღიღინა დასჩემდა კორნელის არდადეგებზე ჭალაქიდან კარისმერეთისკენ მოგზაურობისას. აიჩემებდა აკაკის, ბარათაშვილის ან უცხოელი პოეტის რომელიმე ლექსს და მას ჩუმწუმად დაამლოერებდა. აი, ეხლაც, დილიჩენის ბორბლების ერთფეროვან გრიალსა და ცხენთა ტორების შეწყობილ თქარუნის აკომპანიმენტზე ასეთი ლექსის ჩემი სიმღერა დაიწყო:

„შვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო“...



გინგლიმთხუკა

ლილინი მედილიენემ შეაწყვეტინა. იგი ყმედობდა, მოხუცი გლეხს დას-
კინოდა:

— ეს კაცი ფრონტიდან წამოსულა და საკვირველი არაა შინ მიერქა-
რებოდეს. შენ კი, ბებერო, იმ დასაწვავ სოფელში რა ქვეყნის საქმე გე-
ლოდება? — გაწუწუებულ მედილიენეს გული სწყდებოდა: ერთი საათი
კიდევ რომ ეცლიათ, რამდენ ღვინოს დამალევიანებდა ის მოქეიფე ხალ-
ხიო, ეღალ ჩოხაში გამოწყობილი მოხუცი გლეხი უდიერ მედილიენეს
დაწყნარებით უპასუხებდა:

— წუთისოფელი, ბიძია, არავის მოუჭამია! მოიცა: შენაც გაგატყვე-
რინებს ნახშირს!

ენაწყლიან გლეხისაგან კორნელიმ გაიგო, რომ ახალციხის გზით ბაღ-
დადსა და ქუთაისზე მომავალ „თათრებისათვის“ ზეკარის მალლობებზე
სანგრებში ჩასაფრებულ და გამაგრებულ ჩვენს მკირე რაზმს გზა გადა-
უჭრია.

ეს რაზმი ქუთაისიდან ყოფილა გაგზავნილი და „თათრებს“ შეტა-
კების დროს, სხვათა შორის, მოუკლავთ ქართული გიმნაზიის ახალგაზრ-
და პედაგოგი გიორგი ქუბაბრია. ქუბაბრიას დამთავრებული ჰქონდა პე-
ტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და კორნე-
ლის ძმის სტეფანეს დიდი მეგობარი იყო. მისი დაღუპვა ძლიერ ეწყინა
კორნელის. მოაგონდა ცაგურიშვილი, ბაქრადე („კანარეიკად“ წოდებუ-
ლი ბატარეაში), ქუბაბრია...

— ბევრი ნიჭიერი და ნასწავლი ახალგაზრდა დაიღუპა თურქეთთან
ომში! — უთხრა კორნელიმ გლეხს და უამბო ზოგი რამ ახალციხე-ახალ-
ქალაქის ფრონტისა. როდესაც მოხუცმა გაიგო, თუ ვისი შვილი იყო კორ-
ნელი, განაცხადა:

— თქვენ ბიძაზე, ოტია მდივანზე უფრო დიდი მემამულე ანანოვის
გარდა მთელ ზემო იმერეთში არ მოიძებნება! — შერე მოლიძარი სახით
დალოცა და შეაქო: — შენი მარჯვენა იკურთხოს, ბატონო, თათრებისა-
გან აწიოკებას გადაგვარჩინე. ახლა გერმანიამ თუ არ გვიშველა: დიდი
შიმშილიანობაა სოფელში. ხალხი გაშიშვლებულია!

რიონის სადგურთან სალორიას ტყე გათავდა. მთიდან გადაიშალა შავ
ზღვამდე გადაჭიმული რიონის წამრტაკი ველი, რომელიც ძლიერ წაა-
გავს ალაზნის ველს, მაგრამ უფრო ნაზია და მწვანე. წინ ზეკარის ხეობა
სჩანს, მთები: შუბანი, წანტეხილი, საირმე, გორამალალი... რიონის სად-
გურიდან დაღმართი იწყება, შემდეგ ქარის სათარემო გაშლილი ადგი-
ლი: სარბევი დ წინაველი. დილიყანი გაჩერდა მდინარე ყვირილასთან,
ბორნის ახლოს, მიკიტნის სიგუნავას დუქნებთან. ორი ქალის გარდა ყვე-
ლა დანარჩენი: მგზავრი სამიკიტნოში შევიდა, ღვინის სმა და ზოგმაც

ყვირილაში დაკერაილი თევზის — ცოცხალის ჭამა დაიწყეს. კორნელი კი აღიდგნული მდინარისგან დანგრეული ხიდის თავზე გაჩერდა. როგვლივ გაწლილ ჭალებს მიმოავლო თვალი: ყვირილის იქით წყნარად, ცნობილ მრეწველს ანანოვის სასახლე და ვარციხის მამული მშენებელი საბა დაფები, ქვიტყირის სახლები. შემდეგ აჯამეთის დაბურული ტყე აქით რიონის ველია, ჩრდილოეთით ქედი ხომლი, ზოლო მის იქით უდნობა თოვლით გადალესილი ვოლიათი მთები: უშბა, თეთნულდი...

მზე დასავლეთისაკენ გადახარა. კორნელიმ პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი მოუკიდა, მოსწია და ხიდის მოაჯირს დაეყრდნო. დამშრალი მდინარის ტალღებს დააცქერდა. ყვირილა უმეტეს შემთხვევაში მურისფერია. ვინაიდან მისი წყლით ჭიათურის შავქვას რეცხავენ. ეხლა კი გამსჭვირვალე იყო იგი და მის ფსკერზე ქვები და კენჭები მოსჩანდა. კორნელი თვალს არ აშორებდა: თევზები დაინახა. სიგუნავას დუქნიდან არღნის ხმა და სიმღერა შემოესმა. რამდენჯერ ჩაუვლია კორნელის დედასთან, დეიდასთან და ბიძასთან ერთად სიგუნავას ამ ცნობილ დუქნიბზე, ვან დასაულს? ქუთათაძენი ზემო-ვერეთისკენ მინავალთ გული არ გაუძლებდათ, რომ აქ ლენო არ გადაეკრათ. პური და ყვირილის განთქმული თივზი არ შეიკამათ, დათახურნაზე ან არღანზე არ ექვიდნათ. განსაკუთრებით თავადებმა და აზნაურებს. დაგვიანებას არეინ სჩიოდა. აი, ეხლაც ქვიფობენ უდარდელი მგზავრები და ჩანჩურა მებარნე სიბიტო ქოქავს აღდისს ჯუბაგადაცმულ, ფოჩებიან არღანს. სიგუნავას დუქნებს ეტლებისა და დილიენებისათვის წინ ფართო მისასვლელი აქვს ყავრით გადაბურული, ფარდულსავით.

კორნელის მოაგონდა ამ ფარდულს ქვეშ სვეტზე მიბმული „ალია“ — ბიძია ოტიას ყაბარდული ულაცი. მაშინაც საღამო ეამი იყო; ედალწვერა, მსუქანი. ახოვანი და ჭამარ-ხანჯლით გამოწყობილი მემამულე ოტია მდივანი ამ სიგუნავას სამიკიტნოში ქვიფობდა და თანაც ყვირილის იქით და აქით მიმავალ მგზავრებს, ნაცნობებს და მეზობლებს ეპატივებოდა. დაღამდა. დიდის ვაივავლაბით გამოიყვანა მაშინ დუქნიდან რვა წლის ყმაწვილმა კორნელიმ დამთვრალი ბიძა ოტია. ოტია ძლივს შეჯდა ცხენზე. დისწული მუხლზე დაისვა. ნაბადი მოახურა და შუბლზე აკოცა: ნუ გეშინია, ალია ახლა, თუ გინდა. სათათრეში ჩავიყვანხო. მგზავრებმა გზა დაულოცეს და ოტია ყვირილაზე გავიდა. აღმართზე აირბინა და მოკლე გზით დააპირა კარისმერეთში ჩასვლა: ვარციხე — დიდელაზე გავლით. აჯამეთის დაბურულ ტყეში შევიდა. ეყვინთებოდა. უნაგირზე ყანყალებდა: სადავეს ვერ იქერდა. ცხენი სწორი გზით ვერ მიჰყავდა: ხან ხრამს მიადგებოდა, ხან კიდევ გაუვალ ტყერში შეიჭრებოდა. შიშით აკანკალებული ყმაწვილი აღვიძებდა მაშინ ბიძას და მკერდზე ეკვროდა. ბევრი იბორილა ოტიამ იმ ბნელ ღამით აჯამეთში, სანამ ტყიდან გავიდოდა და კარისმერეთისკენ მიმავალ სწორ გზას დაადგებოდა.

ხშირად ჩერდებოდა ალია. ფრუტუნებდა და ხეიხინებდა. ვინ იცის, რისთვის? მაშინ აჯამეთში გაცილებით მეტი ნადირი იყო: ჭურჭი, მელა, გელი. მართლაც, ღრმა ღელესთან ტურების შემხარბევი კვილი და მოთქმა ატყდა ალია ისევ შეჩერდა. ოტიამ დეზი ჰკრა, ~~ფრუტუნები~~ სმამალა დასკვივლა: ატ, შე შგლის არჩივო, ტურების ~~სმამალა~~

ღრმაღელე გაიარეს თუ არა, ტყე ერთბაშად გათავდა. ერთ მოშიშვლებულ ალაგას კორნელიმ ნათლად დაინახა დაცუკული რაღაც შავი არსება და ნაკვერცხალივით ანთებული თვალები. ეს არსება და ეს თვალები ყმაწვილმა ჯერ აღქაჯად, კუდიანად, ჰინკად მიიჩნია, მერე, კი წგელი ეგონა. შიშის ზარი დაეცა. გულის ძგერა აუეარდა. ბიძას მოეშვია და ტირილი მორთო. ერთ წამს ოტიაც შეფიქრიანდა, მაგრამ მას არა ერთხელ უნახავს ღამით ტყეში ასეთი რამ. ოტიამ დააწყნარა ყმაწვილი. ახლოს მიიყვანა, წუმწუშა აანთო და მართლაც კუდიანის ანთებული თვალები მაშინვე ჩაქრა, და კორნელიმ ნათლად დაინახა ძველი მუხის ძირი, კუნძი, და იქვე მიწაზე დაყრილი, ცულის ჩანახლეხი ნაფოტები, რომლებიც ღამით ნაკვერცხლებივით ანათებდნენ ფოსფორულ ნივთიერებათა გამო. ასეთი გულისხეუქით ჩაიყვანა ოტიამ სოფელში დისწული. მაშინ კორნელის სწამდა აღქაჯის, კუდიანისა და ჰინკის არსებობა. ეხლა კი სიგუნავას დუქნებთან და იმავე მდინარე ყვირილასთან სტუდენტი — ჯარისკაცი იდგა და არა ბიძა ოტიას მუხლზე მჯდომი და მის ნაბადში გახვეული რვა წლის ყმაწვილი. მაშინაც ასეთი დღე იყო და კორნელი ასევე იდგა ამ ხიდზე, ყვირილას ფსკერზე გადარეცხილ ქვებსა და კენჭებს დასცქეროდა. მაშინაც არავინ ღონდებოდა დავიანებით. მაშინ კორნელის დაღამებისა ეშინოდა, ეხლა-კი საყვარელი ასულის ნინოს ნახვა აჩქარებდა.

ნინოს მოგონებისთანავე კორნელი სიგუნავას დუქანში შევიდა. შეეტლეს გამოუძახა და გაუჯავრდა ამდენი ლოდინისათვის. მოხუც გლეხს მოესწრო მგზავრებისათვის ჯარისკაცის და მისი მშობლების ვინაობის განზელა და ისინიც მორიდებით ეხვეწებოდნენ ამ კუთხეში განთქმული ექიმის მხეიძის შვილს — კორნელის მიერთვა ერთი ქიქა ღვინო. კორნელიმ დალია და მგზავრებს შესძახა: ღამდება, მალე წავიდეთო. ზოგი გაჰყვა კორნელის დილიქნისკენ, ზოგი კი ვერ შორდებოდა პურმარლით და ღვინით გაწყობილ დახლს, მაგრამ კორნელი მეეტლეს და ჩამორჩენილ მგზავრებს აღარ დაელოდა და ცხენები ბორნისაკენ გარეკა. მაშინ მედილიქნე და ღვინოზე დახარბებული დანარჩენი მგზავრები გამოსკვიდნენ. დილიქანი ბორანზე შეაყენეს და ყვირილზე გადაიყვანეს. მეეტლემ ჩაუარა ანანოვის სასახლეს, მამულს და ისევ დაადგა სწორ გზას, რომელიც ათ კილომეტრზე ორივე კილით აჯამეთის ტყე მისდევს. შემდეგ მუხის ტყე თავდება, იწყება ველი და მხეზე მიფიცხებული ამწვანებულ გორაკები, მევენახეობით სახელგანთქმული სოფლები, როდენ

საც კორნელი გზის მცველის პატარა დანგრეულ სახლთან ვაჭარობდა, მზე უკვე ჩასულიყო. მგზავრები დიდის ამბით ეთხოვეს კორნელის, განსაკუთრებით კი მოხუცი გლეხი. პირიდან ყალიონი გამოიღო და მადლობა გადაუხადა: ავაშენა, ბიძია, ღმერთმა ამსიგრძეც და შექმნიველად დავეითოკეთ საუბრითო.

კარისმერეთი

„ომში წასვლა მის უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო;
დაბრუნება და შინ მოსვლა, —
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო...“

კორნელიმ შარა გზიდან გადაუხვია. აქ დასახლებული ფრანგი აგრონომის, ვინმე ტიებოს მამულს, სახლს, ღვინის სარდაფს ჩაუარა და მდინარისკენ მიმავალ სოფლის გზას დაადგა. მდინარის გასწვრივ ნაცნობი ქილებია, გამოროდებული სიმინდი მაჯის სიმსბო გამზნდარა, და საცა თავს იყრიადა. აჯამეთის ტყის იქით დასავლეთი ისე ვაწითლებულა, ხანძარიად — ფიქრებდით. მდინარის ვაღმა, მალალ ნაპირზე ბროწეულის ხე ჩამწკრივებულა. შემდეგ სოფელია. ეზოებში ჩალით დაზვიწული ხეები პაპუასების ქოხებს აგონებდა კორნელის, ხოლო ვარდისფერ ცახე ახატული გოლიათი ცახტეები — ეგვიპტელთა პირამიდებს. ასე ზეინაედა ბაბუა ჩემი, ალბათ, ბაბუას პაპაც და ვინ იცის, რა ჭადარაწარსულიდან მოსულა ჩვენამდე ჩალის შენახვის ეგ წესიო, — ფიქრობდა კორნელი.

დღე და ღამე იყრებოდა, როცა ყანაში ცხენზე გამამჯდარი ყმაწვილი გამოჩნდა. თავზე ქილის ფართო ქუდი ეხურა: იგი მეჭიკელ ყმაწვილს ადარა კორნელიმ. სამშობლოში ამ უცხო სურათების წარმოჩენა შორეულ ქვეყნებში მოგზაურობისა და მათი ნახვის მოქარბებულ სურვილით თუ აიხსნება. ჯარისკაცის დანახვაზე ყმაწვილი ცხენიდან ჩამოხტა. კორნელიმ იცნო დედის მოჯამაგირე ბიჭი — აგოია გახარებული ყმაწვილი გაკვირვებით შესცქეროდა სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ და იარაღში ჩამჯდარ კორნელის. დიდრონ შავ თვლებს აბრიალებდა. თეთრი კბილების რკალს აჩენდა. იგი ღარიბი გლეხის დომენტი ხედელიძის შვილი იყო. დომენტიმ კორნელის დედასთან — ტერეზასთან დააყენა მოჯამაგირედ: განათლებული ხალხის ხელში იჭნება, წერაკითხვას და ცოტა რუსულსაც ისწავლისო. კორნელის უყვარდა აგოია, მასთან თამაში და, როცა სოფელში ჩავიიოდა, არც დედას და არც სხვა ვისმეს არ დააჯანბინებდა მის თავს. ამისთვის უხაროდა აღდგომა დღესავით აგოიას კორნელის ჩამოსვლა კარისმერეთში. კორნელიმ ხელი ჩამოართვა, ნიკაპი აუწია, აპხედ-დაპხედა: რამოდენა გაზრდილბარო, უთხრა.

— აქ რისთვის ჩამოსულხარ? — შეეკითხა.

— ჩვენი წისქვილი აღარ მუშაობს და ქალბატონმა აქაო გომობტანა საფქვავეი, — მიუგო ფეხშიშველმა აგოიამ.

შავი სატინის დაკონკილი ხალათი და მოკლე შერეული წვეთის ჯანმრთელი ბიჭი იყო. მაგარი წვივები ჰქონდა. მდინარე ყვირილაში ცურვასა და ყვინთაში ტოლი არ ჰყავდა. ტერეზა უკვე დაეაყვებულ მოჯამაგირესავეთ ასაქმებდა. თანაც საქონელში გზავნიდა და ისიც თავის სალამურით, ჩანთაში ჩაწყობილი საგზლით სწყევსავედა საქონელს ყვირილის პირად. კორნელი გზას გაუდგა. აგოიამ ჩემოდანი ჩამოართვა, ცხენის ზურგზე მოაწყო. ცხენზე შეჯგეჭო არ ეშვებოდა. დილიდანში ჯდომით დავიღალე და ასე ფეხით სიარული მესიამოვნება და მიჩენიაო, — არწმუნებდა კორნელი. მაზარა, ჩანთა და შაშხანა მაინც აღარ დაანება აგოიამ და მზარზე გადიკიდა. ცხენი აღვირით წაიყვანა:

— ქალბატონი აღარ იყო ჯავრით: ვაი, თუ თათრებმა მომიკლანო?! თათარი თუ მოკალი? — მოულოდნელად და გულუბრყვილოდ შეეკითხა აგოია.

— მოვკალი! — უპასუხა კორნელმა და შერცხვა, რადგან დაატყუილა.

ბონდის ხიდზე შესდგნენ. კალმახით, ბოლოწითელით სავსე, ანკარა და გაქსჰენრვალე მთის ჩქარ მდინარეს თან მოაქვს ზეკარის ხეობიდან მონაბერი ნიავეი „ხაბარდულა“. კორნელმა ქუდი მოიხადა, შუბლი გაიგრილა და თვალი მიმოავლო წარმტაც არემარეს: დასაუღეთით ისევ აჯამეთის დაბურული ტყე და რიონის ველი მოსჩანდა. ჩრდილოეთით: კავკასიონის ქედები, უკან, სამხრეთითა მწვენიე, კონუსის მსგავსი მთა შუბანი და მწვენიე ხავერდის მსგავსივე ხეობა. შუბანის მწვერვალზე საესე მთვარე იდგა, ირგვლიე სიჩუმე და მყუდროება იყო, რასაც ქვებზე და ლოდებზე მარბენალი მდინარის გრიალი არღვევდა. „რა ლამაზი სანახაობა იშლება ამ ხიდიდან. აქ, ხიდზე და მდინარის გაღმა ნაპირზე უყვართ კარისმერეთელ ქალვაეებს მთვარიან ღამეში სეირნობა. აქ ვისეირნებ მეც ნინოსთან ერთად“, — გაიფიქრა კორნელმა და გამოჰკითხა აგოიას დედაზე, მის სტუმრებზე: ვარდო, ნინო მაყაშვილებზე ზოგი რამ.

— არც ქალბატონი და არც მისი სტუმრები არ მიგვლიან! როგორ გაეხარდება ქალბატონს! — იცინოდა აღტაცებული ყმაწვილი, თანაც თავი მოსწონდა: მზარზე შაშხანა ეკიდა.

აღმართს შეუდგნენ. აღარ გათავდა ეს ტურებით საესე (ხოლო აგოიას და აქაურ გლეხების რწმუნებთ: ქინკებიტაც საესე) მთა. უცნაური ამბავი შეგმთხვა ეხლა კორნელის. ბორჯომიდან ქუთაისამდე, ქუთაისიდან გზისმცველის პატარა სახლამდე ერთი წუთითაც კი არ დავიწყნია, რომ იგი ჯარისკაცია და ომიდან მომავალი, ხოლო აგოიასთან შეხვე-

დროისა, მდინარის ხიდიდან გაშლილი არემარისა და ამ მთიან ხილვის შემდეგ თითქო ყოველივე წარიშალა: ჯარისკაცობა, ომი ტფილისი. ტფილისში რვა წელს ყოფნის გამო შეძენილი კრწანთისკენ გასოცვალა. მანაც, როგორც აგოიამ, ზემოიმერულ კრწანთისკენ გასპარაკი და ყმაწვილ აგოიასავით მოუნდა ცელქობა და სირბილი ამ მინდორსა და ვორაკებზე, სადაც ბაეშვობა გაუტარებია, მაგრამ, როდესაც ვორაკზე შალა: ალვის ხეები, კვიპაროზი, მაგნოლიები და მათ შორის აივანი და სახლი გამოჩნდა, მაშინვე შესდგა. მაზარა ძირს დააგო. დაკუცა, დაამრგვალა, დააგუნდავა და რგოლივით შეპკრა. მაზარის რგოლში თავი გაპყო და ტანზე შემოიკრა ისე, როგორც ლაშქრობის დროს ეცოან ხოლმე ჯარისკაცებმა აგოია გულისყურით ადევნებდა თვალს. შაშანაც გადაიკიდა მხარზე კორნელიმ და შინისკენ ისე გაეშურა: მხედრულად მორთული და შეიარაღებული. ასე უნდოდა წარსდგომა ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს თავისიანების წინაშე.

როცა ორლობეში შევიდა, მხედრული ნაბიჯით იწყო სიარული. მეზობლები განცვიფრებით შესცქეროდნენ სოფელში ამაყად მიმავალ უცნობ ჯარისკაცს. პატარა მინდორი გადაიარა და მეზობლებიდან განცალკევებულ, შალლობზე გაშლილ დიდ ეზოსა და სათიბის ჭიშკარს მიადგა. ჭიშკარი არ გაუღია კორნელის. აგოიამ სარზე მიიბა ცხენი და ლობის გადასასვლელ ალაგზე გადახტა. შინისკენ დააპირა წასვლა: კორნელის დედის — ტერეზას მახარობლად. კორნელიმ შეაჩერა: დაიცა, მოულოდნელად მივეპაროთ ჩვენებსო. ძაღლების ყეფა ატყდა და სახლის აივნისა და ძახილი გაისმა: რომელი ხარ მანდო კორნელიმ და აგოიამ ეხლა ეზოს უკანა ჭიშკრიდან, თხილნარით სცადეს შინ შეპარვა. აყეფებულმა ძაღლებმა: ტერეზას „ყაზბეგმა“ და მაცაშვილების „როიამ“ იცნეს აგოია და პირუტყვის ენის მკოდნე აგოიამ ტკბილი სიტყვით, შეწყრომით, ნაცადი ხერხით გააჩუმა ისინი. თხილნარში კორნელის გულმა ვეღარ გაუძლო. თხილის ბუჭგი მოსწყვიტა. უყნოსა: უყვარდა თხილის ბუჭგისა და გასრესილი ფოთლის საამო სურნელი. ბუჭგიდან კაჭალი ამოაგდო, გასტება და შეჭამა ჯერ კიდევ ჭყინტი თხილის გული — ლებანი. თხილნარის შემდეგ ლარისწყალს ასცდნენ და სასიმიდნეს ამოეფარნენ. კორნელიმ თავი გამოპყო და ნათლად დაინახა აივნის წინ, დიდი ცაცხვის ქვეშ ფანჯრის მაგვარი ლამფით განათებულ სუფრაზე მსხდომნი: დედა ტერეზა, ვარდო, უფროსი ძმა სტეფანე, ტერეზას დის, კორნელის დედის მაზლი იონა და სხვანი. ჩაის სმა დაემთავრებიათ. მშვიდად, მოლიმარი სახით ისხდნენ ყველანი და ტკბილად საუბრობდნენ. კორნელიმ გაიფიქრა: „როგორ დამშვიდებული ზის დედა, დიასახლისობს და ვერ კი გრძნობს, რომ სულ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დგას მისი შველი — ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცი!“.

მცირე დემილის შემდეგ ჩურჩულით წარმოსთქვა: „ქურთყულ იყავ შენ, მყუდრო და წმინდა ოჯახო!“ გული აუტუყდა დედისა და თავისიანების ცქერით და რატომღაც გაახსენდა რელიგიური სურათები, რომლებზე გერმანული წარწერით: „წმინდა ოჯახი“. ამ „წმინდა ოჯახის“ წევრთა შორის არ სჩანდა ნინო. აგოია ველარ ითმენდა: რასა შერები, მალე მივიდეთ ჩვენებთანო. თითქოს ცხენიც თანაფერძნობსო ყმაწვილს. შებლს ზურზე აბჯენდა, აწვებოდა. მალე გაიქეციო. კორნელიმ ძაღლები დააქერინა აგოიას. თითონ ჩრდილს მიჰყვა და ღობე-ღობე იარა. ამ დროს აიენიდან კიბე ჩამოიბრინა ნინომ და იონას გვერდით დაჯდა. ნინოს დანახვისას კორნელის გული უფრო აუტოკდა. იონამ, რაღაც უთხრა ნინოს და ყველამ ხმაბალა გადინახარა. კორნელამ გაიფიქრა „ალბათ, ჩვეულებისამებრ ოხუნჯობს უცნაური და აუტანელი იონა! ვაი თუ ნინოათანაც ცინიკურად ოხუნჯობს ისე, როგორც სხევეია!“ იონასთან კარგი მეზობლობა ჰქონდა ტერეზას, ძმაშიც კი არ გამოარჩევდა კორნელი დობეს მოშორდა, ფეხაკრეფით მიჰყვა ცაცხვის ჩრდილს, ვეება ხის ტახს მოეფარა. ენლა სულ აშლოს იყო თავისიანებთან. ბოლოს სინათლეზე გამოვიდა, ჩქარის ნაბიჯით წავიდა, ერთბაშად — შეჩერდა მაგიდასთან, ხელით საღამი მისცა და ღიმილით დაიძახა:

— ნება მიბოძეთ, გამოეცხადდე!

ყველანი შეკრთნენ და ჯარისკაცისკენ შეტრიალდნენ განცვიფრებული სახით. ერთი წამით ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია დედის შეძახილმა:

— დედა, შვილო კორნელი!

ამის შემდეგ ერთხმად წამოიძახეს: კინელიო — და სკამებიდან წამოცვივდნენ. დედა ტერეზა ყველაზე უმაღ მივარდა შვილს. ხელი მოახვია, მკერდში ჩაიხუტა და მეტის სიხარულით აცრემლებულმა სახე და თვალები დაუკონა. როგორის აღტაცებით და სიყვარულით, კეშშით და მწუხარებით ჰყვავოდა ამ წუთას მზრუნველობით სავსე დედის თვალეები! ტირილი სიცილს ეჯობებოდა. კორნელემ ყველა გადაჰკონა: იონა. ძმა, ვარდო მაყაშვილი და, პირველად თავის სიკაცხლეში სხვათა თვალისწინ, ვარდოს ქალი — ნინოც. ხელი ეაკაცურად, მხედრულად მოუჭირა და თვალეებში ჩააცქერდა, თითქოს ეკითხება: დაგავიწყდი თუ არაო. გაოცებული ნინო ძლივს ახერხებდა ღიმილს და ბავშვივით დარცხენილი მისჩერებოდა ხან ვარდოს და ხან კიდევ კორნელის დედას ტერეზას. საშხადიდან ტერეზას სახლში გაზრდილი მოჯამავირე ქალი მაიკო და აგოიას მამა დომენტი ხვედელიძე გამოვარდნენ და ამათაც გადაჰკონეს კორნელი. კორნელი ფრონტიდან დაბრუნებულ, ნამდვილ ჯარისკაცს ჰგავდა. რომელსაც განვლილი ჰქონდა ბრძოლის ველი, თოფ-ზარბანების ვრიალი. აღამიანთა სისხლი, იარა და ხშირად სიკედილის წინაც დგომა. იგი დედის თვალში სავსებით დავაკაცებული სჩანდა. სი-

მალეც კი მოჰმატნია. მზით დამწვარი სახე სპილენძისფერი ვახდომია. მხარბეჭი გაგანიერებია. ჯანიანი, ძარღვიანი და ფართო ხელებისგული შაშხანის ლულის თავზე ჰქონდა დაბჯენილი. ლამდის მუქი ვახლოებული მისი დიდრონი და შავი თვალები ეღვარებდნენ. მავრამისგან დაღლილობის გამო ჩაპლურჯებოდა.

როცა ხვევნა-კოცნით და შეკითხვებით გაიძღეს გული, მაშინ მიხედნენ მიერთმიათ დალლილ ჯარისკაცისათვის სკამი. კორნელი დინჯად დაჯდა. შაშხანა ჩამოიღო, დონიჯი შემოიყარა, მხარბეჭი გაშალა და წარბისე მრისხანედ და ვაჟკაცურად აზიდა, თითქო მურზაყან დადგეკელიანიო. ტერეზამ ისევე შესძახა:

— ეს რა გვიყავი ბიჭო, ასე მოულოდნელად და ყაჩაღურად რომ დაგვეცი თავს!? — უხაროდა: საყვარელი შვილი უვნებლად დაუბრუნდა ბრძოლიდან. მაინც არ იქნა და არ გათავდა, ეს დასაწვავი ომი. წინად მსოფლიო ომში წასული უფროსი შვილის, დოსტაქრის — ევეგენის დარდი ანელებდა. ეხლა უმცროსისა.

— დიდი ბრძოლა გქონიათ ასპინძასთან! — უთხრა ძმამ სტეფანემ. ევროპულ კოსტუმში გამოწყობილმა, ლამაზმა და ჩასუქებულმა კაცმა.

— ბრძოლა კი არა. ის არ გინდა! ჭიამვედრების ბრძოლა კარგი შეუღია!? — გაჰქირდა იონამ კორნელი.

— შენ დიდი ვიორგი სააკაძე მყავხარ! — გაიცინა ტერეზამ: უნდოდა სიცილში ჩაეტარებინა ენამწარე იონას შენიშვნა. შიშობდა: ამაყო ბიჭი არ გამიბრაზოსო.

კორნელიმ თვალი შეასწრო ნინოს და ვარდოს: ჩემზე ამის შემდეგ რას იფიქრებენო. მაგრამ ნინომ ისე დაყვავებით გადმოხედა, თითქო ახსენობდა: ვიცა უცნაურ იონას ენამწარობა და ოხუნჯობაო.

— ტფილისში შემთხვევით ვნახე თქვენი ბატარეის უფროსის მოადგილე ბერეჟიანი. საცოდავი გრიგოლ ცაგურიშვილი! — სთქვა სტეფანემ. მწუხარედ ამოიოხრეს ქალებმა და მოიგონეს ეს ნიჭიერი ახალგაზრდა და მასთან ერთად ვიორგი ჭუბაბრიაც ჟარისმერეთის ცაცხვის ქვეშ.

— მე არასოდეს აღარ დამავიწყდება სიკვდილის წინ თქმული უკანასკნელი მისი სიტყვები! — განაცხადა კორნელიმ. სტეფანე დაინტერესდა.

— რა სთქვა ასეთე? — კორნელიმ უპასუხა:

— გრიგოლი, როგორც იცით, დიდი პატრიოტი იყო. მაგრამ ტყვეობით დაცხრილულმა სიკვდილის წინ ყოველივე ამაოებად მიიჩნია. მეგონა უშიშრად და გაბედულად მოვეკვდებოდი ერისათვის, მაგრამ ეხლა ვხედავ რა ძნელი და თანაც რა უმიზნო ყოფილაო!

ქალებს გლოვისაგან სახე დაპლრეჯოდათ. ტერეზა ცრემლს იწმენდა. გულდათუთქული ოხრავდა: „ვაი, შენს დედას, შვილო!“ ცინიკურ ოხუნჯობის მოტრფიალეს იონასაც თავი ჩაექინდრნა, ცრემლმორეული თვალებით დედამიწას გაშტერებული ჩასჩერებოდა, აღელვებული ღრჭად.

სუნთქავდა. ასეთი იყო იონა: ცინიზმი და სათნოება უცნაური ძალით შეუთავსებია მას. ვარდო და ნინო ჯიბოს ამბავს ეკონტრბანდო კონონელის, ხოლო ჯარისკაცმა მანამდე ვერ მოისვენა, სანამ ასპინძის ომი არ უამბო თავისიანებს:

— პორუჩიკი ბერეჟიანი მართლაც ვაჟკაცი ყოფილა, ბაოძაყში დაკრილი მიეყრდნო მუხას და ასე განაგრძობდა განკარგულებას. თურქებმა ილყა შემოგვარტყეს, იერიშზე გადავედით და ხიშტები ავაშუშავეთ... — განაგრძობდა კორნელი საუბარს ჯავახეთის ომზე და ისე შორს შესტომა, რომ ასპინძა — ახალქალაქთან მომხდარი ბრძოლა ერთი ათად გაზარდა — რა საშინელი რამ არის იერიში! აი, სად შიშვლდება პირველყოფილი, ცხოველური ინსტიქტი ადამიანისა! — პათეთიურ ფრაზებით აშინებდა სულგანაბულ მსმენელთ კორნელი და შეჩერდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გაოცებული და უცნაურად პირდაღებული ყმაწვილი აგოია შეამჩნია. შეხედა თუ არა მას, რატომღაც გაიფიქრა: „ვთუ აგოიასავით შემეკითხონ: თათარი ხომ არ მოგიკლავსო, და რომ დაუდასტურო — ვაი, თუ იონამ სასაცილოდ ამიგდოს?! რაწამს ეს გაიფიქრა, მაშინვე იგრძნო, თუ რაოდენად გაზვიადებული, ალაგ-ალაგ კი მოკორილი იყო მისი ნაამბობი ასპინძაზე და უეცრად დასძინა: — რომელი ერთი შემთხვევა მოგიგონო. მთელი დღე დამჭირდება ყოველივე რომ გაამბოთ!!“

— მერე გვიამბე, შვილო! რას გავბარ, შე საწყალო, როგორ გამხდარხარ! — უთხრა დედამ.

— არც ისე გამხდარია კორნელი! — ანუგეშა ვარდომ ტერეზა.

— როგორ არა, გენაცვალე, მაგრამ არა უშავსრა: რახან კარისპერეთში ვიგდე მაგის თავი, მოედგები და ერთი რჯულზე გავასუქებ! — უბასუბა ტერეზამ და შეიღს უკან მიჰყვა.

კიბეზე ავიდნენ. ეს აგურის მოზრდილი სახლი აგებული იყო კორნელის პაპის — შეძლებული აზნაურის და მემამულის ალექსი შხეიძის მიერ. იგი შესდგებოდა ხუთი ოთახისგან.

როდესაც ალექსი შხეიძის შვილები ცალშვილს მოეკიდნენ, ხოლო ქალები დათხოვენ, ეს ხუთი ოთახი ძმებმა: ექიმმა გიორგიმ, დიმიტრიმ და სოსომ ამგვარად გაიყვეს: სამი ოთახი, მათ შორის დიდი სასტუმრო დარბაზიც, შეახვედრეს გიორგის, დანარჩენი ორი ოთახი კი — მის მომყოლ ძმას დიმიტრის, ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელს, რომელიც ზაფხულობით, მეტწილად, სიდედრის სოფელში მიდიოდა. ეხლა ეს მისი ორი ოთახი გამოკეტილი იყო და თუ ბევრი სტუმარ-მოყვარე არ ეწვევოდა, ისე ტერეზა არ გააღებდა ხოლმე. მესამე ძმა სოსო რუსეთში იყო და მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა.

სახლი მთის კალთაზეა წამოკიმული. სახლის ქვეშ სარდაფია. სამხრეთით და ჩრდილოეთით სახლს მტრედისფრად შეღებილი, ფართო

აივანი უელის. აივნის ერთ კუთხეს ფარავს ბალიდან გაზიერებული დაგრებილი ხე, რომელიც აყვავების ეამს სურნელოვან მტკვრებით იტვირთება. აივანზე მუდამ ჰქრის მდინარედან და ხეობიდან გრილი ნიავე და კორნელისაღ ამისათვის უყვარს ხაჭაპურის ტყეში აქ წოლა. დიდ ოთახში სასტუმრო და სასადილო ერთადაა. კედლებზე ხალიჩები ჰკიდია და იატაკზე მოძველებული ნოხია მოფენილი. ქერის შუა ალაგას, მრგვალი მაგიდის ზემოთ, მოძველებულივე კანკელი ჰკიდია, რომელშიაც ეხლა ძლივს ბეუტავს ლამფა. ფარდაგდაფენილი ტახტის წინ პატარა მაგიდა დგას. ზედ ალბომები აწყვია ბაბუა ალექსის, დიდედი ოლღას და მათი შვილების, შვილიშვილების, ნათესაებისა, მეგობარ-ნაცნობების სურათებით. მაგიდის ირგვლივ ხანგადასული სავარძლებია. ამზობენ, ალექსიმ ვენიდან გამოიწერაო. ფანჯარასთან პიანინო დგას. ეს ალექსის შვილს, ექიმს-გიორგი მხეიძეს შეუძენია. ბუხრის ახლოს ბუფეტის შკაფია. ფანჯრებს სუფთა, თეთრი და მოჭარგული ფარდები ამკობენ. კორნელის დედა, ტერეზა, სისუფთავის მოყვარული ქალია. სახლიც და ეზოც მუდამ სუფთად აქვს შენახული და მოკამკამებული. სასტუმროს გვერდით, ჩრდილოეთისკენ ექიმის გიორგი მხეიძის ყოფილი კაბინეტია, სადაც ამჟამად ტერეზას სტუმრები ვარდო და ნინო ცხოვრობენ. თავის შეუღლის კაბინეტი ყველა დანარჩენ ოთახზე უფრო სუფთად აქვს შენახული ტერეზას: საწერი მაგიდა, წიგნის ორი შკაფი, ტყავ-გადაკრული ტახტი, სანადირო თოფი, ბარომეტრი, ტერმომეტრები, საათი და ექიმის ხელსაწყოები..

წიგნებით გაჭედული შკაფი დარგებადაა დაყოფილი ამა თუ იმ სახის მეტნიერებათა მიხედვით. გიორგი მხეიძე ცნობილი ექიმი იყო, დიდად განათლებული და ნიჭიერი კაცი. შამის ბიბლიოთეკის მიმართ პატივისცემას და ფაქიზი მოპყრობა შეინარჩუნეს შვილებმა. კაბინეტი კარგა მოზრდილი ოთახია, მაგრამ, სტუმრების ჩამოსვლის შემდეგ, ტერეზას ტყავ-გადაკრული ტახტი აივანზე გაუტანია, საწერი მაგიდა კედელზე მიუღვამს და ოთახში ორი ლოჯინი შეუტანია: ერთი ვარდოსთვის, ხოლო მეორე ნინოსთვის. კაბინეტის უკან ტერეზას საძინებელი ოთახია. — კორნელის ამ ოთახში დაალაგა თავისი იარაღი და ბარგი-ბარხანა. ქაშარი შეიხსნა. მოიშლიდა, ხელები მალლა ასწია. გააზმორა და მიიხედ-მოიხედა. კედელზე კორნელის მიერ აკვარელით და ფანქრით დახატული სურათები და პორტრეტები დაუკიდნია ტერეზას: „მთა-შუბანი“, „ვილჰელმ ტელი“, „ენუტ ჰამსუნი“ და „ტოლსტოი“. პორტრეტები და სურათები ამჟღავნებენ კორნელის ტალანტს. ისინი მშვენიერ ჩარჩოებშია ჩასმული.

— რისთვის გაანებე, შეილო, ხატვას თავი? შენი სურათები ყველას მოსწონსო, უთხრა ტერეზამ. კორნელის ესაიბოვნა. დედა მოალერსე თვალებით უცქეროდა შვილს. შავს ტანსაცმელში იყო გამოწყობილი ხო-

ხუცი ქალი. თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა. თხელ ნაწნავითგან დაგრეხილი მურავი უკან საეარცხლით იყო დამაგრებული.

— გამხდარი და ფერმკრთალი მეჩვენები, დედა, ჩემი დაბრუნებას გავხდარხარო, მე რომ მეუბნები, ერთი შენს თავზეც დასხვიანოთხრა კორნელიმ.

— მოვხუციდი, შვილო, ნაშრომ-ნაჯაფი, ჭირისა და ლხინის მომსწრე ქალი ვარ. რას არ გადაუვლია ჩემს თავზე?! ამხელა მამულის და ოჯახის შოვლა, შისი გაძლოლა სამასხრო საქმე არ არის! შვილები ხანდახან მებმარებიან ცოტას, მაგრამ ის რას გაწევდება? სახლის სახურავი გამო-საცვლელია. არც ერთი კრამიტი აღარ დარჩა მთელი. ეზო შემოსალო-ბაია. ჭირნახულის მოწვევას დიდი ხარჯი და შრომა უნდა. მისით არაფერი არ მოდის! ამ არეულ და უკულმართ დროში, ღვთის მადლით, კიდევ კარგად მაქვს აწყობილი საქმე და ოჯახიც არ დამინგრევია. სხვა ყველაფერს გაყიდოდა ჩემს ადგილზე და მოსწრებულ შვილებს მიადგებოდა კარზე. ან კიდევ: ჩემს მერე ქვა-ქვაზე დადუღებულაო — იტყო-და. მე კი, ხომ ხედავ, ამ ხნის ქალი ვარ, მაგრამ მაინც მომავალზე ვფიქრობ. წელს ასი ძირი ნამყენი ვაზი და ახალი ხეხილი ჩაყარე — არ მინდა მოუსპო შვილებს და შვილიშვილებს მამა-პაპისეული საძირკველი. მე რომ მოვეკვდები, შვილო, აჭაურობა ერთბაშად დაინგრევა და გაპარტაბდება, ნუ გეშინია, ისეთი რძალი არ შემხედეს, აქ იმურმალოს, ოჯახიც და სახლ-კარი ფეხზე დააყენოს.

მოხუცი დედის განაცხადი ოჯახზე ფიქრი, გარჯა და ხარჯი ვერ განიცადა კორნელიმ ამჟამად და დედას შეეკითხა:

— ესლა სტუმრების ჩამოსვლით უფრო მეტი საზრუნავი გაგინდებოდა. როგორ უმასპინძლები მაყაშვილებს?

— სტუმრების, მით უმეტეს ასეთი სტუმრების მასპინძლობას შენ ვერ მასწავლი!

— კმაყოფილნი არიან აქ ყოფნით?

— რატომ არ იქნებიან კმაყოფილი? სასმელ-საჭმელი, ღვთის მოწყალებით, ჯერ არ მაკლია. თუმცა შარშან, ჯაჯანა მენჯავიძის და ლუკაიას გარდა, მთლიანად წაიღეს ჭირნახული ყანის მოზიარე გლეხებმა. დიდი უბედურება გველის გათავხედებულ გლეხებისაგან, შვილო! ეს ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ხომ აშკარად მტაცებლობას დაადგენ. წაიღეს, უკითხავად დახნეს და დათესეს სიმინდი ჩვენს მიწაზე. ასეთი ხეები დაავორეს ჩვენს ტყეში, — საწნახელისათვის გამოდგებოდა; ტერეზა აღარ ათავებდა ლაპარაკს გლეხებისგან მიყენებულ ზარალსა და შევიწროებაზე. კორნელიმ ვერც ასეთი გულისტკივილი განიცადა დედისა და ისევ თავის გულისყურის საგანზე ჩამოუგდო სიტყვა:

— თუ მოეწონათ კარისმერეთი მაყაშვილებს?

— კარისმერეთის ბუნებას და ჰაერს, მადლობა ღმერთს ვერავინ დაიწუნებს! ბინაც კარგი აქვთ და, სოფლის პირობაზე, კარგადაც მოვაწყვე. აი, ნახე! — ტერეზამ მაყაშვილთა ოთახის კარები შეღო: ლოგინები უჩვენა აბრეშუმის საბნებით, სუფთა და უმეტესად თეთრეულით გაწყობილი. კორნელიმ რბილსა და ნახ აბრეშუმს ხელი გადაუსვა:

— ნინოს ამ ლოგინზე სძინავს?

— სწორად გამოიცანი! — უბასუხა ღიმილით დედამ და მოალერსე ხმით შეაპარა: — ბიჭო, მგონი შენ ნინო ვულში ჩავვარდნია! არ არის ურიგო გოგო. პირიქით, ლამაზია, კარგად აზრდილი და ნასწავლიც. მაგრამ მარტო სწავლაში არ არის საქმე: რამდენი ნასწავლი ქალი მინახავს, ცხოვრება გაუმწარებიათ ქმრისათვის! ქალის ხასიათს ადრე ვერ გაიგებ, შეილო! ზოგი გათხოვებამდე ინახება, მტრედით ღულუნებს, მერე კი — მტრისას! არა, ნინოს ეტყობა: კარგი ქალი უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ რა დროს შენი ცოლია? ოცდაორი წლისაც არა ხარ! ჯერ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრე, საკუთარ თავს ეწიე, წელში გამაგრდი და მერე ცოლშვილიც კარგია..

— ცოლი კი არა, ის არგინდა! — ბანზე აუგდო სიტყვა კორნელიმ.

— შენი ძმებიც მასე ამბობდენ: ქალს თავის დღეში არ შევირთაუთო, მაგრამ ხომ ნახე, როგორ მოულოდნელად მოაჩუმათეს. არა, ესტატე მაყაშვილის ქალს ჩვენ ვერ დავიწუნებთ, ათასი გავდოთ ყაყარზე კუდი, ეს ცხადია, მაგრამ...

— დედა, შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს მე და ნინოს შორის ყველაფერი გამორკვეული იყოს და ხეალვე გვარისწერას ვაპირობდეთ...

— რა ეცი, შეილო, ისე გეუბნები, თუ გიყვართ ერთმანეთი და სიტყვა მიცემული გაქვთ ერთმანეთისათვის, მაშინ ჩემი ლაპარაკი რა საჭიროა. მაგრამ ეს ისეთი საქმეა, რომ წინდახედულება მართებს კაცს... — დაიწყო დაუსრულებელი ნატაცია ტერაზემ. მას სჭირდა ეგ სენი.

— ცოლი კი არა, ხომ ხედავ, ირგვლივ რა ამბავია?! წავიდეთ, სირცხვილია: გვიციდიან... უთხარი: პირი დამაბანინოს აგოიამ.

— აგოიას კი დაუდგა აღდგომა შენი მოსვლით! ნუ გაასულელებ, შეილო, თორემ აღარავის გაუგონებს... თავზე დაგვაჯდება.

კორნელი სახლის უკან, პატარა აივნით, კიბეზე ჩაეიდა და სამზადში შეიხედა. ბევრი ჭირისა და ღბინის მომსწრეა ეს სამზადი. ამდენად ისტორიულიც. კერაზე ცეცხლი ენთო. ზედ ნაქაზე, ოჯინჯალით ქვაბი ეკიდა.

მხეიძეთა სამსახურში მოხუცებული მაიკო გახურებულ კეცებს იღებდა კერიდან მაშით, თავსაფარს ისწორებდა და დომენტის ასაქმებდა. წყალი მომიტანე წყაროდან კოკით. მერე „კორნელის ვენაცვალეო“, დაიძაბა მან და მოეხვია მის ხელში დაბადებულს და გაზრდილს. ომიდან

უენებლად დაბრუნებას ულოცავდა. ჰკვირობდა: ბიჭო, რაში წასვლა როგორ გაბედეთ. ჯარში ნამსახურმა გლებმა — დომენტის იმეგ გამოკითხა ომის ამბები. კორნელი დაილაღა საცოდავი ასპინძის ომის თბობით და სულ მოკლედ უამბო. თუთუნი მოსთხოვა. მან დასწრეს: „სტერეზას მიერ ნახუქარი რკინის კოლოფი ამოიღო. კოლოფზე ეწერა: „მონასსიე““. დანით სუფთად დაჭრილი სოფლური თუთუნი მიართვა. დომენტის ჩაბლახით წაეკრა თავი ამ სიტყვში. შავი უღვაშები ოდნავ შეელაღებია: წვერი კი გაპარსული ჰქონდა. იგი დაბალი, ჯმუხი და შვეგვრემანი კაცი იყო. ფეხზე პაჭიქები და წულღები ეცვა. ლადარი გამოჩნრიკა, მაშით ნაკვერცხალი აიღო და კორნელის მიაწოდა. დომენტის ვაჟი აგოია ეშმაკივით ჰკუსავდა ცეცხლით განათებულ თვალებს და კორნელის შესცინოდა.

— სად შეგხვდა ეს ჭინკა? — ჰკითხა კორნელის მაიკომ.

— წისქვილთან შეგხვდი! — წამოიძახა ზარასავით წკრიალა ხმით აგოიამ, ქვაბიდან, ამოღებულ, ორთქლმოდებულ ქათამს სული შეუბერა, ხელისგული შემოჰკრა, ბუმბული შემოაცალა და ნაწლევების მოლოდინში ქათამზე მიგეზებულ კატა ფეხით კედელს მიახეთქა. კორნელი სამზადიდან გვეიდა.

სახლის უკან აივანზე პირსაბანი იდგა, მაგრამ კორნელიმ ხალათი და პერანგი გაიხადა, აივანზე გადაეყუდა და აგოიას მიერ წყაროდან კოკით მორბენილ ცივ წყალს შეუშვირა პეშვი. სახეზე შეისხა და დაიძახა: სოფელში სოფლურად უნდა დაიბანოს კაცმა პირიო. გულსტყვრილი ჩამოიბანა. აგოია ხელს ჰკიდებდა: აუ, რამოდენაა, რა მაგარი კუნთები ჰქონიაო. დედამ სუფთა პირსახოცი და პერანგი მიაგება. კორნელიმ სატინის ხალათი და შავი შარვალი ჩაიცვა და ასე გავიდა თავისიანებთან ცაცხვის ქვეშ. სტუდენტს გაუმარჯოსო, შესძახეს.

იონა

„ვიმასწროთ, მეტი რა შეგვრჩება ამ ტანჯვით სავსე წუთისოფლად?!“

იონასვე თქმებიდან

ვარდომ ჩვეულებისამებრ დაუსხა ჩაი. იონამ ისევ დაიწყო თავისი:

— ტყუილად იკობტავებდი ახდენხანს თავს, სულერთია, ნინოს მაინც არ მოსწონხარ! — კორნელის და ნინოს თვალები შეხედნენ ერთმანეთს. დარცხვენით დაჰპარეს თავი. კეხიანი ცხვირის დიდრონი ნესტოები და თხელი, დამცინავი ტუჩები შეკავებული ღიმილით უთრთოდნენ იონას:

— ნინომ შემოგითვალა: იმერელი ბიჭის რა მცოდნია, მაყაშვილის ქალსო!

ნინომ წყენით და ღიმილით შეჰკრა წარბები:

— ბატონო იონა, კმარა ამდენი დაცინვა!

იონა ისევ აუხირდა კორნელის:

— ნუ შიადები ამ პურს და ყველს! დამშეული ვაპირებთ ვაპირებთ ვაპირებთ!

— დაღლილს რაღა სეირნობა ექირვება? თქვენ ისეირნეთ. მე და

კორნელი ბიკოლა ტერეზასთან დავრჩებით! — შენიშნა ნინომ გულუბრყვილად იონას. იონამ გადაიხარხარა და წამოიძახა:

— შენც არ მომიკვდე! ქალბატონი ვარდო სწორედ იმ ქუაზეა მგელს კრავი დაუტოვოს!

ნინო გაბრაზდა:

— არ შეიძლება, ბიძია იონა, წერტილი დაუსვათ თქვენს ოხუნჯობას? სტეფანემ ურჩია ნინოს:

— ყურს ნუ უვლებთ იონას: თუ კი ყურადღება მიაქციეთ, — გათავდა, მაშინ მართლაც აღარ დაუსვამს წერტილს თავის ოხუნჯობას!

იონა იცინოდა. მერე სერიოზულად განაცხადა:

— ეჰ, ჩემო ნინო, ვიმასბროთ: მეტი რა შეგვრჩება ამ წუთსოფლად? ყველანი ამ ქვეყნის სტუმრები ვართ. ბოლოს მძორად ვიქცევით და ქიები შეგვქამს. თქვენ რა გიქირთ: ახლგაზრდები ხართ! მე ვიკითხო: ჩემი ცხოვრების შემოდგომაც რომ თავდება და ცალი ფეხი სამარეში მიდვას! — ასე უადვილებდს იონა ნინოს და კორნელის თავის ოხუნჯობის ატანას. ეს მისი ნაცადი ხერხი იყო. ეს ხერხი გარეკანი იყო იონას ოხუნჯობით გატენილ აბისათვის, რომელიც უნდა გადაეყლაპა საბოლოოდ აჩემებულ მსხვერპლს.

— ჯერ რა დროს თქვენი სამარეა, ბატონო იონა!? — დააწყნარა ვარდომ.

იონა მოღბა. ასეთი იყო იგი: ჯერ გაჰქირდავდა, აუხირდებოდა ადამიანს, მერე კი მოეფერებოდა. კარისმერეთში კულტურულ საზრდოზე დახარბებული იონა ეხლა ნინოს აქებდა და ეხვეწებოდა: პიანინოზე დაუჯარიო. ნინო აღგა ყველანი სმენად მოემზადნენ. ნინო უკრავდა ბეთ-ჰოვენის მთვარის სონატას¹ განსაკუთრებულად სასიამოვნო იყო ამ მუსიკის მოსმენა სოფლად, ამ მყუდრო, წყნარ და მთვარიან ღამეს, როდესაც მუსიკა დასრულდა და ნინო დაბრუნდა, მუსიკის და ხელოვნების მოტრფილად იონამ ჩაფიქრებით განაცხადა:

— ნინო შესანიშნავად უკრავდა, შესანიშნავად ვაღმოგვცა ბეთ-ჰოვენის სონატა, მაგრამ ბუნებამაც ხელი შეგვიწყო ამ ნაწარმოების ღრმა ათვისებისათვის. ეს კარისმერეთს უნდა უმადლოთ. მუსიკის ასეთ-ნაირი ათვისება ქალაქში შეუძლებელია!

კორნელი ემოწმებოდა იონას. იონას ნათქვამს დაუმატა:

— სტუმრებს, ნაცნობებს და მეგობრებს მანამდე არ ჩასამყენებდა რიხარდ ვაგნერი ბაპირაიტის თეატრში თავის ნაწარმოებს, ხანამ ქალაქიდან გაპოყოლილ წერილმან ინტერესებისაგან დაიკარგა და უკან დასაბრუნებლად არ განთავისუფლდებოდნენ. რამდენიმე დღეც გასულიყო ასეთი წინასწარი სამზადისი: ქალაქიდან ბაპირაიტში ჩასულნი ცხოვრობდნენ სპეციალურ სასტუმროში. სტუმრობდნენ ბაპირაიტის ლამაზი ბუნების ქვერეთით, რაც იწყებდა მათი სულის სათანადო მომართვას, განწყობდას და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ნამდვილი ზეიმი: ვაგნერის მუსიკის გენიოსურ ჰანგების მოსმენა ბაპირაიტის თეატრში.

ამის შემდეგ მუსიკასა და ხელოვნებაზე ჩამოეარდა ბაასი. მათაშვილები ძალზე გააოცა კარისმერეთში ჩაქცეილ იონას ცოდნამ და ესთეთური განცდის სიღრმემ.

იონას დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ექვსი კლასი. თვრამეტი წლის ქაბუკი ზოხუც მამას. მდიდარ შემამულეს ამოუდგა გვერდში და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. სოფლის მეურნეობა მალე მობეზრდა და ისევ განათლების მიღების წყურვილმა დასაძლია. დიდძალი ლიტერატურა გადაიკითხა სოფლად იონამ. მას თვეობით უცხოვრია ტფილისში, მოსკოვში და პეტროგრადში. დადიოდა თეატრებში. უნახავს და მოუსმენია რუსეთის შესანიშნავი მსახიობებისათვის. მაგრამ დღემდე ქუთაისის დრამატული დასის და მსახიობ ლადო მესხიშვილის მათაყვანებელი დარჩა რატომღაც. ლადო მესხიშვილზე არ შეეძლო დამშვიდებით ელაპარაკნა. აი, ეხლაც დაიწყო ყმაწვილკაცობისას განცდილის თბრობა გაქალაქებულმა იონამ:

— აბრეშუმის ახალუხით, შვინდისფერ ჩოხით, ირმის რქის ქილებით და ამილახვრული ბუბრის ქუდით მორთული მოვებტებოდი მამაჩემის ლურჯას. გავიარდი აჯამეთის ტყეს, ყვირილას, სალორიას და თქარათქურით შევიჭრებოდი ქუთაისში, სადაც მელოდნენ: სატრფო, მეგობრები, ხალხით სავსე ლადოს თეატრი და შექსპირის ცეცხლის შანდალი. თვალწინ მიდგას ლადოს ედგარი, ურიელ-აკოსტა, ფრანცი, პაპლეტი... ბარაქლა ლადოს დედას და ლადოს აკვანს: როგორ გვატკობოდა ის ჯადოქარი ლეთიური თამაშით?! ლადოსთან, მეგობრებთან ნაჭეიფარი, დაღლილი და დაქანცული, ვბრუნდებოდი ქუთაისიდან ისევ სოფელში. თან მომქონდა გაუმძღარი სურვილები. არ მაკმაყოფილებდა უზრუნველი ცხოვრება, სიმდიდრე, ეზო-გარემო, სახლი, არც ეს წარმტაცი აივანი, საიდნაც ასე ნათლად მოსჩანს თეთნულდი, უშმა. უსასოო თვალი იღლებოდა კავკასიონის ქედებისა და მწვერვალების ცქერით მაგონდებოდა ნაცნობი სიტყვები:

„И над вершинами Кавказа
Изгнанник рая пролетал“...

კორნელიზე ცოტა უფროსი ეიქნებოდი, როს დაუფარველ მშვიდობა სულსა და ის, რაც დემონზე და სატანაზე იყო თქმული „Собрание зод. — его стихия“ ადამიანზე ზედგამოჭრილად ექმნებოდა სახლის აივანზე ვიზეპირობდი კაეწნით მოცულ ბარათაშფოდზე: „Ихтиу, ბოროტოს“, უნებისყოფო და ეპვიით შეპყრობილი დანიის პრინცის — ჰამლეტის მონოლოგს: „ყოფნა არ ყოფნას“. დღეს ვიცი, რა იწვევდა ჩემში სასოწარკვეთილებას. ნუ გავიწყდებათ, რომ მე გარს მერტყნენ უსაქმონი: ღარიბთა შრომით, ტანჯვით და ოფლით გამაძლარნი. მე შევიგნე ყოველივე ეს და ხმაც ავიმალღე: გავექეცი იმ წრეს და მივედი ხალხთან. ხალხი ყველაზე უფრო დიდი მკურნალია პიროვნებისა. კორნელი და ნინო, თქვენ აღარ დაგჭირდებათ იმ ბედუკულმართი გზის გავლა, რადგან ჩემზე უფრო ბედნიერი თაობის, რევოლუციისა და თავისუფლების შვილები ხართ!

— ეინ იცის, რომელი თაობა აღმოჩნდება უფრო სალი და ბედნიერი: შენი თუ ჩემი! — უპასუხა კორნელიმ.

იონას გაუკვირდა.

— ნუთუ ეს გეეკვება? მაშინ პროგრესი და წინსვლელობაც აღარ იქნებოდა!

ვარდო ჩაერია და იონას შეეკითხა:

— რევოლუცია, რომელიც კაცობრიობის წარსულ და თანამედროვე კულტურას დაუნდობლად ანგრევს და ბარბაროსულად ანადგურებს, ნუთუ წინსვლელობა გგონია?!

იონამ ღიმილით მიუგო:

— მე მაგონდება რომელიღაც წიგნში წაკითხული სიტყვები, მიმართული რევოლუციის სიმკაცრით აღშფოთებულ და შეშინებულ ხალხისადმი: „განა შეიძლება კვერციდან გამოიჩეკოს წიწილა, თუ მან არ გასტება კვერცხის ნაჭუჭი?!“

მერე საუბრის საგანი გამოსცვალეს.

ეხლა სტეფანემ დაიწყო ლაპარაკი ჩოლოქის ბრძოლაზე. იქ თურქები საგრძნობლად დაზარალდნენ ჯავშნიანი მატარებლის მეოხებით. ოქრეხებივით ეყარნენ ასკრები ბრძოლის ველზეო, ბათუმის მიმართულებით სადგურ სუფსაზე სტეფანეს უნახავს ვეჭილი ესტატე მაყაშვილი და პლატონ მოგველაძე. „საქართველოს დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემდეგ ესტატე მაყაშვილი ტფილისში წასულა, ხოლო პლატონი კარისმერეთის მახლობელ სოფელში — მშობლებთან. იონა პლატონის მეგობარი იყო და მის ნიჰს დიდად აფასებდა. ფილოსოფიაზე, ხელოვნებაზე ქუთაისში გამართული არც ერთი მისი ლექცია არ გამოუტოვებია. პლატონი რამდენჯერმე ყოფილა იონასას კარისმერეთში. თავი მოსწონდა იონას ასეთი დიდი ქართველი ინტელიგენტის სტუმრობით. ეხლაც საგანგებოდ გაუგზავნია მის სოფელში წერილი. მისგან პასუხი მი-

ულია: ესტატე მაყაშვილი ამ ოთხ დღეში უნდა ჩამოსულიყო და იონაც ამ დღისათვის ეპატიებოდა პლატონს. გულჯიბიდან პლატონს მოგველა-
ის წერილი ამოიღო. კორნელიმ წაიკითხა:

„ძვირფესო იონა, მადლობას გიცხადებ დაპატრონებისათვის: თვეს დაგესხმით. ჩერქეზული ცხენით. დაამზადე: აღისფერი ღვინო, ჩვენ რომ „ერეკლე მეორე“ უწოდეთ. ძრწოდეთ: ღვინის სმა-
ში ყველას დაგჯაბნით. ვეპკობ მოგვაკლდეს: ხანისწყლის სახელ-
განთქმული კალმახები, ფორაჯიანი და წითლად აღანძული. ზედაზენიც
მოვინახულოთ: უცნაური ოტია მდივანი. საცნაურია მეტად: პომპროსის
ნოხუე გმირებს მაგონებს იგი! იქნება ისევ ნაპირგადასული ღვინა ქართ-
ველთა: მის მეუღლისგან გრივალევით დარხეული დაური გაგვაგვიყვებს:
თითონვე შოთხოვ ცოლიკაურით საესე ყანწს! საამოა: სტეფანე მანდ
ყოფილა! ხანისწყალმა განგებანოს პოეზიის სუფთა და ანკარა ტალღე-
ებით! შუბანის ნიაგმა გავვიგრილოს თავისუფალ საქართველოზე ოც-
ნებით დადაღული და მქმუნეარე შუბლი! მომაქვს შენდაში მოძღვნილი
ღექსი: „Sic ransit gloria mundi“. მომიკითხე პატივისცემით: ქალბა-
ტონი ტერეზა, ვარდო და ნინო. ნეტავ სად არის ამჟამად ჩვენი ქაბუკა
კორნელი?

შენი პლატონ მოგველაძე“.

ამ წერილიდან, სავალალოდ, კორნელიმ გაიგო, რომ პლატონ მოგვე-
ლაძე — მისი მეტოქე — სამი დღის შემდეგ, დედა ტერეზას სტუმარი
იქნებოდა, ვინაიდან იონას ჭობში საპატრიო სტუმრის მიღება შეუძლებელი
იყო. საერთოდ, იონას სტუმართა პატივისცემა ხარკად აწვა ტერეზას.

— მართლაც მიხარია, სტეფანე, შენ რომ აქ დაუხვდები მას. ხომ
იცი, რა განათლებული კაცია და შენთან საუბარი ესია მოენება! — უთ-
ხრა იონამ სტეფანეს.

— პლატონი განათლებული კაცია. ცოდნაც აქვს, მაგრამ ყოველგე-
ზი სისტემისა და მეთოდის გარეშე და ეს იმიტომ, რომ მას არ მიუღია
მტკიცე ფილოლოგიური განათლება. — უპასუხა სტეფანემ.

— პლატონს განათლება აკლიაო, ამას ვინ დაგიჯერებს?!

— დაუჯერებელი არაფერია, რადგან ის ყოფილი სემინარიელია, შე-
რე იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა ისეთი სკოლა, როგორც მე
გავიარე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ვეტერანებ-
თან — პროფესორ დაშკევიჩთან, პერეტთან, პიპინთან და დელაბარ-
ტთან, მას არც კი დასიზმრებია! — იწყინა სტეფანემ.

— აღდგომა და ხვალეო, — ხომ გავიგონია: აი, ჩანოვ ის კაცი და
ვინაოთ, რომელი აჯობებთ კამათში?!

— როგორ ვეკამათო ისეთ ადამიანს, რომელიც, მაგალითად, სერიო-
ზულად ამტკიცებს: რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სკოლა,
ფილოლოგების მიერ მოქორილი ამბავიაო?

— ვინ იცის, შესაძლოა მართალიც არის ის კაცია?

— იმგვარ მსჯელობას რომ გავყვეთ, მაშინ არა მართო რომანტიზმი, არამედ რეალიზმი, სენტიმენტალიზმი, ცრუკლასიციზმი და ყოველგვარი ლიტერატურული მიმართულება უნდა უარყვოდ. *მარტინე*

— ტყუილად აძაგებ პლატონს: იგი დიდი ინტელექტუალი, ფილოსოფიურად განსწავლული ადამიანი, ხელოვანი, ესთეტიკოსი და ოქროპირად წოდებული ორატორი, შენ კი ვინ გიცნობს? — შეეკითხა უტიფრად სტეფანეს იონა.

— ის შენისთანა ჩამორჩენილ პროვინციულ ადამიანებს ატყუებს. არც მინდა პლატონისმაგვარ ლათაიებით გავდიოდე ფონს და ისე მიცნობდენ! — ცხარობდა სტეფანე.

კორნელიმ უფროს ძმას დაუჭირა მხარი და ეხლა ერთად უტყვედნენ იონას:

— მე თითონ ვახლავარ მოწმე: პლატონის ცოდნა ქართული პოეზიისა და ბერძნული ლიტერატურისა ხუთი ლექციით ამოიწურა უნივერსიტეტში მისი ყალბი სტილი ამ წერილიდანაც სჩანს. ცხენზე ჯდომა მე ვასწავლე, საცოდავს, ბატარეიაში და აქ კი იკვების: თავს დაგვსხმით ჩერქეზული ცხენითო. წარმომიდგენია, რა ყალბი იქნება შენდამი მოძღვნილი მისი ლექსი? — განაცხადა კორნელიმ. მას ძლიერ სწყინდა რატომღაც, პლატონი რომ წერილში კაბუქს უწოდებდა.

— კუმ ფეხი გამოჰყო, შენზეა ნათქვამი. ჯერ ლექსი არ მოგისმენია და წინასწარ ჰკილავ?! ეს დიდი ადამიანი გულწრფელი ალტაცებით მოდის ჩვენთან. ხომ ხედავ, იწერება: მიხარია, სტეფანე მანდ ყოფილაო. ნეტავ კორნელი სად არისო: რად იცით კაცის ასეთი ახირება? — სწყინდა იონას, თან შიშობდა: ტერეზას გული არ აუცრუონ შეილებმა და ჩვეულებრივი მასპინძლობისა და დარღვიანდობის ნაცკლად პლატონს ცივად არ შეხვდესო, მაგრამ, ტერეზა იონას მიემხრო:

— იონა, განგებ გაბრაზებენ, თორემ პლატონ მოგველადე რომ დიდკაცია, ეს თითონაც კარგად იციან... შენ არ იყავი, კარისმერეთიდან რომ ქუდმოგლეჯილი გარბოდი ქუთაისში მოგველადის ლექციებზე? — ამხილა თავისი შვილი სტეფანე ტერეზამ.

ამის შემდეგ იონა დამშვიდდა.

მთხარის ღამეს

„ნუ უკვირებ, სატრფოო, შინა მგოსანა გულისთქმას“.

ნ. ბარათაშვილი

ნაებაშშვეს ყველანი ტყისკენ გაეშურნენ. ვენახი გაიარეს, ქიშკარი გააღეს და მერე მთვარით განათებულ მინდორზე გავიდნენ. მინდორის კედლებზე მუხნარია იქვე მთავორებია ისეთი მწვანე, ნაზი და ხავერდოვანი.

თითქო მხატვარს მთელი თავისი უნარი და საღებავი გაუღო იმისათვის, რომ ეს სიწაზე და ხავერდოვანი მწვეანე ფერი სრულყოფილი გაეხადნა. ვარდო, იონა და სტეფანე ერთად შიდიოდნენ. კობნეცემ ნინო კი შოშოვებით, ისე, რომ ამათ საუბრისათვის ყური არ მშობს.

— რა აუტანელი ყოფილა იონა! — დაიწყო ნინომ.

— მისი გარდაქმნა შეუძლებელია, ამას უნდა შევეუროვდეთ.

— იმ პატარა და ღარიბ ქოხში რა ჩინებული ბიბლიოთეკა ჰქონია! მართლა, კორნელი, რისთვის ცხოვრობს იონა ისეთ ქოხში? — შეეკითხა ნინო.

კორნელი დაფიქრდა და უპასუხა:

— მისი მამა ლევან ჩხეიძე შეძლებული მემამულე ყოფილა. სად არ ჰქონია საყვანე ადგილები, საძოვრები და ტყე, ვინ მოსთელის? მამის სიკვდილის შემდეგ მიწა-წყალი გაუყიდნიათ იონას ძმებს და ქეიფში შეუქამიათ. დიდი ცხენის ჯოჯი, ხარ-კამეჩის ნახირი ჰყოლია, იონას მამას. მის ტყეში მოჭრილი შეშა ნახევარ ქუთაისს ამარაგებდა. ერთი სიტყვით, შეძლებული მემამულე ყოფილა. მის სახლში დაუსრულებელი კეიფი და წადიმი იმართებოდა. ლევანი მკაცრი კაცი ყოფილა: გლეხების მტანჯველი, ჯალათი, იონა წასახუბებია მას ამ ნიადაგზე და ხალხოსური იდეებით გატაცებულს დაუგმია მემამულეთა და თავადაზნაუროთა ცხოვრება, როგორც თითონვე ვიამბოთ. დაჩაგრული გლეხკაცობის მოტრფიალე და შათი მფარველი გამხდარა. იონა გამოჰყოფია მამას. მაწის მკირველი ნაკვეთი აღუღია, იმდენი, რამდენსაც საკუთარი შრომით დასძლევდა. შიგ ფიცრული, ქოხისმავარი ეს პატარა სახლი ჩაუდგამს. თავდაპირველად ძლიერ უჭირდა თურმე იქ ცხოვრება, რადგან თავადაზნაურობას ჰკუთხე ამცდარ ადამიანად გამოუცხადებია. კარისმერეთის გლეხობა და მთელი თემის მოსახლეობა კი თავის მოამაგეს ხედავს ამ ხალხოსან და უცნაურ ადამიანში. სკოლა, თეატრი, სამკითხველო მისი თაოსნობით დაარსდა ამ დაბაში...

— ძალიან საინტერესო ადამიანია, — განაცხადა ნინომ.

— ეგ საინტერესო ადამიანი არა ერთხელ ვაგვიშრობს ჩვენ სახლს კარისმერეთში, — წამოსცდა კორნელის.

ნინომ გაკვირვებით შეხედა. კორნელიმ ლაპარაკის საგანი შესცვალა:

— მართლა, ნინო, როგორ მოგეწონათ ჩვენი სოფელი?

— კარისმერეთი მშვენიერი სოფელი ყოფილა. საუცხოო ბუნებაა! — უპასუხა ნინომ. მუხასთან შეჩერდა და მთვარით განათებულ, ცხვირწინ ამართულ მთებსა და ტყეს მიმოავლო თვალი. ფეხზე მესტების მსგავსი წითელი წულები ეცვა და კორნელის დაბალი ეჩვენა. მკლავებიც თითქო უფრო დაწვრილებია და გულმკერდიც არ ედგა ისე მალლა. იქნებ ეს ამ შილიფად შეკერილ საშინაო კაბის ბრაღია!? თვალში წუხილი და სევდა დაეტყო.

კორნელიმ ჩუმად უთხრა:

— რა ბედნერი ვარ, ნინო, თქვენ რომ აქა ხართ! მე არ მალმიძს გადმოვცეთ თქვენდამი დიდი გრძნობა. ხომ გახსოვთ, როგორ ვეძებოდი თქვენს არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“.



ნიკოლოზი

ნინომ შენიშნა: „თქვენ“ თუ „შენ“ ვუწოდოთ ერთმანეთსო და თქვენობით დაიწყო:

— კარისმერეთში თქვენი ჩამოსვლის იმედი ამდენ ლოდინში კინალამ დამეკარგა!

კორნელიმ აღელვებული ხმით მიუგო:

— შე შოლოდ აქ ჩამოსვლის იმედით ვცხოვრობდი!

ნინომ თავი ჩაღუნა და საყვედურით უთხრა:

— რისთვის არ მოიწერე ბორჯომიდან წერილი? ხომ იცი, შენი დეპილი დამალონებდა, დამტანჯავდა? არ ვიცოდე, ბორჯომში იყავი თუ ისევ ფრონტზე! არ ვიცოდი, რა მეფიქრა. დეპეშა მაინც გამოგვგზავნა: დამამშვიდებდა! კარისმერეთში ასეთი ლამაზი ბუნებაა, შე კი ოთახიდან არ გამოვდიოდი და დღედაღამ ვკითხულობდი თქვენი ბიბლიოთეკის წიგნებს. არავინ იცოდა მიზეზი ჩემი კაეშანისა და რადგან არავინ იყო ისეთი, ვისთვისაც გამეზიარნა ჩემი ფიქრი, ეს კიდე უფრო მტანჯავდა. დედა მაკვივდებოდა: ავად ხომ არა ხარო? მაგრამ მას ხომ ვერ გაუმხელდი ჩემი კაეშნის მიზეზს? ვფიქრობდი: იქნებ დამივიწყათქო! არ შეიძლება ასეთი გულცივობა, კორნელი! — ოდნავ გაბრაზდა ნინო და შემდეგ ისევ მოფერებით უთხრა: — მაპატიე ეს საყვედური!

— ძვირფასო ნინო, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა ჩვენ შორის, განა შემიძლია შენი დავიწყება? — კორნელიმ ხელი მოჰკიდა მის პატარა და გრილ ხელს. მუხის ჩრდილ ქვეშ მიიყვანა, რბილი იყო ნინოს ხელი, თითქო უძვლოაო, თითქო დნებაო ვაკაკის ხელში ბუმბულივით იოლი, უნაზესი, სათუთი და ჰაეროვანი. ნეტარების ერთოლამ დაუარა ორივეს თავითფეხამდე, სიტყვა ჩაუწყდათ, ერთი ჰქონდათ ფიქრი და სურვილი: ჩაჰკონებოდნენ ერთმანეთს.

— კორნელი, ნინო, ნუ იმალებით შავ მუხის ძირას! — დაიძახა ამ დროს იონამ.

ნინომ მაშინვე გამოსტაცა ხელი, კორნელი გაბრაზდა. იონასთვის არ უპასუხნია. ხელი გაუყარა მკლავში ნინოს და ასე წაიყვანა მთვარით განათებულ მინდორზე, ისე ნელა, კაცი იფიქრებდა: კი არ მიდიან, მისცურავენო.

კოტა ხნის შემდეგ ვარდომ საათს დაჰხედა. დაიძახა:

— პირველი საათი ყოფილა! კორნელი დაღლილია, უნდა მოისვენოს. ნინო, შენი დაწოლის დროც გავიდა!

როდესაც შინ მივიდნენ, ვარდო და ნინო გამოემშვიდობნენ მზე-
ძეებს. ტერეზას სასტუმროში გაეშალა კორნელისთვის ღოგინა, მაგრამ
კორნელიმ აივანზე დაწოლა არჩია.

— აივანზე არ გაცივდე, კორნელი, მეშინია! — შეტყუანა მან.

— ზამთრის ღამეებში, ყინვასა და აედარში ცხელი წყლის სველი
და არ გაცვივებულვარ, აქ რაღა გამაცივებს?! — უპასუხა შეიღმა.

ტერეზამ აივანზე გაუშალა ღოგინი: მამის ყოფილ ტაბტზე, თუმცა
სტუმრები, ვარდო და ნინო დაწვნენ, მაგრამ იონა, სტეფანე და კორ-
ნელი კიდევ დიდხანს საუბრობდნენ.

ლაპარაკობდნენ მსოფლიო ომზე და თურქეთთან ომზე, ევროპის ქვეყ-
ნების პოლიტიკაზე საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მომავალზე.
ტერეზას რული მოეკიდა. ის და სტეფანეც მალე წავიდნენ დასაძინებ-
ლად. იონამ მაყაშვილთა ოთახისკენ ეშმაკურად გაიხედა. კორნელი
აივნის ბოლოში გაიხშო და, თითქოს დიდ საიდუმლოს უმზელსო, ჩურ-
ჩულთ უთხრა:

— ვარდოზე მე მიმიშვი და ნინო კი შენი იყოს...

კორნელის ეწყინა:

— რად იცი ასეთი უშნო ლაპარაკი, სირცხვილია!

იონამ გულიანად გადინარხარა და ხმამაღლა დაიძახა:

— ტფილისელ კინტოს სირცხვილი ვის გაუგონია?!

მერე კბეზე ჩავიდა ლობეს მიაღვა. თავისი პატარა ეზოს ქიშკარი
გააღო და უკაცურ ჭოხისკენ ნელის ნაბიჯით გაეშურა. კორნელი ისევ
აივნის სვეტთან იდგა და იონას უცნაურობაზე, მისი ხასიათის ორბავობა-
ზე ჰფიქრობდა. ვარდოს და ნინოს ოთახს გაჰხედა: ფანჯარა ღია იყო.
„ნეტავ მიპარვით მიმიყვანა იმ ფანჯარასთან, სადაც ნინოს ღოგინია და-
ვინახავდი როგორ სძინავს, მოვისმენდი როგორ სუნთქავსო!“ — ინატრა.
მერე აჯამეთის ტყეს და მთას — შუბანს გაჰხედა. საოცარი სიჩუმე იდგა
კარისმერეთში. სიჩუმეს ხანისწყლის შხუილი არღვევდა. ცა ვარსკელა-
ვებით იყო მოჭედილი. კარისმერეთის ცა ლაღლაღებდა სანთლებით გაჩი-
რალდებული და მოლაპლაპე ვეება საყდრის გუმბათივით. მთვარის ნა-
თელი დასდგომოდა სათიბის ბოლოში აღმართულ მთებს. მთებში მთვა-
რის შუქი ჩამდგარა სვეტებად. შუბანი და მომყოლი მთებიც ნაზად გა-
მოიქტირებოდნენ, თითქოს ჰაეროვანი, უსხეულო რამ არიანო, მსუბუქი
ბურუსით მოცულნი გადნებიან და სივრცეში გაქრებიანო. რამდენჯერმე
განუცდია კორნელის ასეთი სათუთი გრძნობა იმერეთის ამწვანებული
არემარისა და ნაზი მთების ჭვრეტისას. პირველად ბავშვობის ეპოს განი-
ცადა: ეზოში ჭოლგასავით გაშლილ ამ დიდი ცაცხვის ქვეშ. მას აქეთ
შეორდება დიადი ბუნების წინაშე ეს განცდა სავსე სიმშვიდით
და რაღაც შეუცნობი კაეშნით. ასეთი განცდა ასუფთავებს მის სულს
და იწვევს მადლისაკემ სწრაფვას.

ლოგინზე წყნარად ჩამოჯდა. ტანსაცმელი გაიხადა. სკაპზე დააწყო. დაწვა. აბრეშუმის საბანი გადაიხურა და მშობლიური სახლის აივანზე მკვდარივით დაეძინა.

ერკინული
მედიცინა

კარისხერეთის კატარა ანგაში

„მხოლოდ ეარსკვლავთა თანამაველთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო“.

ნ. ბარათაშვილი

იოიჭრავებდა თუ არა, კორნელის დედა ტერეზა მაშინვე წამოდგებოდა. ტანთ ჩაიცმევდა. დოჰენტის, მაიკოს და აგოიას სამუშაოზე დაყენებდა დლიურად დაჭირავებულთაც საქმეს მიუჩენდა. მერე ეზოგარემოს შემოივლიდა. ხილზე ბავშვივით იყო გაწუწუკებული ტერეზა. საშინაო კაბას დაიკარწახებდა. ცვარიან ბალახში ან ევერში არ დამისველდესო. კალთას მწიფე მსხალით. ატმით, ლედვით ან სხვა ხილით აივსებდა. ყველაზე კარგებს გამოარჩევდა. ღრმა თეფშზე დაალავებდა, სკამზე დასდებდა. კორნელის სასთუმალთან. გამოიღვიძებდა თუ არა კორნელი, მაშინვე გაუწვიდა ხელს მწიფეს. დაცვარულს, ცივსა და ახლად მოკრეფილ ხილს. ჩაუვლდა აგოია აივანს და უსათუოდ გადახედავდა კორნელის: ჰღვიძავს თუ ისევ სძინავსო და, თუ ღვიძარს ნახავდა, გაეზარდებოდა, კვიცივით გადიქიზინებდა, შეიკუნტრუშებდა. აივანზე აირბენდა. ძაღლები „როია“ და „ყაზბეგი“ თავზე ასტებოდნენ. აივანზე შლიგინი და ბრახუნი ატყდებოდა. მერე აგოია საბნის ქვეშ შეაცურებდა ხელს და ჰალბატონის შვილს — კორნელის შიშველ ფეხის გულს მოსძებნიდა: უღვიძინებდა, კორნელი ფეხს გაიჭნევდა. მოხდებოდა ისე, რომ შემთხვევით უხეშად შემოჭრავდა ფეხს კბილში სისხლს გამოადენდა ან თვალს დაუზიანებდა. აგოია ხელს მიიფარებდა სახეზე და ზღუქუნით მიეყრდნობოდა კედელს. კორნელი საბნის დაშავებულ ადგილს დაუთვალავებდა. მოფერებით ჩაიხუტებდა ყმაწვილს და ეტყოდა: შაპატიე, უეცრად მოძივიდაო. მაშინ, როგორი ტკივილიც არ უნდა ჰქონოდა, აგოია მაინც გარციანებდა. ხშირად მოიგონებდა კიდევ, მეტკინაო, ოღონდ კი წამოგდო ლოგინზე კორნელი. მეორე დღით ისევ შეუჩნდებოდა აგოია კორნელის, რისთვისაც ტერეზა დაუცავსახებდა. მუჯლუგუნის კერით გაავდებდა უკანა კარში, ეხლა დედა-შვილს შორის დაიწყებოდა დავა:

— რისთვის სცემ, ცოდვია! — ეტყოდა საყვედურით კორნელი.

— ვცემ კი არა, უარესსაც ვუზამ! შენი ჩამოსვლის შემდეგ გავირდა, მუშაობაზე ხელი აიღო, გამოსულელდა, სტუმრებს არ აძინებს! — უპასუხებდა ტერეზა განებივრებულ შვილს.

მხეიძეების ოჯახში არაფინ იყო აგოიას ტოლი და ვისთვის უნდა აეზა შარი, თუ არა კორნელისათვის? დედა ადრე გარდაეცვალა აგოიას სიზ-

პირივით ახსოვს მისი ალერსი და ხანდახან თუ ტერეზა თბილ სიტყვას ეტყოდა ან გაუცინებდა, ისე გაუხარდებოდა, თითქო ~~ცა გაეცინათ~~ ხატბულობით, წვიმა-ავდრის დროს საკუქნაო ოთახში აწვევდნენ, სხვა დროს კი დაკოსკილ საბანში გაეხვეოდა და გვერდზე მეგობარმა მსუბუქმა მიუწვევდოდნენ. კორნელი დიდხანს დააქტერდა ერთ საღამოს ~~საღამოს~~ მაგრამ დამამწუხრებელ სურათს. შეეცოდა აივანზე ძაღლებთან ძაღლურად მიგდებული ყმაწვილი-ტახტი გამოატანინა საკუქნაო ოთახიდან დედას და დიდი კამათის შემდეგ შათხოვრული ლეიბი და საბანიც გამოაცვლევინა. იონას ახარებდა კორნელის საქციელი: მე დამემსგავსაო — იკვებოდა.

დღეს ღურგალი იულო ეწვია ტერეზას. ახლობელ, შინაუო კაცად სთვლიდნენ მას: სტეფანე მისი ვაჟის ნათლია იყო. ესეც რომ არ ყოფილიყო, თითქმის ორმოცი წელია მზეიძეებისას მუშაობს იულო: სახლის და სამზადის სახურავს, სასიმინდეს და ხულას, საღორეს და ფეხის-ადგილს, ტახტებს და მაგიდებს. — ყველაფერს მას აკეთებინებენ და განა ეს არა კმაროდა ახლობელი გამზდარიყო ტერეზას ოჯახისათვის იგი? აშალაშინებდა ფიცრებს გახუნებულ, ცისფერ ახალუხის ამარა, თითონ ფიცარივით გათხელებული, კაფანდარა ბერიკაცი და თან სტეფანეს და კორნელის ედავებოდა „ბალშენიკების“ და „მენშენიკების“ თაობაზე. სოციალისტები ურჯულოებად და ქვეყნის დამატყვევებად მიაჩნდა. ჩამოხეულ თვალს მოქუტავდა და სოფლის ქორების გუდას მოხსნიდა თავს. ორი ღერი რუსულიც იცოდა და კამათის დროს „პოდოფედი“-ს იძახდა. შალაშინიდან ბურბუშელას ამოიღებდა, ნეკსა და შუა თითს უჩვენებდა კორნელის:

— ქვეყანა ღმერთს ვერ გაუსწორებია და სოციალისტები გაასწორებენ?

აი, ეხლაც კორნელი ილიმება და ეხვეწება:

— შენ ეს ძელები გამასწორე. გამ-თაღე და ქვეყნის გასწორებას ჩვენ არავინ გვეკითხება!

სვეტები ჩაარკობინა შიწაში ერთი ადღას სიღრმეზე და რიყის ქვებით ისე მაგრა მოაბეჭნინა. — სამი უღელი კამფიც ვერ მოსთხრდა. ოთხ სვეტზე მაჯის სიმსბო, ლარივით სწორი ძელქვის ორი ძელი დააქედინა პარალელურად. ჩებური სავარჯიშო ტანსაცმელი ჩაიცვა და ოთქელთან შევიდა. ნინო და აგოია უყურებდნენ: კორნელი ორ ძელს შორის მიიჭრა, მაგარი კუნთებით დაგრაგნილი მკლავები ვანშკლავით გაშალა. ორძელს დაახტა: ქანი, ამართი, ყირა გააკეთა, ყირიდან აღმატრილზე გაღავიდა. შემდეგ ისევ ამართი, წინშვერი გააკეთა და მარჯვნივ გადახტა. ეს შეიღა ელემენტისგან შემდგარი ვარჯიში ისე სწრაფად, ზუსტად და სუფთად შეასრულა, რომ მის ცქერას არაფერი სჯობდა. სწრაფად მოიქნევა ხოლმე ამოდენა ტანს ხანისწყლის კალმახივით. აგოია ხანგამოშვებით

შეხტებოდა, მუხლკაზე იცემდა ხელს, „დედაას“ იძახდა განცვივრებული და შემდეგ კოლინდარზე გადაკოტრილდებოდა. ტერეზა კი იღვწოდა არიდებდა კორნელის: კინჩხს მოიტეხო — უყვაროდა. იღვწოდა კი ავსუვევით იცინოდა და გოაცებული იძახდა: შეხედე ამ ტურასო.

რიტმიულად, ლაღად და სწრაფად ვარჯიშობდა ვარჯიშობდა ლამაზი აღნაგობის, მხარბუქიანი ვაჟკაცი. ნინო საესეებით მოაჯადოვა კორნელიმ. თეთრი ხალათი და შავი სავარჯიშო ტრუსები ჩააცმევინა, ორძელთან მიიყვანა, მკლავებით ბჯენა და ქანი უჩვენა: მუხლის თავადე სწედებოდა ნინოს აქარლის შარვალივით განიგოი, ბანდურა ტრუსები და თუშურ ცხვარს ამგავსებდა ზურგიდან. იქნებ ამიტომაც სჩანდა მუხლის ქვეშით შავი წინდებით შემოსილი მისი წვივები ასეთი ვაწრო და წვრილი. ხელის გული შეახო კორნელიმ ქანის დროს წელზე. უბიძგა. ასულს ტანის რხევა იგრძნო და ეს განცდა ისეთივე საამო და უცნაური იყო. როცა პირველად შეახო ხელი მაჯის სიმსხო გველივით მოძრავსა და მძიმე ნაწნავებს. მერე წინშვერი გააკეთებინა. აღარ ჰყოფნიდა ღონე წინშვერისათვის ნინოს: სარმასავით მოჭილმა ფეხებმა თრთოლვა და კანკალი იწყეს. მარჯვენა ხელის გული მიაგება კორნელიმ, ზედ ასულის ფეხთა სიმძიმე დააწვა. მარცხენა ხელით წითელმესტებიანი ფეხის ცერები გადაუწია, გაუსწორა და, როცა ფეხის გულს შეეხო, ნინოს კისკისი აუტყდა, ღონე გამოელლია, ქანცვილელი ქეასავით მგარ ორძელზე იღლიებით დაეცა და სათუთი ხორკი დაიბეგვა. სახე შეექმუნა ტკივილით. მკლავი მოჭხვია კორნელიმ. ორძელიდან ჩამოიღო და მერე კიდევ უფრო მალა ასწია. ბალღივით მჩატე ეჩვენა. გაუკვირდა ნინოს: როგორ იოლად ამიტაცა და ამწია. ამოდენა ქალიო. შემძლია მხარზე შევისვა და ეზო ასე შემოვირბინოო, უპასუხა კორნელიმ. მკლავზე მკდომი ასულის ტანის შეხებამ ელდენივით დაუარა თავითფეხამდე და ნეტარებით საესე ერუანტელი მოგვარა. აივანზე ხარხარი და ძახილი გაისმა: კარგად არ ასწავლის ეს ბიჭი ამ ქალს ვარჯიშობასო. კორნელიმ მიწაზე დაუშვა ნინო და იონასკენ დარცხენით და წყენით გაიხედა.

ტერეზამ სამზადის ყავარაყრილი და სახლის კრამიტგადახდილი სახურავი უჩვენა იულოს; მისი შეკეთება შეუქცეთა. ხშირი წვიმა, ქარბორია და ზენაქარია იმერეთში სახურავის მტერი. წვიმა ალპობს ყავარს, ზენაქარი გლეჯს და ამტვრევს ყავარსაც და კრამიტსაც.

— ყავარი და ფინები სარდაფში მიწყვია და ის გაიხშარე! — უთხრა ტერეზამ იულოს.

— შენი ოცი ყავარი რას ეყოფა: სულმთლად ჩამპალა ყავარი და და აბლად დასახურავია, — უპასუხა დურვალმა.

— შენ რასაც გეუბნებიან ის გააკეთე, სწავლებას თავი გაანებ! — იწყინა ტერეზამ.

დურგალმა ეშმაკური ღიმილით გადახედა. იცოდა, ~~ფხვრის~~ ქალბატონის ხასიათი, მაგრამ შეჩვეული იყო მდივნის ქალთან ~~ახლოებას~~, კამათს და არ ერიდებოდა, სახურავისკენ ბირდაბირივით გაიქცია ხელი და რუსულად მიაძახა:

— ნოვი ნადა, ტერეზა, ნოვი!

ტერეზა გაბრაზდა:

— ახალ სახურავს ახალთახალი და ტკიცინა ასიგნაციები სჭირია და ფული მე ვინ მომცა, შე გამობრიტინებულო!

დურგალს წაბლისფერი, აცრემლებული და მოკუტუელი თვალები უღიმოდა. ქალარა წვერი ვაცივით ააცანცანა, გაიცინა და გაბრაზებულ ქალბატონს მიახალა:

— ფული შენ თუ არა გაქვს, აბა, ვის უნდა ჰქონდეს კარისმერეთში, შე ტურა?!

უკმელო, ჩია და ფიცარივით გათხლებული დურგალი გულუბრყვილო ბავშვივით უღიმოდა ეხლა ტერეზას. ტერეზას სიცილი წასკდაამის შემდეგ იულო ვათამამდა, ხითხითით ზედიზედ მიაყარა ქალბატონს — ტურა, ტურა, ტურა, ტურაო, ხელი წაავლო მკლავზე, ფეხების ბაკუნი და ფაფხური დაიწყო. ფიქრობდა: ხომ ხედავ, ტერეზა, მთელი შენი ამბავი ვიციო. ტერეზამ ისე ხმამაღლა გაღიხარება ეზოში, რომ სამზადიდან გოგო-ბიჭები — მაიკო, დომენტი და აგოია გამოცვივდნენ — რა აცინებს ქალბატონსო. მერე ქალბატონმა თავი შეიკავა, მწუხარე სახით მოჰყვა საყვედურებს ყველას გასაგონად:

— ფული საიდან მექნება? რა შემოსავალი მე მაქვს, ქერიეს და ოხერს? ნუ გეშინია, ჩემი ქმარი თავზე არ მადგეს და ეს ეზო სავსე არ იყოს ბაზრობასავით მოჩარდახებულ ურმებით და ზედ მწოლიარე ავადმყოფებით?!

იულომ მიუგო:

— სასაყვედურო შენ რა გჭირს? ცხონებულმა გიორგიმ კარგი შვილები დაგიტოვა და ალბათ ევგენი და სტეფანე უმოწყალოთ ხეეტენ ქალაქში ფულს!

ტერეზამ შუბლი შეიკმუხნა:

— ცოლშვილიან ადამიანს ამ დროში რა ფული გადარჩება? კორნელი კი თითონ დახმარებას და ხელისშეწყობას საჭიროებს: ხომ ხედავ კისერს იტებს აგერ აგოიასთან ერთად?!

ბოლოს დურგალი დასთანხმდა ენამკვერ ქალბატონს: მეორე დღეს სარდაფიდან ყავარი გამოიტანა, ტყეში ბასკები, ფინები და ლარძაყინები გამოსთალა, სამზადის თავზე დაცუცქდა, ყავარი რიგზე ჩაალაგა, ფინი და ბასკები გადაუქირა, დაპბურლა, პირით დაქერილი, თავკობალა ლურსმნები ნაბურღში ჩაარქო, და დილიდან საღამომდე ჩაქუჩით აჭედებდა.

სახურავზე აყუდებულ კიბეს აპყვა კორნელი და იულოს/ვერდი მიუჯდა. აქედან ხელისგულივით სჩანს კარისმერეთი მთელი სრული, ბაზარი, აჯამეთის ტყე, ქალები, ზურმუხტისფერი, ხავერდოვანი მთები და შორეული ქედები კავკასიონისა.

— მოდი, ის ყავარი მომაწოდე! — დაუძახა იულომ კორნელის და საქმე გაუჩინა.

იულო ძველ და ახალ ყავარს ერთიმეორეზე აწყობდა, ოსტატურად, დაუცდენელად აქედებდა ჩაქუჩით გრძელ ლურსმებს, ისე რომ ერთიც არ გაულუნია. თანაც რაღაც უცნაურს ლილინებდა დაღეული და ჩიაღურგალი. გახუნებულ, ზოლებიან, ათასნაირად დაკერებულ ცისფერ ახალუხის ამარა იყო და ასე ირხეოდა სახურავზე დაცუცქული ბოლოქანქარასავით.

— შენ თებერვალისტი ხარ თუ მენწევიკი? — მოულოდნელად შეკითხა კორნელის.

— შე არც ერთი ვარ და არც მეორე! — მიუგო კორნელიმ.

— აბა, რა პარტიის ხარ? — გაუღიმა იულომ.

— ქართველი ხალხის! — უპასუხა კორნელიმ.

— ხალხისთვის ორივე ურგებია, ხომ ხედავ: ხალხი შიმშილით კვდება, ხოლო მენწევიკი იოკიმე აბულაძე და პოლიკარპე ფოფხაძე კი ტახტით ჩასუქდენ! — შენიშნა ღურგალმა.

იულო გვიან მოვიდა ოჯახს. წვრილი შვილების პატრონი, ღურგალი იყო და იმავე დროს ყანის მუშაც. დაუღალავმა და მძიმე შრომამ ადრე მოტეხა ფარგასავით გამხმარი და კაფანდარა გლუხაკი. მძიმე შრომასა და სილატაკეს გონებაც დაუჩლუნგებია: ამას სრულიად არ ესმის, თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამბები და სოციალური ძვრები მიმდინარეობენ ამ ქვეყანად. — გაიფიქრა კორნელიმ და მიაჩერდა დაჩიავებულ ღურგალს. იულოს ქუსლჩაქცილ წულაში ჩაედგა შიშველი ფეხი. ხანგამოშვებით გამოიღებდა. ერთიმეორეზე მიწყობილ ყავარს დააბიჯებდა ბანჯგვლიანი ფეხის გულს და მუხლუხოსავით მოძრავ თითებს. ჩაქუჩს მოიშარჯვებდა ბებრეკა ხის ქერქივით დახეთქილ ხელში. კორნელიმ ხელის გულზე დაიხედა. მასაც გასჩენია აჭაიქ პატარა კოჭრები ორძელზე ვარჯიშობისაგან, მაგრამ ეს რა მოსატანი იყო! ღურგალის ხელისგული მთლად დაფარულიყო აბედისფერი სქელი კოჭრით. ამიტომ იდებდა არხვინად ავარვარებულ ნაკვერცხალს ხელის გულზე იულო, თითქო ხორცზე კი არა, ფიცარზე სდებსო. აქედებდა ჩაქუჩით ყავარს ტერეზა მხეიძის სამზადის სახურავზე გაჩახული ბერიკაცი და თან კორნელის ელრიჯებოდა შვილის გამო:

— ბუჭა მეორე კლასში გადადის, ანგარიშში და რუსულში ორიანი უყავს, გამოცდები ექნება და შენ მომიშნადე...

ეზოში ტერეზა შეჩერდა, თავი მალლა ასწია და კორნელის დაუძახა:

— ნუ მიცდენ ოსტატს, ხომ იცი, იულო ლაპარაკს არ ვაბთავებს!
იულომ ჩაიციხა:

— არ გაათავებს კი არა, ვახშმად რას ამზადებ, შე ტურა, ის ჭითნარი!
ტერეზამ ასძახა:

— სულ ჭამაზე რომ ფიქრობ, შე უბედურო, შეცმულს მუქმობაზე
ფიქრობდე! ჯერ რა დროს ვახშამია, მზე არც კი გადახრილა!

იულომ აღმოდებულ დასავლეთისაკენ გაიშვირა ჩაქუჩი:

— მზე ჩასულია, ვერ ხედავ!

ამ დროს წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლოზე დაიგუგუნა გაბზარულმა ხარმა. ტერეზამ და იულომ პაექრობა შესწყვიტეს და სასოებით გადაისახეს პირჯვარი. მზე ჩადიოდა აჯამეთის ტყის იქით და სოფელს სიმშვიდე და მყუდრობა ეფინებოდა. მაგრამ ვავიდა ცოტა ხანი, ცხელმა ნიაგმა დაუბერა და მყუდროება დაარღვია ბაზრიდან მომავალმა ყიფიანამ, სიმღერამ და არღნის კრიალმა.

— ეჰე, — შესძახა იულომ, — ჯარისკაცები ქეიფობენ!

კორნელიმ ბაზრისკენ გაიხედა. ქოლგასავით გაშლილ ძელქვასა და ცაცხეებს იქით კრამიტით გადახურული დუქნები მოსჩანდა.

ორი ქოთანი ვიყიდე... ჰე!

ყურბანი და უყურო... ჰე!

სიციქოს ერთად წაველთ... ჰე!

ფულიანი და ფფულო... ჰე!

გაპკიოდნენ ჯარისკაცები მერე შეუძლებელი ვახდა სიმღერისა და არღნის მოსმენა, რადგან იულომ საშინელის ძალით დაიწყო ჩაქუჩის ცემა, კარმიდამო და მთელი კარისმერეთი გააყრუა. ხოლო როდესაც მზე ჩავიდა, დაღამდა, იულომ სამუშაო გაათავა და ხელსაწყობები — ხელის ხერხი, ხელცულა, ხელეჩო, შალაშინი, სატუხელი და ბურღი შეკვრიბა. ტომარაში ჩაჰყარა და კიბეზე ჩავიდა, ბაზრიდან კვლავ მოისმა სიმღერა. ეს-ლა ძველთაძველ უცნაურ სიმღერას ამბობდნენ გლეხები. ასეთი სიმღერები, რცის კორნელის ბიძამ ოტია მდივანმა — განთქმულმა მომღერალმა, კორნელი ისმენდა კარისმერეთის ბაზრიდან ნიაგით მოტანილ გლეხთა სიმღერას, უცნაურსა და უძველეს დროინდელს. ნელი დამბული რიტმი თანდათან ძლიერდებოდა და მგზნებარე კრიმანტულში გადადიოდა, მერე სულ სხვაგვარი სიმღერა დაიწვეს გლეხებმა, რომელმაც ძალზე განაცვიფრა კორნელი. იგი საგალობელს ჰგავდა და ძალზე შეეფერებოდა სახურავიდან გაშლილი ბუნების დიად სურათს: რიონის ველს, მაღალჯანიან მთებს, აჯამეთის შავნაბადა ტყის იქით ჩამავალ მზეს, ამ ქარვისფერ დასავლეთს, დაისს. ეს კრინით თქმული, ძველთაძველი სიმღერა, წამოკრული ლილინი, თითქო გამოსათხოვარი საგალობელი იყო მზისადმიო. კორნელი შორს გადაიხროლა ამ სიმღერამ

და რაღაც უხილავი ნაღველი და კაეშანი შემოაწვავს მარტოობა იკრძო. ირგვლივ მდუმარებდნენ შემოგარენი, და ყველაზე გაწოლილი კორნელი უცნაურ რასმეს ფიქრობდა: ~~ყველა~~ ^{ყველა} სუბალთბელს მსოფლიოზე ვინ იტყვის ნეტავ, როცა მზე ჩაება, ~~გულში~~ ^{გულში} გულს გავუთუნებდათ? ეს დასავლეთი ალისფერი, მდუმარე შუბლით გულში მიუღავს და მადუმებს იღუმალი ფიქრით. თვალი ვარსკვლავებს კვლავ ეკიდება. გულშია მხოლოდ სიერცხეები და უკუნეთი, საკუთარი სისხლის, გულის ძგერა, დიდი სიჩუმე. მესმის დაისის უცხო ფერთა დაბამხამება და ხოქოს, ჭიას, ღამის მწერების სიმღერანი. ო, ამის შემდეგ თუნდაც მოვკვდე, ოღონდ, სანამ მზე საიდუმლო გზებს მოიარდეს, სანამ მსოფლიოს ბედისწერა დაატყდებოდეს, მაღალვარსკვლავთა თანამავალთ ვამცნო გულისა მე საიდუმლო და წინ მიძლოდეს დასავლეთი ალისფერი მდუმარე შუბლით!"

ასეთ უსაგნო და უცნაურ ფიქრში გართული გასცქეროდა კორნელი სახურავიდან დასავლეთს და რატომღაც მოაგონდა ჯავახეთი, სოფელი ვარევიანი, საღამო, როდესაც ალისფერს და მდუმარე ცას უცნაურ ფიქრით მისჩერებოდა მისი საყვარელი მეგობარი, ბრძოლის ველზე დაქრილი და მომაკვდავი გრიგოლ ცაგურიშვილი. კორნელი ფიქრობდა: „წყვეთიმც იყოს სასაკლაო. გამოგონილი კაცთა მიერ! რისთვის იბრძვიან ნეტავ ქვეყნები? იმისთვის ხომ არა, რომ დარჩეს მომყოლ თაობას სისხლის ღვრის ამბავი? სიბრძნე, სიკეთე, ბოროტება, ბრძოლა-ჭიდილი, სახელმწიფო და გონების მიერ დაწესებული კანონები, განგეზის ძალთან შედარებით, მხოლოდ ჩმაბია! სხვა არაფერი! კარგა ხანია გამოვიტირე მე ასპინძის ბრძოლა, საბრალო გრიგოლი და გულუბრყვილოდ დაღვრილი მისი სისხლი. ეხედავ რაოდენ სიშარბულეს ამბობდა თურშე გრიგოლი სიკვდილის წინ. ყველაზე დიდი გამარჯვებაა: მოკლედო ეს დიდი, დაუსაბამო სამყარო მეობის რკალში. საოცარია უთვისტომობა! ცხარე ბრძოლა გამომივლია და არ ვყოფილვარ ამრიგად ქანცმიღეული. ვით მოტეხილი დიდი ტოტები, ისე დამეკიდა მკლავები ტანზე. ერთადერთი მანუგეშებელი საგანი ჩემთვის ამ ქვეყნად არის ნინო. იგი, ვით სხვი, დაცემული მღელვარე ზღვის ზედაპირზე, ისე მომველინა მე. იგია ჩემ შაეფიქრთა მხსნელი“. ფიქრობდა კორნელი და ამ დროს ბაზარში მოულოდნელი ყიჟინა, თოფის სროლა ატყდა და კორნელის თავზე ზეღიზედ გაიზუზუნა ტყვიამ. სამზარეულოდან დედის ძახილი გაისმა:

— კორნელი, ჩამოდი, რა გინდა ამდენხანს მაგ სახურავზე?!

აგოა დაფეთებულ თხასავით გამოვარდა გარეთ და კიბესთან მიიბრბინა. კორნელი ზე წამოიჭრა, მაგრამ ძირს არ ჩასულა: შეშინდა, იფიქრებნო. ცოტა გაიარა ყვარზე და შეჩერდა იქ, სადაც თავახდილი სახურავის გაქვარტლული ლარძაყინები ისე მოსჩანდნენ, როგორც პრეტორიული იხტოზავრის ჩონჩხი, ნეკნები. კორნელიმ თავი ჩაჰყო ამ

ნენებს შორის და სამზადს ჩაჰხედა. კვალი ეცა და თვალს დაეშვა. სა-
ხურავის საბჯენ სვეტს ჩაჰყვა. ღირეზე გაჩერდა. სხვენზე გორები, გა-
ქვარტლული ბროწეული, კაკალი, ცერეცო ლობიოს ქვეყნის ფურცლები, ჭოკხ
ტყლაპები გადაეკიდათ. კედელზე კი შემწვარ კუჭქვეშაღობი/გამწვებული,
დამტკნარი სანკვეთო და გამხმარი, სურნელოვანი ყვითელი ყვავილისა და
პილპილის აკიდობები სჩანდა. კორნელის ბავშვობა მოაგონდა: რამ-
დენჯერ შეპარულა იგი ამ სხვენზე კაკლის, თხილის, შაქარბროწე-
ულის და კომშის საქურდლად? სხვენზე ხელი გადაჰყო და კაქალები
ჩაიჩხრიალა ჯიბეში. მაიკომ ნაქაზე დაკიდებული ქვაბი ასწია. ღირეზე
კორნელი შეამჩნია და დაიძახა:

— დედა, სად გასულა ეს ბიჭი, არ გადმოვარდეს!

ტერეზამ შიშით აჰხედა კორნელის. აგოიამ გადიჭიხინა:

— შე ზედ გავალ და გამოვალ! რა გადმომავდებს?!

ტერეზამ თავში წაართყა:

— რაღა შენი წაქეზება სკირია, შე კირიანო!

კორნელიმ ჯამბაზივით გაიარა ღირეზე. ხელებით დაეკიდა. იატაკზე
ჩამოხტა. ფეხის ცერებზე დაეშვა, ჩაიკეცა და მერე ზამბარასავით წამო-
დგა. გაიცინა. იცოდნენ მისი ოინები: ბალისწვერზე გაეიდოდა. დაარ-
წვედა. მეორე, მახლობელ ხის ტოტს წაავლებდა ხელს და ეხლა მას მო-
ეჭეოდა კენწეროზე. ასეთ ჯამბაზობაში იულო თუ შეედრებოდა: უზარ-
მაზარ კაკლის ტოტს გაჰყვებოდა თრითინასავით ქეჩომდე და ისე ბერ-
ტყავდა ჭოკით კაკალს, ერთ კაქალსაც კი არ დაუტოვებდა საზამთროდ
ყუყუს.

(გაგრძელება იქნება)





ქართველი
წიგლისწამბე

მწ. მაიაკოვსკი

შარკრიანი ღრუბელი

ნაწყვეტი პოემიდან

უცებ

ღრუბლები

და სხვა ამგვარი ღრუბლეულობა,

საოცარ რხევით გაიფანტენ სიერცეთა გასწვრივ

თითქოს დაიწყო თეთრ მუშების არეულობა,

რომ განუცხადეს ცის კაბადონს ვაფიცვა მკაცრი.

ღრუბლიდან გრგვინვა

გამოვარდა გამხეცებული,

შმაგი ფრუტუნით უზარმაზარ ნესტოებს არხევს,

დე ერთი წუთით,

ზეცის სახე განრისხებული,

მოგავს —

ბისმარკის სისასტიკით დამანკულ სახეს.

და სიმაღლიდან

თითქოს კაფესი გადმოუწვდინა

ვიდაცამ ზელი,

იქ ღრუბლებში რომ გაბანდულა:

თითქო ქალურად,

თითქო ნაზად,

ან თითქო ბრწყინავს

გადმოყაფრული ქვემეხის ლულა.

ეს, იქნებ ფიქრობთ

მზე მოვიდა სიამტკბილობით,

მოუცაცუნა მზემ კაფეს ლოყებს.

ეს ქვეყანაზე გენერალი გალივე მოდის,
რომ ისევ ხერცღეს შეამზობებეს.
მოსიერნენო,

ამოიღეთ ჯიბიდან ხელი
ამართეთ დანა, ხელყუმბარა, ქვები და გუნდა,
ვისი სხეულიც უხელოა,
მანც გახელებით,
შუბლის ჯახებით იბრძოლოს უნდა.

შეგროვდით ყველა:

ოფლიანი,

მონა,

შშიერი,

მოდით,

მწვირეში,

რწყილებს შორის ღამე ნათეენი
დღესასწაულის საზეიმო ჰქონდეს იერი,
სისხლით შევლევოთ ჩვენ ორშაბათ-სამშაბათებო
ვის უპირებდა გაბახებას,

აკანკალებით,

ღე დანების ქვეშ იგონებდეს მიწა წყეული,

მიწა მსუქანი, ვით საყვარელი,

როტშილდისაგან ღდინგართმეული.

და ვით დღეობას დაშვენდება, შესაფერისად —

არხვედეს დროშას ტყვიების თქვეში.

მალლა ასწიეთ თქვენ ბოძებო სანთურებისავე,

სისხლით გასერილი ვაჭრების ლეში.

ვილანძღე.

ვჩეხე.

ვერ ვითმენდი მყუდრო სიოსაც.

უტევედი.

კბილით გამეგლიჯა ვილაცას ფაში.

იყო დაისი, ვით წითელი მარსელიოზა.

და შეთრთოლებით კვდებოდა ცაში.

უკვე გაგიფდენ!

არ მოხდება აქ არაფერიც...

შემოვა ღამე. —

ყელს გამოგვჭრის

და შეგვკამს ბნელში.

ხედავთ?



იულობს

ისევ გახდა ზეცა სხვაფერი,

მიპყრებია ვარსკვლავები ლალატის პეშვიდზე,

მოვიდა, დაჯდა, ქალაქის თავზე

თითქოს მამაი ქეიფობს მთვრალი;

ღამას უკუნეთს, შავს როგორც აზეფს;

ვერ განჭვრეტს თვალი.

შემოვეარდნილვარ,

ვიკუტები სარდაფის ბნელში,

სულსა და სუფრას ვასველებ ღვინით.

ვხედავ:

კუთხიდან ღვთისმშობელის თვალები ღენჩი,

ლოთებისაკენ მიმართავს ღიმილს.

რა საჭიროა გაცვეთილი სხივების ჩმახვით,

ანათო მსმელთა დავიდარაბა!

ერთი შეხედეთ,

შეფურთხებულ გოლგოთელს, დახრილს,

ისევ არჩია ხალხმა ბარაბა.

მე კაცურ ტომში

იქნებ განზრახ ვარ ჩახშობილი,

სახეც არა მაქვს სხვაზედ ახალი,

იქნებ ყველაზედ, შენ შეილთა შორის,

მე ვარ ღამაში ჯერ უნახავი.

უბოძე იმათ, სიხარულში დაობლებულებს,

სპობდეს სიკვდილის სწრაფი ბუნება,

დაეაყვაცება პაწაწინებს ავალდებულე,

ვაეებს-მამობა

და გოგონებს-დაორსულება.

ახალშობილთაც მიანიჭე, რომ გამოაჩნდესთ,

თავზე ქალაჩა ბრძენი მოგვების,

რამეთუ მოვლენ ისინი და -

მონათვლენ ბავშვებს,

ჩემი ლექსების სახელწოდებით.

მე, ვინც ინგლისზე, მანქანებზე სიმღერით დავშერი,

ქება დიდებაც გადავამეტე,

იქნებ უბრალოდ, ჩვეულებრივ სახარებაში,

მოციქული ვარ მეცამეტე.

და როს ჩემი ხმა

უწმაწური გუგუნებს გაშლით,



ამ საათიდან იმ საათამდე,
მთელ დღე-ღამეში,
იქნება ყნოსავს იესო მაშინ,
ჩემ სულის ვარდებს.



თარგმნა დავით გაჩეჩილაძემ



ვლ. მაიაკოვსკი



ქარგია

ადგილები პოემიდან

როგორც ყოველთვის,
ოქტომბერი
უბერავდა ქარებით, მაშინ,
ისე როგორც უბერავს
კაპიტალიზმის ხანაში.
ტროიკის ხიდთან
მქროლავი ავტოები და ტრამვაები
ნიადავ
გველივით ხრიდნენ
ჩვეულებრივ ლიანდაგს.
ხიდის ქვეშ
დის მდინარე ნევა,
ნევაზე მოსკურავს
კრონშტადელთა
რაზმი მამაცი...
ვინტოვკის ხმით
ქაერი მალე გაინგრევა,
მალე ზამთრის სასახლეს
მოელის ბარბაცი.
მთლად გადაცვეთილით,
რომ მიჰქროდა ავტომობილით,
შოლღილ-მოქანცული
დათანღულ გონებით,
ნელი ხმით
ტიტინებდა
ყოფილი:

სულ დასახოცია!

ვგ აჯანყებული მოწეები!..

იაზე იშვიათ ვარსკვლავს

ხედავდა თვალი,

კეტვგოლმელებმა

ზამთრის სისახლეს

შემოარტყეს რკალი.

ჭრჭოლასა და ჯარზე

ფიქრებში გართული,

სმოლნში კი,

ილიჩი გრიმირებული დადიოდა,

ნაბიჯით წელით.

და რუქასთან მდგარნი,

ანტონოვი და პოდვოისკი,

შეტყვის წერტილებს

დროშებს არკობდნენ

ხელით.

ვიჯობს

უბრძოლველად დასთმო,

წახვიდე ხელისუფლებიდან,

ალარსად

გასაქცევი

ალარ გაქვს ხერელები!

ვამოილაშქრეს

და უტივენ ყოველ

უბნებიდან

ზამთრის სისახლეს

წითელრაზმელები.

რეზმები მუშათა,

მეზღვაურთა,

და შიშველნი ყველა,

მოდგენ

ხიშტებით ანათებენ,

არიან ახლოს,

თითქოს ხელებში

უჭირავთ

უკვე ყელი,



ნასათუთები

ყელი,

ზამთრის სასახლის.

იქ აღიმართა ორი ლანდი,

უზარმაზარი და

მოტორტმანე.



მიუახლოეს

შუბლი შუბლთან,

იმათ ერთმანეთს.

და სასახლის ეზომ,

ძალით: ნამეტანით,

მოაჯირის ხელებით

შეკუმშა

ღუნღო ხალხის ტანი.

ირყეოდა

ორი

ლანდი უზარმაზარი;

ზუზუნებდნ ტყვიები

ჭყეფდა ქარი.

17

ვერც ლექსი,

ვერც ვალი

ვერ მიიძულვებს ქებას,

ყველაფერ იმის,

რასაც ჩვენ ვაკეთებთ,

რის გაკეთებაც გვინდა.

მე ხმას მივცემდი

ნახევარ—სამშობლოს

აღგეას და აღებას,

რომ ნახევარი

ავაშენოთ,

გაეზანოთ,

გავწმინდოთ!

მითთან ვარ, მღგარი,

ვინც აშენებს,

ვინაც სწმენდს და ჭკვის.

ქოველდლიური

ზრუნვა-შრომით

და მტკიცე ნებით.

მე ვადიდებ

სამშობლოს,

რომელიც დღეს არის,

მაგრამ სამჯერ მეტად

რომელიც იქნება.

მიყვარს

ჩვენი გეგმების

მე ვეებარობა,

საქნიანი ბიჯები

ჩვენი გატანების;

მე შევხარი

მარშს,

რომლითაც მიედევართ მწყობრად

სამუშაოზე თუ

შესახვედრად მტრების.

მე ვხედავ

იქ სადაც

დღეს ნაგაფი ლპება,

სადაც კი დღეს არის

უბრალო მიწები,

ერთ საყენის ქვემოთ,

ნიადაგიდან ჩნდება

კომუნის სახლების

წყება.

უმკრთალდება ნდობა

ბარაქას

ბუნების,

ოფლით შექმნილ ზვინებს

თივის ბულულების,

და ტრაქტორებისკენ

იწყება მიბრუნება

გლეხების

დაკოჟრილ გულების,

და გეგმები,

რომელთაც შუბლების

სადგურებზე



აჩერებდა
 მუხრუჭი სილატაკის,
 ეხლა გამლდიან
 ცისფერი დღის შზეზე
 და იღებენ
 ფორმას
 რკინისა და ქვის.



და მე,
 როგორც, შრომასა და
 ბრძოლებში
 შობილს,

კაცობრიობის
 გაზაფხულს კისკისს,
 ეუმღერი ჩემს
 სამშობლოს,
 ჩემს რესპუბლიკას!

თარგ. გრიგოლ ცეცხლაძისა





ლოკოო

სიმქნე

სანძირბა *)

ქაჯივით გადაახტა ყორეს სილოვანა, თითქოს სიპიტოს ეზოს კიშკარი არა ჰქონდეს. ყორეზე მირგულ ეკლიან ლობეს კანჯარიც ვერ გადალაზადა, შავრამ ტრიფოლიათები ერთ ადგილას შეჩხრად იყო, ერთი ძირიც ქუსლით გადაქელა ამ „თაფუხლარმა“, სიპიტოს გულის გასახეთქად. შავრამ ღმერთი სამართლიანიაო, გესლიანად ჩაილაპარაკა სიპიტომ, როცა სილოვანას ხალათის კალთა ეკალს მოედო და ზედ შემოეფხრიწა. სილოვანას არც კი დაუხედავს კალთაშემოხეულ ხალათისთვის, ზტომით მიდიოდა, ზორბა ტანს ბურთივით ისროდა ჰაერში. სახვედარწყინებელი მიათრევდა ოთხმეტრიან ლარტყას. ქიშვარდი და მამია კი გაჭიმული ფოლადის ბაბთით ხელში ქიშკრიდან შევიდნენ. მხარზე შევთეთრზოლესიანი ჯოხები ედოთ, მიწაში ჩასასობად შუბივით წამახული, სკაჩიაც ადევნებოდა მათ. ვითომ ისიც შევლოდა გზის გამომკვლევ ჯგუფს. რკინის ჩხორები მოჰქონდა თავის ყავარჯნების სახელურებში გაწყობილი. მათ პატარა ბიჭები შემოყვნიენ მხიარული ჭივილ-ხივილით, სხვა დროს სიპიტოს ეზოში შეხედვასაც რომ ვერ გაბედავდნენ. მათთვისაც გაეჩინათ საქმე: ხის ტოტებს მიათრევდნენ პალოების დასაჩეკად. მათ უკან მთიმე ნაბიჯით იოსება ტექნიკოსი მიდიოდა. მას ნიველირი მოჰქონდა, ბავშვივით ხელში ატატებული. კეპი შებრუნებულად ეხურა თავზე.

სიპიტო უსიამოვნოდ დაიღრიჯა, არ იამა ამ „ლიანვის“ შექრა ეზოში, რალაც „ფარსავი“ არ არის ჩემს თავსაო, გაიფიქრა. რალა ჩემს ეზოს დასჭირდა ამდენი ხალხი მშობელებადო. გულში იოსებას უსაყვედურებდა. იმედი ჰქონდა რომ იოსება, როგორც მისი სტუმარი, პატივს დასდებდა და მხოლოდ სხვის შესახედავად გაივლიდა მის ეზოში. ამიტომ მოაქანლა თავი და დაპატიყა-თავისას შესთავაზა ბინა. ბარგიც კი თავის ხელით მოუთრია სოფსაბჭოდან. ეგონა პატივისცემას დაუფასებდა.

*) დასაწყისი იხ. „მეათობი“ № 3 — 1937 წ.

ახლა კი ამდენი კაცი მიაყენა კარზე. სილოვანაც რომ წამოიღებინა? მაგრამ იოსებამ რა იცის, რომ სილოვანას სიპიტოს „კერძო ინტერესი“ აქვას. რაღა მისი ეზოდან დაიწყეს გზის დაგეგმა. იქვით შეპრობილი სიპიტო ამაშია ცუდნიშანს ხედავდა. გზის გამომკვლევე მკვლევარს მისი დღე მუშაობდა. ბარე ოცი მოსახლის ეზო გადაკვეთა გზის მკვლევარს და, მაგრამ სიპიტოს მანც ეჩვენებოდა, რომ მის ეზოდან იწყებდენ მუშაობას, რომ მისას ჩავიდნენ ასე საგანგებოდ შეიარაღებულნი.

სილოვანა ხომ სილოვანაა, მარა ეს მამია და ქიშვიდრი რა სახე ვაბადრული მოდიან, თითქოს სამახარობლო რამ ამბავი მოქონდეთ სიპიტოსთვის. ეზო უნდა „გამიბინტრიშონ“. სილოვანას მანც აშკარად ეტყობა, რომ სამტროდ მოდის, რა თავხედურად გააღო სანერგის ქიშკარი. სიპიტოსთვის არც კი უკითხავს. სიპიტოს გულის გასახეთქად ლარტყა შუა სანერგეში ჩადგა და ახლა ტექნიკოსს უყიოდა ხაფი ხმით: აქეთ გამოიხედე, ამხანაგო იოსებო. სიპიტო ტექნიკოსთან მიიჭრა, რომელიც სამფეხზე დადგმულ ინსტრუმენტს მართავდა. მაგრამ იოსება ისე იყო გართული ნიველირის აწყობით, რომ სიპიტოს მომზადებული კითხვა ტუჩებზე შეაცივდა. გულის ძვერით ელოდა, როდის მიიხედავდა მისკენ ტექნიკოსი. საოცრად ხანგრძლივი მოეჩვენა სიპიტოს ინსტრუმენტის აწყობა. იოსება ხან გვერდის სრახნილებს ქოქავდა, ხან ღერძის სრახნილებს აბრუნებდა, ხან ნიველირის ფეის აწევებოდა და ჰიგოსავით მიწაში ასობდა. არ იქნა, არ გასწორდა თარაზოში ვერცხლის წყალი. ისიც ისე ძიგძიგებდა, როგორც სიპიტოს გული. ვერცხლის წყალი შუაგულზე არ დგებოდა, იოსება შებლს იჭმუხნიდა, და სიპიტოს არ უნდოდა, ასეთ ცუდ დროს შეკითხებოდა ტექნიკოსს. როგორც იქნა გასწორდა თარაზო. სიპიტომ პირი დააღო, მაგრამ ტექნიკოსი ახლა საკვრეტ მიღზე დაიხარა. მასაც დიდხანს უტრიალა — ჯერ დააგრძელა, მერე დაამოკლა. ერთის მშმართულეებით რომ გაასწორა, მილის საკდობიდან ამოიღო და მეორე მხრით შეაბრუნა. როგორც იყო გაიმართა იოსება წელში. შებლიდან ოფლი მოიწმინდა და სიპიტომაც ძლივს — ძლიობით „ამოლარღნა“:

— რა ამბავია, იოსების ქირიმე, ჩემს თავზე?

— არაფერი, ქაჯან. — აღუღელვებლად მიუგო იოსებამ. — აქ მალალი და დამალი წერტილები უნდა მოეძებნოთ. ხაზები უნდა გაეკვლოთ. განივებს გუძახით. თქვენ რას შფოთავთ, თქვენსას ხომ არა ვართ პირველად, ავერ ოცი კარმიდამო ჩამოვიარეთ. ჩვენ გვინდა, რომ გხაც კარგი გამოვიდეს და თქვენც დიდად არ დაზარალდეთ, როგორც იტყვიან ხოლმე — არც მწვადი დაიწვას და არც შამფურიო. ასეა, ქაჯან! — დაასრულა იოსებამ განმარტება და ისევ ნიველირს მიუბრუნდა.

„აი, ქაჯი გეცათ თქვენ!“ — გაიფიქრა სიპიტომ. იოსებას სიტყვებში ოდნავაცაე ვერ დაამწვიდა. ახლა სიპიტო ბალის მესერთან მიიჭრა, ბავშვები დაიფრინა, ბალის მესერს რომ მისდგომოდნენ და მარჯნისფრად

ლოყაშენითლებულ ადრეულა ატამს ხარბი თვალთ შესკვეთოდნენ. შემდეგ აღელვებულმა დაიწყო ეზოს ერთი კუთხიდან მეორეში სიარული. ჰქონდა კიდევ სიპიტოს შეშფოთების საბაბი. მისი ოდა კორტოხზე იდგა და ჯღერების აღმართი, სწორედ მის ჭიშკართან რომ ჩაქუჩუნდა, ქველაზე გრძელი და დაქანებული აღმართი იყო სამღვთისო სიკვამლეზე. თუ გზის გაეკება იქნებოდა საქირო, პირველად მის ეზოსთვის უნდა ჩამოეჭრათ. ამას დიდი გაზომვა და გამოკვლევა არ სჭირდებოდა და, გარდა ამისა ეს „თავუხლარი“ ახალგაზრდები, ახლა ლარტყებით, ბაბთებით და პალო — ქოლოკით შეიარაღებულნი რომ შეიქრნენ მის ეზოში, ჯღერიას აღმართს მტრულად უყურებდნენ: მიზანში ჰქონდათ ამოღებული მას შემდეგ, რაც იმ აღმართზე მანქანა დაუცურდათ.

სამღვთოს კოლმეურნობამ ამ ორი კვირის წინათ საბარგული მიიღო და პირველად წვევამდელები გაემგზავრნენ ამ მანქანით რაიონში ერთდღიურ სასწავლო შეკრებაზე. გაემგზავრენ ყიფინით და სიმღერით, მაგრამ საღამოს სახლში დაძმარებულნი დაბრუნდნენ. გზაში წვიმამ მოუსწროთ და სწორედ ამ აღმართმა ჩაუშწარათ მხიარული მგზავრობა. მანქანა ჯღერიას აღმართზე ველარ ავიდა. დაკიდულ აღმართში საბარგულის თვლებმა სრიალი იწყეს და მანქანა ცივასავით დაეშვა თავქვე. ახალგაზრდები ჩამოხტნენ. მთელი ძალით მიაწვნენ ქვევიდან მანქანას, ქვებიც შეაწყვეს თვლებქვეშ, მაგრამ ვერ დაამაგრეს, მანქანა სწრაფად მიცურავდა თავდაღმართზე. ხრამში რომ არ გადაჩეხილიყო, შოფერმა იგი გზის პირად მდგომ ტელეგრაფის ბოძისკენ წაიყვანა. იოლად გადაჩნენ. მაგრამ მანქანის ძარი მაინც დაიღწა. შემდეგ ყვეარი ხარით აიტანეს საბარგული აღმართში. წვევამდელებს სოფელში გამოჩენის პირი აღარ ჰქონდათ. ყველას გული დასწვა ახალი მანქანის დამტყრევამ. ამ მანქანის მიღებას ასეთი ამბით მოელოდნენ. შერმანდია აუზავდა მამინ ახალგაზრდებს, კინალამ შეჭამა. თქვენ რაიონში დათვრებოდით სადმე და, ალბათ, იმიტომ დაამტყრიეთ მანქანაო. ისიც აბრაზებდა ახალგაზრდებს, დამკვრელებმა ველოსიპედები რომ მიიღეს ჯილოდ და ამ აღმართზე ზურგით თრევა უხდებოდათ.

მაგრამ წინადაც რამდენი უწვალონიათ აქ, რამდენჯერ ჩაფლობიათ შემოდგომის ბნელ ღამეს ამ დახრამულ და ატალახებულ აღმართში ურემი, რამდენჯერ დაუტლიათ ტვირთი და ზურგით უზიდიათ კორტოხამდე სიშინლით დატვირთული მძიმე გოდრები. ძველად მოსახლეებმა მიჯნებზე გაჰყავდათ გზა, და თუნდაც მთლად ტალახში ჩამხვალყო ხალხი, გზის გასავაკებლად ერთ ადლსაც არავინ ჩამოაჭრიდა თავის მამულს. სიპიტომ ხომ წინათ იმდენი ქნა, რომ სილოვეანის დედის, ქვრივ პუპის მიწას ჩამოაჭრეს საქალამნის სიფართე ზოლი, რათა მის ეზოს არაფერი დაკლებოდა.

სულ მაგ სილოვანას ბრალისა, ჩემი ეზო რომ ოხრდებოდა და ილუპე-
ბათ, ფიჭრობდა სიპიტო. იმან ააგულიანა, ალბათ, ტყეშიცა თორემ
იოსება ორი დღეა მისასაა სტუმრად, პურმარილზე წიხლს არ უკრავდა,
კოტა ხათრს დასდებდა. ახლა კი, თუ ასე გულდაგულად სიპიტოს
კარმიდამო, გზა მის ეზოს არ ასცდებოდა. ამას დიდ ინტერესს უნ-
და. აღმართი ზედ ეზოს კუნჭულთან თავდებოდა, სადაც სიპიტოს სა-
ხერგე იყო გაშენებული.

ეს კუთხე თუ ჩამომიჭრეს, დავილუპე კაცი, — განაგრძობდა ფიჭრს
სიპიტო, — სახერგე სხვაგან უნდა გადავიტანო. მარა რაღა ეშმაკად მინ-
და სახერგე, კოლექტივის სახერგეს გაისს ქვეყნის ნერგი ექნება. დღესაც
რომ არავეინ ყიდულობს მისგან ნერგს. რა საშინლად დაეცა ნერგის მა-
ზანდა, ორმანათ-ნახევრად ყიდის კოლექტივი ნერგს. უკეთესი ნერგიც
რომ გამოუდის ეს ქულ იმის ბრალისა, რომ ფარნამ გული აიყარა სიპი-
ტოზე. მისით ედგა სული სიპიტოს ბაღს და სახერგეს. მისებრ ხელყო-
ხალი მყნობელი მთელ სოფელში არავეინ იყო, მისი დამყნობილი ნერგი
თავის დღეში არ მოკედებოდა.

— აბა იქით დადგი ლარტყა, ქაჯან, გასძახა იოსებამ სილოვანას და
ნიველირის წიგნაკი, შიგ რაღაცას რომ ინიშნავდა, სიპიტოს ხეზლის
ბაღისკენ გაიშვირა.

სილოვანამ ლარტყა ბაღის მესერზე გადააყუდა. ბაღში ჩახტა და
ადრეულა ატამს მიუდგა ლარტყა ძირში. ნიველირის გაწყობის მოლო-
დინში ატამი მოსწყვიტა და კბეჩა დაუწყო, ნაცარა ვაშლსაც ტოტი
ჩამოაჭრა, ნიველირისთვის ხედი რომ გაენთავისუფლებინა.

რა თავუხლარია, ისე დადის როგორც თავის ბაღში. — სიბრაზისა-
გან გულზე სკდებოდა სიპიტო. მოჭრილი ტოტი ხელში აიღო. თავს იშა-
გრებდა, რომ სიმწრისაგან არ დაეყვირა. სეაჩიაც კაჭკაჭივით ჩახტა ბაღ-
ში და ვითომ სიპიტოს გულის მოსაგებად მოშაინურად ეუბნებოდა:

— არ შეცდე, არ დოუჯერო მაგ ქაჯანას. ხომ ხედავ. ზედ აღმარ-
თის თავზეა სახერგე. იმიზე დაადგმევეია ლარტყა პირველად სახერგეს-
თან, ისე ჩამოაჭრის ეზოს მაგ კუთხეს, რომ მზე მალლა იქნება. თუ გზა
დაკეცა, ზედ ბაღზეც ქე გადმოიარს. ეინ დაუშლის. იქნებ მთლად გადმო-
აპირდაპიროს და ზედ სახლის წინ გაატაროს გზა. ახლა შენსას რომაა
სტუმრად, იმიზე გელაპარაკება მოთანით. მაი შე მკითხე შენ. ასე იცო-
ან ინჯილრებმა. გადვილებს პლანს, წაევა რაიონში და გამოგზავნის ნა-
ხატს, ასე და ასე გაიყვანეთ სიპიტოს ეზოში გზაო. მერე უყარე კაკა-
ლი! თვითონ კი არ დაიკავებს წაკატს და ბარს ხელში. ისევე შენ გაგა-
თხრევიანებს შენ ეზოს.

ისედაც დაფეთებული სიპიტო სეაჩიას სიტყვებმა მთლად გადარია.
სეაჩია კი გულუბრყვილოდ სტკბებოდა ამ სიტყვებით გამოწვეული შთა-
ბეჭდილებით. თავისი ფრესკივით დაქვეტილი, გაშეშებული თვალებით

შეკუთრება, თუ როგორ ეცვლებოდა სიპიტოს წამდაუწყებელი სახე — ხან წითლად უღვივოდა, ხან მიწის ფერი ედებოდა.

სიპიტომ ველარ მოითმინა და ისევ იოსებასთან მიიჭრა. რაღაცას უბის წიგნაკში რომ ინიშნავდა და თან დამშვიდებით ამარტყამდა წიგნის ყალიონს. ბოლი აღერსიანად ეხვეოდა მის გაბადრულ, მსიგანე ჯანგის ფერდაკარგულ სახეს. სკაჩიაც უკან აედევნა.

— მაგენს არ დაუჯერო, შენ, ყმაწვილო, — ვაცხარებით დაიწყო სიპიტომ. ტყვილა გისისინებენ ჩემზე, მანქანა იმიტომ დაუცურდა ამ აღმართზე მოფერს, რომ მუხრუჭი წამხდარი ჭონდა, თანაც მთვრალი იყვნენ ყაზილარები. ჩემი თვალით ვნახე, ისეთი ყიფინით და სიმღერით ჩააქროლეს მანქანა ჩემს ეზოსთან. თვარა რა აღმართია ახლა მაი აღმართი, სალაპარაკოთაც არ ღირს.

იოსებას თითქოს მობეზრდა სიპიტოს ახსნა-განმარტება, რაღაც გაურკვეველად ჩილაპარაკა: „პო კარგი, კარგიო“, ჯიბიდან ლურჯი ფერის, თეთრად დახაზული რუქა ამოიღო და ზედ ჯერებისა და ხაზების გავლებას შეუდგა. სიპიტომ გაიფიქრა, ახლა ხაზავს, ალბათ, გზის პლანსო. წინ დაუცუტკდა იოსებს, მწიფე ატამი მიაწოდა — ყელი გაისველეო. წიქორია სახე დაჯღანა, იოსებისაყენ დაიხარა, ხმას დაუწია და კვლავ წამოიწყო:

— თუ გზის დაკვეთა გინდათ! მაგი პუბის ეზოდან უფრო მოხერხდება, მთლად ხელის გულივით იქნება. იმიზა აქვს სილოვანს ინტერესი, მისი ეზო უნდა იპატივოს და ჩემი ეზო გააპინტრაშოს. ჩემი სწავლები-საგან ჯვარი გწერიათ, მე სადაური ინტენერი ვარ, მარა მტე ქე მჭონდა გზასთან საქმე. სამოქმე მასალა გამომქონდა დიდ-რაციდან. ისეთი სპოტი იყო, რომ ჭაჯი ვერ გაივლიდა. გზაც გავიყვანე თვალდათვალ და ხის დასაცურებელი ღარიც გავაკეთე რაცხა ისე უნდა მომიხერხოთ, რომ აგი ეზო არ დამიუშნოდეს.

— კარგა შემწიფებულა შენი ატამი, აწი ქეა, ალბათ, მოსაკრეფი-რამდენს აბარებ წრეულს პუნქტს? — ჩაერია ლაპარაკში სკაჩი, სიპიტოსთვის თავისი იქ ყოფნა რომ მოეგონებია, რათა მისთვისაც მიეწოდებია ატამი.

— ოხ, რაა ჩასაბარებელი! წრეულს არაფერი არ ასხია, — სთქვა სიპიტომ და მასაც გადაუგდო უგემურად ერთი ძირნაყარა ატამი.

სილოვანამ შესწყვიტა მათი საუბარი და ისევ ააფორიაქა ოღნავ დამშვიდებული სიპიტო. თითქოს აყვია სკაჩიასთან აქვს პირი შეკრუ-ლიო, მან ახლა ზედ სიპიტოს ოდასთან დააყენა ლარტყა. ორმეტრიანი ლარტყა თითქმის მისწვდა პარმალზე გადმოფენილ აბრეშუმის საბანს. სიპიტოს ელდა ეცა, სუნთქვა შეეკრა. ნუთუ მართლა საჭირო იყო ახლა ლარტყის ოდასთან დადგმა, თუ სილოვანამ სიპიტოს გასახელებ-ლად მიადგა ეს წყვეული ლარტყა ოდის ბოძს?

კრელი, ზოლებიანი ლარტყა სიპიტოს კულზე შემართულ / გველად
შოეჩვენა, მის ოდის ბოძს რომ ეხვეოდა.

— აქეთ გამეიწი, ბიჭო, პატარა, რა შეაკვდი ^{მეწაქვს} ველარ
მოითმინა სიპიტომ და მიაყვირა სილოვანას.

იქნებ მთლად მომთხარონ და გადამასახლონ, — გაიფიქრა მან და იგ-
რძნო, რომ ცივმა ოფლმა დაასხა. — სულ მაგ ბიჭების ბრაღია, მაგათ
უნდათ ჩემი ოჯახის დანგრევა.

სკაჩია კი ცეცხლზე ნავთს უსხამდა:

— ხედავ, ოდასაც მიაღგენ. ასეა, ხომ გეუბნებოდით, დაპლანაეს, დი-
ამტკიცებს, დაარტყამს ლუქს და მერე სდიე შენ კულში.

და სკაჩიას აყუიობისა არ იყოს, საჭმე თითქოს მართლბ რთულდებო-
და: იოსებას მითითებით მამიამ და კაპიტონამ თითქოს მთელი ეზო გარ-
დი-გარდმო აზომეს.

— აბა, ერთი პალო ჩაასვი მანდ, — იძახდა იოსები. — პიკეტი მანდ
იქნება, ატმის ძირში. ახლა ერთი მალალში დადგი ლარტყა. ცოტა ჩემს-
კენ მოიწი. არ ჩანს, მსნლის ტოტი მიშლის... ახლა დაბალში დადგი.

და სილოვანიც თითქოს ვერ გაძლო სიპიტოს წვალებით, სად არ დაა-
ყენა ლარტყა: სიპიტოს ნამყენ ვენახში, ბოსტანში, დიდ ფარდულთან და
მანდარინის ბაღში. მთელი კარმიდამო სარებით მოფინეს.

მთავარი უბედურება მაინც წინ ედო. სიპიტოს სამზადისის ლაფარო-
ში მიგდებულ აკაციის მორიდან იოსებამ ორმეტრიანი ბოძი გამოახერ-
ხინა და ზედ სიპიტოს ოდის წინ ჭის სიფართოე ორმო ამოათხრევინა
ჭიშვარდის და მამიას. ბარიც რომ სიპიტოს სთხოვეს!

ისეე ჩემი ბარით უნდა მომთხარონ, — გაიფიქრა იმედ-წასულმა სი-
პიტომ. იოსებამ ბოძს სიგანეზე ლარტყა დააჭედა, რომ ვინმეს აღვი-
ლად არ ამოეთხარა მიწიდან. ორმოში ჩაფლული ბოძი ტექნიკოსმა თა-
რახოთი გაასწორა და ზედ ვებერთელა ნომერი დასვა — RP №1.

ეს რაღა ლეთის რისხვია, ამოდენა ბოძი ოდის წინ? ფიქრობდა სიპი-
ტო. უნდოდა იოსებასთვის ეკითხნა, მაგრამ ვერ გაუბედნა, ეშინოდა.
ვაი თუ ზედმეტი შეკითხვებით უფრო გავაფუქო საჭმეო. ახალგაზრდე-
ში კი იოსებას შემოხვეოდნენ გარს.

— იოსებ, ეს ბოძი რისთვის ჩაარქვე აქ?

— ესა, ბიჭებო, რებერია, — გაბმით დაიწყო იოსებამ. — შეიძლება
პალოები დაიკარგოს, ვინმემ მოთხაროს, რებერი კი არ დაიკარგება, ძნე-
ლი ამოსათხრელია მიწიდან და მის მიხედვით თუნდ ხუთი-ექვსი წლის
შემდეგ შეიძლება მთელი ხაზის აღდგენა.

სიპიტომ ტუჩზე იკბინა. ხუთი ექვსი წელი, ისე აგიშენდა შენ ოჯახი
რაე ხუთი ექვსი წლით არ გადასდონ ეს საჭმე. თუ ჩემი იღბალი გაერია
შიგ, საჩქაროე რომ არ იყოს, მაინც დააჩქარებენ ამ გზის გავაკებას.

— მაინც, იოსებ ბატონო, რაღა მე მეცი პატივი და ჩემს ეზოს შუა-
 ახვედრე აგი რაცხა რეპერია, — გულდამძარბული, ჩავიკინილი ხმით
 შეეკითხა სიპიტო ტექნიკოსს.

— არა ბატონო, როგორ გეკადრებათ, რა შუაგულაა ჩემთვის ცე-
 მა! — მიუგო იოსებამ ჩვეული სიმშვიდით. — ან რას გიშავებს ეს რეპერია?
 ეს სიმაღლის გამოსაანგარიშებელი წერტილია. ამ საღამოს გამოვივლო
 და ხვალ ზუსტად გეცოდინება, რა სიმაღლეზეა შენი ეზო ზღვის დო-
 ნიდან.

— ჰო, კაი ერთი, თუ კაცი ხარ, ყბას ნუ მიქცევ-მაინც, რა ეშმაკად
 მინდა მაგის ცოდნა, ანდა საღაა ჩემი ეზო? დადიან, ზომავენ, ასობენ
 პალოებს, ვისაც სად მოეხასიათება. რომ დამაყენებდენ ამ ჩემ ეზოში,
 სულ არ მაწუხებებს ახლა მაგის ჯავრი, ზღვიდან მაღლაა, თუ დაბლა ეს
 ჩემი სამოსახლო. მარა ვინ დაგანებებს! სილოფანას ქუჩაზე დადის ახლა
 ქვეყანა, — საყვედურის კილოთი სთქვა სიპიტომ და ბოძის ჩამონათალ-
 ზე წითელი საღებავით მიწერილ პირველ ნომერს შეხედა.

„პირველი სახლაფორთო მე არ ამცდება“, — ჩაილაპარაკა მან და
 მოწოლილი სისხლისაგან გაწითლებული თვალებით გახედა ქიშვარდის
 და მამიას, რაღაც განსაკუთრებული გულმოდგინებით რომ უტკებნიდ-
 ნენ რეპერს ძირს.

— პირველი ნომერი ისე ბედნიერი ფეხის ქეა, — ისევ მოშაინურად
 ჩაურთო სკაჩიამ. — პირველი ნომერი ყოლიფერი კაია.

— კაი ერთი, ნუ ყარყალობ, შე გლახა! — შეუტია სიპიტომ. — შე-
 ნი ყბადასაღები რომ გავხდი, მაშინ წახდა ჩემი საქმე, ხანჭკს რომ მიაჩ
 ახლა კილო! მაგას სწორედ არ მოველოდი თქვენგან, ბატონო იოსებ, თუ
 ასე გამიმეტებდით, — ველარ მოითმინა და საყვედურით მიმართა სიპი-
 ტომ ტექნიკოსს. — აგენიდან არაფერი მიკვირს, მარა თქვენ განათლებუ-
 ლი კაცი ხართ და მეგონა, შეხვიდოდით კაცის გარემოებაში.

ახლა კი აღელდა იოსებმა, ნიველირი ოდის ბოძზე მიაყუდა და სიპი-
 ტოს მიუბრუნდა:

— რათა, ბატონო, რათ, რა მოხდა ისეთი? ჩვენი მოვალეობა ეს
 არის, ადგილმდებარეობის გეგმა უნდა გადავიტოთ და გზა სად გავა,
 შერმე გამოირკვევა. ვერ გამიგია, აგრე რიგად რად ღელავთ? დალესტან-
 ში მიმუშავნია, სვანეთში და ხევსურეთში. იქით უფრო ჩამორჩენილი
 ხალხია და ასეთ რასმეს არსად შეგხვედრივარ. სეაწებს, რომ იცით, ხე-
 ლისგულის სიფართოე საყანეები აქვთ, ეზოზე მიკრული, ზოგან შუა
 ეზოზე გადავიდა გზა და ხმა არ ამოულიათ. თვითონ გეშველოდენ გზის
 გაყვანაში. გზას განათლება მოაქვსო. ხევსურეთში ვიყავით, ხალხი ნი-
 ველირს დაეხვია, ვერაფრით ვერ მოვაშორეთ, იძახდენ, კულამეტრით ზო-
 მავენ გზასო. იქაც საყვედური არ გვამენია. თიანეთში გაგვყავდა გზა —

ბოსლები, თონეები, საქათმეები ავადღებინეთ, მეკომურები აიჭონენ. მხოლოდ ერთი კაცი წავიდა წინააღმდეგ, ისიც მოხუცებულია ჩაჩუმეს. ამილახორების და ერისთავების დრო ხომ არ არის, ვინმე მსუბუქი მიწისთვის ჩხუბს რომ სტეხო. თქვენ რათ მაკადრებთ სხუვანთა გურული ხალხი შეგნებულა, თქვენ სვანებზე უფრო არ უნდა გაიგოთ ჩვენი მდგომარეობა? აბა პაერში ხომ ვერ გაიყვანთ გზას? საცა საპირო იქნება, შეიძლება ცოტა ჩამოვაკვეცოთ კიდევ ვისმე მამულს. საერთო საქმისთვის ხდება ეს. თქვენთვის ვაშენებთ ამ გზას. შე თან ხომ არ უნდა წავილო? წელან არ გეუბნებოდნო, ჩვენც ისე გვინდა, რომ არც მწვადი დაეწოთ.

— კარგი ერთი, შენი ჭირომე! ეგ ანდაზები ჩვენც გაგვიგონია, — ვეღარ მოითმინა და გააწყვეტინა სიტყვა სიპიტომ, ეწყინა, — იოსებამ ამ ხალხის წინაშე შეგნებაზე რომ ჩამოუგდო ლაპარაკი, — სვანი და გურული ამ საქმეში რომ გაანსხვავა, — საკუთრება ყველას ერთნაირად მოეწობა. ძმაი ძმას კლავდა საზღვარზე ერთი ალაბი მიწიზა. შეუგნებლობას და ყრუობას ჩვენ ვერაფერ წამოგვაძახებს. შე კი არ ვამბობ, გზა არ გასწორდეს მეთქი. მარა სხვისი ინტერესის გულიზა შე რატომ უნდა დავიჩაგრო. წელან მოგახსენებდი, მაგ გზა პუპის ეზოს მხრიდან უფრო გავაჯდება მეთქი. მარა ზოგი მის საქმეს იკეთებს და შე კი მაქცევს! — აქ სიპიტომ ხმას დაუწია, რაკი მათკენ მომავალ სილოვანს მოჰკრა თვალი. განზე გადგა და ჩაიბურტყუნა: — მთლად მაგენის ბრალია, ჩემი ეზო რომ ოხრდება და ილუბება.

— რა ოხრდება, ბატონო? წინდაწინ რათ იხეთქავთ გულს, ჯერ ჩვენც არ ვიცით, კარგად, საით გავა გზა. იქნებ თქვენ ეზოს მთლად აუქციოს გვერდი.

— კაი ბატონო, შენს პირს შექარი. — ამოოხვრით სთქვა სიპიტომ. — ისე, იოსებ ბატონო, ჩემგან არაფერი გეწყინოთ, — შემარიგებელი კილოთი უთხრა სიპიტომ. — ხომ იცით, საკუთრება შეილზე უფრო მოეწობა კაცს.

— არა, ბატონო, არაფერია, — სთქვა იოსებამ, ნიველერი აილო და ჭიჭორისკენ წავიდა. სხვები უკან გააკყენენ. სიპიტომ ავადღენა ტექნიკოსს, პიჯაკის ჯიბეები ატმით აუესო, შეათუჯერ მოიბოდიშა, საწყენი არაფერი დაგრჩეს ჩემგანო.

გულნაკლული შემობრუნდა უკან. თავის თავს კიცხავდა, საყვედური რად უუთხარი, ვაი თუ ამით მთლად წაავახდინე საქმეო. ეს მარცხი როგორმე უნდა გამოვასწოროვო. ამიტომ იყო, რომ სიპიტომ ამ საღამოს ასე გამოიღო თავი ტექნიკოსის გასამამასპინძლებლად. მეფური ღზინი გაუმართა, მთელი უბნის ახალგაზრდობა დაუპატივა.



მშვიდი, მთვარიანი ღამეა. დამაშვრალ სოფელს კრწანის მხარის სიბინჯის სიბიტოს ოდას კი ბონდოს ბუქნისგან ზანზარი გაჰქვს. ყველაზე მეტად მაინც სიბიტომ მოიღვინა, თავის სიმაღლე წყვილი მოვერცხლილი ყანწი გამოიტანა, მისი ქორწილის შემდეგ ღვინით რომ არ ავსებულა და კედლის სამკაულად რომ ეკიდა. ობობას ამოექსელა ყანწების ყელი. ელიზბარას დაულაგა წინ, თამამად რომ აირჩიეს, როგორც მაგარი მსპელი. „შეასახელა“, სტუმრებს ღვინო დააძალე და ეს უცხო სტუმარიც ისე გამიხადე, რომ მამა მისის სახელი დაავიწყდესო. ელიზბარამაც იმედის მიმცემად დაუქნია თავი და გულში გაიფიქრა, მაშინ მოკედეს ელიზბარა, თუ სულყველა ფორთხვით არ წავეიდე აქედანო.

სიბიტო ციბრუტივით ტრიალებს: მერიქიფეც თითონ არის, მოსამსახურეც და მომღვინეც. აქ ღვინოს ჩასდგამს, საწებელს გადააწედის სტუმარს, ბეჭს სთლის სიფრიფანა ნაჭრებად, იოსებას გურულ კერძებს უქებს, ხან მომღვრლებს მიეჭრება და ორ მუხლ ბანს შეაწევს. გულში კი ცეცხლი უტრიალებს, ფიქრით ეზოშია, თავიდან არ გამოდის ის ჯანდაბა რებერი, სამარის ქვასავით ასე საშვილიშვილოდ რომ ჩარგეს მისი ოდის წინ ქიშვარდომ და მამიამ. ერთ ადგილას ვერა დგება.

ხაჭაპურებს, სანთლის არაყს და კონიაყს შემწვარი წიწილები მოყვა. რამდენიმე ჩაის ქიჭის შემდეგ ელიზბარამ ყანწი პირამდე აავსო, სულმოუთქმელად დასცალა, თავმომწონედ დაიბერტყა ხელის ფრჩხილზე და იოსებას მიმართა: შეხედე რავე მშრალია, თითქოს მზეზე იდო, აბა ასე დაცლაზე იყოსო. ისევ აავსო და ტექნიკოსს გადააწოდა — ალავერდს თქვენთან ვადმოვდივარო. იოსებამ ხუმრობით ჩამოართვა თამადას ყანწი:

— ბერავს ეს თქვენებური ღვინო კაცს და ვერ კი ათრობს!

სადღევრძელო წარმოსთქვა. სიბიტოს გულის გასახეთქად ისევ გზაზე ჩამოავდო ლაპარაკი. ჟღერა მისთან ვართ შეჯიბრებულნი საგზაო მშენებლობაშიო. ყანწი დინჯად დასცალა და სიბიტოს გადასცა — ჩვენს მასპინძელს მხიარულსაო. სიბიტომ რის ვაი-ვაგლახით გამოსცალა ყანწი. დიდი ხნის უხმარ ყანწს რქის სუნი უდიოდა. გულზე წამოზიდა. ყანწი კოსტას გადააწოდა და როცა სუფრიდან წამოდგა ღვინის მოსატანად, იგრძნო, რომ ნაბიჯი ერეოდა. როცა შემობრუნდა თითონვე გადულაპარაკა ელიზბარას — თუ კაცი ხარ, მაგ ყანწს მოეშვი ეხლაო. ჯავრისაგან თუ დაღლილობისაგან ღვინო დღეს ერთბაშად მოეკიდა. თავბრუხვევას გრძნობდა. გულიდან ჯაერი მაინც ვერ გადაიყარა. იოსებას სადღევრძელომ სულ აღმღვრია გუნება. ეს „ქაჯანა“ აქ, სუფრაზედაც, საგზაო მშენებლობაზე ლაპარაკობდა. იმედი გადიწყვიტა, — მაგასთან ვერაფერს 9. „მნათობი“ № 4.

გააწყობს კაციო. ისევ ის წყეული რეპერი და პალოებდო მოკლე ეზო მოაგონდა. უაზროდ მოეჩვენა მთელი ეს ქეიფი, ერთი ქეიფი გარეშე შესვა და პარმალზე გავიდა. კიბის საფეხურს მოეჭიდა და ისე ჩავიდა ძირს. ერთხანს კიბის უკანასკნელ საფეხურზე იჯდა, შემდეგ სწინერგისკენ გაუყვა, შემდეგ ისევ ოდისკენ გამობრუნდა. დედაძინა მის ფეხქვეშ აკვანივით ერწყოდა, ხან სად წამოკრავდა ფეხს ეზოში დასობილ პალოებს, ხან სად.

— აი, შენს დამსობს! გაილანდა სიპიტო. პალოებს სთხრის და შარაზე ისერის გამწარებული. მაგრამ პალოებს ვინ ჩივის, საქმე ის რეპერია, რომელზედაც სიპიტომ მცხრალი მთვარის მიღეულ შუქზედაც მოახერხა წყეული პირველი ნომერის ამოკითხვა. მოაგონდა სკაჩიას მოშინური შენიშვნა: პირველი ნომერი კაი ფეხისააო. რალაც უაზრო გაბოროტება იგრძნო ამ ოდის წინ დასობილი ბოძის მიმართ, თითქოს ის ყოფილიყოს ყველაფერში დამნაშავე, თითქოს მას უსვია თავში ეს რეპერი. როგორმე უნდა ამოთხაროს, თორემ თავის ქალას გაუხეთქავს. სიპიტო რეპერისკენ დაიხარა, ბარი ისევ იქ ეგდო, რეპერის ძირში. ბარს ხელი დასტაცა და თავგამოდებით დაუწყო ბოძს ამოთხრა. მაგრამ რა მოუვიდა? ნუთუ დვინომ დააოსა ასე, ან ჭიშვარდიმ და მამიამ ასე მაგრა როგორ მოუტყებნეს ძირი ამ ბოძს? ხუთჯერ დაქკრა ფეხი ბარის საფერხულს და შუამღი ძლივს ჩაიყვანა. ბარის პირი რალაც მაგარს ხედება და ჯახანი გააქვს. ქვა თუ ჩაჰყვა ბოძს.

— აიტ! — დაუძღურდა სიპიტო თუ რა მოხდა, ტყეისავით მძიმე რომ ეჩვენება ეს ბელტები? აი გიდი, რა აჯა ჰქონდა, დიდრაცაში საკასრე მორებს რომ აგორებდა! ახლა ფეხზე ძლივს დგას. კონიაკმა თუ მოკვეთა მუხლები. წელშიც რალაც გაუდგა. აიმართა და ირგვლივ მიმოიხედა. ღამის მყუდროებას არაფერი არღვევს, მხოლოდ ეამით-ეამს ღამის ყვავი თუ გადაუვლის თავზე ფრთების ფართხუნით და უხამსად დაიწეულებს. ისევ ჩაცუკჭდა და ბოძის ამოთხრა განაგრძო. ერთბაშად ქარმა დაუბერა და დარბეული კვიპაროსის ჩრდილმა თავზე გადაურა. სიპიტოს მოეჩვენა, თითქოს ვილაც თავზე წამოადგა და დაფეთებული ხეზე წამოვიარდა. შუბლზე მომდგარი ცივი ოფლი მოიწმინდა და ისევ განაგრძო ბოძის ირგვლივ ორმოს თხრა. უცებ მხარზე ვილაცის ხელის შეხება იგრძნო. სიპიტოს შიშით გული თითქოს მუცელში ჩაუვარდა. ძლივს მოახერხა თავის მიბრუნება — მისი მურა ძალი აღმოჩნდა. პატრონთან მოსუღიყო და თითქოს გაკვირვებით ეკითხებოდა პირუტყვის ენაზე: რას იჩიჩნები მანდ ამ შუალამისააო. ამ დროს აივანზე ვილაც გადმოდგა და სიპიტო იხმო. ის ერთხანს მიწას გაეკრა, შემდეგ ქურდულად პარმალის ქვეშ შეძვრა, ოდას უკანა მხრიდან მოუარა და ისევ ავიდა კიბეზე. მის სადღეგრძელოს სვამდნენ.

— მეტანია ხომ არ გიკეთებია, ეს მუხლები მიწით რომ დაქ მოსვრილი? — შეკითხა ელიზბარა. თამადას ეტყობოდა, რომ სიპიტოს იქ არ ყოფნის დროს კარგად შექეფიანებულყო. სიპიტო ^{დაქმნა} ~~დაქმნა~~ ^{ვერა-} ~~ვერა-~~ ^{ფერი} ~~ფერი~~ მოიგონა:

გ ი ზ ლ ი ზ ბ ა რ ა

— მთვარეს შევხედე, ახლა ცხრომაა და საწვიმარზე თუ დგას თქვა.

— როდის აქეთ დაიწყო ვარსკვლავთმორიცხველობა? — არ აშეგბოდა ლენისაგან აჭიკიკებული ელიზბარა.

სიპიტოს სადღეგრძელოს შემდეგ ქალიშვილები აიშალნენ. სიპიტომ კიშკრამდე მიაცილა ისინი, ძაღლმა არ დაუყეფოს და არ შეაშინოსო. სახლში შესასვლელად გული აღარ უწევდა. ეზოში იწყო უაზროდ ბორიალი. ისევ რეპერთან მივიდა, თითქოს ვიღაც ეწეოდა იქეთკენ. ისევ დაიწყო ორმოს ჩიჩქნა. თითონაც გრძნობდა თავის მოქმედების უაზრობას და ეს განცდა ძალას ართმევდა. დიდხანს იკოდეილა, შემადე ძლივს ჩავიდა, ოფლად გაიწურა, ბარი მიწაზე დაახეთქა და ისევ სახლში შევიდა.

პუპულას ახალი — სუფრის დასასრულის ხაქაპურები შემოჰქონდა, კოსტას სუფრაზე დაყრდნობილს ჩასძინებოდა, ელიზბარას კისერი განზე მოქცეოდა, ეტყობოდა, იოსებასთან შეჯიბრებაში მარცხდებოდა.

— კაცო, რა მოგივიდა? რას დარბიხარ მუცელაშლილ ხარივით? მოდი ერთი დაჯექი შენ ადგილას. აბა, ჯარიმა სიპიტოს, ჯარიმა! — შეაგება ელიზბარამ სიპიტოს.

სიპიტო გაშრა. როგორ მომგაყა ამ უცხო სტუმართანო, როგორ ვათავებოდა მთლად, წინათ, როგორ გამიბედავდა ამას ჩაღანდარა ელიზბარაო. მაგრამ შეურაცხყოფა არ შეიმჩნია, გვერდით მიუჯდა თამადას. უცებ იგრძნო, რომ მაგიდის ქვეშ დატბორებული სითხე ფეხებზე შემოადგა. ეტყობოდა ელიზბარა ლენის იპარავედა.

— აიტ, შე გლახა, გაჯობა, ვონია, კახელმა, არა?! — გადაულაპარაკა ნიშნის მოგებით ელიზბარას.

— მაგას იალონზე ვნახავთ, შენ ჯერ მაი ჯარიმა დამილიე, — არ ეშეგბოდა ელიზბარა.

სიპიტოს შეეშინდა, ამ უზრდელმა ელიზბარამ სტუმართან კიდევ რაიმე არ შეკადროსო, დიდის გაჭირვებით დასცალა ორი საჯარიმო ჩაის ჭიქა და ისევ აივანზე გავიდა. თვით პარმალის სვეტს მიეყრდნო. მამლებმა ყივილს მოუხშირეს, თითქოს დღისა და ღამის გაყრას აჩქარებენო. ოთახიდან ელიზბარას სადღეგრძელოს ხმა მოდიოდა. ეტყობოდა მშობლების სადღეგრძელოს სვამდნენ, ღრიანცელში და თეფშების ჯახანში ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაისმოდა:

— ვისაც ცოცხალი ყავს უცოცხლოს, ვისაც მკვდარი ყავს — უცხოონოს.

„თქვენს მკვდარს და ცოცხალს!“ — ჩაილაპარაკა სიპიტომ, თითონაც არ იცოდა, ვის მისამართით იგინებოდა. ლენით და ბოლომდე გამოუთხლებულ თავში რაღაც გაურკვეველი გეგმები უტრიალებდა.

აღმოსავლეთით ცას ლოყა ოდნავ შეუვარდისფერდა. სტუმრები სიმღერით და ხორხოცით ეზოდან გავიდნენ. ბონდო და იოსებაც მათ გაჰყვნენ. რა სიმწარის ღამე გაუთენდა სიპიტოს! ახლაც გაოგნებული დაბორილობდა პალოებით მორგულ ეზოში. თავისად აღარ ეტყვენებოდა იგი, თითქოს სხვისი იყო. ცუდ სიზმრად მოეჩვენა რეპერის ამოთხრის ცდა. ოდასთან მივიდა და სანახევროდ ამოთხრილ ორმოს აშოვსება-მოტკეპნას შეუდგა.

ქიშკრის ქრიალი მოესმა. სიპიტოს ეგონა, ბონდო მობრუნდაო. ამოშავალი მზის სხივები სახეში სცემდნენ. თვალები მოიჩრდილა, ძლივს გააჩნია მომსვლელი. აქარულად შეკრულ, ცალგვერდზე მოგდებულ ყაბალახზე იცნო მხრებში მოხრილი ფარნა. ხელში ბალის დანა და კონად შეკრული დრაცანა ეჭირა. რამდენი ხანია აღარ მოსულა სიპიტოსთან. მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობის სანერგეში გადავიდა სამუშაოდ. დილიდან საღამომდე იქ იყო. წვიმიან დღეში იქ რჩებოდა დასაძინებლად. ახლარაზე უნდა მოდიოდეს ნეტავ ასე ადრეიანად? სიპიტო ბარბაცით გაემართა სტუმრის შესახვედრად.

— ო, ფარნას სიცოცხლე! მადლი შენს ნახვას! რამ წამოგავდო კაცო ამ ღორის იალონზე, ეკალზე ხომ არ გეძინა? — შეაგება მან ფარნას.

— რაღა დროს იალონია, მთელი სოფელი სამუშაოზეა გასული! თქვენ ქეიფში გამოგაპრვიათ დრო. ძაან კი დაგიღბია შენი სტუმრები. ელიზბარა ფეხზე ველარ დგება. თვალში კაცი აღარ უჩანს, სილოვანას მესერს ჩაფრენია ახალ ფეხადგმულ ბალანსავეით. სეფერაც კანასიამოვნებია. მარა ის კახელი მაინც ვერ დაგიფრიათ. სულ არ ეტყობა, ნაღვინები თუა.

ესეც კარგად გამობრუებული უნდა იყოსო გაიფიქრა ფარნამ. როცა სიპიტოსთან მივიდა. სიპიტოს მსუქან ქუთუთოებში ჩამძვრალი, წვრილი თვალენი ამღვრეოდა. ისედაც მწითური, წიქორია სახე ახლად გამოქედილი სპილენძით უღვივოდა. ენა და ნაბიჯი ერთნაირად ერეოდა. ცალი ლოყა უცნაურად უცახცახებდა. შარვალზე კიდევ არ მოშორებოდა წუხანდელი ტალახი.

— სანამყენე ტოტებზე მოვედი. ხომ იცი, გრილოზე, ასიცხებამდუნდა მოიქრას. იმიზე გადმოვიარე ასე ადრე. — სთქვა ფარნამ და სიპიტოს, ადგილზე რომ ირწეოდა, მკლავში ხელი მოჰკიდა.

— კაი ერთი, ჩემო ფარნა, რა დროს სანამყენე ტოტებია, თავი ოხრად მრჩება! — სთქვა სიპიტომ და ფარნას ახედა, თავზე ბუმბერაზივით რომ წამოსდგომოდა. — ტოტები კი არა, შეიძლება მთელი ბალი ასაჩეხად გამიხდეს. გუშინ ისე აზომეს ჩემი ეზო, რომ მგონი ოდაც ასალები

გამიხდეს. შეხედე რა ამბავია ჩემ თავზე! — მომტირალა კიბით უთხრა სიპიტომ და პალოებით მორგულ ეზოზე და რეპერზე მიუთითა. — მთლად ვიფხები მგონი კაცი. სანერგეც გზის ფართობში მოსკოვში... სილოვანა დილენჯმა მიქნა ავი, მისი ეზო იპატონე, სიპიტომ მე მაგენს ყოფას, თუ სიპიტო ვარ! მარა მოდი ამ ჯაერიან გულზე თითო არაყი დავლიოთ. უზმოთ იქნები, ცოტა წეიხემსე, — ფარნას ქამარში ხელი ჩაავლო, ოდის კიბისკენ ეწეოდა. ფარნა უარზე დადგა. სანერგეში ხალხი მელოდება, გახურებული მყნობა გვაქვსო.

— ნამეტარს კი ნუ მოიკლავთ ახლა თავს მაგ სანერგეში! — უთხრა სიპიტომ და კიბის მოაჯირს მოეჭიდა, რის ვაივავლახით ააღწია კიბეს, ოთახში შევიდა და ჭიჭით თავდახურული არყიანი ბოთლი და ნახევარი ზაქაპური გამოიტანა. ერთი ჭიჭა ფარნას დაუსხა და ზაქაპური მიაწოდა. მერე თავისთვისაც დაისხა და სულმოუთქმელად გამოსცალა.

— სადმე სხვაგან უნდა გადავიტანო სანერგე, მარა რაფერ უნდა შევიძლო: — დაიწყო სიპიტომ და ფარნას ისევ აუფსო ჭიჭა. — ამ დასაქცევ დროში კაცს ვერ იშოვი, რომ ქირაზე მოგეხმაროს, უწინ ან სენი ჩამოვიდოდა, ან რაჭველი. ჩეენებურ კაცს ქირას თუ მისცემდი, კისერს მოიტეხდა. ახლა მუხლებზე რომ დაუჩოჭო, ხელს არავინ წამოგიკრავს სამუშაოზე. ეს გადარეული ბიჭიც არაფერს მეხმარება. რაცხა ისევ შენ უნდა მიშველო, ახალი სანერგის მოწყობაზე, — და სიპიტომ არეული ენით დაიწყო ახალი სანერგის გეგმების დალაგება. — ყაისარს შემოვიერთებთ ამხანაგადო.

ფარნამ ცივად მოუჭრა:

— მე თუ მკითხავ, შენ ტყვილა აკლავ ახლა თავს მაგ სანერგეს. რა ანგარიში აქ ახლა კერძო სანერგის გაშენებას. კოლმეურნეობა ორშანათნახევრად უშვებს ნერგს. შენ თავად დაგიჯდება ამაზე უფრო ძვირი-სწორი არაა? ამგაის ჩვენ სამასი ათასს ძირზე ავიყვანთ ჩვენ სანერგეს, — შენ კი დიდი-დიდი სამიათასი ძირი გააშენო, რა ხეირია ვითომ?!

— არ დეიჯერო მაგი შენ. სახლში გაშენებულ ნერგს ყოველთვის კაი მაზანდა ექნება. თქვენ კოლექტიურ სანერგეს ხელოვნურ სასუქს რომ უშვებით, ნერგი გაპარტივენებულია და არ გამოისხამს, — არა ცხრებოდა სიპიტო.

— აბა სწორედ! ყაისარიც მასე იძაბოდა, კოლმეურნეობის ნერგი არ ვარგაო, მარა ჩუმათ სეფერას აყიდვია ნერგი და თავის ეზოში დარგო. მეც წავილე წელს ორასი ძირი, ნაბაღარზე გავაშენე. მოდი ერთი დაათვალიერე, რა სანახავია ჩენი სანერგე. დედალი კანაფეითაა აზრდილი შარშან შარამობისთევი დამყნილი ლიმონის და მანდარონის ნერგი. ორი წლის ნერგი გეგონება. მოსკოვში აგზანთან ჩენს ლიმონებს გამოფენაზე. კოლმეურნეობის სანერგეებს შეჯიბრი გვაქვს გამოცხადებული. ჩე-

ნი სანერგე რაიონში პირველია. რაიკომის მდივანი იყო ამას წინეთ სანერგებზე და თქვა, საბატვიო სიგელს მოგცემენო.

სიპიტო ვაოცებული უგდებდა ყურს ფარნას აღტაცებულ ლაპარაკს სოცშეჯიბრების შესახებ. ვერ წარმოედგინა, გვარდიაში რა მნიშვნელობა იქნებოდა გულმოდგინედ როგორ მუშაობდა კოლმეურნეობის მნიშვნელობა. ჩისინი სულ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ნუთუ ეს ის ფარნაა, რომელსაც კაცი მარწუხით ვერ ამოაძრობდა პირიდან სიტყვას, რომელიც თხუნელასავით იფუგნებოდა მთელ დღეს კოლმეურნეობის სანერგეში და ზოგჯერ სახლშიაც არ მოდიოდა, იქვე სანერგეში იძინებდა. მუდამ სახე მოღრუბლულს, ახლა შუბლი გახსნოდა. ისე აღტაცებით ლაპარაკობდა კოლმეურნეობის სანერგის შესახებ, თითქოს მისი საკუთარი ბალი ყოფილიყოს. სიპიტო თავის ყურს არ უჯერებდა, ფარნა კი, თითქოს სიპიტოს გასახელებლად, კოლმეურნეობის სანერგის ქებას განაგრძობდა:

— ხუთი ათასი ლიმონი გვაქ ამ ზაფხულში დასამყნობი, ორმოცი ათასი მანდარინი. დიდი მოთხოვნილება აქვს ჩვენს სანერგეს, კოლმეურნეობა 30 გექტარ მანდარინს რგავს წელს, ეზოებში ყველა ამწენებს, სხვა სოფლებიდანაც გვთხოვენ.

— ამ ხალხის საქმე მიკვირს, რამ გააცოფა ნეტა? — წამოიწყო სიპიტომ, რომ ფარნას აღტაცება შეენელებია. — ეზოს მანდარინს ერთ-ორ წელიწადს გასარგებლებენ და მერე ქე წვილებს მთავრობა.

სიპიტომ ქურდულად მიმოიხედა ირგვლივ. გაქარბლებული სახე ახლო მიიტანა ფარნას სახესთან და ხმადაბლა დაიწყო:

— შენი იმედი მაქვს, ფარნა. ნამუსის შენახვა იცი. ვიცი, არ გამთქვამ და გეტყვი. სანდო ხალხიდან გავიგე, რომ ეზოს მანდარინსაც მალე გააერთიანებენო. მალე კომუნის წესდებაზე გადავა კოლექტივი და მაშინ დაიწყება ასეარ-დასეარია. გჯერა ახლა შენ, რომ მაგას დაუშვებენ კომუნისტები ლადიმე და კალენიკა ათიათასობით რომ ლებულობენ მანდარინში, რომ აღარ იციან, რაში დახარჯონ ამდენი ფული? მოხმარის შნო მაინც ქონდეთ მაგ უბედურებს. მის დღეში არაფერი უნახავთ, სახლში ჭიკაყელა მიუციოდენ. პო, მაი მე მკითხე შენ, ასე იყო ცხრაას-ცხრამეტში რუსეთში. ბალშევიკები რომ ეილებდნენ ქალაქს, ერთხანს ვაქრობის თავისუფლობას გამოაცხადებდნენ, მერე მოხვეტდნენ ხელს და წვილებდნენ ყველაფერს. მე თვითონ გამოვეცადე ჩემ საკუთარ თავზე. მეც კინალამ ტყავი დამატოვებინეს, ცოცხალი თავი ძლივს ჩამოვიტანე. ხომ გახსოვს, რა თითათ ჩამოვედი.

ამ სიტყვებმა ფარნას გული აუზღვრია. რუსეთიდან გამოქცეული სიპიტო კომუნისტების გინების მეტს არაფერს აკეთებდა. ყველა მიტინგზე გამოდიოდა. მისმა სიტყვებმა წააქეზეს მაშინ ფარნა, როცა ერობა ოსეთში დაწყებულ ბოლშევიკური აჯანყების ჩასაქრობად ჯარს აგროვებდა. ფარნა როკის უღელტეხილისკენ გაისტუმრეს. სიპიტომ კი თბილისს და

ნიგვზის ტვირთი წაიღო სტამბოლში სავაჭროდ. კილო რით ბედავს ახლა ეს ტურა ამ ამბების მოგონებას! ველარ მოითმინა და სიპიტოს შირში მი-
ახალა:

— შენ მაშინაც მასე გაასანსალე ენა, ბალშევიკებმა ჩონქო დაქ-
ციეს და თუ აქ გეიმარჯვენ, ქვას ქვაზე არ დატიებენო. შერე რა გამევი-
და? რით გამართლდა შენი ნალაპარაკევი? ასე იციან ბალშევიკებმა, ისე
იციან ბალშევიკებმაო. ამისანა დრო გურიის ხალხს როის ქონდა? ამ
დრომ შრომას მოწონება მოუტანა. ვისაც შრომა უყვარს, ახლა ამ დრო-
ის აუგს იტყვის?

სიპიტო ცოტათი გამოაფხიზლა ფარნას სიტყვებმა. თვალები მოი-
ფშენიჭა, თუთუნის დაგრიხა და მოუკიდა. ფარნას შემარიგებულ კილო-
ზე დაუწყო ლაპარაკი:

— კაი ახლა, ძველს ნულარ წამომაცვედრებ. მოდი, რა გიჩვენო! —
ბოთლი მიწაზე დადგა, ჭიქა ზედ ჩამოაცო ქუდივით და ფარდულისკენ
გაემართა. იქიდან კონსერვის კოლოფში ჩაწყობილი, ხავსით და ბალა-
ხით ძირ-შებუდნული ნარინჯოვანის ტოტები გამოიტანა.

— აბა, თუ მიხვდები ეს რა ჯიშია? ეს გრეიფრუტს რომ უძახიან,
იმის ტოტებია. გუშინ ამომიტანა ელიზბარამ ფოთიდან. სოცხოზიდას
დაუძვრენია. ძაან ძვირფასია. ამის ნერგი სულ ცოტა ოც მანეთად მაიხც
ვაევა. ჩვენში არც არის ჯერ არსად, მგონი. საგანგებოდ მინდა დავმყნო.
შენ უნდა მომეხმარო, შენ ძაან ხელცოცხალი ხარ. სხვას ვერავეს ვერ
ვანდობ ამის დამყნობას, — სთქვა სიპიტომ და ისევ დაუსხა არაყი- ფარ-
ნამ არაყზე უარი სთქვა და უცხო ტოტს დაუწყო თვალეირება:

— ამას კი დავიმყნი, მაგრამ სანერგის გაშენებაზე ვერ მოგეხმარე-
ბი. თავზე ცეცხლი გვეკიდება. თითით ვართ დაკიდებული.

სანამყენე ტოტები ისევ სიპიტოს გადასცა და მანდარინის ბაღის
ჭიშკარი შეაღო. იქ თითოეულ ხეს კარგად იცნობდა. ყველა მისი ხელით
იყო დარგული და დამყნობილი. მაინც თითოეულ ხეს რამდენჯერმე შე-
მოუარა ირგვლივ. კარგ მსხმოიარეებს არჩევდა- გლუ, სწორად აზრდით
ტოტებს აჭრიდა. სიპიტო ყოველ ტოტს მისტიროდა. როგორც კი ფარნა
თავისკენ დახრიდა ტოტს მოსაჭრელად და დანას მოიმარჯვებდა, სიპი-
ტო ხელში ეცემოდა გამწარებული, მაგი არ მოსჭრა, ეს ამ გაისს გაშო-
ისხამს, მაგი საუკეთესო სანაშენო ტოტიაო.

— კარგი რომაა, იმიზა ვჭრი მეც, სანამყენოდ სალი და მსხმოიარე
ხის ტოტი ვარგა. აბა ჩემსავით დაღრეკილი კი არ გამოდგება. მარტო
შენსას კი არ ვჭრი, ყველას ჩამოუარეთ, ვისაც კი აქვს მსხმოიარე მან-
დარინა, — რალაც გულგრილად ამბობდა ფარნა და მოხდენილი მოსმით,
ერთი მოჭრევით აჭრიდა ტოტს, სრულიად არ აქცევდა ყურადღებას სი-
პიტოს, რომელსაც ყოველი ტოტის მოჭრაზე ისე ეღრიჭებოდა სახე, თით-
ქოს საკუთარ მარჯვენას სჭრიანო.

ეგეც შერმანდიასავით გამხდარა, — ფიქრობდა სიპიტო და გული სი-
ბრაზით ევსებოდა. — ისე აჭრის მსხმოიარე ტოტებს რომ ჩემს მანდარი-
ნას, ვითომ საკუთარ ბაღში იყოს. რაღა უტიფრად არჩევს საუკეთესო
ტოტებს, მე არც კი მკითხავს. კი არ თხოულობს, მარტო უნდა მიაჭ-
კოლექტივის სანერგეში ნუშაობამ გაათამამა ასე. დამიწყეს, რომ სიპი-
ტოსას ათი წელი შინაყმასავით მუშაობდა. ესეც შერმანდიას კილოზე
რომ ლაპარაკობს — მარტო შენს ბაღში ხომ არ ვჭრითო!!”.

ფარნას კი მაინც გესლივით მოხვდა გულში სიპიტოს ნათქვამი, ეზოს
მორთმევაზე. რა ვიცი, ჭვეყანამ ახლა მოკიდა ხელი მანდარინის გაშე-
ნებლად:

— არ ვიცი, შენ ვინ სანდო ხალხმა ვითბრა ეზოს მანდარინის ჩა-
მორთმევაზე. რა ვიცი, ჭვეყანამ ახლა მოკიდა ხელი მანდარინის გაშე-
ნებას. ჭალაქიდან ჩამოდის ხალხი და ბაღებს აშენებს სარდიონას ბიჭი-
რომბა, თმა გაჯეჯვილი, მხატვარი, იმასაც დაუწყია ბიძამისის ნასახლე-
ზე ბაღის გაშენება. მე დამიძახა, შემეხვეწა, დამიბლანეო. მისი ხელით
გადაუბარავს მიწა. ნახატები მანახა, ჩაის კრეფა დაუსურათებია, მთლად
ცოცხალივითაა.

სიპიტომ იგრძნო, რომ ფარნას გული შეუთანდრა, რომ ეჭვმა, რო-
გორც წყალმა, ბერელი იპოვა მის გულში. ფეხი დააჭირა.

— ო, მაგი არ დაიჯერო შენ, მაგას განგებ აწყობენ. იმას მთავრო-
ბა მისცემდა ფულს, ხალხის მოსატყუებლად აკეთებენ მაგას. — უკვე
ხმახახლეწილი ქაქანებდა სიპიტო, სასოგამოლევული დამურსავით რომ
ჩამოკიდებოდა მანდარინის ტოტს. მაგრამ ფარნა ყურს არ უგდებდა სი-
პიტოს ლაპარაკს. მას ეჭვმა ოდნავ გაუჩურჩუნა გულში და ახლა ისე იყო
გართული კარგი სანამყენე ტოტების შერჩევაში, რომ ვეღარც კი ამჩნე-
და სიპიტოს იქ ყოფნას. აშოლტილ ტოტებს თავსა და ბოლოს აჭრის-
და ღრაცანით კონად ჰკრავდა. სიპიტოს კი მოთმინება ელეოდა. ფარნამ
ოციოდე ტოტი მოსჭრა, სიპიტოს კი ეჩვენებოდა, რომ ფარნამ მთლად
გასცალა მისი ბაღი სანამყენო ტოტებიდან.

— კაცო, მტერივით რომ დაერიე ამ ხეებს, მე რაღას მიტოვებ, მე
რაღათი დაემყნა, ან ეს სანერგე ასათხარი თუ დამრჩა, არ ვიცი, სად გა-
ვასალო ნერგი.

— ჩვენ მოგვეცი, ორ მანეთის კვალობაზე მივიღებთ. — სთქვა ფარნამ და
მეორე კონას შემოაკრა ღრაცანა. სიპიტო თოფნაკრავით შეტბა.

— საქონელს შევაჭმევ და კოლმეურნეობას არ მიეცემ, — წამოიძახა
გაცხარებულმა. — ისედაც ქე შემაწერა შერმანდიამ ორასი ძირი სახელ-
მწიფო ფასებში. რამდენი ვებევწე და ვეღრიჯე. ოცი ძირი, თუ გინდა.
ფეშაშათ მიირთვი და დანარჩენიდან გამანთავისუფლო-თქვა. არათრით
არ მაპატივა. რა ვებევწე, რა ვეღმერთე. ჩვენი გამონაცვალითაა მაგის
ბაღნები გაზრდილი. მარა მამანიოს მისი ფეხები, თუ სამაგიერო არ გა-

დაუხადო, თუ დადგა ჩვენი დრო! — სიპიტომ გაბრაზებით გააკრაქუნა კბილები.

— იმახაც რა ქნას ახლა, — გამოეტკომაგა ფარნა შერმანდია, იმისაც თავისი გეგმა აქ თითო მოსახლემ ეზოში ორმოცდა ათამეცამეტ უნდო დარგოს, ჩვენი სანერგე კი ჯერ ვერ უთავდება. ამ განსწავლვისას ხიროზე უნდა ავიყვანოთ ნერგი. რამდენს მუშაობს, რომ იცოდეს! ადვილი კი არაა, ამ ქრელი ხალხის მოვლა, ყველას კი არ აქვს სვინდისი და პატიოსნება. სეფერა მომახმარეს ამას წინათ ნამყენის შეხვევაზე. და ისე უგულოდ გაეკეთებია, რომ ხელახლა შემოსახვევი გამიხდა. კიდომ კაი რომ შევეაშინე, თვარა სამი ათასი ნერგი გამიფუტვებოდა. გამოძუშავებას დაეხარბა თუ მავნებლობდა, არ ვიცი. მავნებელია სწორედ. გადაახვია რაგაცა მოყვა ხელში და მერე დარდი არა აქვს, მორჩება თუ მოკვდება. ზომ იცი, ფორმით თუ შემოღუქორე ნამყენ კვირტზე შესახვევი, ცვარიც რომ ჩაუვიდეს, გახმება ახლა ნერგისთვის საზამთრო ფარდული უნდა ავიშენოთ და იმისთვის დარბის ენა გამოგდებული შერმანდია. ჯერ ადგილი ვერ გამოგვიჩვენია. შენს ცხენიზურგაზე ამბობენ. კაი დაცული ადგილი კია. იქ ზენა ქარი არ ხვდება, სანერგის გაფართოება თუ დაგვირდა, იქ უნდა გავაშენოთ მეორე სანერგე. მაინც კაია სანერგისთვის, კვიშნარია.

სიპიტოს გული გადაუტრიალდა, თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა. ფარნას მივარდა და მკლავში ხელი სტაცა.

— არ გადირიო, კაცო, არ გამოიბა მთლად ძალის ხორცი! ცხენის ზურგაზე ეს გადარეული ბიჭი უნდა დაეასახლო. მაგ ადგილის იმედით ვარ თლათ. ჩემუფლობა ნაშენი იქ არის, სანერგის გადატანასაც იქ ვაპირებ; შენ არ ურჩიო მაინც, უთხარი არ იეარგებს-თქვა სანერგე, ჰონკყო თქვა, უთხარი, შენ დაგიჯერებენ.

— მე რა უნდა ურჩიო, თვითონ უნდათ საცდელად მოაწყონ იქ მყნობა.

სიპიტოს უცებ სისხლი გაუქრა სახეზე, მიწის ფერი დაედო. მხოლოდ წითელი წვერ-ულვაში უჩანდა სახეზე გამხმარ გვიმრის ფერად. მარჯვენა ლოყა კვლავ აუცახცახდა, სახეზე რაღაც ბოროტმა ღიმილმა გადაურბინა. თავისი წვრილი, ჰროლა თვალი თვალში გაუყარა ფარნას.

— ძოდი ერთი ჩვენებურ ენაზე ვილაპარაკოთ. მიტინგზე ზომ არ ხარ? ჩემთან პრაპაგანდა რათ გჰირია! ზომ ვიცი, რატომაც შედი კოლექტივში. მოდი, ფარნა, ერთი ვქნათ. მე, შენ და ყაისარ შეგზიარდეთ, ერთად გავაკეთოთ ცხენიზურგაზე სანერგე. შენისთანა მყნობელი სამღეთოში არაა. ფოთში ელიზბარა წაიღებს ნერგს, ტფილისშიც გავა ღიშონის ნერგი. ზუთ მოსახლეს არჩენს ჩვენი სანერგე. კოლექტივის სანერგეში ამდენს რას გავაკეთებ? წამოგიწყვეტენ რაცხა კვიტანციას და მერე სდიე ფულის ასაღებად! ოღონდ ცხენის-ზურგა არ უნდა დამაკარგვინო. თუ

იქ კოლექტივის სანერგე გააშენეს, ფეხს აღარ დაგადგმევინებენ მერმე-
 ახლა იწყებთ მყნობას, არა? ელიზბარა და სეფერაც რაღა შეეძინა? შენთან,
 ჩვენი ხალხია... ისე გააკეთე, რომ ნერგმა ცხენის ზურგზე არ გაიხაროს-
 ცოტა ფომფომ შემოუჭირეთ დამყნო კვირტს დროცა... მანქანა თქვე
 ცვარიც რომ ჩაუვიდეს, გახმებო.

ფარნა უგულოდ უგდებდა ყურს ნაღვინევი სიპიტოს ღირღიტს. ახალ-
 მოსაპრულ ტოტს არჩევდა. ფიჭვებით სანერგეში იყო, სადაც მყნობელე-
 ბი ელოდებოდნენ, გვიან მისწვდა სიპიტოს წინადადების ბნელ აზრს. უც-
 ბად შებრუნდა, შრაზით ანთებული თვალები შეანათა სიპიტოს.

— რაო, ყაზახო?! რას მიკვებთ თუ იცი? ვინ გვინივარ შენ, ღალა-
 ტი და ხუნხუზობა ჩემს დღეში არ გამიწვევა! რავე მკადრე მაგი შენ?
 სოფლის საქმეს უღალატო? ფუ შენ კაცობას! შენი ბალიდან მოჭრილ-
 ტოტებზე დანამყენი რა გაიხარებს! — ფარნამ ზიზლით გააწიჭა და მო-
 კრილი სანამყენე ტოტები, დრაცანით რომ ჰკრავდა, სახეში შეაბღიჭა
 სახტად დარჩენილ სიპიტოს, სანამყენო დანას ხელი დაავლო. ბალის ქიშ-
 კარი მაგრა მიახეთქა და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას.

სიპიტო ერთხანს გაყუჩდა, მერე რატომღაც მიწაზე დაყრილი სანამ-
 ყენე ტოტები აკრიფა, თითქოს ამით გამოასწორებდა საქმეს, და სირბი-
 ლით გამოუდგა ფარნას. უყვიროდა, მობრუნდიო. მაგრამ ფარნა უკვე
 შარაზე იყო და სწრაფად შიაბიჯებდა კოლმეურნეობის სანერგისაკენ.

(გაგრძელება იქნება).

ნერიიზი ასკანთიდან

III *)

მადრიდი, ნოემბერი, 1830.

მოწყალეო ხელმწიფეე, შე კვლავ დავბრუნდი მადრიდში, იმის შემდეგ, რაც რანდენიშე თვის განმავლობაში დავწანწალებდი ყოველ მიმართულებით ანდალუზიაში, ბანდიტების ამ კლასიკურ ქვეყანაში და ვერსად ვერ შევხვდი ვერც ერთს! ცოტა არ იყოს, მცხვენიან კიდევ. მე მოვემზადე ბანდიტების დაცემისათვის, თუმცა მხედველობაში თავდაცვა კა არა, საუბარი და მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ ზრდილობიანი გამოკითხვა მქონდა. როცა ჩემს იდაყვგამოგლეჯილ ტანისამოსს და უბადრუტ ბარგს ვუყურებ, ვნანობ, რომ ავცდი ამ ვაჟბატონებს. მათი ნახვის სიანოვნებისათვის ღირდა მსუბუქი პორტპლედის განწირვა.

შავრამ თუმცა ბანდიტები ვერ ვნახე, სამაგიეროდ, სხვა არაფერი გამიგონია, გარდა ლაპარაკისა მათ შესახებ. ყოველ გაჩერებაზე, რომელიც ჯორების გამოსაცვლელად ხდება, მეეტლეები და მეფუნდრუკეები ყურებს გიჟვრდენ გულისამჩუყებელი მოთხრობებით დახოცული მგზავრებისა და გატაცებული ქალების შესახებ. შემთხვევა, რომელსაც მოგიტხრობენ, აუცილებლად წინა დღეს ხდება და სწორედ გზის იმ უბანზე, სადაც ახლა უნდა გაიაროთ. მოგზაური, რომელიც სრულიად არ იცნობს ესპანიას და ამიტომ ჯერ აღჯურვილა კასტილიელის უბადლო გულგრილობით, *flema castellana*. — ყოველნაირი სეკტიციზმის მიუხედავად, ძალაუფლებურად ექვემდებარება ამ მოთხრობების გავლენას. დღე აქ გაცილებით უფრო ადრე ილევა, ვიდრე ჩვენს ჩრდილოეთურ ჰავაში. ბინდი სულ ორიოდე წუთს გასტანს ხოლმე, და შემდეგ — განსაკუთრებით მთების სიახლოვეს — ასტყდება ჭარი, რომელიც პარიზში, უეჭველია, ცხელი გერვენებოდათ, ხოლო აქ პაპანაქება სიციხესთან შედარებით ცივსა და არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. იმ დროს, როდესაც თქვენ

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 3.

წამოსასხამში ეხვევით, ზოლო სამგზავრო ქუდს თვალეზნი აფხატავთ, ამჩნევთ, რომ თქვენი მცველი რაზმი თოფებს საფანტისაგან სკლის და შემდეგ აღარ ტენავს მათ. გაცეხული კითხულობთ: რატომ ტენავს ეს ოინიო, თქვენი გამყოლი ვაჟაკები კი იმპერიალის ქედს იტყუებოდან, სადაც ისინი აცოცებულან, გიპასუხებენ, რომ თუმცა ჩვენ შამაკებზე უმამაცესნი ვართ, მაგრამ მაინც არ ძალგვიძთ ბანდიტების მთელ ხროვას გავეუკლავდეთო.

— თუ დავდასხმა მოხდა, ჩვენ არ შეგვიძლია შეწყალებოც იმედი ვიჭონიოთ, თუ ვერ დავამტკიცეთ, რომ თავდაცვა აზრადაც არ ვცქონია.

— მაშ რა საჭიროა ამ ხალხის გადაკიდება მათი უხეირო თოფე-
ზითურთ?

— ოპ, ისინი უბადლონი არიან rateros-თან ანუ, სხვანაირად, მოხალისე ავაზაკებთან შეტაკებაში, რომლებიც მხოლოდ მაშინ სძარცვავენ მოგზაურებს, როდესაც შემთხვევა ხელს უწყობთ; ეს უკანასკნელნი, ჩვეულებრივ, ორნი ან სამნი გამოდიან.

მოგზაური იწყებს სინანულს, რომ ესოდენ ბევრი ფული გაიყოლა თან. ის უცქერის, რომელი საათია მის ბრეგეტზე *) და ფიქრობს, რომ უკანასკნელად ხედავს მას, რა სასიამოვნო იქნებოდა აზრი, რომ ის პარიზში ბუხრის თავზე ჰკილია! ის ჰკითხავს mayoral-ს (კონდუქტორს), ავაზაკები ტანსაცმელს ზომ არ ხდიან მგზავრებსო.

— ზოგჯერ ხდიან, ბატონო, წარსულ თვეში სევილის დილიჯანსი კარლოტასთან გააჩერეს და ყველა მგზავრი, ანგელოზივით, რო იტყვიან, ისე ჩამოვიდა ესიხეში.

— ანგელოზივითო? რისი თქმა გინდოდათ?

— მე მინდა ვთქვა, რომ ბანდიტებმა მათ სულ ყველაფერი გახადეს, ისე, რომ პერანგიც არ დაუტოვეს ტანზე.

— დალაზვროს ეშმაკმა! — წამოიძახებს მგზავრი და სერთუკს შეიკრავს.

მაგრამ ოდნავ დაშოშმინდება და გაიღიმებს კიდევაც, როცა შეამჩნევს, რომ მისი თანამგზავრი, ახალგაზრდა ანდალუზიელი ქალი, სასოებით ჰკოცნის ცერს და ჩურჩულებს: Jesus! Jesus! (ცნობილია, რომ ვინც პირჯვარს ისახავს და ცერს იკოცნის, ის უთუოდ გადაარჩება ხიფათს).

სრულიად ჩამოლამდა, საბედნიეროდ, მოწმენდილ ცაზე კაშკაშა მთვარე ამოდის. შორს უკვე მოსჩანს შესავალი სულ ცოტა ნახევარი მილის სიგრძის საზარელ ხეობაში.

— კონდუქტორ, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ოდესღაც დილიჯანსი გააჩერეს?

* ძველებური ჯიბის საათი, ზელოსან ბრეგეტის მიერ გაკეთებული.
მთარგმნელი

— დიახ, ბატონო, ამავე დროს ერთი მგზავრიც მოკლულა, მეეტ-
ლევე. — შეუყვარებს კონდუქტორი, — ნულა უტლაშუნებ შოკოს, თორემ
აქეთ მოიზიდავ მათ.

— ვის? — ჰკითხულობს მგზავრი.

ერკინული
ნიგელირუსი

— ყაჩაღებს, — უპასუხებს კონდუქტორი.

— ეშმაკმა დალახვროს! — შესძახებს მგზავრი.

— ბატონო, აქეთ მოიხედეთ, აგერ იქ, გზის შესახვევეში. თითქოს
ხალხია?.. ისინი აი იმ მაღალი კლდის ჩრდილში მიიმალნენ.

— დიახ, ქალბატონო, ერთი, ორი, სამი, ექვსი მხედარი.

— ოჰ, იესო ქრისტე! — ამას მოხდევს პირჯერის წერა და ცერის
კოცნა.

— კონდუქტორ, ხედავთ, რა არის იქ?

— ვხედავ.

— ერთ მათგანს გრძელი ჯოხი უჭირავს; იქნება ეს თოფია.

— თოფია!

როგორ გგონიათ, ეს პატიოსანი ხალხია (buena gente?) — ერთმით
ჰკითხულობს ახალგაზრდა ანდალუზიელი ქალი.

— ვინ იცის! — მიუგებს კონდუქტორი, მხრებს აიჩეჩს და ტუნებს მო-
კუშავს.

— თუ ასეა.. ღმერთო, შეგვინდე ცოდვილნი!

და ორმაგად აღელვებული ქალი თანამგზავრის ეილეტში მალავს თა-
ვის სახეს.

ქარივით მიჰქრის ეტლი; რვა ღონიერი ჯორი ჩორითთ მიაჭენებს მას.
მხედრები ჩერდებიან, ისინი ერთ ხაზზე შწყრივდებიან გზის გადასაღობა-
ვად. არა, ისინი იშლებიან; სამი მარჯვნივ უხვევს გზას, სამი — მარცხნივ-
აღბად გარს უნდა შემოერტყნენ ეტლს.

— მეეტლევე, გააჩრეთ ჯორები, თუ დამხვედრნი მოითხოვენ ამას,
თოფების შედლულს არ შეუშვიროთ ცხვირი.

— ნუ შესწუხდებით, ბატონებო, ამაში მე თქვენზე ნაკლებად როდი
ვარ დაინტერესებული.

ეტლი ისე ახლო მიდის, რომ უკვე ადვილად გაიჩრევა ექვსი მხედ-
რის დიდი ქუდები, თურქული უნაგირები და თეთრი ტყავის გეტრები.
სახეების დანახვა რომ შეიძლებოდეს, წარმომიდგენია, რა თვალები, რა
წვერები და რა ჭრილობის ნიშნები წარმოგვიდგებოდა თვალწინ! ექვს
გარეშეა: ეს ყაჩაღებია, სუყველას თოფები აქეთ.

პირველ მგზავრს ხელი ქუდთან მიაქვს და რბილი ბოხი ხმით ამბობს:

— Vayan Vds. con Dios! (შეგეწიოთ ღმერთი!)

ჩვეულებრივ ამ საღამოთ ხედებიან მგზავრები ერთმანეთს გზაში.

— Vayan Vds. con Dios! — თავის მხრივ ამბობენ დანარჩენი მხედ-
რები, თავაზიანად იხვევენ და წინ უშვებენ ეტლს. ისინი ესიხეში ბაზარზე



დაყოვნებულან და ეხლა გროვად ბრუნდებიან სახლში, იარაღით ხელში, ყაჩაღებით შიშის ზეგავლენით!

რამდენიმე ამნაირი შეხვედრის შემდეგ ხალხს სულ კარგ სჯერა ბანდიტებისა თანდათან იმდენად ეთვისებიან გლეხებისა მსახერს, რომ ნამდვილი ბანდიტიც უბრალო პარტიოსან გლეხად გვეჩვენებათ, რომელსაც კარგა ხანია წვერი არ გაუპარსავეს. ერთი ახალგაზრდა ინგლისელი, რომელსაც მე გრანადაში დავუშვებობრდი, დიდხანს სრულიად დაუსჯელად დაიარებოდა ესპანეთის ყველაზედ უფრო საეჭვო გზებზე. ბოლოს მან დაიწყო თვით ბანდიტების არსებობის გადაჭრით უარყოფა. ერთხელ ორმა საეჭვო სუბიექტმა თოფით ხელში შეაჩერა ის. მან მყისვე გადასწყვიტა, რომ ეს შეზარბოშებული გლეხები არიან, რომლებსაც ხუმრობით ჩემი დაშინება განუზრახავთ. ფულის ყოველ მოთხოვნას ის მხოლოდ სიცილით უპასუხებდა, ესაო და მე ვერ მომატყუებთო. რათა იგი ამ შეცთომისაგან გამოეყვანათ, ერთ-ერთი ავაზაკი იძულებული შეიქნა თავში კონდახი ეთხლიშა, და ამ იარის ნიშანს ის კიდევ სამი თვის შემდეგ მაჩვენებდა.

ძალიან იშვიათი შემთხვევების გარდა, ესპანელი ყაჩაღები სულ არ ზოცავენ მგზავრებს. უფრო ხშირად ისინი სჯერდებიან ფულის ჩამორთმევას, ჩემოდნებსაც კი არ აღებენ და პირად ჩხრეკასაც არ აწარმოებენ. მაგრამ ამაზე დანდობა არ შეიძლება. ერთხელ ახალგაზრდა მადრიდელი დარდიმანდი კადიქსში მიემგზავრებოდა თორმეტი წყვილი საუცხოვო პერანგით, რომლებიც მას ლონდონიდან გამოეწერა. ბანდიტებმა ის კაროლინეს მახლობლად შეაჩერეს და იმის შემდეგ, რაც უნციები ჩამოართვეს, რომლებიც ქისაში ელაგა, და აგრეთვე ბეჭდები, ძეწკვები და სამიჯნურო სახსოვრები, რომლებიც არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა მანდილოსნების ამ კერპს, ავაზაკების მეთაურმა თავაზიანად შენიშნა, ვინაიდან ჩვენ იძულებული ვართ თავი შორს გვექიროს ყველა დასახლებული ადგილიდან, ჩვენს საცვლებს კარგა ხანია გარეცხვა ესაჭიროებაო. პერანგები გაშალეს, ქება შეასხეს და შემდეგ ატანანმა „სიცილიელის“ *) ალის სიტყვებით უთბრა, რაინდს რაინდთან შეუძლიან ასეთი სითამამის ჩადენაო, და თავის ჩანთაში ჩაიდო რამდენიმე ცალი, გაიძრო შავი ძონძები, რომლებიც ექვსიოდე კვირის განმავლობაში ეცვა, და სიამოვნებით შეიმოსა ტყვე ქაბუკის უშუვენიერესი ბატისტის საცვლებით. ყველა დანარჩენი ავაზაკიც ასევე მოიქცა თურმე და, ამნაირად საბრალო მგზავრმა ერთ წუთში დაკარგა თავისი გარდერობი, ხოლო სიამაგიეროდ მიიღო ძონძების გროვა, რომლის შეხებაც მან ჯოხის წვერითაც ვერ გაბედა. გარდა ამისა, მას ბანდიტების ოზუნჯობის მოსმენა მოუხდა. დამკინაფი სერიოზულობით, რომელიც ასე ეხერხებათ ანდალუზიელებს, მეთაურმა

*) „სიცილიელი“ მოლიერის კომედიაა. — მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი.

ჯამოსალმებისას უთხრა — არასოდეს არ დავივიწყებ თქვენს მიერ გაწეულ სამსახურს და პირველ შეხვედრისთანავე შევეცდები დაგზრუნოთ. ასე თავაზიანად დათმობილი პერანგები, ხოლო ჩვენს საცვლებს უკან წავეილო.

გიგლიძისთვისა

— ოღონდ არ დაივიწყოთ, — დასძინა მან, — ამ სენიორების პერანგების მიცემა გასარეცხად. ჩვენ მათ ჩამოგართმევთ.

ახალგაზრდა ვაჟი, რომელმაც ამ გაძარცვის ამბავი მიაგმო, რომლის მსხვერპლიც იგი შეიქმნა, მარწმუნებდა, რომ პერანგების გატაცება გაცილებით უფრო იოლად ვაპატივე ავაზაკებს, ვიდრე ეს გესლიანი ხუმრობაო.

სვადასხვა დროს ესპანეთის მთავრობა სერიოზულად შესდგომია შარავნების გაწმენდას ქურდებისაგან, რომლებიც იქ დასაბამიდან დაუსასჯელოდ დათარეშობენ. ამ ცდებს საბოლოო შედეგი არასოდეს არ მოუტანია. საკმარისი იყო ერთი ბანდის მოსპობა, რომ მის ადგილზე მაშინვე მეორე გაჩენილიყო. თუ ხანგრძლივი თავგამოდების შემდეგ რომელიმე გენერალ გუბერნატორი მოახსენებდა თავისი ოლქიდან ყაჩაღების განდევნას, ისინი მეზობელ რაიონებს შეესეოდნენ ხოლმე.

ამ მთებით მოფენილ და კარგ სავალ გზებს მოკლებული ქვეყნის ბუნება განსაკუთრებით აძნელებს ავაზაკობის სრულ მოსპობას. ესპანეთში, ისევე, როგორც ვანდუაში, აუარებელი განმარტობებულად მდებარე ბინა (aldeas) არსებობს, რომლებიც რამდენიმე მილის მანძილზე არიან დაშორებული დასახლებულ ადგილებს. ხელისუფლებას რომ ყველა ამ ბინასა და სოფელში გარნიზონი ჩაეყენებია, ავაზაკებს ადვილად აიძულებდა ან კაპიტულიაციაზე წასულიყვნენ ან შიმშილისაგან დახოცილიყვნენ; მაგრამ სად იშოვება ამდენი ფული და ამდენი ჯარისკაცი?

თავის-თავად ცხადია, რომ ბინების მკვიდრნი დაინტერესებულნი არიან, რომ კეთილი განწყობილება შეინარჩუნონ ბანდიტებთან, რომელთა შურისძიება საზარელია. უკანასკნელნი, თავიანთ მხრივ, დამოკიდებულნი არიან მებინადრეებისაგან მომარაგების საკითხებში, ზოგავენ მათ, უზვად ისღიან ყოველნაირი მომარაგების საფასურს და ზოგჯერ ნადავლისაგან წილსაც უყოფენ მათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ავაზაკის პროფესია ხშირად არაპატიოსნად როდი ითვლება. შარავნაზე ძარცვა მრავალი ადამიანის თვალსაზრისით ოპოზიციის აქტს, ტირანული კანონების საწინააღმდეგო პროტესტს წარმოადგენს. ამიტომ ადამიანი, რომელსაც თოფის გარდა არა გააჩნია რა და რომელიც საკმაოდ გულადია იმისათვის, რათა მთავრობას აღმზედრდეს, ერთგვარ გმირს წარმოადგენს, მამაკაცებისათვის პატივსაცემს და ქალებისათვის სატრფიალოს. მართლაც, რაღაცა ქედმაღლობა არის იმაში, რომ წარმოსთქვამ, ძველებური რომანსის გმირის გვარად:

A todos los desafio,
Pues à nadie tengo miedo! *).



მომავალი ბანდიტი, ჩვეულებრივ, კონტრაბანდით იწოდება. მის ვაჭრობას საბაჟოს მოხელეები ავიწროებენ. მოსახლეობის მათგან მათეღოსათვის ის ფაქტი, რომ ადამიანები რაღაცას ერიდებიან, მათეღოს მშობელიც ზომიერ ფასებში ჰყიდის სიგარებს, ბევრად უმჯობესს სახელმწიფო სიგარებზე, აწოდებს ქალებს აბრეშუმს, ინგლისურ საქონელს და მთელი ათი მილის სივრცეზე შეკრებილ ჭორებს, — აღმაშფოთებელ უსამართლობას წარმოადგენს.

საკმარისია კაბანიერმა მას ცხენი მოუყვალას ან წაართვას — და კონტრაბანდისტი განადგურებულია; ამასთან მას შურისძიების საბუთიც უწინდება; ის ბანდიტი ხდება — ჰკითხულობ, მაგალითად, რა დაენართა ამაღამ ყოჩაღ მშაბიქს, რომელსაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში ყველა ხედავდა და პირველ დარდიმანდად ითვლებოდა სოფლად.

— ეჰ, — გიპასუხებს რომელიმე ქალი, — აიძულეს მთებში გაპარულიყო. საბრალო როდია დამნაშავე ამაში. ყოველთვის ისეთი უწყინარი იყო. ღმერთმა დაიფაროს იგი!

პასუხისგებას ყველა უწესობისათვის, რომელსაც ბანდიტები ჩადენენ, ეს სათნო სულელები მთავრობას აკისრებენ. „ეს მთავრობაა, — ამბობენ ისინი, — რომ უკიდურესობამდე მიჰყავს საწყალი ხალხი, რომელსაც მყუდრო ცხოვრება და თავისი საქმის კეთება სურს“.

ესპანეთის ავაზაკის პროტოტიპს, შარავზების გვირის იდეალს, ჩვენი დროის რომინ გულს ანუ როკე გინარს წარმოადგენს ცნობილი მარია, ზედმეტი სახელით el Tempranito, დილანდელი. ეს არის ადამიანი, რომელზედაც ყველა ლაპარაკობს მადრიდიდან სევილიამდე და სევილიიდან მალაგამდე. ლამაზი, გამბედავი, ზრდილობიანი (იმდენად, რომედნადაც მისი ავაზაკური ხელობა ნებას აძლევს), — აი როგორია ეს ხოსე მარია! როდესაც ის დილიდანს აჩერებს, ხელს აშველებს მანდილოსნებს ჩამოსასვლელად, ზრუნავს იმისათვის, რომ ჩრდილში მოათავსოს ისინი. ვინაიდან მისი თავდასხმა უმთავრესად დღისით ხდება. არც ერთი გინება, არც ერთი უხეში სიტყვა; პირიქით, საკმაოდ თავაზიანი გცევა და ბუნებრივი ზრდილობა, რომელიც არასოდეს არ დაღაბობს მას. მანდილოსანს რომ ხელიდან ბეჭედს აცლის, ეუბნება: „სენიორა, ესეთ ლანაზ ხელს სამკაული არ ესაჭიროება“, და იმ დროს, როდესაც ქალს ბეჭედი თითოდან უკვე ძვრება, ის (ერთი ესპანელი მანდილოსნის თქმით) მის ხელს ისეთი საზით ჰკოცნის, თითქოს ეს კოცნა მისთვის ბეჭედზე უფრო ძვირფასი იყოს. ბეჭედს თითქოს გულმავიწყობით აძრობს, კოცნას კი რაც

*) ყველა იმათ ხმაღში ეიწყევ, არაფის წინ შიშს არა ვერძნობ.

შეიძლება დიდხანს აგრძელებს. ამტკიცებენ, თითქოს ის მკვლელებს ყოველთვის უტოვებდეს ფულს უახლოეს ქალაქამდე საფრანგულ არასოდეს არავისთვის არ ეთქვას უარი რაიმე სამკაულის შეკრებიანზე, თუკი იგი მასთან დაკავშირებულ მოგონებებითაა მისთვის ამოწმებული.

მე ამიწერეს ხოსე მარიას გარეგნობა. ახოვანი ანაღვანოდა ვაჟია, ოცდა ხუთი-ოცდაათი წლისა, ტანადი, მხიარული, ღია სახით, შარვალიტივით წმინდა კბილებით და საუცხოვოდ მეტყველი თვალებით. ჩვეულებრივად მას მახოს საგანგებოდ მედიდური კოსტუმი აცვია. მისი საცვლები თვალისმომჭრელი სითეთრისაა, ხოლო ხელები პარიზის ანუ ლონდონის დარდიმანდისათვის სასახელო იქნებოდა.

სულ ხუთი ექვსი წელია, რაც ის შარავზე დაეხეტება. დედ-მამა მას სასულიერო კარიერისათვის ამზადებდა, ისე, რომ ის გრანადის უნივერსიტეტში თეოლოგიას სწავლობდა: მაგრამ ეს მოწოდება, სჩანს, კერ ვანორჩეოდა განსაკუთრებული სიძლიერით, ვინაიდან ერთ ღამეს ის ვილაც კეთილშობილ ქალიშვილთან შეპარულა. უეჭველია, სიყვარული ბევრს რამეს ამართლებს, მაგრამ აქ ადგილი ჰქონია ძალადობას, პაატურის დაქრას... მე ვერ მოვახერხე მთელი ამ ისტორიის საბოლოოდ გამოკვლევა... მამას დიდი ხმაური აუტეხია; დაწყებულია სისხლის სამართლის პროცესი. ხოსე მარია იძულებული გახდა გაქცეულიყო და გიბრალტარში დამალულიყო. რადგან იქ ფული შემოაკლდა, მან პირობა დაუდო ინგლისელ ვაჭარს და იკისრა კონტრაბანდის გზით აკრძალული საქონელის დიდი პარტია გაეყიდა. ერთმა ნაცნობმა, რომელსაც მან თავისი გეგმა გაანდო, გასცა იგი-საზღვრის მცველებმა გაიგეს გზა, რომლითაც ის გაივლიდა, და ჩაუსაფრდნენ. ჯორები, რომლებსაც ის მიუძღოდა, დაიჭირეს. მაგრამ მან მხოლოდ შკაცრი შეტაკების შემდეგ დასთმო ისინი, და რაოდენიმე კარაბინერი მოჰკლა თუ დასჭრა. ამიერიდან მას მხოლოდ ერთი გამოსავალი დარჩა: მგზავრების ძარცვა.

დღემდე მას ბედი არაჩვეულებრივად სწყალობდა. მისი თავი შეფასებულია, ყოველი ქალაქის კარებთან გამოკიდებულია მისი ნიშნები და რვა ათასი რეალის მიცემის დაპირება იმისათვის, ვინც-კი (თუნდაც რომ მისი თანამებრძოლი იყოს) ცოცხალს თუ მკვდარს მოიყვანს. *) მიუხედავად ამისა ხოსე მარია მაინც დაუსჯელად განაგრძობს თავის საზიფათო ხელობას და გზებს სერავს პორტუგალიის საზღვრებიდან დაწყებული მურსიამდე.

იმის რაზმი დიდი არ არის, მაგრამ ისეთი ადამიანებისაგანაა შედგენილი, რომლების ერთგულება და სიმტკიცე შემოწმებულია წლების გან-

*) როდესაც მე სევილიაში ვცხოვრობდი, ვილაც კაცმა ერთ დღეს შეამჩნია, რომ ტრიანის კარებზე ხოსე მარია ნიშნებით შემოკრულ განცხადებას ფანქრით შემდეგი სიტყვები ჰქონდა მიწერილი: „შემაღნიშნული პირის ხელის მოწერა: ხოსე მარია“.

მავლობაში. ერთხელ ის თორმეტითღე რჩეული ვაჟაკის სარკეში გასინის მეტოქში მოულოდნელად თავს დაესხა მის კელოდაკილ ვაგზაგნილ სამოცდაათ მოხალისე — როიალისტს და განაიარაღა. ყველანი ამბობენ, რომ ამის შემდეგ ის დინჯი ნაბიჯით გაემხრონ მთქში და ორ ნადავლ ჯორს მიერეკებოდა, წართმეული სამოცდაათი კობზინით დატვირთულს.

მისი სროლის ხელოვნებაზე სასწაულებრივ ამბებს მოგვითხრობენ. გაქვებულ ცხენიდან ის ზეთის ხილის ხეს არტყამს ზროში ასორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზეო.

ერთი მაგალითი წარმოდგენას მოგცემთ მისი დიდსულოვნებისა და სიმარჯვის შესახებ.

კაპიტან კასტროს, ფრიად მხნე და ენერგიულ ოფიცერს, რომელიც სდენის ავაზაყებს, როგორც პირადი შურისძიების მოსაზრებით, ისე თავისი საშედრო მოვალეობის აღსასრულებლად, თავისი ჯაშუშის შემოწმებით გაეგო, რომ წინასწარ დათქმულ დღესა ხოსე მარია განმარტობულ ბინას ეწვევა, სადაც მას საყვარელი ჰყავსო. როგორც კი დრო მოვიდა, კასტრო ცხენზე შეჯდა და, ვინაიდან თანამგზავრების დიდი რაოდენობით ექვების აღძრა არ სურდა, სულ ოთხ ულანს დასჯერდა. მიუხედავად ყოველნაირი სიფრთხილისა, რომელიც მან თვალის ასახვევად იზარა, ხოსე მარიას გაფრთხილება მაინც მოასწრეს. იმ დროს, როდესაც კასტრო ის იყო დასცილდა ღრმა ხეებს და უკვე ველზე გამოდიოდა, სადაც ბანდიტის საყვარელის ბინა იმყოფებოდა, თორმეტმა მხედარმა მშვენიერ ბედაურებზე მოულოდნელად გვერდით მოუარეს მას და გაცილებით უფრო ახლოს აღმოჩნდნენ ხევთან, რომელსაც შეეძლო მისი დახვეის უზრუნველყოფა. ულანებს ეგონათ დავილუპენითო. მაგრამ აი ავაზაყების გროვას ქვენებით მოსცილდა ერთი მხედარი ამლაც ბედაურზე და მძაფრად გაჩერდა ასიოდე ნაბიჯის მანძილზე კასტროსაგან.

— ხოსე მარია ხაფანგში არ გაებმება! — შესძახა მან. — კაპიტან კასტრო, რა დაგიშავეთ და რისთვის გინდათ ასე ჩემი გადაცემა მთავრობისათვის? მე შემძლიან მოგკლათ, მაგრამ გულადი ხალხი ეხლა იშვიათი გახდა. ამიტომ მე გარუქვებთ სიცოცხლეს. მაგრამ აი სახსოვარი, რომელიც ჩემს რიდს გასწავლით. გესვრით კიევრში!

ამ სიტყვებით მან დაუმიზნა და კაპიტანს კიევრის თავი გაუხვრიტა. იმავე წუთში აღვირი მოსწია და მიიშალა თავის მსლებლებთან ერთად.

აგერ მისი თავაზიანობის მეორე ნიმუშიც. ანდუხარის შორი-ახლოს გარემურნეობაში ქორწილს იხდიდნენ. მეფემ და დედოფალმა უკვე მიიღეს მეგობრების მოლოცვები და ყველა მზად იყო შემოსჯდომოდა სუფრას დიდი ლელვის ზის ჩრდილში, რომელიც სახლის შესავალთან იდგა. დამსწრენი დაიმშენ, ხოლო იასამანისა და აყვავებული ფორთოხლის ზის სურნელებას ერთვოდა უფრო

საფუძვლიანი სურნელება, რომელიც უდიოდა საქმელო-სასწავლო, თავისა სიუხვით სუფრას რო ამძიებდა. უეცრად გამოჩნდა ვიღაც მხედარო, რომელიც ქალიდან გამოვიდა ერთი გასროლის მქანველად. უცნობი მარდად ჩამოხტა ცხენიდან და თავლაში მქანველად შორიდან ხელით სალამს უგზავნიდა დამსწრეთ. პეტს აღარავის ელოდნენ, მაგრამ ესპანეთში ყოველ გამვლელს ხალისიანად ეპატივებიან სახეიმო სუფრაზე. ამას გარდა, უცნობს ტანსაცმელის მიხედვით ეტყობოდა, წარჩინებული პირი უნდა ყოფილიყო. მეფემ იმ წამსვე გაეშურა შემოსწრებულის სადილად მისაპატივებლად.

იმ დროს, როდესაც ყველა ჩურჩულით ჰკითხულობდა, ვინ არის უცნობიო, ქორწილში მყოფ ანდუხარელ ნოტარიუსს უეცრივ მკედრის ფური დაედო. მან დააპირა ადგილის მიტოვება, რომელიც დედოფლის გვერდით მიეჩინათ მისთვის. მაგრამ მუხლები მოეკეცა, ხოლო ფეხები აღარ ემორჩილებოდნენ. ერთ-ერთი თანამეჩინაბე, რომელზედაც კარგა ხანია იკვიანობდნენ, რომ ის კონტრამანდისტებს ეკუთვნოდა, მიუახლოვედა დედოფალს და წარმოსთქვა:

— ეს ხოსე მარია, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ის მკვლელობას წასადენად მოსულა (para hacer una muerta). მას ნოტარიუსის ჯაგრი სკირს... რა ექნათ? გაეაპროთ ის? ამაოა, იმიტომ რომ ხოსე მარია მას მაშინვე დაეწევა. გააკაუოთ ავაზაკი? მაგრამ საქმე ისაა, რომ მას რაზმი, ალბათ სადმე ახლოს იმყოფება და, გარდა ამისა, მას წელზე დამბაჩები ჰკიდია და ის არასოდეს თავიდან არ იცილებს ხანჯალს. გვითბარით, სენიორ ნოტარიუს, რა დავეუშავეთ მას?

— არაფერი, სრულიად არაფერი!

ვილაცამ ჩემი ჩურჩულით სთქვა, რომ ორიოდ თვის წინად ნოტარიუსმა თავის ფერმერს განკარგულება მისცა, იმ შემთხვევაში, თუ ხოსე მარიამ ოდესმე სასმელი მოგთხოვა, ერთი პორცია დარიშხანი ჩაუყარე ღვინოში.

თათბირი ჯერ ისევ გრძელდებოდა და საქორწილო ქადა კიდევ ხელუხლებელი იყო, როდესაც უცნობი გამოჩნდა საქმროს თანხლებით. ყოველ ეჭვს გარეშე ის ხოსე მარია იყო მან გაელით მრისხანედ თვალი გადაავლო ნოტარიუსს, რომელიც ისე ათრთოლდა, თითქოს აციებსო. შემდეგ თავაზიანად მიესალმა პატარძალს და მის ქორწილზე ცაკვის ნება სთხოვა. რასაკვირველია, ქალს არ უფიქრია არც უარის თქმა, არც წყენის დატყობა. ხოსე მარიამ მაშინვე აიღო მუხის ტაბურეტნი, მოსწია მაგიდასთან, დაურიდებლად გვერდით მოუჯდა პატარძალს და მისა და ნოტარიუსს შორის აღმოჩნდა, რომელიც აშკარად მზად იყო გული წასვლოდა.

შეუდგნენ კამას ხოსე მარია არაჩვეულებრივ ყურადღებას და თავაზიანობას იჩენდა თავისი მეზობელი მანდილოსნის მიმართ, როდესაც

სუფრაზე საუკეთესო ღვინო მოიტანეს, პატარძალმა აიღო მინტილიური ღვინით (რომელიც, ჩემის აზრით, ზერესზე გაცილებით უფრო გემრიელია) საესე ჭიქა, ოდნავ მოსვა იგი და შემდეგ ბანდატს მიაწოდა, ამგვარ თავაზიანობას სუფრაზე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში პირისადმი იჩენენ. ეს ეგრეთწოდებული fineza *) მასწავლებლობდა ეს ადამიანის გადაეარდეს მაღალ საზოგადოებაში, რომელიც აქ, ისევე როგორც ყოველგან, გამალებით მიეშურება ნაციონალური ჩვეულების დმოფხვისაკენ.

ხოხე მარიამ მიიღო სასმისი, უზომო მადლობა უძღვნა, სთხოვა პატარძალს თქვენს მსახურად მივუღეთო და სთქვა, რომ სინაზულით შეასრულებს ყოველ მის სურვილს.

მაშინ ათრთოლებულმა პატარძალმა კრძალვით შეუხლოვა სახე თავისი საშინელი მეზობლის ყურს და უთხრა:

— ერთი რამ დამავალეთ!

— თუნდაც ათასი! — წამოიძახა ხოსე მარიამ.

— გვედრებით, დაივიწყეთ ის ავი ზრახვები, რომლებითაც, ალბათ, აქ მობრძანდით. პირობა მომეცით, რომ ჩემდამი კეთილი განწყობილების გამო აპატიებთ თქვენს მტერს და ჩემს ქორწილში სკანდალს არ ასტეხავთ.

— ნოტარიუსო! — წარმოსთქვა ხოსე მარიამ და ათრთოლებული კანონმცოდნეს მიუბრუნდა, — მანდილოსანს დაუმადლეთ; ის რომ არ ყოფილიყო, სულს ამოგართმევდი, ვიდრე სადილის მონელებას მოასწრობდით. ეხლა ნულარაფრისა გეშინიათ: შე არაფერს დაგიშავებთ. — და შეუვსო რა ჭიქა ღვინით, საკმაოდ ბოროტი ღიმილით დასძინა: — მაშ, ნოტარიუსო, ჩემი სადღეგრძელო იყოს, ღვინო აქ კარგია და მოწამულნიც არ არის!

საბრალო ნოტარიუსს ეგონა, ერთ ას ჭინძისთავს მაინც ველაპავო.

— აბა, ყმაწვილებო, — შესძახა ავაზაკმა, — გამზიარულდით (vaya de broma) და გაუმარჯოს პატარძალს!

მარდად წამოხტა, გიტარა მოიტანა და ექსპრომტად კუპლეთი შეთხზა პეფე-დედოფალის პატივსაცემად.

ერთი სიტყვით, სადილის დანარჩენი ნაწილის განმავლობაში და საცეკვაო საღამოზე, რომელიც მას მოჰყვა, ის ისე საამოდ იქცეოდა, რომ ქალებს ცრემლი ადგებოდათ თვალებზე ერთ გაფიქრებაზე, რომ ეს მომხიბლავი ჭაბუკი ოდესმე სარჩობელაზე გამოესალმებოდა წუთისოფელს. მან იცეკვა, იმღერა და ასიაშოვნა ყველა და თვითუფლს. შუღლისა და სადაგელი ძონძებით ოდნავ დაფარული თორმეტი წლის გოგონა ქაუბნლოვდა ხოსე მარიამს და რამდენიმე სიტყვა უთხრა ბოშების ვარჯიშზე.

*) სინატიფა, განსაკუთრებული ყურადღება. — მთარგმნელი.

ზოსე მარია შეკრთა თავლაში გაიქცა და სასწრაფოდ გამოვიდა თავისი მშვენიერი ბედაური. შემდეგ პატარძალთან მივიდა და ცალი ხელით აღვირი ექირა.

— მშვიდობით, ჩემო სულის ქალიშვილო! (Hija de mi alma!) მე არასოდეს არ დავივიწყებ წუთებს, დღეს რომ თქვენთან ვიყავი. ეს დიდი ბედნიერებაა, რომელიც მე უკვე ბევრი წელია აღარა მღირსებია. კეთილი ინებეთ, მიიღეთ ეს მცირედი რამ სასოსოვრად იმ საბრ-ლოზე, რომელიც ბედნიერი იქნებოდა ოქროს მადნები ერუკუნა ბქვენთვის. — და მან ლამაზი ბექედი გაუწოდა.

— ზოსე მარია, — მიუგო ახლად დაქორწინებულმა ქალმა, — ვიდრე ამ სახლში თუნდაც ერთი ლუკმა პური დარჩება, ნახევარ თქვენი ბქნება.

აეზაქმა ხელი ჩამოართვა ყველა მენახეს. თვით ნოტარიუსსაც, ვადაპკონა ქალები, შემდეგ სწრაფად შამოახტა უნაგირს და კვლავ მთებისკენ გაეშურა. ნოტარიუსმა მხოლოდ ეხლა ამოისუნთქა თავისუფ-ლად.

ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა მილიციელების რაზმი, მაგრამ ადამიანი, რომელსაც ისინი დაეძებდნენ, ცხადია არავის არ ენახა.

ესპანელი ერი, რომელმაც ზეპირად იცის რომანსები თორმეტი პურის შესახებ და რომელიც ოენალდო მონტანბანელის გმირობას უმღერის, მუნებრივად უცხოველესს ინტერესს უნდა განიცდიდეს ადამიანისადმი, რომელიც ჩვენს პროზაულ დროში ადრინდელი რაინდების ქველობას აცოცხლებს.

არის კიდევ სხვა საბუთი, რომელიც ძლიერ უწყობს ხელს ზოსე მარიას პოპულიარობის ზრდას: ის უზომოდ გულუბნია. ფულის შეძენა მას არაფრად უღირს, ამიტომ ადვილად ხარჯავს მას ყველა გაჭირვება-ზე. ამბობენ, არც ერთ ლატაკს არც ერთხელ არ მიუშართავს მისთვის ისე, რომ უხვი მოწყალება არ მიეღოსო.

ჯორების ერთმა გამყოლმა მიაშხო, რომ მთელი ჩემი ავლადიდება — ჯორის დაკარგვის შემდეგ კინალამ გვადალკვივორში გადავევარდი. თუ რომ არა კოლოფი ექვსი უნცია ოქროთი, რომელიც ვილაც უცრობმა ჩემს ცოლს გადასცაო. ის ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ეს ზოსე მარიას საჩუქარი იყო, რომელსაც ერთხელ, როცა მას კარაბინერები თითქმის დასწვოდნენ, ფონი უჩვენა.

მე ამ წერილს ჩემი გმირის კიდევ ერთი ქველმოქმედების მაგალითით დაემათავრებ.

ერთი ლატაკი ჩალვადარი კამპილიო დე არენას ოლქიდან ქალაქში მიემგზავრებოდა მშრის ტვირთით. ადგილობრივი ჩვეულებით მშარი ტიკებში იყო ჩასხმული, და ეს ტვირთი ერთ მქლე, გატყავებულ, შიმშილისაგან თითქმის მომაკვდავ ვირს მიჰქონდა. ვიწრო გზაზე ამ მეძმრეს

შეხვდა უცნობი კაცი, რომელიც ტანსაცმელით მონადირე გვეჩვენებოდათ-
ვირის დანახვისთანავე მას სიცილი წასქდა-

— რა ბერბეტი გყოლია, მეგობარო! — წარმოსთქვა მან. — დღეს კარ-
ნაველი ხომ არ არის, ეგ რომ ქუჩაში გამოგიყვანია! *მარქუნეშვილი*
და ხარხარობდა და ხარხარობდა. *გინჯლოქიშვილი*

— ბატონო, — ნაღვლიანად უპასუხა ნაწყენმა ჩაღვადარმა, — თუმცა
ჩემი ვირი ჯაგლაგია, მაგრამ მე მაინც მარჩენს. ლარიბი კაცი ვარ და
ფული არა მაქვს, რომ სხვა შევიძინო.

— როგორ, — შესძახა ლაზლანდარამ, — ამ ქეტკიანი ვირით ირჩენ-
თავს?! ეგ ხომ ერთ კვირაში გაიფშვიკება!.. მისმინე, — განაგრძო მან და-
კაი მძიმე ქისა გაუწოდა, — მოხუცი ერერა ჩინებულ ჯორსა ჰყიდის:
ათას ხუთას რეალს აფასებს. აი ფული, დღესვე იყიდე ის ჯორი, მაგრამ
იცოდე, არ ევაჭრო და არც გადასდო! თუ ზვალ კიდევ შეგხვდი ამ უხამს-
ვირთან ერთად, მე ხოსე მარია არ ვიყო, თუ ორივენი უფსკრულში არ-
გადაგჩეხოთ.

ჩაღვადარი რომ ქისასთან მარტოდ-მარტო დარჩა, ეგონა, სიზმარში
ვარო. ათას ხუთასი რეალი ნაღვად ზელთ ჰქონდა. მან იცოდა ხოსე
მარიას ფიცის ფასი და ამიტომ მაშინვე გაეშურა ერერასთან და საჩქა-
როდ გასცვალა თავისი რეალები ჩინებულ ჯორზე.

იმავე ღამეს ერერა უეცრივ გააღვიძეს. მის წინ მდგომ კაცებისაგან
ერთმა ხანჯალი მოუქნია, მეორემ დახურული ფანარი მიუტანა ცხვირთან-

— აბა, ჩქარა, მოიტა ფულები!

— რას ბრძანებთ, ჩემო ბატონებო, ჩემს სახლში კვარტოც არ მოი-
ნახება.

— სიცრუეა: შენ ჯორი ვაპყიდე ათას ხუთას რეალად და ეს ფული
გადაგიხადა ვილაკამ კამპილიოს ოლქიდან.

მათი საბუთები უღაო იყო და ათას ხუთას რეალი საჩქაროდ მიუციათ-
ანუ, თუ ვნებავთ, დაუბრუნებიათ მათთვის.

P. L. *) ხოსე მარია გარდაიცვალა რამოდენიმე წლის წინად.

1833 წელს მეფე ფერდინანდმა მკირეწლოვან დედოფალ იზაბელა-
სადმი ფიცის დადების აღსანიშნავად ხალხს საყოველთაო ამინისტრია-
უწყალობა, რომლითაც ამ განთქმულმა აევაზაკმაც მოისურვა ესარგებლა.

მთავრობამ მას პენსიაც კი დაუნიშნა, დღეში ორი რეალის რაოდენ-
ობით, რათა წყნარად ყოფილიყო. ვინაიდან ეს თანხა საკმარისი არ იყო
ადამიანისათვის, რომელიც ნატიფ ბიწიერებას იყო შეჩვეული, ხოსე მა-
რია იძულებული გახდა მიეღო ადგილი, რომელიც მას დილიჯანსების
ადმინისტრაციამ შესთავაზა, ის კარიბანერი (escopetero) გახდა. და და-
ჭა დაუწყო ეკიპაჟებს, რომლებსაც წინათ თითონ ასე ხშირად შარცვა-

*) შემდეგი დამატება მერიკისი. — მთარგმნელი.

და, რამდენიმე ხნის განმავლობაში ყველაფერი წესზე იყო, ძველ ამხანაგებს ან ეშინოდათ მისი ან ზოგადად მას. მაგრამ ერთხელ განსაკუთრებით კადნიერი მძარცველების ჯგუფმა გააჩერა სევილიის დილი-ენსი, მიუხედავად იმისა, რომ მას ხოსე მარია ახრანელი უწოდებდნენ. იქიდან შეეცადა მათ დაჯერებას. ავტორიტეტის ნაცემი ის სარგებლობდა, იმდენად დიდი იყო, რომ მათ თითქმის გადასწყვიტეს გაბრუნება, რაიმე ძალადობის ჩაუდენლად, მაგრამ ამ დროს რაზმის მეთაურმა, ზედმეტი სახელით ბოშმა (el Gitano), რომელიც თავის დროზე ხოსე მარიას იასაული იყო, თოფი ესროლა მას და იქვე დაანარცხა.

ვალენსია, ნოემბერი, 1830 წ.

IV

ესპანელი კუდიანები

სიძველენი, განსაკუთრებით რომის სიძველენი, ნაკლებ მალეღებენ. თითონაც არ ვიცი, როგორ დაეთანხმდი მურვიდროში გამგზავრებას. საგუნტის ნანგრევების სანახავად. იქ ძალიან დავიღალე, საზიზღარ სადილებს ვჭამდი და ვერაფერი ვნახე. მოგზაურობის დროს ყოველთვის იტანჯები შიშით, რომ დაბრუნებისას ვერ შესძლებ პოთი უპასუხო აუცილებელ კითხვაზე, რომელიც მოგელის: „თქვენ უეჭველია ნახეთ...?“ რატომ ვარ იძულებული ვნახო ის, რაც სხვებმა ნახეს? მე გარკვეული მიზნით არ ვმოგზაურობ, ანტიკვარი არა ვარ. ჩემი ნერვები მგრანობიერ ემოციებს არიან მიჩვეული, და მე ვერ გადამიწყვეტია, რა მახსენდება უფრო დიდი სიამოვნებით, სეგრისის ბებერი კვიპაროსები ზენერალიფში თუ ბროწეული და საუცხოო ჩამიჩი, ამ პატივსაცემ ზეების ძირში რომ გაიზღებოდით.

მიუხედავად ამისა, მოუწყენრად ვემგზავრე მურვიდროში ვიქორავე ცხენი და ვალენსიელი გლეხი, რომელიც ფეხით მომდევდა, ის დიდი ყბე-ლი და გვარიანი გაიძვრა, მაგრამ საერთოდ სასიამოვნო შემაქცევარი თანამგზავრი აღმოჩნდა. მგზნებარე მჭერმეტყველობას და დიპლომატიას ზმარობდა, რათა ცხენის ქირაში წინასწარ შეპირებულ ფასზე ერთი რე-ალით მეტი გამოეტყუებინა ჩემთვის, და იმავე დროს ისეთი თავგამოდე-ბით იცავდა ჩემს ინტერესებს სასტუმროებში, თითქოს საკუთარ ჯიბი-დან უსწორდება ანგარიშს. ყოველ დილას ანგარიშს მირდგენდა განუწყვეტელი „ზედმეტი ხარჯებით“ ღვედების შეკეთებისა, ახალი ლურსმე-ბისა, ცხენის დასაზელ ღვინისათვის, რომელსაც უეჭველია, თითონ სვამ-და, — მაგრამ მე მაინც არასდროს ამაზე უფრო იაფად არ გამოვსულვარ. მან დიდი უნარი გამოიჩინა, რათა ვაეძულებინე, რომ ყველგან, სადაც კი გავივლიდი აუარებელი გამოუსადეგი წვრილმანი, განსაკუთრებით ადგილობრივი ზელობის დანები მეყიდნა, მასწავლიდა, თუ როგორ უნდა

დამედო იარაღის პირზე ცურო, რათა მოწინააღმდეგე საჭიროისად და-
მეჩება და თითი კი არ გამეჭრა. შემდეგში ეს ეშმაკის დაღმარული და-
ნები არაჩვეულებრივი ტვირთი აღმოჩნდებოდა ხოლმე, ერთი კი ბუნებრივად
ნენ ჩემს ჯიბეებში, მუხლებზე მიტყამდნენ, ერთი კი ბუნებრივად ტანჯ-
ვას მაყენებდნენ, რომ მათ თავიდან მოსაცილებლად ის ლა მჩრებოდა
რომ ვისენტესათვის მეჩუქებინა.

მისი მუდმივი მოძახილი იყო: „რა კმაყოფილი დარჩებიან თქვენი
კეთილშობილების მეგობრები, როდესაც ყველა ამ მშვენიერ რამეს ნა-
ხავენ. რასაც თქვენ ესპანეთიდან წაუღებთ“.

მე არასოდეს არ დამავიწყდება ტკბილი რკოს პარკი, რომელიც ჩემ-
მა კეთილშობილებამ იყიდა, რათა მეგობრებისათვის მიმეძღვნა და რო-
მელიც მევე შევეჭამე ჩემი ერთგული გამყოლის დახმარებით, სანამ კი-
დეე-მურვიედროში ჩაეიდოდი.

ვისენტე ქვეყანაში გამოსული კაცი იყო, ვინაიდან ორშადით ვაჭ-
რობდა მადრიდში, მაგრამ მის თანამემამულეთა მიერ შეთვისებული
კრუმორწმუნეობის დიდი ნაწილი მას შანარჩუნებული ჰქონდა. ის დი-
დად მორწმუნე იყო, მაგრამ ამ დღეების განმავლობაში, ჩვენ რომ ერ-
თად გვაეატარეთ, მე შემთხვევა მქონდა დავეკვირებოდი, რა თავის შე-
საქცევი იყო მისი სარწმუნოება უფალი ღმერთი მას სრულიად არ აწუ-
ხებდა, მას იგი ყოველთვის გულკვად ახსენებდა. სამაგიეროდ წმინდა-
ნებს და განსაკუთრებით ღვთისმშობელს დიდად თაყვანსა სცემდა. ის
მაგონდება თავის ხელობაში გამოჩნულ ძველ დავაქარებს, რომლებსაც
წესად აქვთ მიჩნეული, რომ სჯობია ნაცნობობა გქონდეს წვრილ მოხე-
ლევებს შორის, ვიდრე თვით მინისტრის მფარველობაო.

ყოველად წმინდა ღვთისმშობლისადმი მისი თაყვანისცემის გასაგებად
საჭიროა იცოდე, რომ ესპანეთში ერთი ღვთისმშობელი როდია. თითოე-
ულ ქალაქში თავისი ღვთისმშობელია, და ისინი მეზობელ ღვთისმშობელ
დასცინიან. პენისკოლას ღვთისმშობელი (პენისკოლა ქალაქია, რომელ-
მაც პატივცემული ვისენტე წარმოშვა), მისი აზრით, სჯობდა ერთად
აღებულ ყველა დანარჩენს.

— მაშასადამე, — ვუთხარი ერთხელ, — ბევრი ღვთისმშობელი ყო-
ფილა?

— რასაკვირველია; ყოველ პროვინციას თავისი ჰყავს.

— ზეცაზე რამდენილა?

— საკითხი სჩანს საძნელო იყო; მაგრამ კატეხიზისმომ დახმარება აღ-
მოუჩინა.

— ზეცაში მხოლოდ ერთია, — ენის ბორძიკით მიპასუხა მან, რო-
გორც ადამიანმა, რომელიც გაზეპირებულ ფრაზას იმეორებს, თუმცა არ
ესმის იგი.

— მაშ ფეხი რომ მოიტეხოთ, რომელ ღვთისმშობელს მიჰართავთ, — განუვარძე მე. — ზეცაში რომ არის, თუ რომელიმე სხვას?

თავისთავად იგულისხმება (por supuesto), ჩვენს პენისკოლის ყოველადწმინდა ღვთისმშობელს.

— რატომ არა საროგისის სვეტის ღვთისმშობელს, რომელიც ამდენს სასწაულს ახდენს?

— მიჭარვია! ირაგონელებისათვის ვარგა!

— მე მოვიწოდებ მისი სუსტი მზარის, კუთხური პატრიოტიზმის გაღვივებას.

— თუ პენისკოლის ღვთისმშობელი სვეტის ღვთისმშობელზე ძლიერია, მაშ ვალენსიელები ირაგონელებზე არამზადები ყოფილან, რაკი ცოდვათა განტეგებისათვის ასეთი გავლენიანი მზარველი სჭირათ.

— ეჰ, ბატონო, ირაგონელები სხვებს არ ჩამოუვარდებიან. განსხვავება იმაშია, რომ ჩვენ, ვალენსიელები, ვიცნობთ ჩვენი პენისკოლის ღვთისმშობლის ძალას და ხშირად ჭარბად ვენდობით მას.

— მითხარით, ვისენტე, როგორ გგონიათ, ვალენსიურად ხომ არ ესაუბრება პენისკოლის ღვთისმშობელი უფალ ღმერთს, როდესაც მის პეუფებას თქვენს ცოდვათა განტეგებას სთხოვს?

— ვალენსიურად!.. არა, — ბატონო, — მევირცხლად მომიგო ვისენტემ, — თქვენ კარგად იცით, რა ენაზედაც ლაპარაკობს ღვთისმშობელი.

— არა, მართლა არ ვიცი.

— ლათინურად, რასაკვირველია.

.. ვალენსიის სამეფოს არც თუ ძალიან მაღალ მთებს მწვერვალებზე ხშირად ციხე-კოშკების ნანგრევები აქვთ. ერთ ამისთანა ნანგრევის წინ გავლისას თავში ახრად მომივიდა მეკითხა ვისენტესათვის, მოჩვენებანი ხომ არ სახლობენ იქ. მან გაიღიმა და მათუწყა, რომ ჩვენს მიდამოებში მოჩვენებანი არ არსებობენო. შემდეგ თვალი მიყო და აღამიანის სახით, რომელიც სიტყვას ხუმრობაში ატარებს, მიპასუხა:

— თქვენს კეთილშობილებას, ალბათ, თქვენს სამშობლოში უნახავს ისინი.

ესპანურ ენაში არ არის სიტყვა, რომელიც სიტყვა „მოჩვენების“ ახრს ზუსტად გამოხატავდეს. Duende, რომელსაც ლექსიკონებში ნახავთ, უფრო სახლის ჭინკას შეეფერება და პატარა ცელქი არსების მიმართ იხმარება. Duendecito, პატარა duende, შეიძლება ითქვას ახალგაზრდა ვაჟზე, რომელიც ქალიშვილის ოთახში შეიპარა მის შესაშინებლად, ან სხვა რამე განზრახვით, რაც შეეხება თეთრ გრძელ მოჩვენებებს, სულარაში რომ ეხვევიან, ან ბორკილებს ათრევენ, ისინი ესპანეთში არავის უნახავს და მათ შესახებ არ ლაპარაკობენ. არიან კიდევ მოჯადოებული მავრები, რომელთა ოინებზე გრანადის მიდამოებში ლაპარაკობენ; მაგრამ საერთოდ ეს საკმაოდ გულკეთილი მოჩვენებები არიან. ჩვეულებრივ ისინი

ადამიანს დღის სინათლეზე ელანდებიან ხოლმე და მორჩილად თხოულობენ წმინდა ნათლილებას, რომლის მიღებისათვისაც (საბუთარში ვერ მოიცალეს, და თუ თქვენ კეთილგანწყობილებას გამოიჩინო, გარჯისათვის ისინი რომელიმე კარგ ვანძს მივასწავლიან. ამას მიუხედავად მანუკელიანი ტყის ქაჯი, რომელსაც el velludo ჰქვია, და რომლის უკმარისობაც ალჰამბარაში იმყოფება, და უთაევო ცხენი,*) რომელიც, მიუხედავად ამისა, ჩინებულად დაქენაობს ქვებზე, ალჰამბრასა და ხენერალიფეს შუამდებარე ხრამი რომ ამოუვსიათ, — და აი თითქმის სრული სია მოჩვენებისათვისა, რომლებითაც აშინებენ ან ართობენ ბავშვებს. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ სწამთ ჯადოქრები და განსაკუთრებით გრძნეული ქალები.

ერთ კილომეტრზე მურვიდოროდან, ფერდობზე, განმარტობულად სდგას პატარა სირაჯხანა. წყურვილით ვკვდებოდი და მის კარებთან გავჩერდი. ოდნავ შხემოკიდებულმა ლამაზმა ქალიშვილმა გამომიტანა თიხის დიდი დოქი, რომელიც წყალს გრილად ინახავს. ვისენტეს ისე არასოდეს არ ვაუვლია სირაჯხანის გვერდით, რომ არ მოსწყურებოდეს და რამე კეთილსაჩინო საბაბით არ დავეყოლებიე იქ შევესულიყავით. ამ შემთხვევაში მან არ გამომაძევეა არავითარი სურვილი გაჩერებისა.

— უკვე გვიანაა, — შეუბნებოდა ის, — წინ კიდევ გრძელი გზა გვიდგეს. მეოთხედ კილომეტრზე აქედან გაცილებით უფრო კარგი სასტუმროა, სადაც საუკეთესო ღვინოს აღმოვაჩინებ მთელს სამეფოში, პენისკოლის ღვინის გამოკლებით, რასაკვირველია.

მე გავჯიუტდი, დავლიე გამოტანილი წყალი, შევქამე gaspacho, კარმენსიტას მიერ საკუთარი ხელით მომზადებული და მისი სურათიც კი დაეხატე ჩემს საგზაო ალბომში.

ამასობაში ვისენტე ცხენს სწმენდა კართან, მოუთმენლად უსტვენდა და ეტყობოდა, აშკარად ეზარებოდა სახლში შემოსვლა..

კვლავ გავემგზავრეთ. მე ხშირად ვახსენებდი კარმენსიტას: ვისენტემ თავი გააქნია.

— ცუდი სახლია! — სთქვა მან.
 — რატომ არის ცუდი? გასაჩიო ჩინებული იყო.
 — არაა გასაკვირველი, ის შეიძლება ეშმაკმა გააკეთა.
 — ეშმაკმა? ამას რად ამბობთ: იმიტომ, რომ სუნელი შიგ კარბად იყო ჩადებული, თუ ამ ქალს ეშმაკი ჰყავს მზარეულად?

— ვინ იცის?
 — რა... ვანა კულიანია?
 ვისენტემ მოუსვენრად მოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მან არაფერი უთვალთვალებდა, ცხენს წყება შემოჰკრა, ჩემს გვერდით სირ-

*) El caballo descabezado.

ბილი ვანაგროძო, ოდნავ თავი ასწია, პირი დააღო და თქვა: ზეცას მიაპყრო — ესაა დასტურის ჩვეულებრივი ნიშანი ადამიანის მხრის, რომლებიც მზად ხარ პირდაცულ არსებად მიიჩნიო, რადგან კეთილგანუ პასუხი არ მიიღე. ჩემი ცნობისმოყვარეობა აღძრული ცნობისმოყვარეობის სიაშინებით ვხედავდი, რომ ჩემი გამყოლი ისეთი თავისუფალი მოაზროვნე არ ყოფილა, როგორც პირველად ვშიშობდი.

— მაშ ის კუდიანია? — გავიმეორე მე და ცხენი შევაჩერე. — ქალიშვილი რაღა?

— თქვენს კეთილშობილებას გაუგონია ანდაზა: primero p... luego alcahueta púes druia *). ქალიშვილი ჯერ იწყობს, დედამ კი უკვე ბოლოს მიაღწია.

— საიდან იცით, რომ ის კუდიანია? რა ჩაიდინა მან, რომ თქვენ მანი დარწმუნდით?

— ის, რასაც ყველა ისინი სჩადიან. მას ავი თვალი **) აქვს. ის ბავშვებს აშრობს, ზეთის ბილს აფუჭებს, ჯორებს სწყვეტავს, ყოველნაირ ოინს სჩადის.

— განა თქვენ იცნობთ ვინმეს, ვინც ამ ოინებისაგან დაშავდა?

— ვიცნობო? მაგან ჩემს საკუთარ ბიძაშვილს ჩინებული ოინი გაუკეთა.

— მიამბეთ, თუ შეიძლება.

— ბიძაშვილს არაფრად მოსწონს, როდესაც ამაზე ლაპარაკობენ. მაგრამ ახლა ის კადიქსშია; მე მგონია, არაფერი უბედურება არ შეემთხვევა, რომ გვიამბოთ...

სიგარა მივაწოდე ვისენტეს და ამით მისი ეპკები გავფანტე მან საბუთი უცელობლად სცნო და დაიწყო:

— უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ ჩემს ბიძაშვილს ენრიკესი ჰქვია; წარმოშობით ის გრაოდან არის, ვალენსიელი, ხელობათ მეზღვაური და მეთევზე, პატროსანი კაცი, ოჯახის მამა, სათნო ქრისტიანი, როგორც ყველა დანარჩენი მის საგვარეულოში. თითონ მეც შემიძლიან ეს დავიკვებო, თუმცა ერთი ღარიბი კაცი ვარ. რამდენია ჩემზე უფრო შემძლე, მაგრამ მათ უპატროსნობის სუნი უდით. მაშ, ჩემი ბიძაშვილი, მე თევზე ერთ ქოზში სცხოვრობს, პენისკოლის მახლობლად, ვინაიდან თუმცა თვითონ წარმოშობით გრაოდან არის, მაგრამ მისი ოჯახი პენისკოლაში ცხოვრობს. თავის მამის ნაეში დაიბადა. რაკი ზღვაზე დაიბადა, ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ კარგა მეზღვაური გამოვიდა. ყოფილა ინდოეთში, პორტუგალიაში, ყველგან. თუ დიდი გემით არ დაიარე-

*) ჯერ ბ... მერე მაკანკალი. შემდეგ კუდიანი.

**) Mal de ojos — ეს თვალის ნაკლი კი არ არის, არამედ თვალის მიერ მიღებული ზიანია, ავი შეხედვის გავლენაა. ვალენსიის სამეფოში ბავშვებს ხშირად წითელ სამაჯურს აბამენ მაკაზე, რათა ავი თვალისაგან დაიფარონ.

ზოდა, საკუთარი ნავეი ჰქონდა და სათევზაოდ მიემგზავრებოდა. დაბრუნდება თავის ნავს თოკით მარგელზე მიამამს და არხეინად წაიღებდა და საძინებლად. აი ერთ დღიას გამოვიდა სათევზაოდ წასასვლელად, მივიდა თოკის ასახსნელად, — და რას ხედავს? კვანძის მაგიტრქვეშ მან ვასკენა გამოცდილი მატროსის შესაფერისად, ხედს მატროსის კასკენი-ლია ისე, როგორც დედაბერი ჭაყვირს აბამს ხოლმე. «ეულლუტები; ალბათ, წუხელ სალამოს ჩემს ნავში ელქობდნენ, — გაიფიქრა მან, — თუ დაეიქირე, ლაზათიანად გავტყუებავ კიდევ».

გაემგზავრა, ითევზავა, უკან დაბრუნდა, ნავეი მიამა და სიფრთხილ-სათვის ორმაგი კვანძით მიამაგრა. მეორე დღეს კვანძი ისევ გახსნილია. გაბრაზდა, მაგრამ უკვე მოისაზრა, ვისი ოინები უნდა ყოფილიყო. მაინც სასოწარკვეთილებას არ მიეცა, ახალი თოკი აიღო და კიდევ ერთხელ მაგრა მიამა თავისი ნავეი. გავიგონია! მეორე დღეს აღარავითარი ახალი თოკი არა სჩანს, მხოლოდ ძველი დამპალი თოკის ნაგლეჯი და ჰკიდა, ამასთანავე იალქანიც დახეულია, — ეს ნიშანია, რომ ღამე იალქანი გაუშვიათ. ჩემი ბიძაშვილი ფიქრობს: «ეს ეულლუტები კი არ მგზავრობენ ღამე ჩემი ნავით, ისინი იალქნის გაშლას ვერ გაბედავდნენ, გადაყირავებისა შეეშინდებოდათ. ეს, უეჭველად, ქურდია».

მერე რას შერება? სალამოს ის ნავში იმალება და იმ ადგილას წვება, სადაც პურს და ბრინჯს შესტენიდა ხოლმე, როდესაც რამდენიმე დღით მიემგზავრებოდა. ზედ თავისი ძველი წამოსასხამი წაიხურა, რათა უკეთ დამალულიყო, და მიუყჩადა. შუალამეს — შენიშნეთ, — შუალამეს, უეცრად ესმის ხმები, თითქოს ნაპირისაკენ ბევრი ხალხი მობოდა. მან ოდნავ გამოჰყო ცხვირი და ხედავს, — ღმერთო შემოწყალე! — არა ქურდებს, არამედ თორმეტობდე დედაბერს, ფეხშიშველას და თმაგაწიწილს. ჩემი ბიძაშვილი გაბედული კაცია და ქურდების წინააღმდეგ მას სარტუელში კარგად გაღესილი დანა ჰქონდა, მხნეობამ უღალატა, წამოსასხამი წაიხურა და თავი პენისკოლის ღვთისმშობელს ჩააბარა, რათა მას არ დაეშვა, რომ ამ ბილწ დედაკაცებს დაენახათ.

მთლად მოიკრუნჩხა, კუთხეში მიიმალა და ძრწოლით ელის, თუ რა დაემართება. კუდიანებმა თოკი მოხსნეს, იალქანი გამართეს და ზღვაში შეეკურდნენ. ნავეი რომ ცხენი ყოფილიყო, იტქმოდა, რომ ისინი თავპირის მტკრევით მიაქენებნო. ერთი ითქმის, თითქოს ფრთებშესხმული მიფრინავდნენ ზღვაში. ნავეი მიჰქროდა და მიჰქროდა ისე სწრაფად, რომ ყურებში ჭარი ზუზუნებდა და კუპრი გაღებვა. გასაკვირველი ამაში არაფერია. კუდიანებს ჭარი ყოველთვის მზად ჰყავთ სამსახურისათვის, მათთვის ეშმაკი უბერავს. ამასობაში ჩემს ბიძაშვილს ესმის, რომ ისინი ყბეობდნენ, იცინიან, მოძრაობენ, იკვებიან, თუ რამდენი სიაცე ჩაიღინეს. ზოგიერთებს ის იცნობდა, სხვები სჩანს, შორიდან გამოცხადდნენ, ისინი მას არასოდეს არ უნახავს. ფერერი, ეს ბებერი კუდიანი, რომელთანაც თქვენ

დღეს ასე დააყოვნეთ, საქესთან იჯდა ბოლოს, რამდენიმე წუთს შემდეგ გაჩერდნენ, მიწას მიაღწენენ, კუდიანები ნაეიდან გადმოხტნენ. სოლო ის დიდ ქვას მიაბეს. როდესაც მათი ხმა მისწყდა, ჩემმა ბიძაშვილმა ერთს კესმა თავისი ხვრელიდან ამოძრომა გაბედა. ღამე ვერც ამხსნა. ჩემი იყო, მაგრამ კარგად ხედავდა: ნაპირის შორიახლოს დიდი შაბხარი ქარისაგან ირხეოდა; მოშორებით დიდი ცუცხლი ენთო დარწმუნებული იყავით, რომ იქ კუდიანობა ღამეს იხდიდა. ერთიკესი გამხნედა, ნაპირზე ჩამოხტა და რამდენიმე ლერწამი მოსჭრა, შემდეგ ლერწმიანად კვლავ თავის კუთხეში ჩაჯდა და წყნარად კუდიანების დაბრუნებას დაუწყო ლოდინი. დაახლოებით ერთი საათის შემდგომ ისინი უკან ბრუნდებიან, ისევ ნავეში სხდებიან, უკან აბრუნებენ მას და ისევე მიაჭროლებენ, როგორც პირველად. „თუ ასეთი სისწრაფით წავედით, — გაიფიქრა ჩემმა ბიძაშვილმა, — მალე ვიქნებით პერისკოლაში“.

ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა, მაგრამ უეცრად ერთი დედაკაცი ამბობს: „დებო, სამ საათს რეკავს“. ამის თქმა ვერ მოასწრო, რომ ყველანი გაიფანტნენ და გაქრნენ. შენიშნეთ, რომ მათ შოლოდ სამ საათამდის შეუძლიანთ ხეტიალი.

ნავი გაჩერდა და ჩემს ბიძაშვილს ნიჩბის მოსმა მოუხდა. ღმერთმა რცის, რამდენი ხანი გაატარა მან ზღვაში, ვიდრე პენისკოლამდე მიაღწევდა. ორ დღეზე მეტი ჩამოვიდა გატანჯული. ერთი ნაქერი პური შესჭამა, ჭიკა არაყი დალია, და პენისკოლელ მეთათიაქესაქენ წავიდა. ის ნასწავლი კაცია და ყველა სამსალას იცნობს. უჩვენა ლერწამი, რომელიც თან ჩამოიტანა.

„ეს საიდან არის?“ — ჰკითხავს მეთათიაქეს. „ამერიკიდან, — მიუგებს ის, — ასეთი ლერწამი შოლოდ ამერიკაში იზრდება. აქ რომ დათესოთ კიდევ, მაინც არ ამოვა“.

ძმამ მეთათიაქეს მეტი არაფერი უთხრა და პირდაპირ ფერერთან გასწია. „ბაკა. — ეუბნება შესვლისას, — შენ კუდიანი ხარ“. ის უარზეა. „უფალო, ღმერთო ჩემო!“ გაიძახის. „იმის საბუთი, რომ შენ კუდიანი ხარ, ის არის, რომ შენ ერთ ღამეში ამერიკაში მიდიხარ და უკან ბრუნდები. მე ამ ღამეს შენთან ვიმგზავრე და აი გამამტყუნებელი საბუთიც: უყურე, აი ლერწამი, ეს იქ მოვჭერი“.

მთელი ეს ამბავი ვისენტემ აღშფოთებული ტონით, დიდი სიფიცხით გადმოძკა. ამ ადგილამდე რომ მივიდა, მან ხელი გამომიწია და ახლად მოწყვეტილი ბალახის კონა მომიჭროდა, თავისი სიტყვების შესაფერი მოძრაობით. მე უნებურად უკან გადავიხარე. მომეჩვენა, თითქოს ეს ამერიკული ლერწამი იყო.

ვისენტე განაგრძობდა:

— კუდიანი ეუბნება: „ნუ იყბედებ. აი ერთი ტომარა ბრინჯი, წაიღე და თავი დამანებე“. ერთიკესი უპასუხებს: „არა, მე თავს არ დაგანებებ“.

ვიდრე იმისთანა თილისმას არ მომცემ, რომ, როდესაც კი შეინდომებ, იმნაირი ჭარის გამოწვევა შემძლოს, რომელიც ჩვენ ამერიკისავე გვერეებოდა“.

მაშინ კუდიანმა გოგრაში ჩადებული ეტრათი მისცა ლეონოვს ზღვაში გამგზავრებისას მას ყოველთვის თანა აქვს. მის ადგილზე მე დიდი ხანია ცეცხლში ვისროდი ეტრათსაც და მთელ ამ ცოტუნებასაც, ან მღვდელს მივეცემდი. ვინც ეშმაკთან პირობას სდებს, ის ზომ ყოველთვის დაზარალებული რჩება.

მე მადლობა გადავუხადე ვისენტეს მისი მოთხოვნისათვის და დავუმატე, რათა იმავე საფასურით გადამეხადა მისთვის, რომ ჩემს სამშობლოში კუდიანები უნავოდაც იოლად მიდიან, და მათი მიმოსვლის ჩვეულებრივი საშუალება ცოცხია, რომელსაც ეს კუდიანები გადააჯღებებიან შეთქი.

— თქვენმა კეთილშობილებამ მშვენიერად იცის, რომ ეს შეუძლებელია, — ცოვად მომიგო ვისენტემ.

გაოცებული ვიყავი მისი უნდობლობით. ეს პარტივისცემის უჭონლობა იყო ჩემდამი, ვისაც ცოტაოდენი ეჭვიც არ შეპარვია ლერწმის ამბის სიმართლეში. სამდურავი გამოვეუცხადე და მკაცრად დავუმატე. ისეთ საგნებზე ლაპარაკში ნუ ჩაერევი, სადაც არა გაგება რა. და ჩვენ რომ საფრანგეთში ვყოფილიყავით, მე უხვად წარმოვიდგენდი ამგვარი ფაქტების მოწმეებს შეთქი.

— თუ თქვენმა კეთილშობილებამ ეს ნახა, მაშინ ეს მართალია, — მიპასუხა ვისენტემ. — მაგრამ თუ არ უნახავს, მაშინ მე ყოველთვის ვიტყვი, რომ კუდიანისათვის ცოცხზე მოგზაურობა შეუძლებელია. შეუძლებელია, რომ ცოცხში რაღაც ღერო მაინც არ გადააჯვარდინდეს. და აი მზაო არის ჯგვარი. მაშ როგორ ლა შეუძლიანთ კუდიანებს ცოცხის გამოყენება?

დამამტკიცებელი საბუთი უდაო იყო. ეს სიძნელე მე დაეძლიე შენიშვნით, რომ ცოცხი სხვადასხვა ნაირია. არყის ხის ცოცხზე უეჭველია კუდიანისათვის ძნელია მოგზაურობა, მაგრამ ჯიქურას ცოცხზე, რომლის ღეროებიც სწორი და გაფშვკილია, ან ძუის ცოცხზე მოგზაურობაზე ადვილი არაფერია შეთქი. ყველა ადვილად მიხვდება, რომ ასეთ ცოცხზე მთელი მსოფლიოს შემოვლა შეიძლება შეთქი.

— ჩემთვის ხშირად უთქვამთ, ბატონო, — სთქვა ვისენტემ, — რომ თქვენს ქვეყანაში ბევრია ჯადოქარი და კუდიანი.

— ეს იმიტომ ხდება, მეგობარო, რომ ჩვენში ინკვიზიცია არ არის.

— მაშ უეჭველია, თქვენს კეთილშობილებას შემთხვევია ისეთი ხალხის შეხვედრა, რომლებიც ავგაროზებს ჰყიდიან ცხოვრების ყოველნაირი შემთხვევისათვის.

— მიაბზეთ, — ვუთხარი მას ისე, თითქოს არაფერა მცოდნოდა ესე-
თი ამბების შესახებ, — შერე მე გატყვიო, თუ ყოველივე ეს მართ-
ბულია.

— მაშ, აი, ბატონო, გამიგონია, რომ თქვენ ^{მე ვინაა ხალხი, რო-}
მელიც ავგაროხებს ანაღდებს იმათზე, ვინც მათ ყიდულობს. ერთ პარკ-
პერეტად შეიძლება ერთი ნაჭერი ლერწმის ყიდვა, რომელსაც ნასკენი
აქვს ერთ თავზე და უბრალო საცობი მეორეზე. ამ ლერწაში პატარა
არსებები, „animalifos“ არიან, რომელთა შემწეობითაც შეგიძლიათ
ქველადფერი მიიღოთ, რასაც კი მოისურვებთ. თქვენ ჩემზე უკეთ იცით,
რითი შეიძლება მათი საზრდობა... მოუნათლავი ბავშვების ხორციო,
ბატონო, ხოლო როდესაც ლერწმის მფლობელი ასეთი ხორც ვერ მოუ-
ლობს, ის იძულებულია თვით აიჭრას ნაჭერი... (ვისენტეს თავზე თმა
ყალყზე დაუდგა). საკმელი დღეში ერთხელ უნდა მისცე, ბატონო.

— თქვენ თვითონ გინახავთ ასეთი ლერწამი?

— ტყუილს ვერ ვიტყვი, თვითონ არ მინახავს. მაგრამ მე კარგად
ვიცნობდი ვინმე რომეროს, ასჯერ მაინც დამიღვევია მასთან (მაშინ ჯერ
კიდევ ისე არ ვიცოდი, ვინ იყო ის, ეხლა კი ვიცი). ეს რომერო ხელო-
ბით საგალი იყო. ის დასწეულდა, ისე, რომ თავისი სული დაჰკარგა
და სირბილი აღარ შეეძლო. განსაკუთრებით მას სალოცავად წასვლა
ურჩიეს, მაგრამ ის ამბობდა, სანამ მე სალოცავად ვივლი, ჩემი შეილე-
ვის სარჩო ფულს ვინ იშოვისო. ამნაირად, ილაჯგაწყვეტილი, ის ჯადო-
ჭრება და სხვა ამგვარ არამზადებს შორის დაეხეტებოდა. რომლებსაც
მე რომ ვითხარით, იმ ლერწმის ნაჭერი მიჰყიდეს ამის შემდეგ, ბატონო,
ამ რომეროს გატყეული კურდღლის დაჭერა შეუძლიან. ვერც ერთი სა-
გალი ვერ შეედრება მას. თქვენ იცით, რა ხელობაა ეს. რა დამქანცავი
და სახიფათოა. ეხლა ის დარბის ჯორების წინ და არხეინად სიგარას
სწევს. ვალენსიიდან მადრიდამდე გაუჩერებლივ სულამოუთქმელად გა-
ირბენს, ძვლები გადასტყავებია, თვალები თუ კიდევ ჩაუცივდა, შალს
კეფით დაიწყებს ყურებას. ეს ეშმაკი ღრღნის მას. სხვა რამეებისათვის,
ვარდა სიარულისა, სხვა შელოცვებია. არის თილისმები, რომლებიც ტყვი-
ისა და სპილენძისაგან დაგიცავენ. უდრეკს გაგზდიანო, რო იტყვიან. ნა-
პოლეონს ჰქონდა ასეთი თილისმა, ამიტომაც ვერ მოჰკლეს ესპანეთში,
თუმცა, უეჭველია, არის ძალიან უბრალო საშუალება...

*) საგალი (zagal) ჩვენებური მეეტლის მსგავსია. მას აღვირთ უჭირავს ორი
შებნული წინა ჯორი და ჰენებას დროსაც კი სირბილით მისდევს მათ, თუ ერთი
გაჩერდა, ეტლი გასკვლიტავს. თანამედროვე დილიფანსებში საგალი უმართებულოდ
ჰქვია ადამიანს, რომელიც მუზრუქებს აბაშს, დატვირთვას ეზმარება და სხვ., ის, რა-
საც ინგლისელები cad-ს უწოდებენ.

— ვერცხლის ტყეის ჩამოსხმა, — სიტყვა წაეართო მანა განახ-
სენდა ტყვია, ტყვია, რომლითაც გულადმა ვიგმა კლდე ^{მარიკის} მხარე გა-
უგმირა.

— ვერცხლის ტყვიამ შეიძლება ივარგოს, — განაგრძობდა მანა, —
მხოლოდ იმის ჩამოსასხმელად უნდა შენადნობში ანგელოზის სახიანი
ფული ჩასდოთ, როგორც ძველებურ პეზეტებზეა. მაგრამ უმჯობესია
უბრალოდ სანთელი აიღოთ საკურთხეველიდან, სადაც წირვა გადაიხადეს.
ამ წმინდა სანთელს ჩაასხამთ ტყვიების ყალიბში და დარწმუნებული იყა-
ვით, რომ ვერც ერთი თილისმა, ვერც რაიმე მანქანება და ვერც ჯაფ-
შანი ასეთ ტყვიისაგან ვერ დაიცავს ჯადოქარს. ხუან კოლი, რომელმაც
თავის დროზე ასე გაითქვა სახელი, ტორტოსასთან, მოკლულ იქნა. სან-
თლის ტყვიით, რომლითაც ვაეკაცმა პარტიზანმა განგმირა. როდესაც
ის მოკვდა და პარტიზანმა ჩხრეკა დაუწყო, დაინახა, რომ მთელი მკერ-
დი მას დაფარული ჰქონდა ყუმბარების საფანტის მიერ ამომწვარი სა-
ხეებით და ნიშნებით; ზედ ეტრატები და კიდევ არ ვიცი რამდენი რა-
გინდარა ჰკიდებოდა, ხოსე მარიამ, რომელზედაც მთელი ანდალუზია
ლაპარაკობს, ტყვიის შელოცვა იცის; მაგრამ ვაი, თუ მას სანილის
ტყვია ესროლეს. იცით, როგორ ექცევა ის მღვდლებს და ბერებს, რო-
დესაც ისინი ხელთ ჩაუვარდებიან? მან იცის, რომ მღვდლის მიერ ნა-
კურთხი იქნება ის ტყვია, რომელც მას მოჰკლავს.

ვისენტე კიდევ გააგრძელებდა მოთხრობას, მაგრამ ამ დროს გზის
შესახვევში მურვიდროს კოშკი დაეინახეთ, და სიტყვამ სხვა მიმართუ-
ლება მიიღო.

(დასასრული)



ოვიდიუსი

პეოოიდები

უბტარი პირველი
პენელოპე ულისას

ამას, ულისე, დანანებულსა შენ პენელოპე გიგზავნის შენი:

მე ნულარაფერს ნუ მიპასუხებ, თვით შენ დაბრუნდი.

უეკველია დაემხო ტროა, საბერძნეთისა ასულთ საძაგი:

განა პრიამოს და ტროა მთელი ღირდა ამ ჯაფად?

ო, ნეტამც ტალღებს გააფთრებულსა შთაენთქათ მრუში,

როს ხომალდებით ლაკედემონის გზით მიდიოდა.

დაობლებული მაშინ მე მაინც არ ვეგდებოდი ციეს სარგველზედ,

არც დაესწყევლიდი დღეთა შთენილთა ზოზინით სელასა,

არცა უსაზღვრო სასომიმღებთა ღამეთა მღურავს დაკიდებულის

10 საქუსლის ქსოვა დაქვრივებულ ხელთ არ დამიშვრებდა.

როს არ ვუფრთხოდი უფრო საზარელს საშიშროებას, ვიდრე ნამ-
დვილსა?

სიყვარულს მუდამ მოუსვენარი შიში აშფოთებს.

მელანდებოდა, რომ მხნე ტოეონი შენ იერიშით გეკვეთებიან,

და ჰექტორისა მე მაფითრებდა მუდამ ხსენება.

ვინმე იტყოდა ვით ანტილოხი მოკლული იქმნა ჰექტორის მიერ

და ანტილოხი მიზეზი იყო ჩვენი ძრწოლისა;

ან ვით ვერ ისხნა მენექიადი მოსაცთუნელმა აბჯარ-საჭურმა,

გამარჯვებისა ვგლოვდი მზაკერობით გაცულებასა.

ტლებოლემოსმა თავისი სისხლით ლიკიელისა შეღვეა შუბი

20 კვლავ განმიახლა ტლებოლემოსის სიკვდილმა შიში.

ბოლოს ვინც უნდა დაღუბულიყო აბაელთაგან იმათ ბანაკში,

მოსიყვარულე მიყინდებოდა მყის გული ჩემი.

მაგრამ უმწიკვლო სიყვარულისთვის სამართლიანმა იზრუნა ღმერთმა:

ტროა დაემხო და ჩემი ქმარი უვნებელია.

უკუმოიქცნენ ჩვენი ბელადნი და საზორაენი აკვამლებულან,
 მსხვერპლად ეწირვის სამშობლოს ღმერთებს მკროსგან ნადავლი
 და ქორთა ქალებს მადლობის მსხვერპლი მოუტანიათ ხნისათვის

ბედშავი ტროას რომ დამღერიან დამარცხებასა.
 განციფრებულან კირგამოვლილნი მოხუცებულნიც, მთრთოლვარე
 ქაღნიც;

- 30 სულ-განაბული ყურს უდებებს ცოლი ნაამბობს ჭმრისას.
 ან ვინმე ამბობს გაშლილ ტაბლასთან მოთხრობას ბრძოლის საში-
 ნელისას

და ერთი ბეწო ღვინითა ჰსახავს პერგამს სრულიად:
 „აქ მდინარებდა სიმოისიო, იქ სიგეუმის კონცხი იყო,
 ბერი პრიამის სრა აქ ამაყად აღმართულიყო,

იქით ბანაკად ეაკოსისა ვაჟი დამდგარა, აქ კი ულისე
 და იქ მრისხანე შიპქენებსო პექტორი ცხენებს“.

ეს ყველაფერი სულ უამბნია მოხუცსა ნესტორს შენი ვაჟისთვის,
 როს შენ საძებრად იყო წასული, მან კი მე მითხრა;

- 40 თუ ვით დაპლტუა ერთი მზაკეობამ, მეორე ძილმა.
 შენ კი, მაშაყო, ეგრე უწყალოდ რომ დაივიწყე შენიანები,
 თრაკიელთ ბანაკს რომ ეერაგულად ეკვეთე ღამით

და შეწეენითა მხოლოდ ერთისა მრავლად გასწყვიტე ვაკეაენი ერთად,
 სად გქონდა კეთილგონიერება ან თუ გახსოვდი.

გული მითრთოდა შიშით მანამდის, სანამ არ მაძენეს, რომ გაიმარჯვე
 და ისმარელთა ცხენებით უკვე მეგობრებთან ხარ.

მაგრამ რას ვაქნევ, რომ თქვენის ხელით დანგრეულია დღეს ილიონი
 და სადაც უწინ კედელი იყო, დღეს მინდორია,


- 50 თუ კვლავ ისა ვარ, რაც ვიყავ მაშინ, ოდესაც ტროა მიუვალ იყო,
 და ქმართან ჩემსა კიდევანობას არ უჩანს ბოლო.
 სხვისთვის დაინგრა პერგამი, მხოლოდ ჩემთვის ის კვლავ სდგას,
 თუმც მის ნიადაგს


ნადავლი ხარით ხნავს ბინადარი გამარჯვებული.
 იქ ჯეჯილია, ტროა რომ იყო, უხვად მორწყული ფრიგიელთ სისხლით
 პოხილი მიწა უკვე მოელის ნამგლის ტრიალსა;

მრული გოთანი ნახევრად დათლულ მგომართა ძვლებს იქ ეჯახება
 და დარბაზთ რღვეულთ მწევანე ბალახი გადაელეზია;

შენ კი, მძლეველი, კვლავ გარეგანობ და არც მიზეზი დაგვიანების
 ძალმიძს ვიცოდე, ან რა მხარეში იმალვი გულქევა.

ვინც გინდა წყლისა ან ნაპირთ არეს უცხოითითაან მოადგეს გემით,
 არ მოვეშვები, ვიდრე შენს ამბავს არ გამოვწყვლილავ,

სანამ სტუმარსა არ ჩაებაარებ ამ ჩემის ხელით დაწერილს უსტარს,
 რათა გადმოგცეს, თუ რომ ოდესმე შეგხვდება სადმე
 კაცი ვაფრინეთ პოლოსს, სად მეფობს ნელესის  წულა, მკობიანი
 ვარკუნე-ქატიორ,

მაგრამ პოლოსით უჭეშმარიტო გვემცნო ამბავი  ვარკუნე-ქატიორ
 მივმართეთ სპარტას, მაგრამ სპარტამაც ქეშმარიტების არა იცის რა.
 რა მხარესა ხარ, სად უჩინარობ დახანებული?

ბარენ მერჩია, რომ კვლავ ფეპოსის დღესაც მღვაროყო გალავან-ზღუდე
 (პოა, უგუნური, საკუთარს აღტქმას თვითვე მე ვჭკრულავ).

შევიმეცნებდი მაშინ, სად იბრძვი, და მხოლოდ ომი მომგვრიდა შიშა
 70 და ჩემი ხვედრის თანაზიარი სხვაც იქნებოდა.

ეხლა არ ვიცი, რის მეშინია, გონმიღებული ყველაფერს ვშიშობ
 და განერცომილა ვარამი ჩემი უსასრულობად.

თუ ზღვა შეიცავს საშიშარს რასმე ან დედა-მიწა რამე განსაცდელს,
 ნანგრძლივი შენი დაგვიანების ვრაცხავ მიზეზად.

და სანამ გიყი ამ ფიქრებში ვარ, იქნება — თქვენი ზნე ასეთია
 შენ სიყვარულით შეპყრობილი ხარ უცხო ქალისა,

ეგების სატრფოს უამბობ კიდევ, რომ სოფლელი გყავს შენ ცოლად
 ქალი.

რომელმაც მატყლის დართვის თვინიერ არა იცის რა-
 მაგრამ თუ ვსცდები, ეს საყვედური დეე განდანტოს მსუბუქმა ქარმა.

80 რომ დაბრუნება არ დააყოვნო, თუ გაქვს გზა-ხსნილი.
 მამა ჩემი კი იკარიოსი მუდამ მაყვედრის შენს გვიანობას

— და ჩამჩიჩინებს დავაგდო ქერივი საწოლი ჩემი.

დე, მამუნათოს, რამდენიც უნდა: შენი ვარ, შენვე შეგეწირები
 და პენელოპე მარად ულისეს ვიქნები ცოლი.

ერთგულობით და მორცხვი მუდარით მაინც და მაინც მას მე გულს
 ეუღლობ.

ისიც მშვიდდება და თვითვე აცხრობს სიმკაცრეს თვისსა.

დულიხიფით, სამოსითა და მწვერვალეზღვან ზაკინთოსისა
 შემომსხვია საქროთა გროვა მე კადნიერი

და რომ არავინ დამშლელი არ ჰყავს, შენს კარ-მიდამოს ეპატრონება
 და ანადგურებს ჩიენს საცხოვრებელს, ავლა — დიდებას.

აბა რა გითხრა ან პიზანდროსის, ან პოლიბოსის, გულქვა მედონტის,
 ან ეერიმახოს — ანტინოუსის ხარბი გულისა

და კიდევ სხვების, თვითვე რომ ჰკვებავ კვალ-დაკარგული ყვილას
 საძრახად

და უნაწილებ, რაც შენი სინხლით მონაგარია.

იროს გლახაკი და შენაზირე მელანთიოსი უკლაიენ ხვასტაგთ
 და შენსა ზარალს ზედ უმატებენ მწვავე სირცხვილსაც.

რიცხვით სამნი და ვართ უმწეონი — ღონემიხდილი მეთუღე შენი,
 მოხუცი ლაერტ და ახალგაზრდა ტელემახოსი;
 ეს ამას წინათ გზაკერობის გახდა კინალამ მსხვერპლად უღოდესად
 ბიგლით მსხვერპლად

100 გასამზავებლად მათ უნებურად ემზადებოდა.
 ამას ვთხოვ ღმერთებს — დეე, ინებონ, როგორც წესია ჩვეულებრივი.
 მან დაგვიხუტოს ორივეს თვალი — დედას და მამას.
 დღეს კვლავ ერთგულად გვემსახურება საქონლის მწყემსი, ძიძა
 მიხრწნილი

და ტუტყიანი ბოსლის დარაჯი — ჩვენი მელორე.
 მაგრამ ლაერტმა, რომ აღარ შესწევს იარაღისა ხმარებად ღონე,
 ვით შეუფება მტერთაგან თვისი შეინარჩუნოს?
 ტელემახოსი, ოღონდ იცოცხლოს, კი მოესწრება ჟამს ვაეკაცობის.
 მხოლოდ ამ ნანად მას მამისაგან უნდა შეწყენა.
 ღონემიხდილსა აღარც მე ძალმიძს განვდევნო მტერი შენი სახლიდგან:

110 შალე დაბრუნდი, შენიაწების მხსნელო იმედო.
 შენა გყავს ვაჟი — ვენუკვი ღმერთებს დღეგრძელი იყვეს — სიყმა-
 წვილითვე

მამის ქველობა ჭაბუკმა უნდა შეისისხლხორცოს.
 მოჰხედე ლაერტს: უკანასკნელნი სურს გაიგრძელოს სიცოცხლის დღენი,
 რომ შენის ხელით შენ დაუხუტო თვალები მოხუცს.
 დაობლებული მეც მომიგონე სატრფო, შენ მიერ დაეიწყებული,
 ეხლავ დაბრუნდი და დაინახავ, თუ ვით დაგებრდი.

თარგმანი ლათინურიტ პ. შავთარაძისა



ალი არსენიშვილი

3. 3. მაიაკოვსკი

(გარდაცვალების 7 წლისთავისთვის)

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახით საბჭოთა პოეზიამ ამ შვიდი წლის წინათ დაკარგა პოეტი, რომელიც საუკეთესო გამომხატველი იყო დიადო ოქტომბრის რევოლუციის შინაარსისა, დაწყებული პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებიდან და მის განმტკიცებიდან სამოქალაქო ომის ცეცხლში, ვიდრე ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ეპოქამდე. მთელი თავისი უდიდესი პოეტური ნიჭი და დაუცხრომელი ენერჯია ვ. მაიაკოვსკიმ შესწირა იმას, რათა თავისი თავი ჩამოეყალიბებინა რევოლუციის პოეტად, პოეტ-მებრძოლად ახალი, ჯერ არყოფილი სოციალისტური პოეზიის შექმნისათვის.

რევოლუციის მიერ მოტანილი ახალი შინაარსის ჩამოსაყალიბებლად პოეზიაში, ძველი ყოფის, ძველი ფსიქოლოგიის კვდომის, ე.ი. კაპიტალიზმთან დაკავშირებულ და შეგნებაში დარჩენილ ნაშთებთან ბრძოლის გამოსახატავად ვ. მაიაკოვსკის, ცხადია, პირველ ყოვლისა, სჭირდებოდა ახალი ფორმების მოძებნა, და სწორედ ამ ახალი ფორმისათვის ბრძოლა შეადგენდა მაიაკოვსკის ერთ საზრუნავ საგანთაგანს.

როდესაც მაიაკოვსკი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა (ეს იყო მსოფლიო ომის წინა წლები), რუსეთის პოეზიაში გაბატონებული იყო სიმბოლისტური სკოლის ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმართულება. ამ მიმართულების წარმომადგენლები — ბლოკი, პელი, ბალმონტი, ბრიუსოვი და სხვები ჰქმნიდნენ ზალხისათვის გაუგებარ და უცხო ხელოვნებას. ისინი შეგნებულად უარჰყოფდნენ ზალხურობას მწერლობაში, გამობდნენ პუშკინის რეალისტურ ტრადიციას, რომელიც ნაუწოდებდა ფართო სოციალური მოძრაობის გამოხატვისაკენ, და მიმართავდნენ მწერლობას ვიწრო ინდივიდუალისტური ესთეტიკის ჩიხისაკენ.

სიმბოლისტების საწინააღმდეგოდ აღმოცენდა ფუტურისტების მიმართულება, რომლის ისეთი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ხლებნიკოვი, კამენსკი და სხვები, თავიანთი სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებებით, არსებითად, არ განსხვავდებოდნენ სიმბოლისტ პოეტებისაგან.

ხლებნიკოვს მაგ., ახასიათებდა მეტად ბუნდოვანი, გაუგებარი, შიფრამ-
დი მისული ენა და სახეები, ამასთან ერთად მძაფრად გამოხატული ნა-
ციონალიზმი.

ერ. ქ. ე. ნ. უ. ლ. ი.

მაიაკოვსკი ერთ დროს მიემხრო ფუტურისტების ~~გაგანების~~ ~~საფუტურისტ~~
ყველაზე უფრო „მემარცხენეს“ მაშინდელ მწერლობაში. მის პოეზიას
ამ წლებში ახასიათებდა აბსტრაქტულ-ჰუმანური და იმავე დროს
აბსტრაქტულ-ინტერნაციონალური მისწრაფება. ამ დროს მაიაკოვსკი არ
არის ჯერ კიდევ, მებრძოლი, ის უფრო „ბუნტარია“. იგი ხედავს ბორო-
ტებას, მაგრამ არ იცის — რომელი ძალების წინააღმდეგ მიმართოს თა-
ვისი პროტესტი. იგი ჯერ არ მოუწოდებს რევოლუციისაკენ, მხოლოდ
წინაღმართობის სახით განიცდის მას. მაიაკოვსკი ხედავს რევოლუციის
მოახლოვებას; კლასთა გენერალური შეტაკების წინ იგი გრძნობს პრო-
ლეტარული რევოლუციის სუნთქვას. ამას დიდად შეუწყობ ხელი მსო-
ფლიო იმპერიალისტურმა ომმა.

მაიაკოვსკიმ დაინახა სისხლის ნიაღვრები, ისმინა მსოფლიო სასა-
კლავოს მსხვერპლთა ძაბილი და შეიგნო, რომ ეს იყო გაბატონებულ კლას-
თა პოლიტიკის შედეგი. ამიტომ იყო, რომ 1915 წელს იგი წინასწარ-
შეტყველურად სწერდა თავის შესანიშნავ პოემაში. „Облако в штанах“:

„Вижу идущего через горы времени,
которого не видит никто.

Где глаз людей обрывался куцый
главой голодных орд.

В ТЕРНОВОМ ВЕНКЕ РЕВОЛЮЦИЙ
ГРЯДЕТ ШЕСТНАДЦАТЫЙ ГОД.

А я у вас — его вредтеча;

я — где боль, везде;

на каждой капле слезовой течи

распял себя на кресте“.

ამიტომ იყო, რომ მაიაკოვსკის წინაშე ერთ წუთსაც არ მდგარა
ბევრი ინტელიგენტის წინაშე დასმული „საკითხი“ რევოლუციის მიღე-
ბის თუ მიღების შესახებ. თავისი დიადი გონებით და დიდი გულით ის
იმთავითვე გაერკვა იმაში, თუ ვის მხარეზე იყო სიმართლე და მიემხრო
მუშათა კლასს. თუმცა ჰაბუკობის პერიოდში მაიაკოვსკის ჰქონდა შემ-
თხვევა ცოტა ხანს ემუშავა ბოლშევიკურს იატაკქვეშეთში, მაგრამ იმ
დროს მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა საბოლოოდ ვერ გამოერ-
კვა და შემდეგ ცხოვრების გზებზე გადაისროლეს იგი წერილ-ბურჟუა-
ზიულ, ბოჰემურ მხატვართა და პოეტთა წრეში.

თებერვლის რევოლუციის პირველ პერიოდში, მაიაკოვსკის ესმის
რევოლუცია, როგორც გამოხყიდვა და განხორციელება იმ საყოველ-
თაო ხიყვარულისა, რომელიც წინადაც ესახებოდა მაიაკოვსკის-ჰუ-
მანისტს. მაგრამ რევოლუციის გაშლა-გაღრმავებასთან ერთად მაიაკოვს-

კიც ერკვევა თავისი პოზიციების აბსტრაქტულ ხასიათში და ჩვენს რევოლუციის მიწიერ და კონკრეტულ-პოლიტიკურ ხასიათს. 1925 წელს იგი თავის თავზე სწერს:

ერკვევნი
ნიკოლოსი

„Пролетарии
приходят к коммунизму низом,
низом шахт
серпов
и вил
Я к
с небес поэзии
брошаюсь в коммунизм,
Потому что
нет мне
без него любви.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უჩვენა მაიაკოვსკის მიზანი, გზა და ხელმძღვანელები. რევოლუცია არ იყო მისთვის, როგორც ალ. ბლოკისათვის, ქრისტე თეთრი ყვავილების გვირგვინით თავზე. მისთვის იგი იყო რევოლუცია, რომლის მეზრძოლ პოეტად მან აღიარა თავისი თავი. იგი რევოლუციის პოეტი გახდა არა იმიტომ, რომ სწერდა რევოლუციაზე, არამედ იმიტომ, რომ სწერდა რევოლუციისათვის.

მაიაკოვსკის პოეზიის შინაარსს რევოლუციის მთელი ეპოქის მანძილზე თვით ამ რევოლუციის შინაარსი შეადგენს ყველა თავისი ეტაპით და გადასვლით. თავის განცხადებას იმის შესახებ, რომ:

„Всю свою звонкую силу поэта
Тебе отдаю, атакующий класс,—

მაიაკოვსკი ანხორციელებს მთელი თავისი პრაქტიკით, როგორც რეალურ გეგმას და პროგრამას.

სამოქალაქო ომის პერიოდში მაიაკოვსკი მუშაობს „როსტა“-ში, მუშაობს როგორც პოეტი და მხატვარი. მაშინდელ ძნელ პირობებში იგი თავისი ხელით ასრულებს მთელი პექტოგრაფის როლს. მის მთავარ თემას ამ ეტაპზე შეადგენს ფრონტი და მთელი ყურადღების მობილიზაცია ფრონტის საკითხებისადმი, საერთაშორისო ინტერვენცია, მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცება მტრის დასაძლევად და რევოლუციის გასამარჯვებლად. შემდეგ, აღდგენის პერიოდში იგი ყოველდღიურად ეხმარება ყველა აქტუალურ და „წვრილმან“ საკითხს როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე.

მეშინურ ყოფასთან, ბიუროკრატიზმთან, უკულტურობასთან, მლიქვნელობასთან და საერთოდ წარსულის ნაშთებთან ბრძოლა, ბრძოლა კულტურისა, ახალი ყოფისა, საბჭოთა ვაჭრობის, სანიტარიის, ჯახ-

მრთელობის, სახელმწიფო სესხის გავრცელებისათვის და სხვა შეადგენს მიაიკოვსკის პოეზიის მთავარ შინაარსს. ცნობილია დამეც ხანებში „ლაპარაკი“ იმის შესახებ, რომ მიაიკოვსკი გამოიფიტა, როგორც პოეტი და მას არაფრის შექმნა აღარ შეუძლია, გარდა ლოზუნგებისა და სააგიტაციო ლექსებისაო. განმეორდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა უდიდესი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის გარშემო მეოცე საუკუნის დასაწყისში და განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც გორკიმ დასწერა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე რევოლუციური ნაწარმოები — რომანი „დედა“. ნამდვილად კი მიაიკოვსკი მხოლოდ ახლა იხვეწებოდა, როგორც დიდი მხატვარი, მხოლოდ ახლა ხდებოდა იმ მიაიკოვსკიც, რომელმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა საბჭოთა პოეზიაში. იგი საე-სებით უარყოფდა მკითხველთა დაყოფას „რჩეულების“ და „მასის“ კატეგორიებად. ახალი შინაარსით და ახალი ფორმით იგი, როგორც ხამდელი ნოვატორი და უდიდესი ოსტატი, ჰქმნიდა ახალ ხელონებას და გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას თავისი მოწოდების წინაშე. მის წინ წამოიჭრა ორი დიდი მნიშვნელობის საკითხი: ერთი იმის შესახებ, თუ ვინ წარმოადგენს პოეზიის ახალ მკითხველს, და მეორე — როგორი ნაწარმოები სჭირია მას, რა უნდა მიაწოდოს მას პოეტმა. თავის გამოსვლაში 1930 წლის 25 მარტს წითელი პრესნის რაისახლში აი როგორ უპასუხა თითონ პოეტმა ამ საკითხს: „მხოლოდ მუშათა აუდიტორია, მხოლოდ პროლეტარულ-გლეხური მასები, ისინი, ვინც ამჟამად ჩვენს ახალ ცხოვრებას აშენებენ, ისინი, ვინც აშენებენ სოციალიზმს და სურთ გაავრცელონ იგი მთელს მსოფლიოში, — მხოლოდ ისინი უნდა გახდნენ ნამდვილი მკითხველები, და მათი პოეტი უნდა გავხდე მე.“

მიაიკოვსკი იყო უნიკიერესი პოეტი ჩვენი საბჭოთა ეპოქისა. იგი უდიდესი შრომით, უდიდესი ბრძოლების შედეგად დაეუფლა და დღითი-დღე ჰქმნიდა სრულყოფილ ფორმას თავისი შინაარსით მრავალფეროვანი და უმდიდრესი პოეზიის გამოსახატავად. თავისი ახალი ფორმა მიაიკოვსკიმ გამოიმუშავა სიმბოლისტური პოეზიის ფორმასთან ბრძოლაში. „შეუშვითებელი“ ბურჟუაზიული ეპოქის პოეზიის შესატყვისად სიმბოლისტურ პოეზიაში მთავარ საყრდენს პოეზიისათვის წარმოადგენდა მუსიკა. სიმბოლისტებმა სცადეს ძველ პოეტურ სახეთა სისტემაში სიახლის შეტანა შეუფერებელ ინტუიციანზე დაყრდნობით, მაგრამ კრაფერს მიღწევა ამ მიმართულებაში, ამის საწინააღმდეგოდ მიაიკოვსკიმ დაიჭირა ორიენტაცია ყოველდღიურ, სალაპარაკო, სადისკუსიო, ორატორულ სიტყვაზე და ინტიუციის და ბუნდოვანი, ნახევრად გააზრებული წარმოდგენების მაგივრად დაეყრდნო კონკრეტული ეპოქისა და კლასის — პროლეტარიატის — ცნობიერებას, მისი გარკვეული ინტერესებისათვის ბრძოლას, მის საუკეთესო წარმომადგენელთა გრძნობებისა და აზრების განსახიერებას. მან, როგორც ოდესღაც პუშკინმა,

კვლავ ერთმანეთს დაუახლოვა პოეზია და სალაპარაკო ენა. მაგრამ იმავე დროს პუშკინის მსგავსად შეუნარჩუნა პოეზიას უღოდესი მონიბელა და ხელოვნების მთელი ჯადოსნური ძალა და ზეგბელოვნა. როგორც პუშკინის შემდეგ შეუძლებელი გახდა ლექსის წერა, ისე, როგორც სწერდნენ მანამდე, ისე მაიაკოვსკის შემდეგ შეუძლებელია წერა ისე, როგორც სწერდნენ მაიაკოვსკიმდე. მან კარგად იცოდა, რომ ოქტომბრის ეპოქის მასა ძირფესვიანად განიჩიოდა რევოლუციამდელ მასისაგან, და ასე უპასუხებდა ქედმაღალ „კულტუროსნებს“, რომლებსაც არა სწამდათ ახალი მასების ახალი კულტურა:

„Понимает
ведущий класс
и искусство
не хуже вас.
Культуру
высокую
в массы двигай!
Такую,
как и прочие.
Нужна
и почтита
хорошая книга
И вам,
и мне,
и крестьянам,
и рабочим“.

ერთხანს მაიაკოვსკიმ სხვებთან ერთად შექმნა ლიტერატურული ჯგუფი „ლეფი“, რომელმაც ბევრი მკდარი ლოზუნგი გადმოისროლა, მაგრამ პოეტმა მალე შეიგნო „ლეფის“ იდეური პოზიციების სიყალბე და დაშალა იგი. არსებითად „ლეფი“ ქადაგებდა ლიტერატურის ლიკვიდაციის პრინციპებს, უარჰყოფდა ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ჯგუფის დაშლის შემდეგ მაიაკოვსკიმ განაცხადა კომკავშირის წინაშე: „ჩემზე ამზობენ, რომ მე პირდაპირ ვანადგურებ ყველა კლასიკოსს, არასოდეს ასეთი სისულელით თავი არ შემიტყვევია. მე მომსრე ვარ არა მათი განადგურებისა, რამ-ღ მათი შესწავლი და ათქმებისა იმის გამო, აყენებლად, რაც მათში სასარგებლო მოიპოვება მუშათა კლასისათვის“. ამ პოეტმა საესებით გამოასწორა ის ულტრა-მემარცხენე ხასიათის შეცდომები, რომლებიც მას მოეპოვებოდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მაიაკოვსკის ოცნებას შეადგენდა ვ. ი. ლენინის გენიალური სახის გადმოცემა. მაიაკოვსკიმ დასწერა პოემა „ელადიმერ ილიასძე ლენინი“. მაიაკოვსკი პირველი საბ-

ჭოთა პოეტია, რომელიც მუდამ მიილტვოდა მასებისაკენ. თავის ნაწარმოებთა სიაყარავს, მათი ზემოქმედების ძალას იგი ყოველთვის მასობრივ აუდიტორიაზე სინჯავდა. „ვ. ი. ლენინის“ შექმნილ შემდეგაც იგი ასევე მოიქცა. „მუშათა აუდიტორიის განწყობილებამ დაჩვივნა დაღამარწმუნა იმ აზრში, რომ პოემა საჭიროა“-ო, სწერდა მთაჯოვსკი პოემის დაბეჭდვამდე პირველი წაკითხვების შემდეგ. და მართლაც, ეს პოემა ყველაზე უფრო წარმატად და მისაწვდომია საბჭოთა პოეზიის ნაწარმოებთა შორის, თუნდაც ყველაზე მოუმზადებელ აუდიტორიისათვის. მტრები ახასიათებენ ამ პოემას, როგორც „გარითმულ პოლიტანბანს“. ერთმა მუშკორმა მოხდენილად უპასუხა ამ ბრალდებას: „ამ კრიტიკოსებმა კი არ გაანადგურეს მთაჯოვსკი, არამედ უდიდესი ქება-დიდება შეასხეს მას, რადგან ესაა პირველი პოეტი, რომელმაც მკვეთრი გამოთქმებით და ისეთი სახეებით, რომელთაგან მრავალი სამუდამოდ იჭრება მეხსიერებაში, შესძლო გადმოეცა დიადი ისტორიულად შინაარსი ჩვენი ეგრეთწოდებული პოლიტანბანისა, თავის თავად შესანიშნავი რამისა“.

პოემაში მართლაც დიდის ოსტატობითაა ასახული ლენინის პოლიტიკური ბიოგრაფია. პოემა მიძღვნილია პარტიისადმი. ყოველი ლექსი და ყოველი სიტყვა პოემისა გამსჭვალულია პარტიულობით. პოეტი ასე აყალიბებს თავის ამოცანას: „რა გააკეთა მან? ვინაა იგი და საიდან არის ეს ყველაზე ადამიანური ადამიანი?“ პოემის მთელი დინამიური კომპოზიციით მთაჯოვსკი ღრმად აგრძნობინებს მკითხველს, თუ ვინ იყო ისტორიისა და მუშათა კლასისათვის ეს ადამიანი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ავტორი ხსნის პოემაში ორ პერსპექტივას: ერთს ისტორიულს — ლენინიდან უკან, საუკუნეთა სიღრმეში, მეორეს — წინ, ლენინიდან შორეთში მიმავალს. ამ პოემაში მთაჯოვსკიმ გაშალა მუშაობა მასებისათვის საჭირო მონუმენტალურა, დიდი მნატვრული ტილოების შესაქმნელად. მთელი პოემა, როგორც საერთოდ მთაჯოვსკის მთელი პოეზია, გამსჭვალულია ერთი მისწრაფებით: წინ მომავლისაკენ!

„Пройдут

года

сегодняшних тяготь,

летом коммуны

согреет лета,

И счастье —

сластью

огромных ягод —

дозреет

на красных

октябрьских цветах“.

პოეტს სწადდა, რომ ბოლომდე შეესრულებინა თავისი ქალი, მაგრამ ის, რაც მან შეასრულა, განუზომელად დიდია და ხდის მას „საუკეთესო და უნიჭიერეს პოეტად-ჩვენი საბჭოთა ეპოქის“ უფროს მთელი საბჭოთა ხალხის სახელით უწოდა მას დიდმა სტალინმა იველიანაგმა ი. სტალინმა. იგი ცოცხალია მთელი თავისი შემოქმედებით და იბრძვის ჩვენს რიგებში ყველა თავისი პარტიული წიგნით. მისი გავლენა საბჭოთა პოეზიაზე განუზომელია. მისი პოეზია ცოცხლობს მასებში და აღელვებს მასებს.

რევოლუციის მიერ მობილიზებული და მოწოდებული უდიდესი საბჭოთა პოეტი კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებული მუშათა კლასის უსაყვარლესი გულის მესაიდუმლე და ძლევამოსილი მებაიარახტრე.



ა. სვანიძე

ხეთებისა და მათი ქართვად გოგებ- თან ნათესაობის საკითხისათვის

ხეთების ძეგლები ყურადღებას იქცევდნენ მრავალი საუკუნით აღრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ჯერ კიდევ პეროდოტე აღწერს რელიეფს, რომელიც თითონ მას ენახა სარდასა და ხმირნას შორის. მეორე რელიეფი მაგნეზიის მახლობლად ცნობილი იყო პავზანიუსისათვის. რა თქმა უნდა, არც პეროდოტეს და არც პავზანიუსს აზრად არ მოსდიოდათ, თუ რომელი ხალხი იყო როგორც ამ, ისე მთელ წინა აზიაში მრავლად გაფანტული ხეთელთა ძეგლების შემქმნელი.

ხეთები ცნობილი იყვნენ ბიბლიის გადმონაცემით. იუდეველთა მეფესთან, დავითთან, მსახურებდა ორი ხეთელი მხედართუფროსი — ური და აბიშელექი. მეფეთა წიგნი გადმოგვცემს, რომ ხეთებისა და არამელების მეფეებს, სოლომონის მსგავსად, ცხენები ეგვიპტედან მოჰყავდათო.

იმავე წიგნის გადმოცემით, არამელები, როცა მათ სამარიას ალყა შემოარტყეს, ფიქრობდნენ, რომ ისრაელთა მეფემ იორამმა „მათ წინააღმდეგ ხეთების მეფე მოისყიდა“. ხეთები ხშირად იხსენიებიან ისრაელთა მეფეების ანალებში. უძველესს ცნობას მათ შესახებ ვხვდებით აგრეთვე ბაბილონის ქრონიკაში, სადაც ნათქვამია, რომ ამორეელთა დინასტიის (ამ დინასტიას ეკუთვნოდა, სხვათა შორის, ბაბილონის გამორჩენილი მეფე პამურაბი) მეფობის დამლევს „ხეთები ამხედრდნენ აკადელთა ქვეყნის წინააღმდეგ“—ო. მეიერის ვარაუდით, ეს ამბავი უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1926 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე (იხ. Ed. Meyer Chettiter გვ. 57). ასირიის მეფის ტიგლათფილისერის წარწერებში ხეთების ქვეყანას კარხემიში ეწოდება. სარგონის, ასარბადონის და ნაბუქადინეზარის წარწერებში ხეთები სირიისა და პალესტინის მცხოვრებლებად არიან მოხსენებული.

ხეთებს ეგვიპტური ძეგლებიც გვაცნობენ. ტელ-ამარნში ნაპოვნი არქივი გადმოგვცემს იმ ომების შესახებ, რომლებიც ხეთებს ეგვიპტის ფარაონებთან ჰქონიათ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ხეთები სირიისა და პალესტინაში შეჭრილან. ისინი თურმე ეგვიპტელებს ედავებოდნენ —

სირია და პალესტინა ჩვენიაო. ეგვიპტის თიბაში დაცულია ხეობის მეფის ხატუშვილასა და ეგვიპტის ფარაონს რამზეს მეორეს შორის დატებული ხელშეკრულება. ეგვიპტურ წყაროებიდანვე ვტყობილობთ, რომ ხატუშვილი შემდგომად ეგვიპტეს გამგზავრებულა.

ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მეცხიერებისათვის თვით ხეთების სიძველეთა ძიებას და აღმოჩენას მცირე აზიაში. ამ ძეგლების შესწავლას ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 30-იან წლებში შეეცადნენ. ინგლისელის გამილტონის და ფრანგის ტექსტიეს ნაწერებში გვხვდება პირველი პუბლიკაციები ხეთების სიძველეთა დარგიდან.

წარსული საუკუნის 70-იან წლებში აღმოჩენილ იქნა წერილობითი დოკუმენტების პირველი ძეგლები (წარწერები). ეს ძეგლები იპოვნეს პირველად ორონტის გამათში, ხოლო შემდეგ კარხემიშის მახლობლად. უფრო მდიდარი ნაყოფი გამოიღო 1882 წელს ჰუმანისა და პუხშტეინის მიერ დაწვებულმა გათხრამ მარაშში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე 1888 წელს წარმოებულ გათხრას სენჯირლის მახლობლად.

მაგრამ ყველაზე უფრო ძვირფასი ძეგლები აღმოაჩინეს თურქთა სოფლის ბოლასქოის მახლობლად, სადაც გათხრას 1906 წელს აწარმოებდა გერმანელი მეცნიერი ვინკლერი. ნაპოვნი ძეგლები შეეუთვნებინა მეორე ათეულ წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შეიცავენ ხეთების სამეფოს არქივს. ეს არქივი განირჩევა არა მარტო მასალის სიმდიდრით და ნაირნაირობით, არამედ იმითაც, რომ იქ დაცულია საბუთები სხვადასხვა ენაზე. ამ მასალისა და მცირეაზიური ენების შესწავლაზე დაუცხრომლად მუშაობენ ამჟამად ევროპისა და ამერიკის მეცნიერები.

როგორც ირკვევა, ბოლასქოის არქივის საბუთებში და სხვაგან ნაპოვნ ძეგლებში, სუმერულ და ასურულ-ბაბილონურ ენებს გარდა, წარმოდგენილია შემდეგი ენები: ა) ხეთური ენა, ბ) ლუვიური ენა, გ) ხურიტული ანუ ხარიული ენა, დ) ეგრეთწოდებული პროტოხეთური ენა, ე) მიტანიური ენა.

ამ ენებს გარდა, მცირე აზიაში არსებოდა, როგორც ამას ადასტურებენ სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს ნაპოვნი არქეოლოგიური ძეგლები, შემდეგი ენებიც: 1) ხეთური იეროგლიფების ენა, 2) ხალდეების ანუ ურარტელების — არარატის ოლქის პირვანდელ მკვიდრთა — ენა, 3) კარიელების ენა, 4) ლიკიელების ენა, 5) ლიდელების ენა, 6) ეგრეთწოდებულ ორდებურუნის წარწერათა ენა.

ჩამოთვლილ ენებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს ხეთური ენა — იმ ხალხის ენა, რომელიც მეორე ათასეულის ნახევარში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მცირე აზიაში ბატონობდა და რომელიც სირიასა და პალესტინას წარმატებით ედავებოდა ეგვიპტელებს. ხეთური სიძველეების და ხეთური ენის შესწავლას მიძღვნილი აქვს სპეციალური, საკმაოდ ფართო ლიტერატურა. ხეთური ენის გამომკვლევებიდან, განს-

ვენებული ვინკლერის გარდა, შეიძლება დავასახელოთ მეცნიერნი: ფ. პროზნი, იენსენი, დელიზი, კრემჩერი, გიუსინგი, ზომერი, ვაიდნერი, ბორკი, ფორერი, ფრიდრიხი, დელაპორტი და სხვები.

ხეთური და სხვა მცირეაზიური ენების შესწავლა და აღიარება კდის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ გასცილებია პირველ საფეხურებს. დღემდე დადგენილიც კი არ არის ამ ენების ადგილი ძოფლიო ენათა კლასიფიკაციაში. ხეთური ენის ერთ-ერთ გამომკვლევს პროზნის დღემდე სჯერა ხეთური ენის ინდო-ევროპული წარმოშობა. ამ თვალსაზრისს ახვითარებდა და იცავდა პროზნი ჩვენი კავშირის სხვადასხვა ქალაქში წაკითხულ თავის ლექციებში. მაგრამ პროზნის თვალსაზრისი ოდნავადაც არ ჩაითვლება თანამედროვე მეცნიერებისთვის დადგენილად. ამ საკითხის ერთ-ერთი დიდი მცოდნე ი. ფრიდრიხი სწერს: „დადგენილი აზრი ხეთური ენის სხვა ინდო-ევროპულ ენებთან ნათესაობის შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს“ (იხ. ი. ფრიდრიხის „*Hetitisch und kleinasiatische Sprachen*“, გვ. 38).

არსებობს ერთი ჯგუფი მეცნიერებისა, რომელნიც უარყოფენ ძლიერ ინდო-ევროპულ ფენასაც კი ხეთურ ენაში. ამ მეცნიერთა რიცხვს ეკუთნიან: გიუსინგი, ბორკი, ბლეიზშტეინერი, ესენი, პირიჭით, ხეთურ ენას კავკასიურ ენათა ჯგუფს მიაკუთნებენ. მეცნიერთა ამ რიცხვს შეგვიძლია მივუძღვათ ვეიდნერიც.

მეტად არა მტკიცე საფუძველს ეყარება ის აზრი, ვითომ ხეთური ენა ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს ეკუთნოდეს, — აზრი, რომელსაც მკვეთრად უარყოფს მეცნიერთა მთელი ჯგუფი. ხოლო თუ ჩვენ ხეთური ჯგუფის სხვა ენებს მივმართავთ, სახელდობრ — პროტოხეთურს (ძველ ხეთურს) და ხურიტულს, ნიადაგი გამოივლება ამ ისედაც ძალზე სუსტ საფუძველს.

ძველი ხეთური უნდა იწოდოს იმ ხალხის ენას, რომელსაც ძველი ხეთური სამეფოს წარმოშობამდე კაპადოკია და მცირე აზიის სხვა ოლქები ეკავა. ხურიტულ ენად უნდა ვიგულისხმოთ იმ სახელმწიფოს ხალხის ენა, რომელმაც ბოლო მოუღო ხეთელთა ძველ სამეფოს.

ძველი ხეთური ენა დადასტურებულია როგორც ბოლასქოის არქივის საბუთებით, ისე ევროფონოდებული კაპადოკიური საბუთებით. ეს უკანასკნელი საბუთები დაწერილია ძველ აკადურ ენაზე და მიეკუთნებიან შესაძენ ათასეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაშასადამე, იმ ეპოქას, რომელიც წინ უძღოდა ხეთელთა ძველ სამეფოს წარმოშობას.

„დამტკიცებას არ საჭიროებს ის, რომ ძველ ხეთურ ენას, — სწერს ფრიდრიხი, — საერთო არაფერი აქვს არც ინდო-გერმანულ და არც სემიტურ ენებთან. იმულებული ვართ ფორერთან ერთად დავუშვათ, რომ ძველი ხეთური ჩრდილოეთ-კავკასიის ფლექსიური ენების მონათესაეა. ფორერის მოსაზრების დეტალური ანალიზი მოახდინა ბლეიზშტეინერმა,

რომელიც შედარებისთვის სარგებლობს სამხრეთ-კავკასიური და დასავლეთ-კავკასიური ენებიდან აღებული მასალით“ (იქვე, გვ. 43).

რაც შეეხება ხურიტულ ენას, თვით პროზნი ამტკიცებს, რომ ამ ენას საერთო არაფერი აქვს ენათა არც ინდო-ევროპულ, არც სემიტურ ჯგუფებთან და; ალბათ, იგი კავკასიურ ენათა ჯგუფს ენათესავება.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ხურიტთა ენა და მიტანიის ენა ან სავსებით ერთნაირი ენებია, ან განსხვავდებიან ურთიერთისაგან როგორც დიალექტები. გეტცე და ფრიდრიხი ფიქრობენ, რომ ხურიტთა ენა დიდად გავრცელებული იყო ხურისა და მიტანიის საზღვრებს გარეთაც და მოიცავდა, ალბათ, სირიას და პალესტინასაც კი.

თავის უახლეს ნაწარმოებში ხეთებისა და ხურიტების შესახებ გეტცე იმ აზრისაა, რომ ხურიტები, მიტანები და ხალდეები ერთი და იგივე ხალხია, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მატარებელი იყო (იხ. Hettiter, Huriter Assyrer).

გეტცეს აზრით, მიტანი-ად წოდებული ქვეყანა შეიცავდა მთელ ზემო მესოპოტამიას—კარხემიშიდან ვიდრე ტურ-აბდინამდე. ამ ქვეყნის აღმოსავლეთი საზღვარი, ალბათ, მდინარე ბითლისს აღწევდა. უფრო აღმოსავლეთით მდებარეობდა მეორე ქვეყანა—ხური ანუ ხარი; ხოლო ხეთების დიდი სახელმწიფოს ცენტრი, გეტცეს აზრით, უნდა ეძიოთ კანის ტბის რაიონში (ე. ი. ურარტუ.—ა. ს.).

ზემოაღნიშნულს ჩვენ გვინდა დავუმატოთ შემდეგი მოსაზრება. გეტცეს მიერ აწერილ რაიონებში ჰეროდოტეს დროსაც კი განაგრძობდა ცხოვრებას „მატიენ“-ად წოდებული ხალხი, რომელიც, ალბათ, ძველი „მიტანი“-ს შთამომავალს წარმოადგენდა. ეტიმოლოგიური არგუმენტის გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მატინეები სასპირებთან და აღაროდელეებთან, ე. ი. ხალდეებთან ერთად სპარსეთის მე-18 სატრაპიას შეადგენდნენ. რადგან სატრაპია სამხედრო ოჯახდაც ითვლებოდა, მასში ხალხებს აერთიანებდნენ ნათესაური ნიშნის მიხედვით. ამრიგად, მიტანე-ბი-მატიენები მონათესავე ხალხია ურარტ-აღაროდელეებისა არა მარტო გეტცეს, არამედ, რაც უფრო საგულისხმოა, ჰეროდოტეს მიხედვითაც. სტრაბონი უკვე აღარ იცნობს მატინეებს. მის დროს ამ ხალხის სახელი შენარჩუნებული ჰქონდა ურმიის ტბას, რომელსაც სტრაბონი მატინის ტბას უწოდებს.

ამნაირად, იმ ხალხთა ენები, რომელთაც ხეთებამდე მცირე აზია ეკავათ, არ ეკუთვნოდნენ ენათა ინდო-ევროპულ ჯგუფს. თუ მივმართავთ იმ ხალხთა ენებს, რომელნიც ხეთებს შემდეგ ბინადრობდნენ მცირე აზიაში, სახელდობრ: ლიდურ, კარიულ, ლიკიურ ენებს, დავინახავთ, რომ ეს ენები არ ეკუთნიან ინდო-ევროპულ ჯგუფს (ამის შესახებ იხ. „Alt-kleinasiatische Völker“ — „Reallexikon d. Assyriologie“-ში).

ზემოაღნიშნული თეორიაა — კავკასიის თუ ამიერ-კავკასიის ხალხების ენებთან ხეთური ენების ნათესაობის თეორია — დიდი ყურადღების ღირსია. ამ თეორიის სასარგებლოდ, მცირე აზიასთან ამიერ-კავკასიის გეოგრაფიული სიახლოვის გარდა, ლაპარაკობენ: ა) არქეოლოგიური, ბ) ისტორიული და გ) ენობრივი ხასიათის მთელი რიგი ფაქტები და მოსაზრებანი. შეზღუდული საგაზეთო წერილის გამო, აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტი და მოსაზრება.

აი ზოგიერთი მონაცემი ამ ხალხების მატერიალურ კულტურათა ნათესაობის საკითხის ირგვლივ.

ამიერ-კავკასიის ძველი მატერიალური კულტურის ობიექტების გაცნობისას ყურადღებას იქცევს ამ კულტურის სრულყოფილება და მაღალ საფეხურზე დგომა" (იხ. Hoernes Urgeschichte der bildenden Kunst, გვ. 623).

"ჩვენ ვერა ვხვდებით აქ მარტივი ფორმების თანდათანობით გადასვლას უფრო რთულ ფორმებში. კულტურა, რომელსაც აქ ვხვდებით, მაღალი და სრულყოფილია, თითქოს ლაპარაკი იყოს ბრინჯაოს კულტურის განვითარების უკანასკნელ ეტაპზე" (იხ. R. Virchow. Das Graeberfeld von Coban, გვ. 22).

ამიერკავკასიის ბრინჯაოს პრეისტორიის კულტურა სრულიად განსხვავდება ჩრდილოეთ-კავკასიის ბრინჯაოს კულტურისაგან, და ეს ფაქტი უაღრესი ყურადღების ღირსია. ჯერ კიდევ ლამო-დანილევსკიმ საუბრებით სწორად აღნიშნა, რომ ეს განსხვავება მით უფრო დიდია, რაც უფრო დაშორებულია ესა თუ ის წერტილი ამიერ-კავკასიის ჩრდილოეთ საზღვარს.

რომ ეს კულტურა სამხრეთ ხეთური კულტურის გაგრძელებაა, ამას გვიჩვენებენ დღევანდელ ამიერ-კავკასიაში ნაპოვნი ხეთური ობიექტები, იმის ძვირფას საბუთად, რომ ხეთებისა და ხეთური ხალხების პრეისტორიული კულტურა ენათესავება ამიერ-კავკასიის, მეტადრე საქართველოს მკვიდრთა კულტურას, ჩვენ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ როგორც საქართველოში, ისე მცირე აზიაში ფართოდ არის გავრცელებული უძველესი მრავალთახიანი კლდის ნაგებობები. ასეთ უძველეს ნაგებობებიდან საქართველოში განსაკუთრებით ცნობილია კლდეში გამოკვეთილი ციხეები, მაგალითად, ვარძია და უფლისციხე, რომლებიც მრავალ ასსოთახს შეიცავენ.

საქართველოსა და მცირე აზიისათვის უაღრესად დამახასიათებელია აგრეთვე კლდის სამარხები, ძალიან გავრცელებული მტკვრის, რიონის, ყვირილის, შარაულის ხეობებში. საქართველოს მსგავსად უაღრესად გავრცელებულია ამგვარი „კლდის სამარხები“ მთელს მცირე აზიაში. მრავლად მოიპოვებია ისინი მეტადრე კაპადოკიაში, კილიკიაში, ფრიგიასა და პატლაგონიაში.

ვარძიის, უფლისციხის, ვანის მსგავსი ნაგებობანი გულსხმობენ: ა) მძლავრ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს არსებობას, ხაზელმწიფოს, რომელსაც მონები ათიათასობით უნდა ჰყოლოდა; ბ) ასეთ ქვეყანაში ლითონისა და, მეტადრე, რკინის ტექნიკის მაღალ განვითარებულ ფაზისოდ ამგვარი ნაგებობების განხორციელება შეუძლებელია.

მოვიყვანოთ ისტორიულ-გეოგრაფიული და ენობრივი ხასიათის ზოგიერთ ცნობას.

სიძველეთა ცნობილ მკოდნეებს ედუარდ მეიერს და ჰომელს დიდი ხანია სარწმუნოდ მიაჩნიათ კავკასიელების, მეტადრე ქართველ-მეგრელების ნათესაობა მცირე აზიის უძველეს მკვიდრებთან — ხეთებთან და ხეთელ ტომებთან.

თანამედროვეობის უდიდესი ავტორიტეტი ძველი ისტორიის საკითხებში ედუარდ მეიერი სწერდა:


„კავკასიის რაიონები დასახლებულია მრავალრიცხოვანი ტომებით, რომელთა ეთნიური ბუნება ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოკვლეული. ამ ტომებს ერთმანეთთან თითქოს არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ. მათ შორის ყველაზე ცნობილნი არიან იბერიელნი (აწინდელი ქართველები), რომელთაც მტკვრის ხეობა უჭირავთ. ექვს გარეშეა, რომ ეს ხალხები ძველ დროში ღრმად იყვნენ შეჭრილი მცირე აზიასა და სომხეთში. მათ უნდა მივათვალოთ მოსხები-მესხები¹⁾ (ე. ი. ასურული წყაროებით — მუშკაია, ხოლო ბიბლიის მიხედვით — მეშხ) და ტობარენები (ე. ი. ბიბლიის მიხედვით ტუბალ, ხოლო ასურული წარწერებით — ტაბალი), რომელთაც ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ კაპადოკია ეჭირათ და იქიდან ესხმოდნენ ტიგროსის ველს“ (იხ. Ed. Meyer—Geschichte des Altertums, გვ. 475).

მეორე დასახლებული მეცნიერი ფრ. ჰომელი სწერდა:

„მცირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო იმ ხალხებით, რომელნიც ხეთებთან ერთად შეადგენდნენ ერთ მონათესავე ეთნიურ ჯგუფს. ხალხთა ამ ალაროდულ ჯგუფს ეკუთნოდნენ: ა) ელამიტები და კასეები; ბ) ძველი სომხეთის მკვიდრნი (ნამდვილი ალაროდიელები). ე. ი. ურარტუს (ბიბლიით — არარატის) მკვიდრნი, რომელთა შთამომავლობადაც უნდა ჩავთვალოთ ქართველები, მეგრელები, ლაზები და სვანები; გ) მცირე აზიის კვიდრნი — არიელების შესევამდე თრაკიიდან მცირე აზიაში; დ) ძალიან საფიჭრებელია — პელასგები და ეტრუსკები; ე) ალბათ, ესპანელი იბერები, რომელთა ნამსხვრევებსაც წარმოადგენენ ეხლანდელი ბასკები; ვ) აფრიკის ლიბიელები, რომელნიც, ალბათ, ესპანელი იბერების ნამსხვრევებს წარმოადგენენ“ (იხ. P. Hommel — Abriss d. Geschichte Vorderasiens, გვ. 58).

¹⁾ „მესხები“ ქართველი ტომია. „მესხეთი“ საქართველოს პროვინციაა — ქართული მწერლის შოთა რუსთაველის სამშობლო. — ა. ს.

ამ თეორიებს სავსებით ადასტურებენ ის მონაცემები, რომლებიც ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება:

ა) ქართული ქრონიკის თანახმად, ქართველების პირვანდელ სამშობლოს წარმოადგენდა მაზისის ქვეყანა (ე. ი. არარატს)  საქართველო

ბ) ცნობილი გეოგრაფი კიპერტი თავის დროზე სწავლის დროს სომხეთი ის ოლქია, სადაც გაბატონებული სომხის ხალხი მუდამ უმცირესობას შეადგენდა მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით, ეს მკვიდრი მოსახლეობა კი იბერებს ეკუთვნოდა" (იხ. Lehrbuch der Alten Geographie, გვ. 81).

იგივე კიპერი გადმოგვცემს, რომ ვანის, ბითლისის, ხარფუთის, დიარბექირის ვილაეტების თურქები ყოფილი ქართველები არიანო. აქაც ლაზმეგრული ტომები ღრმად იჭრებიან მცირე აზიის დასავლეთ ოლქებში.

ქართველ ტომებთან ხეთების ნათესაობის ეს უაღრესად საგულისხმო და, ჩვენის აზრით, სწორი თეორია, რომელსაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, წინა აზიის უახლესი ენობრივი მონაცემებიც ადასტურებენ, უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ შევადარებთ მცირე აზიისა და ეხლანდელ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებს.

ჯერ კიდევ კიპერტმა აღნიშნა ძველი მცირე აზიის გეოგრაფიული სახელების უცნაური დაბოლოებანი. ამ დაბოლოებათა ახსნა შეუძლებელია ბერძნული, ლათინური ან რომელიმე სხვა არიული გრამატიკის თვალსაზრისით. ეს დაბოლოებანი, რამდენადმე ელინიზებული დამატებითი დაბოლოების დახმარებით, ასე მოისმიან: 1) დ ო ს, ა ს ა, ე ს ა, ი ს ა. 2) ო ს ო ს, ს ო ს, 3) ა ნ დ ა, ე ნ დ ა, ი ნ დ ა, ო ნ დ ა. კიპერტი აღნიშნავდა, რომ გეოგრაფიული სახელები ასეთი დაბოლოებით ამიერკავკასიაშიაც გვხვდებაო. კიპერტს შეეძლო მოეხსენებინა აგრეთვე ის, რომ მცირე აზიისა და საქართველოში გვხვდება გეოგრაფიული სახელები „ეტის“ და „იტის“ (ქართულად: „ეთი“ და „ითი“) დაბოლოებითაც.

როგორც ცნობილია, გეოგრაფიული სახელი თავისთავად არა ჩნდება. თუ ორ სხვადასხვა ქვეყანაში ვხვდებით გრამატიკული სტრუქტურით აშკარა ერთნაირ გეოგრაფიულ სახელებს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ ქვეყანაში ოდესღაც ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობდა.

დავუბრუნდეთ ძველი მცირე აზიის გეოგრაფიულ სახელებს. „ასა“ და, მეტადრე, „ისა“ დაბოლოება ძალიან ხშირია საქართველოში. მაგალითები: ჯვარისა, დღნორისა, ლომისა. ამაზე უფრო ხშირია „ისი“ („ისოს“): ტფილისი, ქუთაისი, დმანისი, რუისი, ტირძისი.

ხშირია აგრეთვე საქართველოში ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომლებსაც, ძველი მცირეაზიური სახელების მსგავსად, „ნდა-ნთა“ დაბოლოება აქვთ. ასეთია: მინდა, გურიანთა, ლაღვანთა, ბიჭვინთა, კვერთა, ლომსიანთა.

მეტად ბევრია საქართველოსა და მცირე აზიაში „ეტის“-ით („ეთი“-თ) და „იტის“-ით („ითი“-თ) დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები. ასეთია საქართველოში მთელი რიგი დღევანდელი სოფლების, ქალაქებისა და ოლქების სახელები: იმერეთი, თიანეთი, კახეთი, ერკეთი, ლანჩხუთი, ხეთი, ბრეთი, არადეთი, საქაშეთი, ღვანკეთი, შიგორეთი.

მცირე აზიაში მაგალითისათვის აღენიშნავეთ მხოლოდ იმ ტბების სახელებს, რომლებიც გაფანტულია უზარმაზარ ტერიტორიაზე ამიერ-კავკასიასა და ძველ ფრიგიას შორის. ორი დიდი ტბა ფრიგიაში ძველად იწოდებოდა: კარალიტის, ტროგიტის; ვანის ტბა იწოდებოდა ფოსპიტის, ხოლო სევანის ტბა — ლიხნიტის. ამ ტბების სახელების ერთნაირი სტრუქტურა ცხადყოფს, რომ ოთხივე ეს ტბა ერთისა და იმავე ხალხით დასახლებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ ელინიზებული სახელების ქართული ფორმა იქნება: კარალეთი, ტროგეთი, თოსპეთი, ლიხნიეთი. საქართველოში დღესაც არსებობს სოფელი კარალეთი, რომელიც XII საუკუნეში თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა.

ქართულ კონსტრუქციას და მნიშვნელობას ააშკარავენ აგრეთვე მცირე აზიის მდინარეებისა და მთების სახელები. უდიდეს მდინარეს მცირე აზიაში გაღისი ეწოდება. ეს არის ელინიზებული მეგრული სიტყვა „გალი“, რაც ნიშნავს ხეობას, მდინარეს, წყალს. ასეთივე წარმოშობისაა მცირე აზიის მეორე მდინარის გაღუს-ის სახელი. ეს არის იგივე მეგრული სიტყვა „გალი“ ოღონდ ლაზური დაბოლოებით. მესამე მდინარეს (ანკარის მახლობლად) ენგურ-ჩაი ეწოდება, ე. ი. ისეთივე სახელი, როგორც აქვს მდინარე ენგურს საქართველოში.

მცირე აზიასა და სომხეთში ეხედებით აგრეთვე მთებისა და მთიანი ადგილების შემდეგ სახელებს, რომლებიც ადვილად აიხსნება ქართული გრამატიკის თვალსაზრისით. „ეგრი-დაგ“ ნიშნავს მეგრულ მთას. „გურჯი-ბოლას“ ნიშნავს ქართულ გასავალს, ქართულ ხეობას. „გრუჯლარ-კალესი“ ნიშნავს ქართველთა ციხეს, „ეგრი-კალე“ — მეგრულ ციხეს.

მცირე აზიაში ქართველი ტომების ხანგრძლივი ცხოვრების განსაკუთრებულ დამამტკიცებელ საბუთად უნდა ჩაითვალოს „ჯიკ“-ით და „ჯიხ“-ით დაბოლოებული გეოგრაფიული სახელების ფართოდ გავრცელება მცირე აზიაში. ჩვეულებრივ ეს სახელი, გერმანული „ბურგ“-ის და თურქული „კალე“-ს მსგავსად, დაერთვის კარგად გამაგრებულ თავდასაცავ ადგილს. „ბურგი“-ც და „კალე“-ც, როგორც ცნობილია, ციხეს ნიშნავს. მეგრულად „ჯიხა“ ციხეა. „არმენჯიკ“ — სომეხთა ციხე, „ოსმანჯიკ“ — ოსმალეთის ციხე და სხვა.

მცირე აზიაში ხშირია ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომლებსაც საქართველოში ეხედებით. ქვემოთ ერთ სვეტში მოგვყავს მცირეაზიური გეოგრაფიული სახელწოდებანი, მეორეში — მათი ქართული პარალელები.

მცირე აზია:

- ლორი (მდ. ლიქსის სათავეებში)
- სორა
- ქუთაია (ფრიგიის ქალაქი)
- განგრა (ასო „ნ“ ჩვეულებრივი ლაზ მებრული ფონეტიკური ჩანართია)
- გორდიონ (ფრიგიაში)
- მოხის-ოს
- მისტია
- თიანეთ-ის
- ქობულეთ-უს
- სამგორო
- კლდეკარა (მცირე აზიაში)
- კვარაჯიკ
- ჯიკ-დაგ (ლაზ-მებრულად ნიშნავს ციხეს, თურქულად — მთას)

საქართველო:

- ლორი (ტფილისის რაიონში)
- სორი (სოფელი რაჭაში)
- ქუთაია (ქ. ქუთაისის უბელი სა-საქართველოდ)
- გაგრა
- გორდი
- მოხის-ი
- მესტია
- თიანეთ-ი
- ქობულეთ-ი
- სამგორო
- კლდეკარი
- კვარაციხე
- ჯიხა-თა (ნიშნავს მთა-ციხეს)

მცირე აზიაში ძალიან ხშირია აგრეთვე „კარი“-ზე, „ხევი“-ზე, „თა-ვი“-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები. ქართულად ამ სიტყვების მნიშვნელობა ყველა ქართველმა იცის. მცირე აზიაში არის, მაგალითად, კიან-კარი, დურდუ-კარი, ძამენ-თავი (ადგილის სახელი ტავრის მთებში), ჩაირალან-ხევი, (ტერმოლონის შუა მდინარეებზე).

სრულიად განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ ადგილების, სალოცაეების, მთების სახელები, რომლებიც „დიდიმ“-ის „დინდიმა“-ს, „დინდიმა“-ს, „დინდიმენა“-ს ფორმით გვხვდებიან პეროდოტეს და უფრო ხშირად სტრაბონის ნაწერებში. არც ერთ მეცნიერს აზრად არ მოსვლია შეეხებინა ამ სახელებისათვის ქართული გრამატიკის თვალსაზრისით, — გრამატიკის, რომელიც სულ ადვილად ხსნის მათ მეტად მარტივ კონსტრუქციას. დინდიმა და დინდიმენა შესდგება ქართულ-მებრული სიტყვის „დიდი“-სა (ქართულად) ან „დინდი“-სა (მებრულად) და საკუთარი სახელის „მა“-საგან, „მენა“-საგან, ე. ი. დიდი მა ან დიდი მენა. საკუთარი სახელებით „მა“, „მენა“, „ნანა“ აღინიშნებოდა ნაყოფიერების ღმერთი. რომაელები ამ ნაყოფიერების ღმერთს „მაგნამა“-ს უწოდებდნენ, მაგნა მა-კი ზუსტი თარგმანია „დინდიმა“-ს ან „დინდიმა“-სი (დიდი მა).

რომ ჩვენი შეფარდება-შედალება შემთხვევითი არ არის, სიანს შემდეგიდან. ქართველები დღემდე მღერაინ ისეთ სიმღერებს, რომლებშიაც თანამედროვე ქართველებისათვის გაუგებარი სიტყვებია ჩართული. დაკვირვების შემდეგ გამოირკვა, რომ აღნიშნულ სიმღერებში გვხვდება წინა აზრის იმ ღმერთების სახელები, რომელთაც ასურულ-ბაბილონური,

ხეთური ან ბერძნული პანთეონიდან ვიცნობდით. ასეთია: ნახა, ალა-
ლუ, არალუ, ალიტ, ბელიტ, ია, ირიკია, ეა, ლა-
ლუ, ლილუ, აი.

ღმერთების ეს სახელები დადასტურებულია მეიერსის, მანსფელდის, პო-
მელის, გეტცის, რავლინსონის და სხვათა ნაწერებში. ამ სახელებით
ამ სახელების ირგვლივ შემდგომ კვლევა-ძიებას და აღენიშნავთ მხო-
ლოდ, რომ ალალუ ან არალუ ბაბილონურად ნიშნავდა ქვესკნელს თუ
ქვესკნელის სულს. ხეთურ პანთეონში მას ვხვდებით მნიშვნელობის აღუ-
ნიშნავად. „ალალუ“ ქართულ სიმღერებში გვხვდება ორ სხვა სიტყვასთან
შეერთებული. ეს სიტყვებია „იერი“ და „თარი“ („იერი-ალალუ“, „თა-
რი-ალალუ“). „იერი“ ბაბილონურად, პომელის მიხედვით, ნიშნავს
„უფალს — ბატონს“ და, როგორც ეტყობა შეესაბამებოდა ხალდურ „ეე-
რი“-ს, რაც იმავე უფალს ნიშნავს. მაშასადამე, ქართული „იერი-ალალუ“
იქნება „უფალი ალალუ“. „თარი“ სვანურად ნიშნავს „მთავარს“: „თა-
რი-არალუ“, მაშასადამე, იქნება „მთავარი ალალუ“.

მთელი ეს არგუმენტაცია ნაწილობრივ ზედმეტი იქნება, როცა მეც-
ნიერება იმდენად აითვისებს ძველ ხეთურ, მიტანიურ, ხურიტულ, ხალ-
დურ და ხეთურ ენებს, რომ შეადგენს ამ ენების შედარებითს გრამატი-
კას და შეადარებს მათ ქართულ ენასთან. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შორ-
სა ვართ ამისაგან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამჟამადაც შეგვიძლია მოვი-
ყვანოთ ზოგიერთი დასაბუთებული და ყურადსაღები მოსაზრება.

ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს
ის ყველას მიერ მიღებული აზრი, რომ:

- ა) ძველ ხეთურ, ხურიტულ და მიტანიურ ენებს საერთო არაფერი
აქვთ არც სემიტურ და ინდო-ევროპულ ენებთან;
- ბ) ეს ენები, აგრეთვე ხალდური ენა, ქართულ ენას ენათესავენაინ;
- გ) ეს ენები ურთიერთის მონათესავენი არიან.

ამ საკითხების დიდი ავტორიტეტი გეტცე თავის ახალ გამოკვლევაში
(ხეთებსა და ხურიტებზე) ფიქრობს, რომ ხურიტები, მიტანიელები და
ხალდები ერთი და იგივე ხალხია, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში სხვადა-
სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მატარებელი იყო. აღნიშნული
ერებიდან ყველაზე ახალგაზრდა ხალდები იყვნენ. ხალდების სახელმწი-
ფომ, რომელიც დაარსებულ იქნა დაახლოვებით 900 წელს ჩვენს წელთ-
აღრიცხვამდე, იარსება 600 წლამდე. ამ პერიოდის განმავლობაში იგი
ხშირად ედავებოდა ასურეთს პოლიტიკური ჰეგემონიისათვის წინა
აზიაში. ¹⁾

¹⁾ ხალდები ასურული წარწერებით იგივე ურარტელები, ხოლო პერიოდის მი-
ხედვით აღაროდებები არიან. აღწერილ ეპოქაში ხალდებს სახელმწიფოს ტერი-
ტორია შეიცავდა ძველ სომხეთს და სპარსეთს, სირიისა და მესოპოტამიის ნაწილს.

ხალდების ენის შესახებ ჯერ კიდევ ფრანსუა ლენორმა აღნიშნა თავის ასირიოლოგიურ წერილებში, რომ ძველ სომხეთში ნაპოვნი ლურსმული წარწერების ენა ძალიან ჰგავს ქართულ ენას. რუსი მეცნიერებიდან ამ მსგავსების ხაზს უსვამდნენ ნიკოლსკი, ბრუნიევი, მუშანინოვი. აკადემიკოს მარრის და მეტადრე მეშანიხოვის ვრცელ გამოკვლევებში ხალდების ენის შესახებ მკითხველი ნახავს ჯერ კიდევ ლენორმანის მიერ გამოთქმულ დებულების დასაბუთებას.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ გადმოცემული შეგვიძლია გეტყოს შემდეგი სიტყვებით დავასკვნათ:

„მეორე ათასეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე წინა აზიაში, მესოპოტამიის სემიტურ კულტურასთან და ეგვიპტის კულტურასთან ერთად, არსებობდა თავისთავად ხეთური კულტურა“ (იხ. Geetze — Das Hethiter — Reich, გვ. 7).

ამ კულტურის მატარებელი — ხეთები, ხურიტები, მიტანები მცირე აზიის უძველესი მკვიდრნი იყვნენ.

„კრეჩმენმა და ფიკმა გვიჩვენეს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ ამ უკანასკნელთ (ე. ი. ხეთებს.—ა. ს.) საბერძნეთის იმ მოსახლეობასთან, რომელიც იქ ინდო-გერმანელებამდე ცხოვრობდა. პაულიმ, გააფართოვა რა ეს წრე, გვიჩვენა მქიდრო კავშირი ეტრუსკებისა და პელასგების ენებს შორის; ძალიან ადრე მიაკუთნეს ამავე ჯგუფს აგრეთვე ლიგურიული ენა და პირინეის ნახევარკუნძულის იბერული ენა. ჯერ კიდევ პომელმა გამოსთქვა ის აზრი, რომ თანამედროვე კავკასიური ენები ამ ენობრივი ჯგუფის ნაშთებს წარმოადგენენო. პენრიხ ვინკლერი, ზორკი, ვიუსინგი შეეცადნენ დაედგინათ კავკასიური ენების ნათესაობა ელამურ და ძველი აღმოსავლეთის ლურსმული წარწერების სხვა ენებთან“ (იხ. P. Блейхштейнер: „Субары древнего Востока“. Сборник I ГАИМК имени Н. Л. Марра).

ამრიგად, ხეთური კულტურის ნაშთებს ვპოულობთ არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ საბერძნეთსა და იტალიაშიც. ფიქრობენ, რომ საბერძნეთსა და იტალიაში ინდო-გერმანელებამდე მცხოვრები მოსახლეობა ხეთ-მიტან-ხალდების მონათესავე იყო, ამასთან არა მარტო კულტურით, არამედ წარმოშობითაც (იხ. K. F. Lehman — Haupt Armenien einst und jetzt II, გვ. 928).

დიდი ავტორიტეტი ამ საკითხებში კრეჩმერი არჩევდა სამ ეთნიურ ფენას ძველი საბერძნეთის ტერიტორიაზე. აი ეს ფენები: ა) წინარეინდო-გერმანული ფენა, ბ) პროტოინდოგერმანული ფენა—კრეტომიკენის კულტურის მატარებელი და გ) ინდოგერმანული, ე. ი. ელინური ფენა (იქვე). აი ეს პირველი, ბერძნებამდე არსებული, ფენები მიაჩნდა მას ხალდების მონათესავედ. ამ ფენების გავლენის კვალი ძველ ბერძნულ ენასაც კი ემჩნევა.

საბერძნეთის პირვანდელ მოსახლეობას ჩვეულებრივ „პელასგებს“ უწოდებენ. პეროდოტეს მოწმობით, საბერძნეთს ძველად „პელასგია“ ეწოდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ეს პელასგები ენათესავებოდნენ არა მარტო მცირეაზიელებს, არამედ იტალიის პირვანდელ მოსახლეობასაც. რაელინსონი (და სხვებიც) ფიქრობდნენ, რომ პელასგები საბერძნეთსა და იტალიაში მცირე აზიიდან გავრცელდნენ.

იმავე პეროდოტემ შეგვინარჩუნა გადმოცემა იმაზე, რომ ეტრუსკები, ე. ი. იტალიის პირვანდელი მოსახლეობა, რომლისაგან რომაელებმა თავიანთი კულტურის დიდი ნაწილი გადაიღეს, — რომ ეს ეტრუსკები ლიდიური, ე. ი. მცირეაზიური წარმოშობისა იყვნენ.

როგორც ცნობილია, პეროდოტე ეტრუსკებს ტირენებად იხსენიებს. როგორც ეტყობა, ასე ეძახდნენ მათ მეზობელი ერები. თითონ ეტრუსკები კი თავიანთ თავს „რაზენა“-ს უწოდებდნენ. ეს სახელი ძალიან ჰგავს „ლაზონი“-ს, ე. ი. იმ ხალხის სახელს, რომელიც ლიდიის პირვანდელ მოსახლეობას შეადგენდა. დამახასიათებელია, რომ ეტრუსკებს თავიანთი თავი მცირე აზიიდან გამოსულ და ლიდიელების მონათესავე ერად მიაჩნდათ (იხ. H. Muehlestein. Die Etrucker, გვ. 7).

პეროდოტეს და ბევრი სხვა ბერძენი მწერლის თეორია ეტრუსკების მცირეაზიური წარმოშობის შესახებ შესანიშნავად დადასტურდა: ა) ეგვიპტური წყაროებით, სადაც ტურშა-ტირენები^{*)} მოხსენებული არიან იმ ხალხთა შორის, რომელნიც თავს დაესხნენ ეგვიპტეს; ბ) იმ ენობრივი და მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომლებიც ამ ბოლო დროს ეტრუსკოლოგებმა დაავროვეს.

ამრიგად ხეთები, ხურიტები, მიტანები, ხალდები, რომელთაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინათ შექმნეს ფართოდ გავრცელებული „თავისთავადი“ და მაღალი კულტურა, ალბათ, ერთი და იგივე ხალხი იყო, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფოს შემქმნელად გვევლინება. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ სახელმწიფოების ისტორიაში ადგილი არა აქვს პარალელიზმს და სინხროიზმს. ძველ ხეთურ სამეფოს მოსდევს ხურიტების სამეფო, ხურიტების სამეფოს — ახალ ხეთური სამეფო. ახალი ხეთური სამეფოს განადგურების შემდეგ, ალბათ, დამპყრობთა შესვეის შედეგად, ხდება მცირე აზიიდან ტირენების-ტურშა-ეტრუსკების გადასახლება იტალიაში, ხოლო ხალდებისა — წინა აზიის სილრმეში. ეტრუსკების სახელმწიფოს ანადგურებენ ლათინთა ტომები, ხალდებისას — კიმერიელები და მიდიელები. ხეთ-ხურიტ-მიტან-ხალდების შთამომავალნი არიან, აღნიშნული მონაცემების მიხედვით, თანამედროვე ქართველები.

*) სახელწოდება ეტრუსკი (Etruski) წარმოადგენს Turski-ს სახელწოდების ერთ-ერთ ფორმას (იხ. Hommel — Geographie und ethnographie des alten Orients, გვ. 63).

სარიგარო-გუროო არქივი

გაქვეყნებულია
გეორგიანული

პაატა გუგუშვილი

ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის

ახალი მასალები

საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მთავარ საისტორიო არქივში (ფონდი № 30) ინახება „საქმე“ № 14412, შემდეგი სახელწოდებით: „О выдаче пособия семейству умершего помощника Елисаветпольского уездного начальника кн. Баратова. Здесь же и о сложении с губернского секретаря кн. Баратова 245 р. серебром, числящихся на нем в долгу“.

ამ „საქმეში“ დაცულია საბუთები, სულ 15 ფურცლის რაოდენობით. „საქმე“ დაწყებულია 1845 წელს, ხოლო დამთავრებულია 1849 წელს.

აღნიშნულ „საქმეში“ დაცულია შეტად საინტერესო მასალა, რომელიც ახლა შექს პეტენს ნიკოლოზ ბარათაშვილის და მთელი მისი ოჯახის ყოფა ცხოვრებას, იმ მძიმე მატერიალურ პირობებს, რომელშიაც უზღებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა მე-19 საუკუნის დიდ ქართველ პოეტს. ცარიზმის ბიუროკრატია, როგორც მასალიდან სჩანს, ნ. ბარათაშვილს აფასებდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი წარმოშობით „საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი გვარიშვილისა და მეფის ერთგული მოხელე იყო“. მთელ ამ მიმოწერაში და მოხსენებებში ნ. ბარათაშვილისა და მისი ოჯახის შესახებ, ერთ სიტყვითაც არაა ნახსენები, რომ იგი იყო პოეტი, საზოგადო მოღვაწე და სხვ.

თვით იმ დახასიათებაშიც კი, რომელიც დიმიტრი ყიფიანის მიერ უნდა იყოს შედგენილი, სხვა არაფერია ნათქვამი ნ. ბარათაშვილის ღირსებათა შესახებ, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი იყო „ჯერ კიდევ შეტად ახალგაზრდა და თავისი საუკეთესო უნარიანობითა და ზნეობით იძლეოდა იმედებს ხელმწიფის კარგი და გულმოდგინე მსახურისა და იყო ერთადერთი ბურჯი ოჯახისა, რომელიც შესდგება დამბლადაცემული მისი მამისა, დედისა და სამი მოწიფულ დისაგანო“.

არ შეუდგებოთ ამ ახლად აღმოჩენილ საბუთებიდან ამონაწერების მოყვანას, არც მათ ანალიზს. ეს იმის საქმეა, ვინც ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დღემდე თავმოყრილი მასალის საფუძველზე იკისრებს პოეტის სრული ბიოგრაფიის დაწერას. ქვემოთ ჭრონო-

ლოგიური თანმიმდევრობითა და თვით დოკუმენტისათვის საჭირო აუცილებელ განმარტებათა დართვით ვათავსებ ამ საბუთებს.

1. 1845 წლის 30 ოქტომბერი. კავკასიაში სამოქალაქო სამართლებლოს უფროსის გენ.-ლეიტ. ლადინსკის და ნამესტნიკის კანკელეზიის დირექტორის მოვალეობის ამსრულებლის დ. ყიფიანის მოხელე კანკელეზიის ნამესტნიკს თავ. შ. ს. ვორონცოვს:

Сего месяца 10-го числа скончался в Елисаветполе помощник тамошнего уездного начальника губернский секр. кн. Николай Баратов, который, быв еще в весьма молодых летах, отличными своими способностями и нравственностью подавал надежды усердного слугу г-ю и был единственною подпорою семейству, состоящему из отца его, разбитого параличем, матери и трех взрослых сестер; они лишились в нем почительного сына, заботливого брата и последней надежды на средства к своему существованию.

Отец его м. кн. Мелитон Баратов более 30-ти лет служил при главном управлении переводчиком и, находясь на одре тяжкой болезни, до того беден, и семейство его терпит столько недостатка, что они не имеют возможности даже одеть себя, по обычаю в траурное одеяние. Хотя он и получает, по особенному ходатайству ген. фельд-маршала кн. Варшавского, 900 руб. серебром в год содержания; но продолжительная болезнь его и всеиные никакой недвижимой собственности делают это содержание недостаточным даже на наем квартиры и на пропитание сего семейства, принадлежащего по происхождению к лучшим грузинским фамилиям.

Подвергая все это в сердобольное воззрение вашего сият., имею честь покорнейше просить, во внимание к бедственному их положению и в личное для меня одолжение, пожаловать им на первые потребности 50 червонцев и назначить им в пособие годовое содержание вокояного 750 руб. серебром применив, по изложенным обстоятельствам, настоящий случай к 277 стат. 3-го тома устава о пенсиях и пособиях по силе которой, таковое пособие выдается семейству умершего в Закавказском крае на службе чиновника.

Ген.-л. Ладинский;

и д. директора Книшани.

Его сият. господину нам. Кавказского ген. губернатору Новороссийскому и Бессарабскому.

ЦАУГ; ГИА, ф. 80. 1845-1849 г.г. АРХ. № 14412. О выдате пособия семейству умершего помощника Елисаветпольского уездного начальника кн. Баратова. З есь же и о сложении с губернского секр. кн. Баратова 245 руб. серебром, числящихся на нем в долгу, на 15 лл., лл. I, I. об.

2. 1845 წლის 11 დეკემბერი. მ. ს. ვორონცოვის მიწერილობა კავკასიის სახაზინო პალატისადმი:

Получив донесение г. начальника гражданского управления Закавказский край, о смерти помощника Елизаветинского уездного начальника, губернского секретаря Николая Баратова который был единственною подпорою семейству состоящему из отца его м. кн. Мелитона Баратова разбитого параличем, матери и трех взрослых сестер, предлагаю казенной палате выдать сему семейству на основании 277 ст. Уст. О пенсиях тома 3 св. законов (издание 1842 г.) в единовременное пособие годовой оклад жалованья покойным кн. Баратовым получаемый, на должности помощника уездного начальника, семьсот пятьдесят рублей серебром за надлежащим вычетом. (რქვე ფ. 2).

3. 1846 წლის 28 თებერვალი. მელიტონ ბარათაშვილის ბარათი კავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსს გენ.-ლეიტ. ს. ვ. ბებუთოვისადმი:

Ваше превосходительство. Милостивый государь, Степан Васильевич! По случаю смерти сына моего, находившегося в Елизаветинском помощником уездного начальника, коллежского секр. кн. Николая Баратова, доставлявшего пропитание целому моему семейству, — начальник гражданского управления, господин ген.-л. Ладинский, приняв живое участие в плачевном моем положении как по крайнему состоянию моему, так и по потере невозвратного для меня, ходатайствовал у его сият. нам. кавказского, о выдаче мне годового оклада жалованья, производимого сыну моему и еще других 50 червонных в виде пособия для исполнения над умершим церковного обряда. Кн. Михаил С. (Воронцов) изволил разрешить то и другое. Первое из них я уже получил из здешнего уездного казначейства, а другое осталось без выдачи (как мне говорено) потому именно, что не было тогда той суммы, из которой надлежало ассигновать ее впредь до получения оной откуда следовало. И таким образом по сие время означенных 50 червонных я не получаю.

Ваше прев., если ассигнование его сият. 50 червонных к выдаче мне иметь основание, то приемлю смелость всепокорнейшее просить вас, приказать ускорить выдачу мне оных. В противном же случае позвольте обратиться к вам всенизжайшею просьбою, как к особе испытанном в благодеяниях, оказанных и оказываемых вами тысяче подобным и несчастным как я, лишенному единственного в мире сына, доставлявшего пропитание мне и моему семейству и разбитому параличем от невыносимой горести, постигшей меня при старости

лет. Побуждением к этому служит мне то обстоятельство, что половину пенсии в количестве 900 руб. серебром монаршей милости мне производимой, получают частные лица, ссудившие меня деньгами, нужными на лекарства и прочие потребности при ^{длительном} болезненном моем состоянии, в котором и теперь нахожусь, что не неизвестно и вашему превосходительству, и через это крайность моя невыразима. Всю надежду полагая на ваше добродушие и всегдашнюю вашу готовность подать руку помощи всем находящим в сострадательное положение, питаю себя совершенною надеждою, что ваше прев-во не откажетесь быть мне благодетелем.

С истинным высокопочтенным и совершенною преданностью имею честь быть, вашего прев-ва, милостивого государя, всепокорнейший слуга кн. Мелитон Баратов, майор. (იქვე, ფ. 3-4).

მელიტონ ბარათაშვილის ზემოთ მოყვანილი ბარათის შემდეგ ბებუ-თოგმა იშუამდგომლა ნამესტნიკის წინაშე, რათა ნიკოლოზ ბარათაშვილის შიშობის მიუხედავად ერთდროული დახმარების სახით 50 ჩერვონეცი, იმ დროს ოფიციალური კურსის მიხედვით პოლანდური ჩერვონეცი უდრიდა ვერცხლის 3 მანეთს. 1846 წლის 12 მარტს მ.ს. ევრონკოვმა განკარგულება გასცა, მიუხედავად ბარათაშვილისათვის 150 მანეთი „ლარიზ მოხელეთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად ასიგნებული თანხებიდან“ (იქვე, ფურც. 4-5).

4. 1846 წლის 8 ივნისი. მოხსენებითი ბარათი კავალერიის შაიორის თავად მელიტონ ბარათაშვილისა მის ბრწყინვალეებას კავკასიის ნამესტნიკს ინფანტერიის გენერალს, გენ.-ადიუტანტს და კავალერს თავ.მ.ს. ევრონკოვს:

Из лично поданного вашему свят-ву о службе моей, формулярного списка, усмотреть изволите, что в продолжении 37-ми лет, служба моя с. и. в. была ознаменована похвальными заслугами, оказанными мною в разные смутные времена сего края, коими неоднократно обращал я на себя внимание бывших главноуправляющих Грузиею доводивших об оных до сведения всеавг-го монарха. Но всему этому впоследствии положили конец престарелые лета, при ежедневной болезненной состоянии моем, заставившем меня искать под скромным кровлем своим мирную быть, утешая себя мысленно, что сын мой коллежский секр. Николай Баратов, составлявший всю надежду благоденствия моего семейства, будет служит царю верою и правдою за меня и за себя, что и исполнилось им свято. Но невозможная судьба, замыслившая вопреки гласу тайны сердца моего, прекратила жизнь его, последней моей надежды утешения, который доставил мне и семейству моему пропитание. Ваше спат-во, настоя-

шее мое положение кажется не требует уже объяснения, а разбит параличем, я в долгах, я словом сказать в плачевном состоянии. Содержание, которое за мою заслугу по милости всемогущественнейшего монарха я получаю в количестве 900 рублей серебром, могло еще сколько нибудь обеспечить существование мое и моего семейства при трех взрослых и малых дочерях, но к несчастью моему, из означенного содержания делается вычет ежемесячно в уплату долгов моих простирающихся до 1000 рублей серебром, а что касается до собственного состояния, я его давно не имею, и не имею даже собственного дома, а плачу за квартиру 250 рублей серебром, кои так же удерживаются из того же содержания.

Вот повод, который дает мне смелость утруждать особу вашего сиятия и просить обратить на мое положение особенное ваше внимание, — внимание, которое виновником благосостояния многих тысяч ровных мне в несчастьи и тем доставить при настоящем угнетенном моем положении возможность более или менее без труда дышать и тем заставите меня с семейством прославлять имя вашего сиятия во веки. м. кн. М. Баратов.

ნამესტნიკისათვის ესოდენ მოწიწებით და უკვე შეერლომლესი გრძობებით მიერთმეული შემოსენებული მოხსენებითი ბარათის შედეგად მელიტონ ბარათაშვილს არაერთარი მოწყალეობა არ უბოძეს. ნამესტნიკის კანცელარიის ერთ-ერთი ნობელე იმასაც კი აღნიშნავს, რომ მ. ბარათაშვილს ის 900 მან. წლიური პენსიაც არ ერგება თუ არა გენ. პასკევიჩის გულკეთილობაო.

1847 წლის 20 დეკემბერს გენ.-ლეიტ. ბებუთოვი კვლავ შუამდგომლობს ნამესტნიკის წინაშე, რათა მელიტონ ბარათაშვილისათვის, რომელიც, „обремененный многочисленным семейством, походить в самом крайнем положении, почти без дневного пропитания“, შეეცათ ერთდროული დახმარება ექსტრაორდინალური თანხებიდან 100 ჩერვონეცის რაოდენობით „აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“, რადგან პენსია, რომელსაც იგი ღებულობს, „თითქმის მთლიანად ვალებს უნდება“-ო (იქვე, ფურც. 9). მ. ს. ვორონცოვი იმავე დღეს გაცნა ბრძანება, რათა მისს ხაზინადარს ბელიაევს გაცნა 100 ჩერვონეცი ხელწერილის ქვეშ გენ. ბებუთოვზე მელიტონ ბარათაშვილისათვის გადასაცემად (იქვე, ფურც. 10).

5. 1849 წლის 20 დეკემბერს. გენ.-ლეიტ. ბებუთოვის მოხსენება კავკასიის ნამესტნიკს თავ. მ. ს. ვორონცოვს:

М. кн. Мелитон Баратов, в октябре месяце сего года подал мне просьбу, что на умершем сыне его губернским секр. Баратове осталось в недоимке 245 руб. серебром, полученным им из казенной па-

ლინი, чтобы она распорядилась выискать те 245 рублей серебром с матери Баратова, воспользовавшейся имуществом сына, и отсылать в казну. Между тем, принимая в уважение объяснение в докладной записке м. кн. Баратова обстоятельств, и по соображениям затруднительности, во взыскании почитающихся на умершем сыне его 245 рублей серебром, губернское правление полагало бы: деньги эти, как безнадежные к поступлению, со счетов и из недоимки исключить.

Упомянуемого в этом представлении губернского правления рапорта Елисаветпольского уездного начальника подполковника кн. Орбелиана к ген.-л. Ладивскому, коим он ходатайствовал о принятии на счет казны означенных 245 рублей,—в делах не оказалось.

Соглашаясь с вышеизъясненным заключением губернского правления, и зная лично, что м. кн. Мелитон Баратов, находящийся в болезненном положении по случаю разбития параличем,—не имеет никакого состояния и даже терпит нужду в содержании,—я справедливым долгом поставлю ходатайствовать пред вашим сият. об освобождении его, кн. Баратова, от вышеизъясненного взыскания, должных умершим сыном его 245 рублей серебром, и о сложении таковых денег со счетов недоимки.

6. 1849წ. 31 დეკემბერი. მ. ს. ვორონცოვის მიწერილობა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროს გენ.-ინჟანტ. თავ. ბებუთოვისადმი:

На губернном секр. кн. Баратове, числится по счетам Тифлисского уездного казначейства в недоимке 245 р. серебром, полученные им в счет жалованья, при отравлении к должности помощника Елисаветпольского Уездного начальника.

Губернское правление, за смертью Баратова взыскание этих денег обратило на мать его, которая воспользовалась его имуществом, а по смерти ее полиция без разрешения начальства взыскивает деньги эти с отца помянутого чиновника, м. кн. Мелитона Баратова.

Усматривая из доклада вашего сият. от 20 декабря № 233, что по смерти чиновника Баратова хотя осталось незначительное имущество, но оное при отдаче матери его оказалось истлевшим и негодным к употреблению, поэтому ни она, ни муж ее м. Мелитон Баратов оным не воспользовались, я разрешаю деньги эти как совершенно безнадежные к поступлению в казну со счетов и из недоимки исключить; и об этом не оставьте сделать надлежащее распоряжение.

(ЦАУГ, ГИА, ф. № 30, АРХ. № 14412, 1845—1849 гг., на 15 л. л. 15.)



დავით კობიძე

ირანელი პოეზები ქართულად

(ამ. ჭელიძის „ირანელი ლირიკოსების“ გამო)

ირანული ლიტერატურის შესწავლა დღეისათვის დაინტერესებულთა კულტურული კაცობრიობა. ირანის სახელოვანი მწერლებისა და პოეტების — ფერდოსის, ომარ ხაიამის, საადი შირაზელის, ჰაფეზისა და სხვების ნაწარმოებნი დღეისათვის გადათარგმნილია როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ ენებზე.

ამ მხრივ პირდაპირ სამაყოს ჩვენი ხალხის ლიტერატურული წარსული: ირანულ მწერლობაში თითქმის არ მოიპოვება არც ერთი თვალსაჩინო ლიტერატურული ძეგლი, რომელსაც თავის დროზე თავისებური გამოხატულება არ ჰქონოდა ქართულ ლიტერატურაში. ქართულმა მწერლობამ თარგმნისა და გადმოკეთების სახით განადგურება-დაღუპვისაგან გადაარჩინა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომელთაგან დღეს ირანულ მწერლობაში მშრალი ცნობების გარდა აღარაფერია დარჩენილი.

აეილოთ, თუ გნებავთ, ჩვენი „ეპისამიანი“. მართალია, ეს შესანიშნავი ნაწარმოებები ირანულზედაც არსებობს, მოპოვება მისი ორი ბეჭდური გამოცემა, მაგრამ ქართული „ეპისამიანი“ ამჟამად არსებულ ირანულ ვარიანტებზე ბევრად მაღლა დგას. რადგან იგი უსათუოდ ირანული დედნის პირველ რედაქციიდან მომდინარეობს, რის გამოც მას შოფლიო მნიშვნელობა ენიჭება.

ძალიან მკიდრია ქართულ-ირანულ ლიტერატურათა კავშირი, დღეისათვის პრობლემები, რომლებიც ამ მხრივ ისმის როგორც ქართული, ისე ირანული ლიტერატურის წევრებართა წინაშე, — პრობლემები, რომლებზედაც არა ერთხელ შეტევებულა ჩვენი სახელოვანი მეცნიერი აკადემიკოსი ნიკო მარტი. სწორედ მარტს ეკუთვნის პირველი საბოლოო ისეთ მეტად მძიმე გზაზე, როგორცაა ქართულ-ირანულ ლიტერატურათა ურთიერთობის პრობლემების აკადემია.

თუ წინადა ქართული ფეოდალური არისტოკრატის მოწინავე ნაწილი გატაცებული იყო ირანული მწერლობით და ხშირად თარგმნიებდა პოეტებს ირანულიდან ან თუ ამ ლიტერატურულ ნაწარმოებს, რა თქმა უნდა, ისეთს, რომელიც ფეოდალური არისტოკრატის, როგორც გაბატონებული კლასის, ინტერესებს შეეფარდებოდა, დღეს სულ სხვა მიზნები ამოძრავებს ქართულ საბჭოთა საზოგადოებრივობას, რომელშიაც საკმაოდ გაიზარდა ინტერესი როგორც საერთოდ აღმოსავლეთის, ისე უკრძოდ ირანული ლიტერატურისადმი. ეს გარემოება კი თავის მხრით დიდი სტიმულის ეპოქაში მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველ დროშის ქვეშ ახლად წამომდგარი ქართული საბჭოთა კულტურის ჩქარი ზრდის მიყენებელია.

რამდენიმე საუკუნის წინადა ჩვენში გაბატონებული ლიტერატურული ტრადიცია — ირანულ მწერლობიდან გადმოღება-გადმოთარგმნის ტრადიცია — ხანგრძლივად

მივიწყებულ იქნა. ამ მხრივ დუმილი პირველად დაიარღვია პროფესორმა იუსტინე აბულაძემ, რომელმაც ირანულიდან სთარგმნა მსოფლიოში სახელგანთქკნილი ირანელი პოეტის ომარ ხაიამის რამდენიმე ზოგადი („კავკასიონი“, № 1-2, 1924, გვ. 171). პროფ. აბულაძის შემდეგ ომარ ხაიამის თარგმნას ხელი მოჰკიდა ამხ. ამ. ჭელიძე, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში თითქმის ყველა ცნობილი ირანული ლექსთა თარგმანების კრებული გამოაქვეყნა.

მუშაობა, რომელსაც ამხ. ამ. ჭელიძე ასე გაცხოველებით აწარმოებს, მეტად მნიშვნელოვანია და სასიქადულოც. ეს გარემოება თავის მხრივ ადიდებს მის პასუხისმგებლობას მკითხველთა წინაშე. მთარგმნელი მოვალეა დიდი სიფრთხილით მოიტყუეს ყოველ ლექსს, ყოველ სტრიქონს, დიდი დაკვირვებით გადმოიღოს იგი ქართულად, რადგან, წინააღმდეგ ჩვენში გაბატონებული შეხედულებისა, ირანული ენა თავისი მრავალნაირი თავისებურებით უსათუოდ ძნელი ენაა და ხშირად ამა თუ იმ მთარგმნელს გამოუდის იმის საწინააღმდეგო, რაც დედანშია მოცემული, ან სულ სხვა რაღაც, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ორიგინალთან.

ფიქრობ, მთარგმნელი ვალდებულია აგრეთვე საკმაოდ იცნობდეს იმ ნაღზის ლიტერატურის ისტორიას, რომლის მწერალსაც სთარგმნის, იცნობდეს ლიტერატურას მწერლის შემოქმედებაზე და, შესაძლებლობის ფარგლებში, წარმოდგენა ჰქონდეს მწერლის სოფლმშენებლობაზედაც. ყოველივე ეს დიდად გაუადვილებს მთარგმნელს თარგმანის შესრულებას.

როგორც ეტყობა, ამხ. ამ. ჭელიძე ამ მხრივ საკმაოდ არ უნდა იყოს შეიარაღებული, და, ალბათ, ამით ითხნება, დედანში გამოთქმულ აზრთან შედარებით, ის უხერხულობა, ზოგჯერ შეუსაბამობა, რითაც ხასიათდება ამხ. ჭელიძის თარგმანების ზოგიერთი ადგილი. მაგალითად, საადი შირაზელის ცნობილი ნაწარმოების „გოლესთანის“ ერთ ადგილს იგი ასე გადმოგვცემს:

„პირუტყვს მაშინ ვეჯობივართ,

როცა ჭკვიანებს ვიტყვით.

პირუტყვი შენ გჯობია,

თუ ღარიბი ხარ სიტყვით“

(„ირანელი ლირიკოსები“, გვ. 118).

გამოდის, რომ ვინც სიტყვით ღარიბია, პირუტყვზე დაბლა მდგარა. ასეთი რაზ არ შეიძლება ეთქვა ირანული ლიტერატურის სიამაყეს საადის პირიქით, მას მთელ რაგები აქვს, სადაც იგი მეტყველებაზე უფრო მაღლა დუმილს აყენებს. დედანში სწორედ ამხ. ამ. ჭელიძის თარგმანის საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული. საადი წერს:

„მეტყველებით ადამიანი სჯობია პირუტყვს,

პირუტყვი შენ გჯობია, თუ არ ლაპარაკობ სივართლეს“.

(იხ. საადი შირაზის „გოლესთანის“ წინასიტყვაობა).

აქვე უნდა აღინიშნოს ის ცნობილი ამბავი, რომ ირანულიდან თარგმნის დროს ხშირად აუცილებელია არაბული ენის მუშარჯეება, რისი შესაძლებლობაც, როგორც ეს აღნიშნული თარგმანებიდან ჩანს, ამხ. ამ. ჭელიძეს არ უნდა ჰქონდეს. იმავე „გოლესთანში“ ერთ ადგილას (მეშვიდე თავში) გვიხსნის შემდეგნაირად:

„ეგებით აფთად ფთონეი დერ შამ“

ამ ადგილს ამხ. ჭელიძე ასე სთარგმნის:

„დრო აირია, და ღამით გულგახებთქილები“ („ირანელი ლირიკოსები“, გვ. 121)

ვისაც ირანული ენის ვლემენტალური ცოდნა მაინც აქვს, ის ვერ დაეთანხმება ა. ჭელიძეს სიტყვა „ეგბთ“ ირანულში შარბულად „დროს“ აღნიშნავს. მაგრამ იგი ზე. მო წინადადებაში „იოი ეგბდეთით“ (განუსაზღვრელი წყევით) გვედღნება და ნიშ.

წავს „ერთ დროს“, „ერთხელ“: „აფთხად ფათინი“ ნიშნავს ჩამოყარდა, მოხდა არეულობა. „დერ“ ნაწილაკია და ხშირად უდრის ქართულ „ში“-ს. „შამ“ არის კელიძეს გაგებული აქვს „ღამედ“ და აქედან „დერ შამ“, კელიძის აზრით. ნიშნავს „ღამეში“ „ღამით“. მართლაც, ზოგიერთ ლექსიკონში სიტყვა „შამ“ განმარტებულია „საღამოს“ „ვახ-შამ-ის“ მნიშვნელობით. მაგრამ აქ, ამ სტრიქონში ყოველგვარად უნდა ვთქვათ, რომ იგი „საღამოდ“, ან „ღამედ“, ან „ვახშმად“ იქნას გაგებული. აქ იგი ქვეყნის, სახელდობრ სირიის არაბული სახელწოდებაა, და ზემოთ მოყვანილი სტრიქონის სწორი ქართული თარგმანი იქნება:

„ერთხელ მოხდა არეულობა სირიაში“. და არა „დრო იარია, და ღამით გულგახეთქილები“, როგორც ეს ამხ. ამ. კელიძეს აქვს გადმოთარგმნილი.

კელიძეს ქართულად გადმოღებული აქვს აგრეთვე სამანიდების დროის პოეტის, ბესიმისტის შაჰიდ ბალხელის მთელ მსოფლიოში ცნობილი შემდეგი ლექსი:

„აგარ ღამრა ჩუნ აფეშ დედ ბუდი,
ჯაჰან თარიქ ბუდი ჯაეიდანა;
დერ ინ გიიი სერასერ გარ ბაგერი
ხირედმენდი ნეიანი შადმანა“.

ამის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ასეთი იქნება:

„რომ მწუხარებას, როგორც ცეცხლს, კვამლი ჰქონოდა,
ქვეყანა ბნელი იქნებოდა სამუდამოდ,
ეს ქვეყანა, რომ კიდით-კიდე მოიარო,
ერთ გონიერსაც ვერ იპოვი მზიარულს (ვერსად)“.

ამხ. ამ. კელიძე კი ასე სთარგმნის:

„მწუხარებისთვის თუ ხარ, როგორც ცეცხლისთვის ბოლი,
ქვეყანა შენთვის სამუდამოდ იქნება ბნელი.
მთელი ქვეყანა კიდით-კიდე, რომ დაიარო,
თუ გონება გაქვს, სიამე შენ გექნება ძნელი“
(„ირანული ლირიკონები“, გვ. 239).

ვფიქრობ, არც აქ არის სწორად გადმოცემული შაჰიდ ბალხელის ლექსის შინაარსი. ვინ იცის, იქნებ მთარგმნელი სხვა ვარიანტით სარგებლობდა, სასურველი კი იყო, რომ ზემოდმოყვანილი ვარიანტით ესარგებლა, რადგან ის არის მიღებული როგორც ევროპის, ისე საბჭოთა ირანოლოგთა მიერ. უფრო საფიქრებელია, რომ კელიძე ამ ვარიანტით სარგებლობდა, მაგრამ მას ერთმანეთში აერია სიტყვა „ბუდი“-სი და „ხირედმენდი“-ს ფორმა, წარმოიადგინა ისინი მეორე პირისთვის და ამ მიზეზით მოხდა ლექსის ნამდვილი აზრის გაუგებრობა.

ამხ. კელიძეს აქა-იქ შეცდომები აქვს, მაგრამ საერთოდ არ შეიძლება ითქვას, რომ მან ირანული ან იცის. პირიქით, მას ხშირად გადაღახული აქვს ირანულის მთელი რიგი სიძნელენი და ზოგიერთი ლექსის თარგმანი, დედანთან სახსლოვის თვალსაზრისით როგორც ევროპულ. ისე რუსულ ენაზე დღემდე ირსებულ თარგმანებს არ ჩამოუვარდება. მართალია, ამხ. ამ. კელიძეს საკმაოდ ენელებს საადის თარგმანა, სამაგიეროდ ემარჯვება ომარ ხაიმის გაგება და გადმოქართულება, თუმცა ილია-ილაგ აქაც არის მცირე გადახვევები, რომელნიც დიდ გაუგებრობას არ იწვევენ.

ამხ. კელიძე, ეტუობა, კარგა ხანია მუშაობს ომარ ხაიმის ქართულად გადმოთარგმანაზე. უკრ კიდევ 1933 წელს გამოაქვეყნა მან „სპარსული ლირიკა“, რომელშიაც ომარ ხაიმის სახელით 212 რომაია წარმოდგენილი. აღნიშნული წიგნის გამოქვეყნების

შემდეგ მან 50 რომაი უფრნალ „ნიათობში“ დაბეჭდა 1935 წელს. ესეი/სენი და ხელად შესრულებული თარგმანები ამჟამად მოთავსებულია წიგნში „ირანელი ღირსი კოსები“, სადაც ჩვენ 483 რომაის ვითვლით, აპრივად, მთელი წიგნი გვაქვს ქართულად. ეს, რა თქმა უნდა, აშშ. ა. კელიძის დიდი დასაშურებავა, მაგრამ, სამწუხაროდ, მორე მომენტი უკურადღებოდ არის მიტოვებული.

ომარ ხაიამის ლექსების—რომაიების მრავალი გამოცემა არსებობს, ხშირად გამოდის მისი თარგმანებიც სხვადასხვა ენაზე. ომარ ხაიამი, როგორც მოგვსენებთ, დიდ პოეტადაა მიჩნეული, მაგრამ მის სიდიდეს თან სდევს იქვი, და ეს იქვი დიდხანია მოსვენებას არ აძლევს ხაიამის მკვლევარებს. ცნობილია, რომ ბევრი რომაი, რომელიც წინად ხაიამისა ვგონათ, გამოკვლევებშიაც შეჭკონდათ და მათზე დაყრდნობით მეცნიერული ხასიათის დასკვნებიც გამოქკონდათ, დღეს ყალბადაა მიჩნეული და ხაიამის სახელს საბოლოოდ უნდა ჩამოეშორათ. ზოგი მათგანი დაწერილია ხაიამზე ადრინდელი პოეტების მიერ და ზოგიც ხაიამის შემდეგ (იხ. Paul Horn „Geschichte der persischen Litteratur“, Leipzig, 1909, გვ. 152), ბევრი რომაი კი სადაოდ რბება; როგორც ომარ ხაიამის წინა პერაოდის, ვგრედწოდებულ საპანიდების ეპოქის პოეზიის, ისე თვით ომარ ხაიამის თანამედროვე პოეტების ნაწერთა გაკნობის შემდეგ, ექვი იბადება ზოგიერთი იმ რომაის მიმართაც, რომლებსაც უკრუკრობით ომარ ხაიამს მიაკოტენებენ. შესაძლებელია, ბევრი რომაი ხალხური შემოკმედების საგანძურადან მომდინარეობდეს და ომარ ხაიამთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს.

ტექსტის დადგენის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ომარ ხაიამის, ისე სხვა ირანელი კლასიკოსების საქმე დღემდე მოუგეარებელია. მაგალითისათვის მოგახსენებთ, რომ ეეროპა დიდხანია გატაცებულია დიდი ირანელი ლირიკოსით—ჰაფეზით. ამ პოეტის მრავალი თარგმანი არსებობს. ამ ბოლო დროს იპოვეს უძველესი ზელნაწერი, და აი ამ ზელნაწერში არ მოიპოვება ბევრი ლექსი, რომელიც უკანასკნელ დრომდე ჰაფეზის კოთენილებად იყო მიჩნეული (იხ. E. Bartel's: „Абул-касим Фирдоуси и его творчество“. Ленинград-Москва, 1935, стр. 31—32).

დიდი სიფრთხილე მართებს ამ მხრივ მთარგმნელს. მართალია, მთარგმნელს არ ძალუძს გამოარკვიოს ამა თუ იმ ლექსის ავტორის ნამდვილი ვინაობა, მაგრამ იგი ვალდებულია გამოიყენოს ყოველივე, რაც ამ მიმართულებით გაკოთებულია სხვადასხვა მკვლევარის მიერ.

ერძოდ, ომარ ხაიამის სახელით ცნობილი ყალბი რომაიების გამოსამეღენებლად დიდი მუშაობა სწარმოებდა და სწარმოებს. ამ მხრივ ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის დიდ რუსს მკვლევარს ვალენტინ ეუკოვსკის (В. Жуковский: „Омар Хайям и „странствующая“ четверостишия“. Сборник статей учеников проф. Барона Виктора Романовича Розена. СПб. 1897, стр. 325). მან მზის სინათლეზე გამოიტანა 82 რომაი, რომლებიც გვხვდება აბუ საიდის, ომარის, უკულალედინ რუმის, ჰაფეზისა და სხვა პოეტების ლექსთა კრებულებში და რომლებიც ომარ ხაიამის სახელით იყო ცნობილი.

სამწუხაროდ, ვ. ეუკოვსკის ამ დიდ გამოკვლევას ხშირად ივიწყებენ, და აშშ. ა. კელიძიც ამით რიცხვს ეკოთენის. მის თარგმანებში ბლომად გვხვდება ომარ ხაიამის სახელით გასაღებული რომაიები, რომელნიც, ეუკოვსკის ზემო დასახელებული გამოკვლევის თანახმად, ომარ ხაიამისად ვერ ჩათვლებიან.

მაგალითისთვის ავიღოთ (ეფურცლით „ირანელ ლირიკოსებს“) რომაი 2: „ვისაც ზელში ნახევაი პური აქვს“, და სხვა. ეს რომაი გვხვდება უკულალედინ რუმის ნაწერებში. იგი სხვებსაც მიეწერება (იხ. ვ. ეუკოვსკის გამოკვლევა, გვ. 351, რომაი 33).

რომაი 94: „იმ სასახლეში, ბაპრაბი რომ ფიალას სკლიდა“ — მიეწერება ჰაფეზს (ეუკოვსკი, გვ. 347, რომაი 15).

რობაი 97: „მიწის ფარდაგზე ბევრსა ვხედავ ტყვიად მანარტა“ — გვხვდება ათარის თხზულებებში (ეფუკესკი, გვ. 356, რობაი 59)

რობაი 114: „ქვეყნის იცნობ, რასაც იცნობ — არა რა არის“ — ეფუკესკის აქტივი კირმანელს (ეფუკესკი, გვ. 346, რობაი 9).

რობაი 123: „ორბი ვიყავი მარადისობის,“ — აქვს აბდულის მარადისობის (ეფუკესკი, გვ. 345, რობაი 48).

რობაი 128: „დილით მომესმა სარდაფიდან ხმა დიდებული“ — გვხვდება როგორც სელმან სავეჯის, ისე ჰაფეზის ლექსებში (ეფუკესკი, გვ. 344, რობაი 1).

რობაი 162: „სიკვილის შემდეგ წუთისოფელს რომ გავიყრები“ — გვხვდება ჰაფეზის ლექსებში (ეფუკესკი, გვ. 356, რობაი 60).

რობაი 173: „ეს მწვანე მოლი, აგერ რომ ვყავის“ — გვხვდება იქვე (ეფუკესკი, გვ. 347, რობაი 13).

რობაი 210: „ღრუბელმა წვიმის ცრემლი დააფრქვია მწვანე ველს“ — იქვე (ეფუკესკი, გვ. 347, რობაი 16).

რობაი 248: „რადგან ვერაფერს გვეტყვის ჩვენ დღეს ხვალინდელ ამბავს“ — გვხვდება ათარის ლექსებში (ეფუკესკი, გვ. 344, რობაი 3). სამწუხაროდ, ეს ყალბი რობაი თავის თარგმანში შეუტანია პროფ. იუსტინე აბულაძესაც (იხ. „კავკასიონი“, №1—2, 1924 წ., გვ. 173, რობაი 13): „რადგან ხვალისთვის არავითარი აღთქმა და იმედი არ არის“, და სხვა).

შეიძლება პროფ. იუსტინე აბულაძეს, რომლის თარგმანიც სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ირანულ დედანს, მართლაც ჰქონდეს რაიმე საყურადღებო მოსაზრება, რითაც ამ რობაის ავტორობას იგი ომარ ხაიამს მიაკუთვნებს. მაგრამ გაუგებარია, რას ემყარებოდა ამხ. ამ. ჰელიძე, როცა ასეთი რობაიები ბლომად შეკრანდა თავის თარგმანში. საკითხავია, იცნობს თუ არა იგი ვ. ეფუკესკის გამოკვლევას და თუ იცნობს, რა საბუთით არ ღებულობს მას?

ამხ. ამ. ჰელიძეს მოეხსენება, რომ „ზოგიერთი რობაი საექვოდაა მიჩნეული.“ მან იცის ისიც, რომ „ხაიამის რობაიების საბოლოო ტექსტი და რაოდენობა ჯერ დადგენილი არ არის. მაგრამ თურმე, იგი ამ შემთხვევაში „საკუთარ გემოვნებას და მოსაზრებას ემყარება“ („ირანელი ლირიკოსები“, გვ. 276). ასეთ რთულ რამეში საკუთარ გემოვნებაზე დამყარება ძალიან ძნელი საქმეა. ყოველი თარგმანი ორიგინალის მაგივრობას უნდა სწევდეს, უნდა შეიძლებოდეს მასზე დაყრდნობა; მისით სარგებლობა უნდა შეეძლოს იმ მკვლევარებს, რომელთაც საშუალება არ აქვთ — ან ენის უკოდინარობის გამო — დედნით იხელმძღვანელონ. თარგმანზე დაყრდნობით ჩვენში მეტწილად შრომებსაც სწერენ და ამა თუ იმ პრობლემას სწვევებენ. ამიტომ თარგმანის შესრულების დროს უნდა გამოვიყენოთ ყოველივე, რაც გაუკეთებიათ მკვლევარებს ტექსტის დადგენისათვის ან ახალი მასალა უნდა წამოვიყენოთ მათ წინააღმდეგ, ან მათი მოსაზრებანი უნდა გავიზიაროთ.

ამ. ამ. ჰელიძეს იქნებ მოეპოება საგულისხმო მოსაზრება, ახალი მასალა, ფაქტები, რაზე დაყრდნობითაც დღემდე არა ომარ ხაიამისად მიჩნეულ რობაიების ავტორობას ომარ ხაიამს აკუთვნებს. საჭიროა ამ მასალის საჯაროდ გამოტანა და თუ ის უფრო მეტწილად, უფრო დამაჯერებელი იქნება, ვიდრე ვ. ეფუკესკის ცნობილი გამოკვლევა, მაშინ მას ჰელიძის გარდა სხვებიც გაიზიარებენ. ვეკვებ, რომ ჰელიძემ მოახერხოს ეს.

ბრიჯონ რუხაძე

„ნარგიზოვანი“

XVIII საუკუნის პოეზიაში არჩილის შემდეგ შეიქმნა ერთგვარი ტრადიცია: თითოეული პოეტის ლექსები ან ლექსების ერთნაირი ჯგუფი თავსდება ცალკე დამოუკიდებელ კრებულში. ამის ნიმუშია კრებული „არჩილიანი“, სადაც წარმოდგენილია პოეტის ყველა ნაწერი, „დავითიანი“ — დ. გურამიშვილის თხზულებათა კრებული, ანთოლოგიები, შედგენილი დამოუკიდებელი გვეგმის მიხედვით დავით ილიქაშვილი რექტორის და გრგოლ იოანეს ძე ბატონიშვილის მიერ. განსაზღვრულია ისეთი კრებულები, რომლებიც რამდენადმე განსაზღვრავდნენ ნაწარმოების ლიტერატურულ დანიშნულებას. ასეთია, მაგალითად, წიგნი „მრავალფერ-გვავილოვანი“, რომელიც შეუდგენია პოეტს პეტრე ლარაძეს (გარდაიცვალა 1837 წ.). ასეთივე კრებული შეუდგენია დ. თუმანიშვილის (იხ. პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი XIII-სა“), რომელსაც ჩვენს დრომდე არ მოუღწევია.

ამთ მსგავს ლირიკულ კრებულს წარმოადგენს „ნარგიზოვანი“. „ნარგიზოვანის“ არსებობა აქამდე მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრემ იცოდა. ეს ზინებული ლირიკული პოემა, როგორც მას გამოცემის რედაქტორი ალ. ბარამიძე უწოდებს, დღემდე გამოუცემელი იყო. თხზულების ერთი თავი ჩვეულებისამებრ დედაქტორად ე. ი. მოსკა ზ. კიკინაძემ (იხ. „ქართული მწერლობა“, 1888 წ., გვ. 22). პირველი ცნობა „ნარგიზოვანის“ შესახებ მოთავსებული იყო გაზეთ „დროებაში“ (1877, № 57), მეორე ცნობა — იმავე გაზეთის 1878 წ. მე-16 ნომერში. ხოლო შემდეგ ნაწყვეტების თუ მთლიანი სახით „ნარგიზოვანს“ არჩევნ ზ. კიკინაძე (ზემოთ დასახელებული წიგნი), პროფ. ალ. ხაბანაშვილი („Очерки“, III, 99), ექვ. თაყაიშვილი („Описание“, II) და პროფ. კეკელიძე („ქართ. ლიტ. ისტორია“, II, 421). პროფ. ალ. ხაბანაშვილს, რომელიც ზ. კიკინაძეს ემყარებოდა, „ნარგიზოვანის“ ავტორად პოეტი არჩილი მიიჩნდა. იგი ასე ახასიათებდა ამ ლექსებს: „ნარგიზოვანში“ მოცემულია „Похвала красоте женщин и стойкости жителей Грузии“ (II, 99).

პროფ. ე. კეკელიძემ პირველად მოგვცა „ნარგიზოვანის“ მართებული დახასიათება და ზ. კიკინაძისა და პროფ. ალ. ხაბანაშვილის შეხედულების მეცნიერული კრიტიკა. მკვლევარმა შემდეგი დადებითი თეზა წამოაყენა აღნიშნული თხზულების შესახებ: „ეს ნაწარმოები, რომელიც მეტად პარპონიული, ლამაზი და მკრძნობიარე ლექსითაა დაწერილი, ნათქვამი უნდა იყოს არა უადრეს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა, როდესაც მამუცა ბარათაშვილმა, თექვსმეტ-მარცვლოვანი ლექსის ბატონობის შერყევის შემდეგ, დააკანონა, ხოლო დავით გურამიშვილმა და სხვებმა განახორციელეს კიდევ და იწყეს წერა სხვადასხვა სახომით: 7, 8, 10, 15, როგორც აქ, და მარცვალთა სხვა რაოდენობით; არჩილის დროს ამ სახომით ჯერ კიდევ არ სწერდნენ. თან მის დროს არ იწყებოდა ისეთი შინაარსისა (?) და მოტივის ლექსები, როგორცაა ნარგიზოვანი; ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენ არ ვიცით არც ერთი ხელნაწერი ამ ნაწარმოებისა, რომელიც არამც თუ მე-17 და მე-18 საუ-

ჭყენის, მე-19 საუკუნის ფარგლებიდან გამოდიოდეს" („ქართ. ლიტ. ქრონიკა", II, 421, შენიშვნა).

ეს იყო და ეს. ამაზე მეტი აქამდის „ნარგიზოვანის" შესახებ ჩვენ არა ვიცოდით რა გამოცემის რედაქტორს უცდია გაერკვია ზოგიერთი საცულო-საქონლო საკითხი. მისი გამოკვლევით, „ნარგიზოვანი" შეთხზული უნდა იყოს მე-19 საუკუნის 80-იან წლებში. ტექსტისთვის გამოუყენებია საქ. მუზეუმში დაცული ვერცხლისა და სპილოს ხელნაწერი. საკითხი, თუ ვინ იყო „ნარგიზოვანის" ავტორი — დღესაც ღია რჩება. მკვლევარს აქ არც იმის საშუალება აქვს, წარმოაყენოს წინასწარი პიპოთეტური მოსაზრება, თუმცა, ეჭვი არ არის, „ნარგიზოვანი" შეთხზულია ბესიკის რანგის პოეტის მიერ. მასში გაერთიანებულია „ბესიკის ხმები" და ხალხურ-აშუღურ პოეზია საიპოთეტური ჩანჯით:

„შენთვის სიკვდილი მაინია პირსა,
 ცრემლსა ვაპყრებ ზედ დანატირსა,
 ვინღა შემიტკობს თავჯანაწირსა,
 გეზევი ყელსა, თვალმშვენიერო!"

სახელი „ნარგიზოვანი" უნდა წარმოსდგებოდეს იმ ერთ-ერთი ყვავილისაგან, რომელსაც ესაუბრება პოეტი ბესარიონ გაბაშვილი:

„ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე,
 სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე—
 ნარგიზი ენაზე შებრალებითა,
 ცრემლსა სევარვიდა მორიდებითა".

(ბესიკი, 1932 წლ. გამ., გვ. 3—4).

„ნარგიზოვანი" შეიცავს თერთმეტიოდე ლექსს, რომელთა სტროფების რიცხვი 63-ს უდრის. ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, ეს ნაწარმოები წარმოადგენს XVIII საუკუნის სალექსო ნორმების ერთგვარ კონგლომერატს. მას ნათესაობა აქვს საბას, მამუკას და ვახტანგ მეექვსის მიერ შემოღებულ ვერსიფიკაციასთან. ერთი ლექსი თავისი რითმიული დენადობით ძალზე ჰგავს საბა ორბელიანის ლექსს — „ქალი" resp. „უტო". აი ნიმუშები:

„ავგუღნი ქალნი, სახმლის აღნი,
 რა გინდ შევროდეს როგორცა ლალნი,
 მაშინაც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი,
 ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი სარცხინელია".
 (საბა).

„ქართველთა ქალნი, ვით ბროლ-ფიქალნი,
 თეთრი ყირმიზი პირზედ აქეთ ხალნი,
 მათთა მნაზავთა მოედვის აღნი,
 ჰქვიან მას სახელად ქართლი მშვენიერია".
 („ნარგიზოვანი", გვ. 12, 30).

რასაკერძეელია, საბას ლექსი სულ სხვა იდეურ ასპექტშია გადატეხილი. საბას „ქალი" ერთგვარი „საყოფაცხოვრებო სატირია", მას არ აინტერესებს „სახმლის აღნი". ხოლო „ნარგიზოვანის" „ქართლი მშვენიერია" სატრფიალო გრძნობებითაა გამოთარი. ორივე ლექსს აბასიათებს თანატოლი რეფრენი—შავსი ტაეპები სტროფში. ღამაზასიათებელია, რომ „ნარგიზოვანის" უცნობი ავტორი საბასეულ „სიბრძნე სიუ-

რუსა“ და „ქილილა და დამანას“ იგავარაკებსაც ესესება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი ადგილი „ნარგაზოვანიდან“:



„რა აქლემი ცასა ზომდეს, ზაქმა სიბრძნე იჩინოსა, ვირი მღერდეს, მგელი მღვდლობდეს, დათვი მოძღვრედ ედგინოსა, მელი ლომსა, ჩიტი ენოლსა, მწყერი სდედეს მიმინოსა, მაშინ მიხედვ შენსა შვესა, შესაგრელიად საღბინოსა“.

ყველაზე მეტი სიახლოვე „ნარგაზოვანის“ ლირიკას ბესიკის ჩანგთან აქვს პოეტი აქაც რომელიღაც ქალის მიჯნურია. იგი დევნილია და გადაბეჭვილი უცხო მხარეს:

„მე ვიყავ მტკიცე მოყვარე, სამკვიდრო შეუძვრელია, მწარის ხელობით დავაგდე, გლახ ჩემი სასურველია... დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მველეღია“ (გვ. 28).

როცა „ნარგაზოვანს“ კითხულობთ, გგონიათ, თითქოს ბესიკის ლექსებს კითხულობდეთ ან და უსმენდეთ მის კარგ აკომპანიმენტს...

ჩვენი პოეტი რუსთველსაც დასესხებია („აღორძინების ხანის“ რომელი პოეტი არ დასესხებია რუსთველს!). მას გამოყენებული აქვს „ვეფხისტყაოსანის“ ცალკე აფორიზმები — გაგება ლექსისა, სიყვარულისა და სხვა. აი ორი ასეთი ადგილი:

„უხმს მელექსესა ცნობილსა, სიბრძნისა წერითთა სიტყვობდეს“ (26). „ეაქ, სიყვარლისა სიშორე რაზომ ყოდილა ძნელია, თუ სადმე ნახავს ნათელსა, თქვის: „მუნ არს ჩემი მკვლელია“, გლახ, რა ექნა მოშორებულმა, ცრემლი ვყავ ცრემლთა მრთველია, დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მველეღია“ (29).

„ნარგაზოვანის“ ლირიკა მაინც არ არის უბრალო მიმბამძველობის ნაყოფი. იგი ორიგინალურ სატრფიალო ლირიკულ ლექსთა კრებულთაა. მასში მრავალია ძლიერი და მხატვრულად დამკერებელი ადგილი. პოეტს ესერხება მაჯამებიც. მოვიყვანოთ ერთ ნიმუშს:

„შენ გტრფიალობ, ხმელთა მზეო, ვანა ვარდო მაისურო, მე მწვავს შენი სიყვარული, ხამს, რომ შენცა მაისურო, ლერწმად დამკრე ბალსა შენსა, შენ ჩემზედა მაისურო, არ დამიჭრა გული წუღული, სისხლი სმად არ მაისურო“.

როგორც ხედავთ, აქ რითმებად წარმოდგენილია ფორმით ერთნაირი, ხოლო შინაარსით სხვაგვარი სიტყვები (ეს არის სწორედ, გერსიფიკაციის თვალსაზრისით, მაჯამური ლექსი). სიტყვა „მაისურო“ პირველ პეკარში ნიშნავს მაისის თვისას, მეორეში — სურვილს, მოსურებებს, მესამეში — სურსათით (მცენარეა) შემოზვევას, მეოთხეში — სურსათით შესმას, დაღევას.

„ნარგაზოვანის“ მთავარი მოტივი სატრფიალო მოტივია, მაგრამ იგი არ არის მოკლებული სედა-ჰმენვას, მღურვას ამ ქვეყნისადმი. გამოწვეულია ეს იმავე ტრფიალებით მიჯნურისადმი, რომელმაც პოეტი ვახდა „ხელი მიუკარელი“.

დასასრულ, ერთი შეკითხვა „ნარგაზოვანის“ რედაქტორს: სანამ იგი გამოაქვეყნებდა საბა ორბელიანის ლექსს, „უცხო“ resp. „ქალი“, ვანა ის პირვილიად არ დაბეჭდა ა. ჭკონიამ („ქილილა და დამანა“, 1884 წ.), პროფ. ალ. ხახანაშვილმა („მოამბე“, 1900 წ., № 12) და გ. ლეონიძემ („კაშნიკი“, 1920 წ.)? ლიტერატურული ეთიკა მოითხოვდა ამის აღნიშვნასაც (იხ. წინასიტყვაობა, გვ. 10).





შინაარსი

ქართული
ბიბლიოთეკა

33

- ბ. სტალინი — პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე. (მოხსენება და საბოლოო სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის 3 — 5 მარტს)
- ვ. წულუკიძე — ისტორიული დადგენილების ხუთი წლისთავი და ქართული საბჭოთა მწერლობა

III

XLIII

მხატვრული ლიტერატურა

- სიმონ ჩიქოვანი — ლექსები (წიგნიდან „ფიქრები მტკვრის პირას“) 1
- დიმ. გულია — ხოჯანდუ (ლექსი) თარგ. გრ. ცეცხლაძისა 10
- ალ. ქუთათელი — პირისპირ (რომანი. მეორე წიგნი) 12
- ვლ. მაიაკოვსკი — შარვლიანი ღრუბელი (ნაწყვეტი პოე-მიდან) თარგ. დავ. გაჩეჩილაძისა 64
- ვლ. მაიაკოვსკი — კარგია (ნაწყვეტი პოემიდან) თარგმანი გრ. ცეცხლაძისა 67
- ალ. ქეიშვილი — ლელო (რომანი) 73
- პროსპერ მერიმე — წერილები ესპანეთიდან (თარგ. გ. ქიქოძისა) 91
- ოვიდიუსი — პეროიდები — თარგ. ლათინური თ. ჯავთარაძისა 113

კრიტიკა

- ალი არსენიშვილი — ე. ვ. მაიაკოვსკი 117

მეცნიერება

- ალ. სვანიძე — ხეთებისა და მათი ქართველ ტომებთან ნათე-საობის საკითხისათვის 125

სალიტერატურო ანკივი

- პაატა გუგუშვილი — ახალი მასალები ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის 137

ბიბლიოგრაფია

- დავ. კობიძე — ირანელი პოეტები ქართულად 144
- ტრ. რუხაძე — „ნარგიზოვანი“ 149